



କଣ୍ଠ ଧର୍ମପାତ୍ର

ବାଟେଣ୍ଡି ॥

ଶରୀରରେ ଜୀବନରେ ଏହାମନ୍ଦିରରେ ବିଲୁପ୍ତିରେ ଏହାମନ୍ଦିରରେ


ଠରନ୍ତର୍ଯ୍ୟାଙ୍ଗର ଓ ଚୂପନ୍ତର୍ଯ୍ୟାଙ୍ଗର

ମହାରାଜାଙ୍କରେ


ଚାର୍ଯ୍ୟକଳ୍ପର ମନୋମନ୍ଦରରେ

ବାଟେଣ୍ଡି ॥

ISBN 978-9941-0-5857-8



9 789941 058578



## როზა ბიძინაშვილი

ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების  
სამკურნალო მნიშვნელობა



წიგნი ორ ნაწილად

ნაწილი II

(ლ - ჰ)

თბილისი

2013

**“უნებლივ შეცდომისთვის მკაცრი კიცხვა არ გვმართებს!”**

## **სოფოკლე**

ცნობარი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. მოიცავს მშრალი და ტენიანი კლიმატის ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნების 272 მცენარეულ ობიექტს, რომლებიც მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოიჩინება, ფართოდ გამოიყენება მეცნიერულ, ტრადიციულ, ხალხურ მედიცინაში და ბევრი მათგანი საერთაშორისო ფარმაკოპეაშია შესული.

შესაბამისი ინფორმაცია მოიპოვა და დაამუშავა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კავკასიის იშვიათი და სამკურნალო მცენარეების განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა როზა ბიძინაშვილმა.

**რედაქტორი:** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ნონა ანთაძე

**რეცენზენტი:** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტროპიკული ორანჟერეის გამგე ნანა ჭაბანევიშვილი

ISBN 9 78-99 41-0-5855-4 (ორივე ნაწილის)

ISBN 9 78-99 41-0-5857-8 (მეორე ნაწილის)

“ბუნება მბრძანებულია, იგივ მონაა თავისა,  
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ  
ქქწელია ავისა...  
ზოგჯერ პირიძხეს ახარებს, იქვე მოხრულია  
ზვავისა...  
მაინც კი ღამაზი არის, მაინც სიტურფით  
ჰყავისა!”

ვაჟა

### წინათქმა

მსოფლიოში გამოყენებული წამლების ნახევრს ბუნებრივი  
წყაროებიდან მიღებული ნივთიერებები წარმოადგენს. აშშ-ის  
მხოლოდ ერთმა - კიბოს ეროვნულმა ინსტიტუტმა 2000-მდე  
ტროპიკული მცენარე გამოავლინა, რომლებიც პოტენციურად  
შეიძლება გამოყენებულ იქნეს კიბოსთან საბრძოლველად. მაგრამ  
რამდენია ჯერ შეუსწავლელი და გამოსავლენი! ტყის მასალა,  
კაუჩუკი, ფისი, გუმფისი, პესტიციდები, კაკალი და ხილი,  
საღებავი და საკვები დანამატები, სტერიიდები, ლატექსი,  
ეთერზეთები და ცხიმზეთები, მთელი რიგი სამკურნალო  
პრეპარატები - ყველაფერი ეს მცირე ჩამონათვალია იმასთან  
შედარებით, რასაც ტროპიკული ტყე იძლევა.  
აღსანიშნავია, რომ ოდესალაც ტროპიკულ მარადმწვანე წვიმიან  
ტყეებს (ჯუნგლებს) - დედამიწის ტერიტორიის 1,6 მილიარდი ჰა  
ექვავა, საღებისოდ კი მათი ფართობი თითქმის ნახევრამდეა  
შემცირებული; ყოველწლიურად ჩვენს თვალწინ ამ უძვირფასესი  
ტყეების 135 ათასი კვ კმ ნადგურდება, რაც შეესაბამება 11 ათას  
კვ კმ-ს ყოველთვიურად, 367 კვ კმ-ს ყოველდღიურად, ხოლო 15  
კვ კმ-ს ყოველ საათში. მეცნიერების ვარაუდით, განადგურების ეს  
ტემპი თუ შენარჩუნდა, XXI ს-ის შუა წლებში შესაძლებელია

მათი სრულად განადგურება, რაც დედამიწის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ბიოლოგები მიიჩნევენ, რომ ტროპიკულ ტყეებში ბინადრობს დედამიწაზე არსებული მცენარეებისა და ცხოველების სახეობების დაახლოებით ნახევარი, ხოლო მიღიონობით სახეობა ჯერ აუღწერავი და შეუსწავლელია.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა დაინტერესებულ პირთათვის, უმთავრესად კი ახალგაზრდებისათვის, გაგვეცნო რიგი იმ ეგზოტური მცენარეებისა, რომლებიც ოდითგანვე იპყრობდა ადამიანის ყურადღებას; კერძოდ, ცნობარი მოიცავს ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში, ამ უაღრესად სპეციფიურ და მრავალფეროვნებით გამორჩეულ მცენარეულ ფორმაციებში მოზარდ მცენარეების იმ მცირე ნაწილს (272 სახეობა), რომელიც მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა, ამავდროულად გამოიყენება ოფიცინალურ, ტრადიციულ, ხალხურ მედიცინაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი მსოფლიო ფარმაკოპეაშია შესული.

მცენარეების აღწერას წინ უძლვის ტრადიციული სამედიცინო სისტემის ფარმაკოგნოზის მოკლე მიმოხილვა და ცნობები აღნიშნული ჯგუფის მცენარეების ძირითად ადგილსამყოფლებზე. წიგნის დასასრულს - საუბარია სამკურნალო მცენარეების კულტივირების აუცილებლობასა და მათ პერსპექტივებზე.

ცალკეული მცენარის დახასიათებისას ყურადღება გამახვილებულია მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე, ყვავილობისა და ნაყოფმსხმიარობის პერიოდებზე, ბუნებრივი გავრცელებისა და კულტივირების ადგილებზე, მათ სასარგებლო მნიშვნელობაზე, სამკურნალო თვისებებზე, ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებაზე. მცენარეები განლაგებულია ქართული ანბანის მიხედვით.

წიგნი ორ ნაწილს მოიცავს. პირველ ნაწილში შესულია მცენარეები “ანი - დან ელ - მდე”, ხოლო მეორე ნაწილში განხილულია “ელ - იდან ჰაე - მდე” დასახელების მცენარეები.

ტექსტში გამოყენებული მასალები ეფუძნება ფარმაკოგნოზის სახელმძღვანელოებს, განკუთვნილს ფარმაცევტული ინსტიტუტებისა და ფარმაცევტული სტუდენტებისათვის, ასევე სხვა შესაბამის ლიტერატურულ მონაცემებს.


### ძვირფასო მკითხველო!

მცენარეული ნედლეულის საფუძველზე დამზადებული პრეპარატების მიზანდასახულ გამოყენებას განსაზღვრავს მხოლოდ ექიმი!

ჩვენს მიერ შეგროვილი ინფორმაცია ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების შესახებ, ამ მეტად განსხვავებული, მსოფლიო ფარმაკოპეისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი, ორიგინალური და ეგზოტური მცენარეების გაცნობის მიზნითაა შედგენილი და არა მათი გამოყენების გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მცენარეების არადროულმა შეგროვებამ, სახლის პირობებში არასწორმა დამზადებამ და რა თქმა უნდა არასწორმა გამოყენებამ, შესაძლებელია მკურნალობის ნაცვლად ბევრად ძლიერი უკუქმედება გამოიწვიოს!

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!!!



**ლოფოფორა, “პეიოტა” – *Lophophora williamsii*  
(Lemaire ex Salm-Dyck) J. M. Coulte  
კაქტუსისებრნი - Fam. Cactaceae**



**მორფოლოგია:** კაქტუსისებრთა ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გვარია. ლოფოფორას გარეგანი იერსახე მეტად თავისებურია – ეს არის მცენარე ხორცოვანი ბრტყელი სფერული 15 სმ-მდე დიამეტრის ღეგა – მწვანე, ზოგჯერ მოცისფრო, რბილი ღეროთი, სრულიად უეკლო. გაურკვეველად გამოხატული წახნაგები დაყოფილია განივ ღარებად, სუსტად გამოხატულ ბორცვაკებზე არეოლებით, თითოეული მათგანი კი მომარაგებულია ხშირი თეთრბეწვიანი ქოჩით. აქედან წარმოსდგება გვარის სახელიც, ბერძნული lophos – “სავარცხელი”, “ქოჩირი” და phoros – “ტარება”.

ზრდასრულ ლოფოფორას ხაოიანი ღეროს წვერზე წარმოიქმნება წვრილი, ძაბრისებრი 2 სმ-მდე დიამეტრის თეთრი, ვარდისფერი ან ბაცი-ყვითელი ყვავილები. ნაყოფი წითელი კენკრაა შავი თესლებით.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** გვარი ლოფოფორას (Lophophora) სახეობების არეალი მოიცავს ჩრდილო და ცენტრალურ მექსიკას, გადაჭიმულია 1100 კვ.კმ-ზე; მირითად ადგილსამყოფელში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი, წარმოქმნის 1,5 მ დიამეტრის დაჯგუფებებს.

ამერიკის აღმოჩენისა და ესპანელების მიერ მექსიკის დაპყრობის შემდეგ ევროპელები გაეცვნენ ამ მცენარეს (“ეშმაკის ფესვსაც”

უწოდებენ) – უკლო კაქტუსს, რომელსაც ინდიელები თაყვანს სცემდნენ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი აცტეკები, ოლმეკები, ტოლტეკები, მაიას – ხალხები იყვნენ არა მარტო მზის თაყვანის მცემლები, ზოგიერთ კაქტუსსაც აღმერობდნენ. აცტეკთა სახელმწიფოს მთავარი ქალაქი “ტენოჩტილანი”, თარგმანში ნიშნავს “წმინდა ოპუნციის მზიან ადგილს”, მათ გერბზე მზესთან ერთად ეკლიანი ოპუნცია იყო გამოხატული. ლოფოფორა კი ინდიელებისათვის დღემდე საკულტო მცენარედა მიჩნეული.

ვილამსის ლოფოფორა მცენარეულ სამყაროში ყველაზე საინტერესო ობიექტია. სხვა ორ მცენარესთან ერთად (სოკო - *Psilocybe mexicana* Helm და ლიანა – *Rivea corymbosa* Hall.) მიეკუთვნება მექსიკის ძველი კულტურის მაგიურ მცენარეთა რიცხვს. “პეიოტის” სახელით ცნობილი ამ მცენარის ნარკოტიკულ და სამკურნალო მოქმედებებს იცნობდნენ როგორც აცტეკები, ასევე სხვა ინდიელი ტომები.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ამერიკელმა ექიმმა ბრიგსბა 1887 წელს პირველმა გამოაქვეყნა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობა პეიოტის ფიზიოლოგიური მოქმედების შესახებ, ჩაატარა რა გამოკვლევები საკუთარ თავზე. მის შემდეგ დეტროიტში ამერიკულმა ფარმაცევტულმა ფირმებმა დაიწყეს **Lophophora williamsii**-ის ქიმიური შემაღენლობის შესწავლა; გამოყოფილი იყო ტოქსიკური ნივთიერება – ანხალონინი, შემდეგ მას დაემატა სხვა ალკალოიდები - ლოფოფორინი, მესკალინი; სწორედ ეს უკანასკნელი იყო იდენტიფიცირებული როგორც პალოცინოგენური ნივთიერება. შემდგომში სხვადასხვა სახის მერქონბიარე ანალიტიკური მეთოდებით გამოვლინდა სხვა ქიმიური კომპონენტები; 1970-იან წლებში უკვე დადგენილი იყო მცენარის შემცველი 42 სახის იზოლირებული მოქმედი ნივთიერება, რომელთა შორისაა არა მარტო ბიოგენური ამინები და ალკალოიდები, არამედ სხვა ჯგუფის ალკალოიდები, ლაქტამები, იმიდები, სპეციფიური მჟავები.

დადგინდა მათი ფარმაკოლოგიური მოქმედებაც. ასე მაგ.: პეიოტის შემცველი ფენეტილამინები ქიმიურად მონათესავეა კუპექვეშა

პორმონ ადრენალინის და მის მსგავსად აქვს მეტნაკლებად გამოხატული სიმპატიკომიზმეტრული აქტივობა. ხორდენინი მოქმედებს აღმგზნებად სიმპატიკურ ნერვულ სისტემაზე და აღუნებს გლუკ მუსკულატურას, ამაღლებს არტერიულ წნევას და აჩქარებს პულსაციას. ადრე გამოიყენებოდა თერაპიაში სისხლის მიმოქცევის სტიმულირებისათვის, აგრეთვე ასტმისა და კუჭნაწლავის კოლიკის შეტევების ასაცილებლად. დიდი დოზები იწვევს ძლიერ აღგზნებას, დამბლას და სუნთქვის შეჩერებას. მეორე ალკალინიდი – ტირამინი მსგავსი მოქმედებით ხასიათდება, გარდა ამისა იწვევს საშვილოსნოს კუნთების შევიწროებას; ფენოლური ბუნების სხვა ნივთიერება – კორდენინი ანტისეპტიკური აქტიურობით გამოირჩევა. ალკალინიდი პელოტინი ადამიანებზე დამაშვიდებელ და ძილის მოგვრელ მოქმედებას იწვევს. ალკალინიდებს შორის ყველაზე შხამიანია ლოფოფორინი, რომელიც ტოქსიკურობით ნიკატინის მსგავსია, სულ რაღაც 20 მგ-ის შინაგანად მიღება ადამიანებში იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას, თავის ტკივილებსა და სიცხის მოზღვავებას, გადამტებული დოზა კი ლეტალურ აღსასრულს. ბუნებრივია, ფინქოტროპული მოქმედებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ალკალინიდი მესკალინი, რომელიც ფარმაკოლოგიური მოქმედებით მიეკუთვნება ფინქოტომიმეტრულ ნივთიერებათა ჯვეფს, რომელსაც ასევე უწოდებენ ჰალუცინოგენებს, ფინქოდისლეპტიკებს, ფინქოდისლეპტიკებს, ფინქოდელიკამებს და ა.შ.

მეცნიერული გამოკვლევები გრძელდება, ამ საოცარი მცენარის შემდგომი სამედიცინო გამოყენების თვალსაზრისით. მექსიკის ეხლანდელ კოაულას შტატში ძველ სამარხებში ჩატარებული გაზოქრომატოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ პეიოტი ძველი ინდიელების კულტურაში 1000 წლის წინათ გამოიყენებოდა ნარკოტიკულ საშუალებად, აგრეთვე იხმარებოდა საკულტო მიზნებისათვის. ქურუმებში მისი გამოყენება იწვევდა სხვადასხვაგვარ ჩვენებებს, ჰალუცინაციები შემდგომ ინტერპრეტირებული იყო და ხალხს გადაუცემოდა რიგორც ბრძნთა წინასწარმეტყველებები.

ძველი დროიდანვე პეიოტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდიელების ხალხურ მედიცინაში. გარეგანად გამოიყენებოდა როგორც ტკივილგამაფუჩქელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური საშუალება ჭრილობების, დამწვრობის, გველის ნაკბენების, რევმატიული ტკივილების საწინააღმდეგოდ; შინაგანი მიღებისას ხდება გულ-სისხლძარღვთა სტიმულირება, ძალისა და გამძლეობის მომატება, ხსნის ორგანიზმის ტემპერატურას და ხსნის ხველებას.

**უკუქმედება:** გამორჩეულად მაღალტოქსიკური მცენარეა!!!

**ლურჯი ზამბაზი - Iris germanica L.**

**ოჯ. ზამბაზისებრნი - Fam. Iridaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-100 სმ სიმაღლის, მარტოული, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროთი. ფესურა თეთრია, პორიზონტული, დატოტვილი, დაკუთხული, 2,5-3,5 სმ-მდე დიამეტრის, მრავალი წვრილი 25-30 სმ-მდე სიგრძის ფესვით. ფოთლები ფართო ხმლისებრია, მონაცრისფრო-მწვანე, ღეროსეული – მოკლეა ფესვთანურზე, ყველა ორმწკრივადაა განლაგებული. ყვავილები – მცირერიცხოვანი ხვეულაა, საყვავილე ღეროს ბოლოებზე განლაგებული, ფუქსიან ერთი სამფოთოლაკიანი საბურველით; ყვავილები მოკლე ყუნწიანია, დიდი ზომის, სასიამოვნო სურნელის, ჩვეულებრივ

იისფერი, ყვავილსაფარი ფუძესთან ფურცლებშეზრდილია, ვიწრო  
მილით; გარეთა წრის გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია,  
ქვემოთ გადახრილი; შიგნითა – უფრო წვრილია და ბაცი, ზევით  
მიმართული, ძირთან ყველა ღარისებრ ფრჩხილადაა  
შევიწროებული. ნაყოფი – დიდი, სამწახნაგოვანი კოლოფია,  
თესლი ნარინჯისფერია ან მოწითალო-ყავისფერი. ყვ. V-VI;  
ნაყ.VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ  
გვხვდება. სამშობლო ხმელთაშუაზღვეთია. საკმაოდ ფართოდაა  
დანერგილი საქართველოშიც, ზღვის სანაპირო ზოლიდან  
დაწყებული 1500 მ სიმაღლემდე. ზამბაზის 100-მდე სახეობიდან  
სამურნალო მიზნებისათვის ოფიცინალურ მედიცინაში მხოლოდ  
სამი სახეობა გამოიყენება: *Iris germanica* L., *I. pallida* Lam., *I.  
florentina* L., რომლებიც მოჰყავთ “იის ფესვის” მისაღებად.



***Iris pallida***



### Iris florentina

სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება: სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს (*Rhizoma Iridis*). ფესურებს აგროვებენ აგვისტო-სექტემბერში, დარგვიდან მეორე-მესამე წელს, აშრობენ მზეზე. ახლადმოღებულ ფესურებს აქვს არასასიამოვნო სუნი. შრობის შემდეგ სასიამოვნო სურნელისაა, რომელიც ის სუნს წააგავს, რის გამოც “ის ფესვის” სახელითაა ცნობილი. გემო ჯერ მოტკოა, შემდეგ მწვავე – მომწარო. დამატებითი პროდუქციის სახით ზოგჯერ გამოიყენება ყვავილები, რომლებსაც მაის-ივნისში აგროვებენ. ფესურა შეიცავს 0,1-0,2 % ეთერზეთებს, გლიკოზიდ ირიდინს, 7%-მდე შაქარს, 20-50% სახამებელს, 10%-მდე ცხიმზეთებს, ბენზოინის, უნდეცილინისა და სხვა მჟავებს, ლორწოს, ფიტებს, ბენზოინის ალღეპიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ასკორბინის მჟავას. ზამბახის ფესურა რეკომენდებულია როგორც ამოსახველებელი და ტკივილგამაფუჩქებელი საშუალება კუჭ-ნაწლავის ჭვლების, ბრონქიტისა და ანგინის, მუცლის ტკივილების, ნაღველკენჭოვანი და კანის დაავადებების, ინფექციური და ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისა და წყლულების დასამუშავებლად. ქრემისაგან გასუფთავებული და დაფქვილი ფესურა შედის კოსმეტიკური პუდრის შემადგენლობაში; გამოიყენება როგორც ფიქსატორიც. მშრალი ფესურიდან ღებულობენ ეთერზეთებს პიდროდისტილაციის მეთოდით, შეიცავს მირისტინისა და სხვა მჟავებს, გერანიოლს,

ბენზალდეპიდს, ლინალოლის, კეტონებს. ხასიათდება დეტოქსიკაციური, დიურეზული და ამოსახველებელი მოქმედებით, ახდენს თავის ტვინის ფუნქციის ნორმალიზებას. გამოიყენება კანის დაავადებების, ძნელად შესახორცებელი ჭრილობების, წყლულების, ქრონიკული ბრონქიტის, პნევმონიის, ანგინის დროს. **შპუქმედება:** გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

**მაგიური ზილი – *Synsepalum dulcificum*  
(Schumach. et Thonn.) Daniell  
ოჯ. საპოტასებრნი - Fam. Sapotaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 1,5-6 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია ან მცირე ზომის ზე. ფოთოლი მოგრძო-კვერცხისებრია, მუქი მწვანე, ტყავისებრი, განწყობილია სპირალურად. წვრილი თეთრი ყვავილები 5-7 მმ დიამეტრისაა; ყვავილობა პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში გრძელდება, მცირე (1-2 თვის) შესვენებით. ნაყოფი კაშკაშა-წითელი, 2-3 სმ სიგრძის კურკიანაა, ყვის მარცვლის ზომის, ერთი თეთრი თესლით, გარეგანად კოწაბურის ნაყოფის მსგავსია. ნაყოფი მწიფდება ყვავილობიდან 3-4 კვირის შემდეგ.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო დასავლეთ აფრიკა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** რეკომენდებულია ახლად შეგროვილი ნაყოფების საკვებად სწრაფად გამოყენება, კინაიდან ხანგრძლივი შენახვისას კარგავს სასარგებლო თვისებებს.

მაგიური ზილის ნაყოფები მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა; შეიცავს მრავალ მიკროელემენტს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის, მდიდარია მცნარეული მჟავებით და უჯრედისით, რაც ზელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ნორმალურ მოქმედებას.

ამ უცნაური ზილის ნაყოფები საოცარი თვისების მატარებელია, რის გამოც ეწოდა “მაგიური ზილი”. ნაყოფის დაღჭვის შემდეგ რამდენიმე საათით ითიშება მჟავე გემოს აღქმაზე პასუხისმგებელი რეცეპტორები – და მხოლოდ ისინი! ამ დროს თვით მჟავე ლიმონიც კი ტკბილად მოგეჩენებათ!

გამოკვლევების შედეგად მეცნიერები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ უცნაური ეფექტის მიზეზს წარმოადგენს ცილა – მირაკულანი, თუმცა დღემდე დაუდგენელია ის მექანიზმი, რის მეშვეობითაც მირაკულინი იწვევს “გემოვნებით ჰალუცინაციებს”.

ზილის ამ საოცარი თვისებით სარგებლობენ წამყვანი და უმდიდრესი რესტორნების შეფარეულები.

**უძუქმედება:** არ არის დაღენილი.

**მაკლურა – *Maclura pomifera* (Raf.) Schneid**

(= *M. aurantiaca* Nutt.)

**ოჯ. თუთისებრნი – Fam. Moraceae**



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი ორსახლიანი 20 მ-მდე სიმაღლის

ხეა, ძლიერ დატოტვილი გადაშლილი ვარჯით. ზის ტანი დაფარულია მუქი მურა, დამსკარი ქერქით. ტოტები მუხლებში მოღუნულია, ყლორტები ეკლიანია, ეგალი 2,5 სმ სიგრძისაა, ფოთლების იღლიებშია განლაგებული. ფოთლები მორიგეობითია, პერცხისებრი, წვეტიანი, კიდემთლიანი, მუქი მწვანე, პრიალა, ქვედა მხარეს უფრო ბაცი; შემოდგომით – ოქროსფერ-ყვითელი შეფერილობის. ყვავილი წვრილია, ბაცი მწვანე; მამრობითი ყვავილები შეკრებილია მჭადა ყვავილედებად, მდედრობითი – კომპაქტურ, სფერულ თავაკებად. ნაყოფი მსხვილია 15 სმ-მდე დიამეტრის, დანაოჭებული, ნარინჯისფერი, დამახასიათებელი რძისებრი წვენით. თესლი მრავალრიცხოვანია.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. ბევრ ქვეყანაშია ინტროდუცირებული, მათ შორის საქართველოშიც.

ცნობილია სხვადასხვა სახელით: “ადამის ვაშლი”, “ცრუფორთხალი”, “ღვთიური საჩუქარი”.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი საკვებად უგარისია. შეიცავს ვიტამინების უმდიდრეს კომპლექსს, ფლავონოიდებს, მიგრო და მაკროელემენტებს, აქტიურ ნივთიერებებსა და ორგანულ მჟავებს. უნიკალურმა სამკურნალო შემადგენლობამ აქცია მაკლურას ნაყოფები ჯადოსნურ და სასწაულმოქმედ საშუალებად მრავალი დაავადების მიმართ.

ხალხური მედიცინა იყენებს მხოლოდ მწიფე ნაყოფებს, არსებობს უამრავი რეცეპტი მაღამოს, ზეთის, ნაყინის დასამზადებლად. მათი მთავარი დანიშნულებაა:

სიმსივნის საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, გამამაგრებელი, დამამშვიდებელი მოქმედება.

მაკლურას მაღამოთი კურნავენ კანის დაავადებებს: ფურუნკულებს, მღიერს, ჩირქოვან გამონაფარს, მაღვებს შეა თიაქარს, მასტოპატიას, ლიმფური კვანძების ანთებას, ტროფიკულ წყლებს, სწორი ნაწლავისა და კანის კიბოს. ნაყოფების სპირტიან ნაყენს იყენებენ პოლიართორიტის, ისტეოხონდროზის, ნიკრისის ქარის, რადგულისტის, მარილების დალექის, თიაქარის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, სხვადასხვა ორგანოს კეთილ და

ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ, აძლიერებს იმუნიტეტს, ხსნის ინტოქსიკაციას, ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის მდგრადობას. გარდა აღნიშნულისა მაკლურა ხასიათდება ყველანაირი წარმოშობის სიმსივნის მძლავრი გამწოვი უნარით. ნაყენი გამოიყენება როგორც გარეგანად (დასაზელად), ასევე შინაგანად.

**შპუქმედება:** უკუმაჩვენებელია მხოლოდ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

**მანგო – *Mangifera indica L.***  
**ოჯ. თუთუბოსებრნი - Fam. Anacardiaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული მარადმწვანე 10-25 მ-მდე სიმაღლის ხეა, ვარჯის რადიუსი 10 მ-ს აღწევს. ახლად განვითარებული ფოთლები მოყვითალო-ვარდისფერია, მაგრამ მაღე იცვლის ფერს და მუქ მწვანე შეფერილობას ღებულობს, მოყვანილობით ფართო ლანცეტა. ყვავილედებში 200-დან 4000-მდე მცირე ზომის ორსქესიანი და მამრობითი ყვავილებია შეკრებილი, თეთრიდან ვარდისფრამდე შეფერილობის, გაშლის შემდგ ხასიათდება შროშანის მსგავსი არომატით. გამონასკვა მეტად დაბალია, ერთ ყვავილედში მწიფედება მხოლოდ 1-2 ნაყოფი, რომელიც მსხვილია, კვერცხისებრი, მოგრძო-კვერცხისებრი ან სფერული; ნაყოფის მასის საშუალო წონა 200-400 გ, მაქსიმალური 1-2 კ.-ია. ქრქი გლუკია, მკვრივი, სხვადასხვა შეფერილობის: მომწვანო-

ყვითელი, გარგარის ფერის, კაშკაშა წითელი, თითქმის შავი; რბილობი ყვითელია ან ნარინჯისფერი, წვნიანი, ტკბილი, სუსტი სიმჟავის, არომატული. მანგოს ნაყოფის სუნი მოგვაგონებს ხან გარგარის, ხან ვარდის, ნესვის, ლიმონის არომატს. თესლი მსხვილია, 5-6-დან 10 სმ-დე სიგრძის, მასა -50 გ. გამოყვანილია მრავალი ჯიში, მხოლოდ ინდოეთში აღწერილია 1500-დე, ინდონეზიაში - 900. არჩევენ დესერტულ და ტექნიკურ ჯიშებს, რომლებსაც იყენებენ კონსერვების დასამზადებლად.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ინდოეთის უძველესი ტროპიკული ხეხილოვანი კულტურაა, სადაც 8000-ზე მეტი წელია რაც კულტივირებულია. თავდაპირველად მცენარე იზრდებოდა ინდოეთის შტატის ასამის საზღვრისპირა ტერიტორიაზე და მიანმას სახელმწიფოს ტენიან ტროპიკულ ტყეებში. სადღეისოდ ფართოდაა გავრცელებული დედამიწის ყველა ტროპიკულ სარტყელში: აშშ-ში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ჩინეთში, გვამტეში, აფრიკის ტროპიკებში (მაგ.: კენია, კოტ-დიუარი, იემენი, ტანზანია, დომინიკის რესპუბლიკა, კონგო, მადაგასკარი), აზიურ ქვეყნებში (ტაილანდი, ფილიპინები, ვიეტნამი, ბანგლადეში, პაკისტანი), ავსტრალიაში, კანარიის კუნძულებზე, ევროპული ქვეყნებიდან უმთავრესად ესპანეთში; მაგრამ მოსავლის დიდი ნაწილი აზიურ ქვეყნებზე მოდის. მანგოს წარმოების წამყვანი ქვეყნებია: ინდოეთი, მექსიკა, ტაილანდი და სხვ. მხოლოდ ინდოეთში 9,5 მილიონი ტონა მანგოს ნაყოფები გროვდება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ინდოეთში მანგოს ნაყოფებს სიმწიფის ყველა სტადიაში იყენებენ, ახლად გამონასკველიდან დაწყებული. სრულიად მოუმწიფებელი - სალათებისათვის იხმარება, უფრო მწიფერები - ბოსტნეულის მსგავსად გამოიყენება. მოუმწიფებელი ნაყოფიდან ამზადებენ ჰიკელებს, ყველანარ მარინადებს, საკაზმებს, სოუზებს ხორციან ერთად (კარი, ჩატნი და ა.შ.); ასალგაზრდა ფოთლებიდან მზადდება ინდური ნაციონალური კერძი “ლაბლაბა”. საკონსერვო წარმოებაში რამდენიმე თვის განმავლობაში მომწიფებული ნაყოფებიდან გამოიმუშავებენ ჯემებს, კომპოტებს, მარმალადებს,

წვენებს, რომლებსაც უმატებენ უალკოჰოლო და ალკოჰოლურ კოქტეილებს, ნაყინებს და ა.შ.

მანგოს ნაყოფები გამოირჩევა მეტ-ნაკლებად გამოხატული სკიპიდარის სუნით, თუმცა საუკეთესო კულტურულ ჯიშებში სუნი უმნიშვნელოდაა გამოხატული.

მწვანე მოუმწიფებელი ნაყოფები შეიცავს დიდი რაოდენობის სახამებელს, რომელიც სიმწიფესთან ერთად გადაიქცევა მარტივ ნახშირწყლებად (სახაროზა, გლუკოზა, მალტოზა, ქსილოზა); მნიშვნელოვანი წყაროა პექტინების, თუმცა კურკის წარმოქმნის შემდეგ მათი რაოდენობა მკვეთრად მცირდება. უმწიფები ნაყოფი მეტად მჟავეა, ორგანული მჟავების (ლიმონის, მჟაუნას, ვაშლის, ქარვის) შემცველობიდან გამომდინარე; მწვანე მანგო მდიდარია ვიტამინებით (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, D, E, ნიაცინი). მწიფე ნაყოფები ტყბილია, დიდი რაოდენობით შეიცავს A ვიტამინს, კაროტინიდებს, ამინომჟავებს, ეს ის შენაერთებია, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს და მხოლოდ საკვებიდან მიიღება, მინერალურ ნივთიერებებს: Ca, P, Fe. ქერქსა და ფოთლებში აღინიშნება ტანინები, ფოთლებში – მცენარეული ძლიერი ტრანკვილიზატორები.

ტრადიციული ხალხური მედიცინით მდიდარ ინდოეთში მანგოს მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყენებენ. კერძოდ სხვადასხვა ორგანოს კიბის ასაცილებლად, ძირითადად რეპროლუქტიული და შარდსასქესო სფეროს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, იცავს ჯანმრთელ უკრებებს დაჟანგისაგან, ვინაიდან წარმოადგენს ანტიოქსიდანტებს; თვლიან, რომ სწრაფად ხსნის ნერვულ დაძაბულობას და სტრესებს, ამაღლებს საერთო განწყობას, პარტნიორთა სექსუალურ შესაძლებლობებს.

აზიურ მედიცინაში მანგოს ნაყოფებს მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებად მიიჩნევენ. მისით კურნავენ თვით ქოლერასა და შავ ჭირს. მწიფე ნაყოფებს იყენებენ როგორც შარდმდენ და საფალარათო საშუალებას, აგრეთვე შინაგანი სისხლჩაქცევებისას. მანგოს წვენს უნიშნავენ მწვავე დერმატების დროს; თესლები ასთმის სამკურნალოდ გამოიყენება.

ევროპაში რეკომენდებულია ორი კვირის მანძილზე მანგოს

ნაჭრების ღეჭვა გულის კუნთის გასამაგრებლად. ფოთლების ნახარშს ღებულობენ დიაბეტის დროს მხედველობის გასაუმჯობესებლად და ამავდროულად დიაბეტის სამკურნალოდ. ნახარშს უნიშნავენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის გასამაგრებლად და კუჭქვეშა ჯირკვლის სამკურნალოდაც.

**უპუშქმედება:** უკუჩვენებები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: ნაყოფის ქერქი ზოგიერთი ადამიანისათვის შეიძლება აღერგენად გადაიქცეს, ამიტომ მანგოს გასუფთავება ხელთათმანებით უნდა მოხდეს. უმწიფარი ნაყოფის გადაჭარბებულმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ჭვლები, კუჭისა და სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის გაღიზიანება. მწიფე ნაყოფის დიდი რაოდენობით მიღება ოწვევს კუჭის გამაგრებას, ციებ-ცხელებას, ჭინჭრის ციებას.

### მანგუსტანი – *Garcinia mangostan* L. ოჯ. კლუზიასებრი - Fam. Clusiaceae



**მორფოლოგია:** მეტად მიმზიდველი, პირამიდული ხეა, რომლის სიმაღლე მერყეობს 6 დან 25 მ-მდე; ყვავილები ძალიან ლამაზია, მსხვილი, სქელი მოყვითალი-ვარდისფერი გვირგვინის ფურცლებითა და ჯამის მოწითალო ფოთოლაკებით, ვითარდება ახალგაზრდა ყლორტებისა და ასაკოვანი ტოტების ბოლოებზე; ყვავილობს ადრე გაზაფხულზე; ჩვეულებრივ ყვავის წელიწადში ერთხელ, თუმცა ძლიერ შშრალი ზაფხულის პერიოდის შემდეგ აღინიშნება მეორე ყვავილობა და შესაბამისად ნაყოფმსხმოიარობაც.

ნასკვის წარმოქმნა და ნაყოფის განვითარება მაღლევეა შესამჩნევი, სრულ სიმწიფეს 100 დღეში აღწევს. მოუმწიფებელი ნაყოფის ქერქი მაგარი და ბოჭკოვანია, სიმწიფისას ხდება რბილი და მეწამული ყავისფერი, შესამჩნევი ყავისფერი მოხატულობით. ნაყოფი 2-3 სმ დღამეტრისაა, ქერქის ქვეშ აღინიშნება ფორთოხლის მსგავსი, სეგმენტებად დაყოფილი რბილობი, მის შიგნით კი მჭიდროდ მიწებებული თესლები, ერთიდან ხუთამდე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ მაღაის არქიპელაგის კუნძულებს მიიჩნევენ. ბუნებრივად არ გვხვდება, ცნობილია როგორც ბუნებრივი კულტივარი; ითვლება რომ არის ორი მონათესავე სახეობის: *Garcinia alaccensis* და *G.hombroniana* -ს ბუნებრივი პიბრიდი, არომატული პლობილოიდი, რომელშიც შეხამბულია ორივე შშობლის მორფოლოგიური ნიშნები. სადღეისოდ კულტივირებულია ტროპიკული კლიმატის ქვეყნებში: ტაილანდში, ინდონეზიაში, ბირმაში, მალაიზიაში, შრი-ლანკაში, ვიეტნამში, ინდოეთის სამხრეთში, ჰავაის კონძულებზე, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ ტროპიკულ ზიღლს შორის ყველაზე ფართოდა გავრცელებული.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აღმოსავლეთში ცნობილია ზიღლის დედოფლის სახელით. ნაყოფის რბილობი კრემისფერ-თეთრია, წვნიანი, არომატული და ნაზი, საოცარი გემოთი, თითქოსდა მასში შერწყმულია ნაკრები ანანასისა და ატმის, მარწყვისა და ფურმის, ატმისა და ვაშლის, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ბევრი მას ყველაზე დახვეწილ ზიღლად მიიჩნევს. მისგან ღებულობენ სიროფსაც, ზოგჯერ ახდენენ მის კონსერვირებას, ამზადებენ ჯემს.

მანგუსტანი ნამდვილი წყაროა ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ელემენტებისა: ვიტამინების (C, E), რიბოფლავინის, თიამინის, აზოტის, კალციუმის, მაგნიუმის, თუთიის, ნატრიუმისა და კალიუმის. ამასთან, მეტად დაბალია მჟავე-ტუტოვანი ბალანსი (PH) – სულ 3,2.

მანგუსტანი ფარმაკოლოგიაშიც გამოიყენება. პრაქტიკულად ყველასათვის ცნობილია C და E ვიტამინების ანტიოქსიდანტური

თვისებები, თუმცა ნაკლებად არაან გათვითცნობირებული ქსანტონების შესაძლებლობებზე, რომელიც მეცნიერების მიერ სულ ახალი აღმოჩენილია. მათი საფუძვლიანი შესწავლით გამოვლინდა შემდეგი ფარმაკოლოგიური თვისებები: მიკრობიოლოგიური ბალანსის შენარჩუნება, იმუნური სისტემის დაცვა, ორგანიზმის საერთო შემგუებლობა გარემოსადმი, გონებრივი მოქმედების გაძლიერება. მაგრამ ყველაზე საინტერესოა, რომ არა მხოლოდ რბილობი, მთლიანად ნაყოფი ჯერჯერობით ერთადერთი წყაროა ძლიერი ფიტონუტრიცეპტიკების, რომელსაც ძალუს შესცვალოს დიეტური საკვები დანამატების მომავალი. ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზარზე გაჩნდა მანგუსტანის წვენი, რომელსაც უწოდეს “Xan Go”, რეკომენდებულია კარგი განწყობის შენარჩუნებისა და მმიმე დაავადებებისა და ოპერციების შემდგომ სწრაფი გამოვანმრთელებისათვის. მიმდინარეობს გამოკვლევები ქსანტონების დადგბითი მოქმედებისა კიბოს სამკურნალოდ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ასეული წლებია მის ნაყოფს, განსაკუთრებით ქერქს, იყენებენ სხვადასხვა დაავადების განსაკურნავად. სინგაპურიდან გამშრალი ქერქი იგზავნება ინდოეთისა და ჩინეთის აფთიაქებში დიზენტერიის საწინააღმდეგოდ. მაღამოს სახით გამოიყენება უგზებისა და კანის სხვა დაავადებებისას.

**უკუქმედება:** არ აღინიშნება.

**მანდარინი - *Citrus nobilis* Lour.**  
**ოჯ. ტევანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 2-3 მ სიმაღლის ხეა. ახალგაზრდა ყლორტები მუქი მწვანეა. ფოთლები კვერცხისებრი ან ელიფსურია, ბლაგვი, ყუნწები ზოგჯერ სუსტფრთიანია. ყვავილები მარტოულია ან 2-2 ფოთლის უბეებშია განწყობილი, გვირგვინის ფოთოლაკები მქრქალი-თეთრია, მტვრიანები უმეტეს შემთხვევაში განუვითარებელი სამტვრებებითა და მტვრით. ნაყოფი ოდნავ შებრტყელებულია, 4-6 სმ დიამეტრის, ნარინჯისფერი. ქერქი თხელია, ადვილად სცილდება რბილობს, რომელიც ძოყვითალო-ნარინჯისფერია, უთესლო.

მეციტრუსების აზრით, “შანდარინის” სახელწოდებით გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა სახეობა საკმაოდ განსხვავებული ნაყოფების ხარისხით. არსებობს სახეობები მუავნაყოფა, ტკბილნაყოფა, მსხვილ და წვრილნაყოფა, თითქმის წითელი და ნარინჯისფერი შეფერილობის, თესლიანი და უთესლო. საქართველოს სუბტროპიკებში კულტივირებულია უმთავრესად უნშიუს მანდარინი, რომლისგანაც მიღებულია საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების პირობებისადმი ძღვრადი რამდენიმე ჯიში. ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. სავარაუდოდ წარმოიქმნა ჩინეთსა და იაპონიაში. კულტურაში შეტანის დრო უცნობია. ევროპაში მოხვდა XIX ს-ში. ფართოდ გავრცელდა ხმელთაშუაზღვეთში. ყველაზე ფართოდაა

კულტივირებული იაპონიაში, ჩინეთსა და ინდოჩინეთის ქვეყნებში. მანდარინის მსოფლიო პროდუქცია 6 მილიონ ტონას აღემატება, ციტრუსოვნებს შორის ფორთოხლის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 100 წლის წინათ გაჩნდა და მაშინვე პოპულარული გახდა; ფართოდ გავრცელდა XX ს-ში, საბჭოთა პერიოდში.


**სამეცნიერობა და გამოყენება:** საქართველოს სუბტროპიკული ყველაზე ფართოდ გავრცელებული ციტრუსოვანი კულტურაა. უმთავრესად გამოიყენება ნედლი სახით, ნაკლებად წვერებისა და მურაბების დასამზადებლად. ყვავილებისაგან მიიღება ეთერზეთები საპარფუმერიო მრეწველობისათვის, ქერქს იყენებენ საკონდიტორ მრეწველობაში და ეთერზეთების მისაღებად. რბილობი ნაყოფის წონის 65 % შეადგენს, ქერქი – 35 %. რბილობი შეიცავს 6,8-7,4 მგ% შაქრებს, 0,8 მგ% ორგანულ მჟავებს, 40 მგ% ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>), ფიტოციდებს; ნაყოფის ქერქი - კაროტინს, ეთერზეთებს, სპირტებს.

ნაყოფი დიეტური პროდუქტია. ხასიათდება სურაგანდის, შეშუპებისა და ლორწოს საწინააღმდეგო მოქმედებით; ხელს უწყობს მადისა და ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას, საჭმლის მონელებას, თრგუნავს გულისრევის შეგრძნებას. მშენიერი ანტიდეპრესანტია, ხელს უწყობს ნერვული სისტემის დაშვიდებას და ორგანიზმის ტონუსის ამაღლებას; განსაკუთრებით სასარგებლოა ფეხმძიმე ქალებისათვის, თუმცა გადაჭარბებულმა მიღებამ შეიძლება ალერგიული რეაქციის პროცესირება გამოიწვიოს.

ნაყოფის ქერქი უფრო სასარგებლოა, ვიდრე რბილობი, შეიცავს უფრო მეტ ეთერზეთებს, პეტიონოვან ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებსა და ფლავონოიდებს. მისი ნაყენი გამოიყენება ფილტვების დაავადებების, ბრონქებისა და ზედა სასუნთქი გზების ანთებითი პროცესების დროს; მნიშვნელოვნად ამცირებს გულის დაავადებების, ათეროსკლეროზის განვითარების რისკს, ქოლესტერინის დალექვას სისხლძარღვების კედლებზე; მანდარინის წვენის შეზელვით ინკურნება მიკროსპორიით და ტრიქოფიტით დაავადებული კანი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადებები.

**უძუქმედება:** უკუმაჩვენებელია კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, მაღალი მჟავიანობის გასტრიტის დროს. პეპატიტით, ნეფრიტითა და ქოლეცისტიტით დაავადებულთათვის საერთოდ დაუშვებელია მისი მიღება.

**მანდრაგორა - *Mandragora officinarum* L.  
ოჯ. ძაღლფურძნასებრნი – Fam. Solanaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა, რომელი ფორმის მუქი ყავისფერი ფესვით, რომელიც მოხაზულობით ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს. ღერო 80 სმ - მდე სიმაღლისაა, ფოთლები ფესვთანურ როზეტად ვითარდება, მოგრძო ელიფსურია, ხუჭუჭა. ყვავილი მარტოულია, მსხვილი, ისფერი, შედგება ხუთნაკვთიანი ჯამის ფოთოლაკებისა და ხუთფურცლიანი ზარისებრი გვირგვინისაგან. ნაყოფი ნარინჯისფერ-ყვითელი კენკრაა, ვაშლის მსგავსი. ყვ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის სამხრეთით, ხმელთაშუაზღვეთში, განსაკუთრებით აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ დაბოლოებაზე და კუნძულ სიცილიაზე, შეა აზიაში, ჰიმალაის მთისწინებსა და ახლო აღმოსავლეთში.

**სამეცნიერო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფესვი, ნაყოფი და თესლი შეიცავს მაღალტოქსიკურ ალკალოიდებს: ატროპინს,

მანდრაგორინს (ატროპინის იზომერი), ჰიოსციამინს და სხვ., აგრეთვე მირისტინის მჟავას, ფიტოსტერინებს.

მცენარეში შემავალი ალკალოიდები იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვას, რის გამოც ხასიათდება დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი მოქმედებით. ფართოდ გამოიყენებოდა ძველ მედიცინაში, მას იყენებდა დიოსკორიდი და ავიცენა. ანტიგური პერიოდიდან XVIII საუკუნემდე ფართო დიაპაზონის სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა. არის ერთ-ერთი პირველი ანესტეზიის გამომწვევი პრეპარატი, ვინაიდან ადრეულ პერიოდებში ღვინოსთან შერეულ მანდრაგორის წვენს აძლევდნენ ოპერაციების დროს გასაუმტკივნებლად; მცირე დოზებში გამოიყენებოდა დეპრესიებისა და ფობიებისას.

თანამედროვე მედიცინაში მანდრაგორის ფესვის ექსტრაქტი და ნაყენი შედის ზოგიერთი ანტისპაზმური და ტკივილგამაყუჩებელი წამლების შემადგენლობაში. მას ღებულობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის დარღვევის, სხვადასხვა გენეზისის ტკივილების (სახსრების, კუნთების და ა.შ.), ვიტილიგოსა და კანის სხვა პათოლოგიების დროს.

ნედლი დაქუცმაცებული მცენარე ცხელი საფენების სახით იხმარება გამაგრებული ჯირკვლების, სიმსივნეების, შეშუპების დროს; მალამოების სახით - როგორც გარეგანი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რევმატიზმისა და ნიკრისის ქარებისას.

მცენარე უძველესი დროიდან მაგისა და ჯადოქრების ატრიბუტს წარმოადგენდა, გარშემოხვეული იყო მისტიკითა და ლეგნდებით. ითვლებოდა, რომ ამოთხრისას ის გამოსცემს კივილის მსგავს ხმას, რომელსაც ძალუძს ადამიანის ჭუკიდან შერყევა. არსებობდა მისტიკური წეს-ჩვეულება, რათა დაეცვათ ფესვების თხრის პროცესი. შესაბამის მას მიანიჭეს სახელი “ჯადოქრის ყვავილი”, ვის სახლშიც მის ფესვს აღმოაჩენდნენ ის საცოდავი ადამიანი ინკვიტიციის მსხვერპლი ხდებოდა. საერთოდ ყველაფერი რაც მაგისა და ჯადოქრობასთანაა დაკავშირებული ამ მცენარის გარეშე არ განიხილებოდა.

**შექმედება:** ძლიერ შხამიანია; უკონტროლო გამოყენებამ

შეიძლება გამოიწვიოს მანიოკობის დაკარგვა, ტვინის ფუნქციის დარღვევა, ჰალუცინაციები, კომატოზური მდგომარეობა, სუნთქვის შეჩერება და სიკვდილი.

**მანიოკი, ტაბიოკა – *Manihot esculenta* Cranz.  
ოჯ. რძიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ერთსახლიანი სწრაფმოზარდი 3 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ბუჩქა, ტუბერისებრ გასქელებული, გვერდითი ფესვებით, რომლებიც ვეგეტაციის პერიოდში 5 მ-მდე სიგრძეს აღწევს და 15-მდე კგ იწონის. ფოთლები მორიგეობითია, ღრმად 5 ნაწილად დანაკვთული. პოლიგამური ყვავილები წვრილია, შეკრებილია 20 სმ-მდე სიგრძის საგველა ყვავილებად. ნაყოფი სამშუდიანი კოლოფია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ ითვლება ბრაზილიის აღმოსავლეთ ნაწილი (ამაზონის აუზის ტენიანი ტროპიკები). სადღეისოდ ბუნებაში არ გვხვდება. XV ს-ში პორტუგალიელებმა ძველ სამყაროში ჩამოიტანეს, საიდანაც გავრცელდა ეკვატორულ აფრიკაში, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მცენარე კულტივირებულია ამერიკაში, ტროპიკულ აზიაში, აფრიკაში, მათ შორის მადგასკარსა და ინდონეზიაში, ითვლება მეტად მნიშვნელოვან საკვებ მცენარედ.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტუბერისებრ

გასქელებული ფესვების შემცველი სახამებული მაღალი კვებითი მნიშვნელობით გამოირჩევა; მისგან ღებულობებ ფქვილს; მეტად ფასეულად მიიჩნევა აგრეთვე საგოს ანალოგიური პროდუქტი – ტაპიოკა. სახამებლიდან ამზადებენ სპირტს, აცეტონსა და გლუკოზას. აღსანიშნავია, რომ მანიოკი უზრუნველყოფს აფრიკაში კალორიების მიხედვით გამოყენებული სურსათის 37% შეადგნს, ხოლო მოსავლიანობით შაქრის ლერწმის შემდეგ მეორე ადგილი უკავია.

მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს რძეწვენს – ლატექსს. ფესვებში აღინიშნება: ნახშირწყლები, ცილები, ვიტამინები: ნიაცინი, პირიდოვსინი, რიბოფლავინი, თამინი, A, C, E, K; მინერალები: Na, K, Ca, Fe, Mg, P, Zn.

მანიოკი ხელს უწყობს გულის შეკუმშვისა და არტერიული წნევის რეგულირებას. ადგილობრივი მოსახლეობა მას სხვადასხვა დაავადებებისას იყენებს: ფოთლებს -სისხლის შესაჩერებლად, ხოლო სახამებულს რომთან ნარცეში პრობლემური კანის (განსაკუთრებით ბავშვების) სამკურნალოდ იყენებენ; ფესურას ნახარშს ხმარობენ ციებ-ცხელების, გაციების, ქალების უნაყოფობის, კუნთების ტკივილებისას.

არსებობს მანიოკის თანამედროვე გენური თერაპიის გამოკვლევები, რომელიც ტარდება კიბოს ზოგიერთი სახის სამკურნალოდ, ცდები ცხოველებზე წარმატებითაა დამთავრებული; აღსანიშნავია, რომ ხალხურ მედიცინაში ფოთლებსა და ფესვებს სიმსივნის მოსამორებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ.

**უკუქმედება:** სიფრთხილე მართებთ ლატექსისადმი ალერგიულად განწყობილ ადამიანებს.

**მარანტა – Maranta arundinaceae L.  
ოჯ. მარანტისებრნი – Fam. Marantaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 3 მ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფესვთა სისტემა შედგება ტუბერისებრი ფესვებისაგან. ღეროები გართხმულია ან სწორმდგომი; ღეროსეული ფოთლები ორმწკრიგადაა განლაგებული, ფესვთანური კი როზეტისეულია, ფორმით მოგრძო-ლილიფსური, ხაზურ-ლანცეტია ან მომრგვალო-ოვალური ფორმისაა; ფოთლისეული ფირფიტა სხვადასხვაფერია, ბაცი მწვანედან დაწყებული მუქ მწვანემდე, ხშირად შავის მაგვარი. საინტერესოა ამ მცენარის ფოთლების განწყობა, რაც ამინდთან დამოკიდებულებით იცვლება, ჩვეულებრივ მდგომარეობაში ისინი ჰორიზონტალურადაა განწყობილი, საკმარისია მზის სხივების ნაკლებობა იგრძნოს ფოთლებს მაღლა სწევს და მლოცვლის ხელისხულივით განაწყობს, რის გამოც “მლოცველ ბალახს” და “ლოცვის ხეს” უწოდებენ. წვრილი ყვავილები თეთრია, სამწევრიანი, შეკრებილია თავთავისებრ ყვავილედად, განწყობილია ტოტების წვეროებზე. ნაყოფი ერთთესლიანი კოლოფია.

**ისტორია და ძულტურის გავრცელება:** ბუნებრივად ტროპიკულ ამერიკაშია გავრცელებული.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მარანტა, როგორც წესი, მხოლოდ ნედლი სახით გამოიყენება. მის შემადგენლობაშია სახამძელი და ცელულოზა. ხასიათდება საერთო გამაძლიერებელი მოქმედებით. გამოიყენება გაციების, დიაბეტის, მოყინვების,

თორმბოზის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დავადებების დროს; ხელს უწყობს ტემპერატურის მკვეთრი რყევადობის ადვილად გადატანას. ზოგჯერ პელიატრიაში იხმარება დიეტური პროდუქტის სახით.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული გადაჭარბებული მიღება.

**მარჯნის ხე – *Erythrina corallodendron* L.  
ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** 5 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ექლიანი, გვალვაგამძლე და სწრაფმოზარდი ხეა თეთრი მერქნით. ფოთლები სამნაკვთიანია; ყვავილები 5 სმ-მდე სიგრძისაა, ფარგანასებრი ტიპის, მოწითალო-ვარდისფერი, ხშირ, მტევნისებრ ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი - პარკია, მარჯნის მსგავსი კაშგაშა წითელი თესლებით, ზურგის მხარეს სიგრძივი ზოლით და თეთრი ნაჭილებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო კარიბის კუნძულებია; გავრცელებულია ტროპიკულ ამერიკაში. კულტივირებულია თბილ ქედებში, როგორც დეკორატიული მცენარე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** თესლი შსამიანია. შეიცავს ძლიერ ალკალიოდებს: ქრიორომიდინს (მოტორული ნერვული ცენტრების პარალიზური შსამი), ერიოროზენს (იწვევს

პირღებინებას), კორალინსა და ერითრინის მჟავას, მათგან მიღებული ექსტრაქტი ცვლის კურარეს. აღნიშნულის გარდა შეიცავს 13,5% ცხიმებს, 0,32% ეთერში ხსნად ფისებს, 13,47% სპირტში ხსნად ფისებს, 1,61% ალკალოიდ ერითროკოკალოიდინს, 0,83% ფისებს, 1,55% შაქრებს, 0,42% ორგანულ მჟავებს, 15,87% სახამებელს, 7,15% წყალს, 39,15% არაორგანულ ნივთიერებებს.

აბორიგენი მოსახლეობის მიერ ბრაზილიაში გამოიყენება კრუნჩხევების საწინააღმდეგოლ.; ყვავილებს კი საკვებად იყენებენ. ვენესუელაში ხმარობენ საჩრდილობლების შესაქმნელად კაკაოსა და ყავის ხის პლანტაციებში; ბენგალიაშიც ამავე მიზნით გამოიყენება *Schumanniathus dichotoma* – ს ნარგაობებში. **უძუქმედება:** კონკრენტრირებული სახით თესლების მიღება იწვევს დამბლას და სიკვდილს.

### **მაჰონია – *Mahonia aquifolium* (Pursh) Nutt.**

**ოჯ. კოწაზურისებრნი – Fam. Berberidaceae**



**მორფოლოგია:** 1 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია, წარმოქმნის რაყებს ფესვისეული ამონაყრების გაბარდვის გზით. ახალგაზრდა ყლორტების ქერქი მოვარდისფრო-ნაცრისფერია, ასაკოვნებში - მურა-ნაცრისფერი, სიგრძივი ზოლებით. ფოთლები კენტურთართულია, 5-9 ფოთოლაკით, 15-20 სმ სიგრძის, მოწითალო ყუნწით; ფოთოლაკები ტყავისებრია, პრიალა,

დაძარლული, ქვედა მხრიდან – მქრქალი, ბაცი მწვანე, კიდეებზე ამოკვეთილ-მახვილ ხერხებილა, 3-9 სმ სიგრძისა და 1,5-2,5 სმ სიგანის, თანაფოთოლაკები ჯაგრისისებრია 2-5 მმ სიგრძის. ყვავილები ბაცი ყვითელია, კაშკაშა, იშვიათად ლიმონისფერი ელფერით, შეკრებილია მრავალყუვავილიან საგველა ან მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მოგრძო-ელიფსურია, 10 მმ სიგრძისა და 8 მმ სიგანის, მოლურჯო-მოშავო, უხვი ნაცრისფერი ნაფიფქით, 2-8 თესლითა და მომჟავო-მოტქბო გემოთი. თესლი მოგრძოა, 4,5 მმ სიგრძის, 2,3 მმ სიგანისა და 1,5 მმ სისქის, წაბლისფერი, პრიალა. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სახეობის არეალი მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ შტატებს ბრიტანეთის კოლუმბიდან კალიფორნიამდე. ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ ევროპაში დეკორატიული ბუჩქების სახით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მომჟავო-მოტქბო ნაყოფები იხმარება საკონდიტრო წარმოებასა და ღვინის შესაღებად.

მაპონის ქერქიდან მიღებული ნატურალური აქტიური ნივთიერებები გამოიყენება პომეოპათიაში მშრალი, ქერქლოვანი კანის დაავადებებისას, კერძოდ ფსორიაზის საწინააღმდეგოდ.

ფესვების ექსტრაქტი შეიცავს იზოქინოლინურ ალკალოიდებს: ბერბერინს, ბერბალინს, პიდრასტინს და აპორფინის - ტიპის ალკალოიდებს, ორგანულ და ასკორბინის მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს.

კალიფორნიის მკვიდრი მოსახლეობა ისტორიულად ფესვების მწარე მიქსტურას იყენებს მაღის გასაუმჯობესებლად, საერთო სისუსტის დროს გამწმენდ საშუალებად.

აშშ-ში ფარმაცევტული სტანდარტებით დამზადებული წამლების (ნეიჩელაქსი, ურო ლაქსი) შემადგენლობაში შედის მაპონია.

გერმანიაში ჩატარებული კლინიკური გამოკვლევებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მაპონიის მომქმედი ნივთიერება - ალკალოიდი ბერბერინი, რომელიც ხასიათდება მაღალი უფექტურობით შაქრიანი დიაბეტის 2 ტიპით მკურნალობისას; მეცნიერთა გამოკვლევებით ბერბერინის ორალური

გზით მიღებამ გამოიწვია შაქრის დონის დაწევა, შეამცირა სისხლში ცირკულირებული ცხიმების რაოდენობა, გაზარდა ინსულინის აქტივობა და საბოლოოდ შეამცირა საკვლევი ცხოველების წონა.

მაპონიის ექსტრაქტი ხელს უწყობს ასაკოვან ადამიანებში დაავადებების დაძლევას, ანეიტრალურს თავისუფალი რადიკალური მოქმედებას, ეწინააღმდეგება დამანგრეველ ქმედებას მიოკარდიის კედლებზე, ააქტიურებს იმუნურ სისტემას, იცავს ფილტვებსა და შემაერთებელ ქსოვილებს; გამოიყენება როგორც ნაღველმდენი საშუალება ჰეპატიტის, ჰეპატოქოლეცისტიტის, შეშუპების, ნიკრისის ქარების დროს; ხასიათდება ანტიოქსიდანტური მოქმედებით, აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას და ამყარებს კაპილარების კედლებს და მოქმედებს 15-ჯერ უფრო აქტიურად E ვიტამინთან შედარებით; გამოიყენება გასტრიტებისა და საკვებმოწნელებელი ტრაქტის საერთო დაავადებებისას, ასტრიმულირებს ნაღვლის ბუშტის უზუქციას, აქვეითებს ყაბზობის შესაძლებლობებს.

კლინიკური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მაპონიის ფოთლები ხასიათდება მძლავრი ანტიბაქტერიული და რაც მთავარია ანტიპარაზიტული მოქმედებით.

მაპონიის საფუძველზე დამზადებული პრეპარატები ამჟამად გამოიყენება მთელი რიგი დაავადებების სამკურნალოდ, კერძოდ: ეგზემის, ფსორიაზის, ფერიმჭამელების, გამონაფრების, ჰერპესისა და A.შ. მისი შემცველი ალკალინიდები ამუხრუჭებს კანის გარკვეული უჯრედების დაყოფას და ზრდას, ამცირებს ანთებით პროცესებს, ეწინააღმდეგება უჯრედების დაზიანებას თავისუფალი რადიკალებით.

**უპექმედება:** დაუდგენელია.

**მზესუმზირა – *Helianthus annuus* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანნი – Fam. Compositae (Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი 60-200 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, უხეში, დაფარულია ხეშეში ბეწვით, უმთავრესად დაუტოტავია. ფოთოლი გრძელყუნწანია, მსხვილი, ოვალურ-კვერცხისებრი, შებუსული, ხერხებილა კიდეებით. კალათა 6-40 სმ დამეტრისაა. განაპირა ყვავილები ენისებრია, ნარინჯისფერ-ყვითელი, ჩვეულებრივ უნაყოფო, შეა ყვავილები მრავალრიცხოვანია (500-2000), ორსქესიანი. თესლურა 8-25 მმ დიამეტრისაა, ტყავისებრი ნაყოფსაფარით, თეთრი, მურა, შავი, ისფერი ან ზოლისებრი. ყვ. VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხდება. კულტურა წარმოიქმნა ცენტრალურ ამერიკაში, სადაც გავრცელებულია მზესუმზირას ველურად მოზარდი რამდენიმე ათეული სახეობა, თუმცა არც ერთი მათგანი არ სახელდება უშეალოდ კულტურული მზესუმზირის წინაპრად. ნიუ-მექენიკისა და არიზონის შტატების ტერიტორიაზე, დაახლოებით 3000 წლით ადრე ახალ ერამდე მოჰყვდათ კულტურული მზესუმზირა, რომელიც სადღეისოდ მთელ შსოფლიოშია კულტივირებული. ძეგლ კონტინენტზე პირველად იქნა გამრავლებული მადრიდის ბოტანიკურ ბაღში, 1510 წელს ამერიკიდან ჩამოტანილი თესლიდან; შემდეგ გავრცელდა ევროპაში, უმთავრესად დეკორატიული თვალსაზრისით. რესერტში XVII საუკუნიდანაა

ცნობილი; დიდხანს რჩებოდა დეკორატიულ და “საკნატუნი” ბოსტნეულ მცნარედ. 1779 წელს რუსეთის “აკადემიურ გამოცემაში” დაიბეჭდა შეტყობინება მზესუმზირას თესლებიდან ზეთის გამოხდის შესაძლებლობაზე. მისი, როგორც ზეთოვანი კულტურის მოშენება დაკავშირებულია რუსეთის მოქალაქესთან (დ.ბოკარევი) ვორონეჟის გუბერნიიდან, რომელმაც 1829 წელს ხელის ზეთის სადღვებელიდან მიიღო მზესუმზირას ზეთი. ძალიან მაღე მზესუმზირას ნათესები ფართოდ გავრცელდა, დაიწყო სელექცია ზეთოვანი ჯიშების მისაღებად. რუსეთიდან მისი კულტურა საქართველოშიც ინაცვლებს, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც სადღეისოდ ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სამრეწველო კულტურას წარმოადგენს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** თესლები გამოიყენება უშუალოდ საკვებად, ასევე მარგარინის, კულინარული ცხიმების მისაღებად, საკონსერვო წარმოებაში, საპნისა და ოლიფას დასამზადებლად. კოპტონი - მნიშვნელოვანი კონცენტრირებული საკვებია რქოსანი საქონლისთვის, მიწისზედა მწვანე ყლორტები გამოიყენება სასილოსედ შინაური ცხოველებისათვის, რომელიც კვებითი უნარით არ ჩამოუვარდება სიმინდისას.

მზესუმზირა ჯვარედინდამამტვერანებელი მცნარეა, ყვავილები გამოყოფენ ბევრ ნექტარს, რის გამოც ფუტკრების საყვარელ საკვებს წარმოადგენს. მზესუმზირას თაფლი გამჭვირვალეა, სასიამოვნო ფერის, ჩინებული გემოთი და არომატით, რომელსაც ხშირად სამკურნალო დანიშნულებით იყენებენ. დადგენილია, რომ მზესუმზირას კულტურა სასიათდება მანქანების გამონაბოლქვის შთანთქმის უნარით.

თესლურა შეიცავს 29-59 მგ% ზეთებს, ცხიმოვან მჟავებს, დიდი რაოდენობის ვიტამინებს (E, PP), ფოსფოლიპიდებს, ლეციტინს, მცნარეულ ცვილებს.

ფოთლებში აღინიშნება კაროტინი, კაუჩუკი, ფისოვანი ნივთიერებები, ფლავონოიდები. ყვავილები შეიცავს ფლავონურ გლიკოზიდებს, ანთოციანებს, ქოლინს, ბეტაინს, მწარე ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს და სხვ.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება მზესუმზირას ზეთი, კალათის განაპირა ენისებრი ყვავილები და ნორჩი ფოთლები.

მზესუმზირას პრეპარატები იწვევს შინაგანი ორგანოების გლუკი მუსკულატურის დასუსტებას, სხეულის ტემპერატურის დაწევას, მაღის გაძლიერებას. ზეთი გამოიყენება როგორც ნალველმდენი საშუალება ნაწლავების ანთებითი პროცესებისა და ნალველკენჭოვანი დაავადებებისას, აგრეთვე ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის. იზმარება ცხვირ-ხახის დაავადებებისას საინგალაციოდ; შედის სხვადასხვა პლასტირების შემადგენლობაში. კოსმეტოლოგიაში ზეთით მკურნალობენ სახის, ხელების, ყელის კანის სიმშრალეს.

**უკუქმედება:** განსაკუთრებული უკუქმენებები არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით, რომ ზეთის ხშირმა გამოყენებამ შეიძლება წარმოქმნას ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებები.

**მირტი – *Myrtus communis* L.  
ოჯ. მირტისებრნი - Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** სურნელოვანი მარადმწვანე ბუჩქია ან ხე. ფოთლები წვრილია, კვერცხისებრი, ტყავისებრი, მუქი მწვანე, პრიალა. ყვავილები თეთრია ან ვარდისფერი, არომატული, მრავალრიცხოვან ყვავილედებად შეკრებილი, ნაყოფი მუქი ლურჯი, სფერული კენკრაა.

**ისტორია და პულტურის გაფრცელება:** სამხრეთის სუბტროპიკული მცენარეა; იზრდება სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფრიად დეკორატიულია. სამკურნალო მიზნებისათვის ფოთლები გამოიყენება. მასში შემავალი ქიმიური ნივთიერებებიდან, უძთავრესია ეკვალიპტოლი და მირტენოლი.

მირტის პრეპარატების მოქმედების სპექტრი ფართოა. ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის აღვზნებადობას, ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას; გამოიყენება გრიპის, როგორც მისი პროფილაქტიკის, ასევე შემდგომი გართულებების სამკურნალოდ; მირტის ნაყენებით მკურნალობენ ბრონქიტს, ასთმას, ტუბერკულოზს, დიფტერიას, ჰაიმორიტს, გულის, სისხლის, ყელის, ძვლის, ტვინის დაავადებებს, მათ შორის ეპილეპსიას; წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავისა და მუცლის ღრუს ორგანოების, თვალის დაავადებებისას, ამასთან დადგებითი შედეგები სწრაფად მიღება. რეკომენდებულია სხვადასხვა წარმოშობის ალერგიული დაავადებების სამკურნალოდ, ამ მხრივ მიღებულია დამაკმაყოფლებელი შედეგები, თვით ქრონიკული ავადმყოფების მიმართ.

მირტი ბიოლოგიურად აქტიურია; შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც მრავალჯერადი განზავების შემდეგაც მომაკვდინებლად მოქმედებს ტკივილგამომწვევი მიკრობების, ბაქტერიების, ჩხირების მიმართ; ამასთან ბევრად ეფექტურია სტრეპტომიცინზე, აერომიცინსა და სხვა მრავალ ანტიბიოტიკზე. სადღეისოდ წარმოიქმნა ტუბერკულოზის ნაირსახება, რომელიც არ ინკუნება ანტიბიოტიკებით, მირტს კი შესწევს უნარი თვით მცირე დოზითაც კი დაამარცხოს ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირები.

ძველი წყაროების თანახმად ცნობილია, რომ მირტი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც თრგუნავს სიმსივნის განვითარებას; კარგად მოქმედებს თირკმელებზე, გულზე, ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, როგორც სიმსივნისა და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. აღსანიშნავია, რომ კარგად გადაიტანება იმ

ავადმყოფების მიერ, რომლებიც ვერ იტანენ მცენარეული წარმოშობის ვერც ერთ პრეპარატს.

მას აგრეთვე იყენებენ სანელებლად, სუნამოების კომპონენტად.

**ჟაჟქმედება:** არ არის რეკომენდებული ფეხმძიმე ქალებისა და ასაკოვანი ადამიანებისათვის.

**მიხაკის ხე - *Syzygium aromaticum* (L.) Merrii et Perry  
(=*Caryophyllus aromaticus* L.)  
ოჯ. მირტასებრნი - Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული მარადმწვანე 10 მ-მდე სიმაღლის ხეა, ლამაზი პირამიდული ვარჯით. ფოთლები მოპირისპირეა, ფართო ლანცეტა, კიდემთლიანი, მუქი მწვანე, ტყავისებრი და პრიალა, რომლებზეც მიმოფანტულია ნათელი ეთერზეთოვანი წერტილები. ყვავილები წვეროსეულია, შეკრებილია რთულ ნახევარქოლებებად. ყვავილი არომატულია, შედგება კაშკაშა წითელი ცილინდრული ყვავილსაჯდომისაგან (პიპანტია), 4 წვერილი წითელი ფერის ჯამის ფოთოლაკისა და 4-ფურცლიანი ბაცი ვარდისფერი გვირგვინის ფურცლისაგან, მტგრიანა მრავალია. ნაყოფი ცრუ კენკრაა, მუქი მურა ფერის, ოვალური ფორმის, სასიამოვნო სუნისა და გემოსი, შეიცავს ერთ თესლს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო მოლუქებისა და ფილიპინების კუნძულებია. კულტივირებულია მაღაზიაში, აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროებზე, ინდოეთში, ჩინეთში,

ინდონეზიში, იამაიკაზე, ბრაზილიაში. მსოფლიო ბაზარზე კი ნეედლუულის 90% ზანზიბარიდან მიღება.

როგორც სანელებელი და სამურნალო საშუალება მიხაკის ხე უძველესი დროიდანაა ცნობილი და ფართოდ იხმარებოდა ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთში, ეგვიპტესა და ჩინეთში, შეპქონდათ ძველ რომშიც. ჩინეთში, ეტიკეტის თანახმად იმპერატორთან სიტყვის თქმა შეიძლებოდა წინასწარ მიხაკის დაღვეჭვის შემდეგ. პირველად მცენარე დაწვრილებით აღწერა მაგელანის თანამგზავრმა იტალიელმა რიგაფეტმა 1521 წ, დღდამიწის ირგვლივ მოგზაურობისას. შემდგომ პერიოდში, პორტუგალიელებმა დაიძყრეს რა მოლუქის კუნძულები, მცენარეზე მონოპოლიის მიზნით, გამრავლების ნებას მხოლოდ თავის კუნძულებზე რთავდნენ, სხვაგან კი ბარბაროსულად აჩანაგებდნენ. პორტუგალიელი კოლონიზატორები პოლადიელებმა შეცვალეს, ისინც იგივე პოლიტიკას ანხორციელებდნენ, მზოლოდ XVIII ს-ში მოახერხეს ფრანგებმა ერთი გემით მიხაკის ხის ნერგების გატანა, რომლის კულტივირებაც დაიწყეს აფრიკის სხვადასხვა ქვეწებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ყველასათვის ნაცნობი სანელებელია, რომელიც მყარად დამკვიდრდა ჩვენს საშარეულოში. სანელებელი მიხაკი ეს არის მიხაკის ხის გაუშლელი ყვავილები – კორები, რომლებსაც თავისებური ჰატარა ლურსმნის ფორმა აქვს, სხვადასხვა ევროპული ენებიდან ითარგმნება როგორც “ГВОЗДИКА”- “ლურსმანი”. აგროვებენ ყვავილის გაშლამდე 2-3 დღით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში სურნელების ხარისხი მკვეთრად კლებულობს. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს სურნელოვან ეთერზეთებს, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ნატურალურ გამაუმტკივნებელ, ანტისეპტიკურ, ანტიბიაქტერიულ, ანტივირუსულ, ანტიბიოტიკურ და სპაზმოლიტურ საშუალებას.

არომათერაპიაში მიხაკის ეთრზეთების არომატი ადამიანის ორგანიზმზე სამი მიმართულებით მოქმედებს: ემოციურ, მენტალურ და ფიზიკურ დონეზე. ხელს უწყობს ძალების აღდგენას მმიმე გონებრივი და ფიზიკური შრომის შემდეგ, არის მატონიზირებელი,

აძლიერებს ტვინის მოქმედებას და ამასთან ერთად აძლიერებს ნერვულ სისტემას.

ხალხური მკურნალების რეკომენდაციით იხმარება ბრონქიტის დროს სუნთქვის გასაუმჯობესებლად, ხელს უწყობს სისხლისმიმოქცევას, ამავრებს ღვიძლს, აუმჯობესებს კუჭის მოქმედებას, შველის კბილის ტკივილს, დაღლილ თვალებს.

კოსმეტოლოგიაში მიხაკის ზეთი გამოიყენება ნიღბების, მალამოების დასამზადებლად, აბაზანებისათვის და სხვ.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული 2 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მაღალი არტერიულრი წნევით დაავადებულთათვის.

### მიწავაშლა - *Helianthus tuberosus* L.

ოჯ. როულფვავილოვანი (ასტრასებრნი) –

Fam. Compositae (Asteraceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 2,5 მ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღეროს მიწისქვეშა ნაწილებზე ვითარდება მრავალრიცხოვანი სტოლონები, რომელთა ბოლოებზე წარმოიქმნება ტუბერები - წაგრძელებული, მომრგვალო, მსხლისებრი, თეთრი, ვარდისფერი ან ლილისფერი, ამობურცული კვირტებით (თვალები). ღერო დატოტვილია, უხვადშეფილობილი, ხეშეშებეჭვიანი. ფოთლები მოპირისპირედ და რგოლურადაა განწყობილი, ყუნწიანია, მოკრძო კვერცხისებრი ან მოკრძო-

წაწვეტებული. კალათა 2-4 სმ დიამეტრისაა; საბურველის ფოთოლაკები მრავალრიცხოვანია, ბალახოვანი. განაპირა ენისებრი ყვავილები 3-4 სმ სიგრძისაა, ყვითელი; შუა ყვავილები მიღისებრია, თესლურა მზესუმზირას თესლურის მსგავსია, მაგრამ უფრო წვრილია (4-6 მმ სიგრძის), ნაცრისფერი. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად ჩრდილოეთ ამერიკაში იზრდება. კულტურაში ინდიელების მიერაა დანერგილი, ევროპაში 1612 წელს იქნა გადმოტანილი, საიდანაც კავკასიაში მოხვდა XVIII ს-ში, აქედან კი რუსეთში გავრცელდა. სადღეისოდ შედარებით ფართოდ მოჰყავთ საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში, ინგლისში, აშშ-ში, ბალტისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსში, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ტუბერების მოსავლიანობა 150 ც/ჰა შეადგენს, მწვანე მასის - 700-900 ც/ჰა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** საკვები კულტურაა. ტუბერები შეიცავს 70 მგ%-მდე ინულინს, 2,5-3,5 მგ% ფრუქტოზას, 2 მგ%-მდე პროტეინს, ვიტამინებს (B, C E), ასევე მდიდარია მინერალური მარილების (K, P, Mg, Na, Mn, Fe, Cr, Zn, Ca) შემცველობით. ტუბერიდან მიიღება გლუკოზა, ფრუქტოზა და ინულინი, რომლებიც სამედიცინო დანიშნულებისაა. სამკურნალო მიზნებისათვის გამოიყენება ტუბერი, ფოთლები, ღეროები.

ტუბერი რეკომენდებულია მთელი რიგი დავადებების: კუჭის წყლის, გულძმარვის, ათეროსკლეროზისა და რადიკულიტის სამკურნალოდ და პროფილიქტიკისათვის. ბოლო სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საკვაბად რამდენიმე თვის მანძილზე ტუბერის რეგულარული გამოყენება ახდენს სისხლში შაქრის დონის ნორმალიზებას, რის გამოც მისგან დამზადებული ზეთიანი სალათები რეკომენდებულია არა მარტო დიაბეტით დაავადებულებისათვის, არამედ ამ ავადმყოფობის რისკის ჯგუფში მყოფთათვისაც. იწვევს არტერიული წნევის დაქვეთებას და სისხლში ჰემოგლობინის შემცველობის ნორმალიზებას. წვენი ბრწყინვალედ კურნავს გულძმარვას და თავის ტკივილებს.


კოსმეტოლოგიაში ითვლება საუკეთესო გამაახალგაზრდავებელ საშუალებად, ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას, კანის ფერის გაუმჯობესებას.

ფოთლებისა და ღეროების ნახარში შველის სახსრებში მარილების დალექვას და რადიკულიტს.

**სიფრთხილის ღონისძიებები:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა; დიდი რაოდენობით მიღება არ არის რეკომენდებული მეტეორიზმით დაავადებულთათვის, ვინაიდან ხელს უწყობს ნაწლავებში გაზების დაგროვებას.

### მონსტერა – *Monstera deliciosa* Liebm.

ოჯ. ნიუკასებრნი - Fam. Araceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი სწრაფმოზარდი ბალახოვანი გიგანტური ლიანაა, შესწევს 9 მ-მდე სიმაღლის ხეზე აღწევის უნარი. ღერო ცილინდრულია, 6,2-7,5 სმ სისქის, უხეში ნაჟღვევებით და ერთმანეთში გადახლართული გრძელი, ხეშეში საჰაერო ფესვებით. ინვითარებს ვეგებერთულა ტყავისებრ, ღრმად განკვეთილ 90 სმ-მდე სიგრძის ფოთლისეულ ფირფიტებს სწორი გრძელი ყენწებითა და მრავალრიცხოვან, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ღიობებს, რომელიც მნახველის დიდ ინტერესს იწვევს. ნაყოფი კენკრაა, 20-30 სმ სიგრძისა და 5-8,5 სმ სიგანის, სქელი ქერქითა და წვნიანი არომატული რბილობით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ამერიკის

ეკვატორული სარტყლის ტენიან ტროპიკულ ტყეებში; სამხრეთით მისი არეალი მოიცავს ბრაზილიის თითქმის მთელ ტერიტორიას, ხოლო ჩრდილოეთით – ნახევარგუნძულ იუკატანს და მექსიკის ტერიტორიის დიდ ნაწილს. XIX ს-ში შეტანილ იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და წარმატებით იქნა ინტროდუცირებული.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ეფექტური გარეგნობიდან გამომდინარე ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საოთახო და საორანჟერეო კულტურაა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია დახურული გრუნტის მეყვავილეობაში და წარმოადგენს ნებისმიერი ინტერიერის დამამშვნებელ ობიექტს.

საოცრად დადებითი და ადამიანებისადმი კეთილმყოფელი მცენარეა; აუმჯობესებს შენობის მიკროკლიმატს, ამდიდრებს მას უანგბადით, ოზონით, აერონინებით, ატენიანებს ჰაერს, შთანთქავს ფორმალდეკიდებს – უფერო გაზს, რომელსაც შეიცავს დეესპე, უფნოფლასტები და ა.შ. სასიკეთოდ მოქმედებს ნერვული სისტემის მორღვეულ ადამიანებზე, ხსნის თავის ტკივილებს და იწვევს გულის რიტმის სტაბილირებას, შველის სეზონურ პოლინეზიას (ალერგიული სურდო). მიიჩნევენ, რომ კარგია მისი იქ ყოფნა, სადაც უწესრიგობა სუფეს, შთანთქავს ნეგატიურ ენერგიას, ხელს უშლის ენერგეტიკული ნაკადების ქაოტურ აღრევას; შველის იყოთ უფრო ლირალური გადაწყვეტილების მიღებისა; ეხმარება ადამიანებს კომპრომისების მიებაში, რაც მეტად სასარგებლობა კერპი, სწრაფი გადაწყვეტილებებისა და მოქმედების მიმღები პირთათვეს.

მას მიიჩნევენ ჯანმრთელობის, წარმატების, შეძლებისა და ბენდინერების მომტან მცენარედ. ასე მაგ: ტაილანდასა და ლაოსში, თუ სახლში მძიმე ავადმყოფია, შექვეთ მონსტროს ქოთანი, მას რგავენ სახლების წინ ავი ენერგიისაგან დასაცავად. ერთ-ერთი სფერო მისი მოქმედების სამკურნალო ეფექტისა საკვებმომნედებელი სისტემა, აკონტროლებს მასში მიმდინარე პროცესებს, ხელს უწყობს საკვების მონელებას; მისი ადგილი სამზარეულოსა და სასაღილო ოთახშია.

მონსტრების ნაყოფები საკვებად გამოიყენება, არომატითა და გემოვნებით ანანასისა და ბანანის მსგავსია.

მექსიკაში ფოთლებსა და ფესვებს იყენებენ ართრიტებისა და რიგი სხვა დაავადებებისას.

**უკუქმედება:** მოუმწიფებელი ნაყოფის მიღება იწვევს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიდამწვრეს.

### მორინდა ან ნონი – *Morinda citrifolia L.*

ოჯ. ენდროსებრნი - Fam. Rubiaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 7 მ-მდე სიმაღლის ხეა, 20 მ-მდე სიღრმის ფესვებით. ფოთლები მუქი მწვანეა, პრიალა, ღრმად დაძარღვული. ყვავილები წვრილია, თეთრი. ნაყოფი ოვალურია, კარტოფილის მსგავსი, 4-7 სმ სიგრძის; მოუმწიფებელი ნაყოფები მწვანეა, მოწიფებისას – თეთრი ან ბაცი ყვითელი, თითქმის გამჭვირვალე კანით. შეიცავს მრავალ წვრილ თესლს. ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს მთელი წლის განმავლობაში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ აზია. კულტივირებულია წყნარი ოკეანის სამხრეთ რეგიონებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი საჭმელად ვარგისა, თუმცა გამოირჩევა უსიამოვნო მომწარო გემოთი და მკვეთრი სუნით (ძყრალი, დაობებული ყველის მსგავსი). მიუხდავად ამისა წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულზე (ფიჯი, სამოა, რაროტონგა) ძირითად საკვებ პროდუქტს წარმოადგენს.

სამკურნალო თვისებები ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მცენარისა უძველესი დროიდან იყო ცნობილი პოლინეზიის, ჩინეთის და სხვა ტროპიკული და სუბტროპიკული რეგიონების მოსახლეობისათვის;

პრაქტიკულად მცენარის ყველა ნაწილი ათასეული წლების მანძილზე გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში. ბოლო წლებში აშშ-ში, საფრანგეთში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ამ იშვიათი მცენარის შესწავლა, მრავალიცხოვანი გამოკვლევებით დაგინდა მისი მრავალმხრივი სამკურნალო მნიშვნელობა.

ამჟამად ფარმაცევტულ წარმოებაში მორინდას ფესვებიდან და ფოთლებიდან მიღებულია პრეპარატები კაპსულების სახით, რომელებიც გამოიჩინა უაღრესად მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებებით, კერძოდ: უზრუნველყოფს ენდოკრინული სისტემის ბალანსს, ამაგრეს იმურურ სისტემას, იცავს ბაქტერიული და ვირუსული ინფექციებისაგან, ასტიმულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას; ხასიათდება გამაუმტკივნებელი, დამამშვიდებელი და გამაახალგაზრდავებელი მოქმედებით; აწესრიგებს სისხლის წნევას, ახდენს ქსოვილების რეგერენაციის სტიმულირებას, ხსნის ნევროზებს, დეპრესიას, ქრონიკული დაღლილობის სინდრომს, აწესრიგებს ძილს და აუმჯობესებს განწყობილებას; ხსნის თავის, სახსრების, მენსტრუალურ ტკივილებს.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება როგორც საერთო გამაჯანსაღებელი საშუალება ნაადრევ სიბერესთან საბრძოლველად; ვირუსების, ბაქტერიების, სოკოებისა და პარაზიტების საწინააღმდეგო პროგრამებში, განსაკუთრებით *Shigella* და *Salmonella* – შემთხვევაში; ორგანიზმის გაწმენდის კომპლექსურ პროგრამებში; დისბაქტერიოზის, კვების მონელების პრობლემების, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების გასაუმჯობესებლად და სტიმულაციისათვის, სასუნთქი გზების დაავადებების, მამაკაცის სექსუალური ფუნქციის გაუმჯობესების, თირკმელების მოქმედების ნორმალიზაციისა და მწვავე და ქრონიკული დაავადებების, მენსტრუაციული დისკომფორტის მოსაშორებლად, კანის, ონკოლოგიური და ბერი-ბერის დაავადებების, პოლიართონიტისა და რევმატიზმის სამკურნალოდ.

**შაჟქმედება:** კომპონენტების ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**შენგილყვავილა ჟასმინი – Jasminum grandiflorum L.  
ოჯ. ზეთისხილისებრი - Fam. Oleaceae**



**მორფოლოგია:** 6 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია ან ლიანა. ყლორტები შიშველია. ფოთლები მოპირისპირეა, ფრთისებრი, 5-7 ფოთოლაგით, რომლებიც ელიფსურია ან მომრგვალო ელიფსური, 2-3 სმ სიგრძის, მახვილწვერიანი. ყვავილები მსხვილია, თეთრი, ძლიერ არომატული, შეკრებილია ყლორტების წვერებზე 8-10 ყვავილიან ქოლგისებრ ყვავილედებად. ყვავილობს უხვად და ხანგრძლივად, ივნისიდან ოქტომბრამდე. **ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ირანი და ჩინდილოეთ ინდოეთია. ამჟამად მოპყავთ აღვერები, მაროკოში, ეგვიპტეში, იტალიასა და საფრანგეთში, სადაც საუკეთესო ხარისხის ზეთი მიღება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** საყოველთაოდ ცნობილი ჟასმინის ზეთის მიღების წყარო – ყვავილებია. ნაზი სურნელოვანი ყვავილები გროვდება ღამით, როდესაც მათი არომატი განსაკუთრებით ძლიერია. შეიცავს ჟასმინს (კეტონი), ლინალილაცეტატს, მეთილანტრანილატს (როული ეთერები), ბენზოლს, გერანიოლს, ნეროლს, ტერპინეოლს, ფარნესოლს (სპირტები), ევგენოლს (ფენოლი). არის ანტისეპტიკური, სპაზმოლიტური, დამამშვიდებელი, ანტიდეპრესანტი.

ჟასმინის ზეთს უწოდებენ ყვავილოვანი ზეთების მეფეს და უძველესი დროიდან აკუთხნებდნენ სასიყვარულო შინაურ წამლებს – იმდენად დიდია მისი, როგორც აფროდიზიაკის რეპუტაცია. კურნავს გონირეასა და პროსტატიტს. ინდოეთში ზეთი ფართოდ გამოიყენება არომატული მაღამოების წარმოებაში და რელიგიური ცერემონიების ატრიბუტად. ჩინეთში ჟასმინის ჩაი საყვარელ სასმელადაა ცნობილი; ინდონეზიაში ყვავილები ნაციონალური კერძების პოპულარული კომპონენტია; ხელს უწყობს მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებას, ასტიმულირებს საშვილოსნოს უუნქციას, ამაღლებს სქესობრივ აქტიურობას (აფროდიზიაკი), არბილებს კანს, ბრწყინვალედ შველის დეპრესიასთან გამკლავებას; ამშვიდებს ნერვებს და ზრდის აქტივობას; ზეთი აძლევს ადამიანს რწმენას საკუთარ ძალ-ღონებში, ახალისებს და მატებს ენერგიას, რის გამოც კარგი დოპინგიცაა. ზეთი განსაკუთრებით პოპულარულია შშობიარებისათვის, აადვილებს შშობიარობას, ასტიმულირებს საშვილოსნოს შევიწროებას და ერთდროულად აყუჩებს ტკივილებს; პორმონების შესანიშნავი რეგულატორია, ეფექტური საშუალებაა შშობიარობის შემდგომ დეპრესიის მოსახსნელად. მიიჩნევთ, რომ ხელს უწყობს დედასა და ახალშობილს შორის კონტაქტის დამყარებას; აძლიერებს ლაქტაციას. გარდა ამისა, ანელებს საშვილოსნოს საზმებს, ამცირებს ტკივილებს მენსტრუაციის დროს. კეთილ გავლენას ახდენს მამაკაცის რეპროდუქტიულ ფუნქციებზე, ზრდის სპერმატოზოიდების რიცხვს; არის რა ძლიერი დამამშვიდებელი საშუალება აგვარებს სექსუალური ხასიათის პრობლემებს, კერძოდ რაც დაკავშირებულია იმპორტულიასა და ფრიგიდულობასთან.

ჟასმინის ზეთი არის სასუნთქი ორგანოების სტიმულატორიც, აწესრიგებს სუნთქვას, ამცირებს ბრონქიოსაზმებს, ამშვიდებს ხველებით გამოწვეულ ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, ხსნის ხროტინს.

მეტად ძვირი, მაგრამ ეფექტური ბალზამია მშრალი და მგრძნობიარე კანის მიმართ.

**უაქმედება:** ფეხმძიმე ქალებისათვის მისი გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ შშობიარობის წინ, როგორც

მშობიარობის დამხმარე საშუალება. გათვალისწინებული, უნდა იყოს რომ ზეთის “ნარკოტიკული” მოქმედება იწვევს ყურადღების გაფანტვას.

**შსხვილაყოფა შტოში**  
**Vaccinium macrocarpon Aiton**  
**(=Oxycoccus macrocarpus (Aiton.) Pursh)**  
**ოჯ. მოცვისებრნი - Fam. Vacciniaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე დაბალი ბუჩქია, მიეკუთვნება შპალერული ტიპის ვეგეტატიურად მოძრავი ბუჩქების სასიცოცხლო ფორმას, მკვეთრად გამოხატული ორი ტიპის ყლორტით: გართხმული და ვერტიკალური. ფოთოლი მორიგეობითა, ტყავისებრი, პრიალა, მუქი მწვანე, ქვედა შერიდან ღვევა ან ცვილისებრი ნაფიფქით და წვრილი ბეწვებით მოფენილი, ოვალური ან მოგრძო-ელიფსური, ბლაგვი, ფუძესთან მომრგვალებული, სხვა სახეობებისაგან განსხვავებით ხასიათდება მსხვილი ზომებით. ყვავილები მუქი ვარდისფერია, ჩაქინდრული, განწყობილია გასული წლის ტოტებზე თითო-თითოდ ან შეაბეჭდილია 3-4 ცალად, იშვიათად 6, ქოლგისებრ ყვავილედად; საყვავილე ყუნწები გრძელია, ჯამი 4 - ფოთოლაკიანია, გვირგვინი ღრმადაა 4 ნაწილად დაყოფილი. ნაყოფი მომრგვალო კენკრაა, მუქი წითელი, მომჟავო-ტკბილი გემოთი. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX. ისტორია და კულტურის გავრცელება: ბუნებრივად

გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის ტორფიან ჭაობებში, ნიუფაუნდლენდიდან სასკაჩევნამდე, სამხრეთით ჩრდილო კაროლინამდე, მიჩიგანსა და მინესოტამდე. ჩრდილოეთ ამერიკაში მისი ხელოვნური გამრავლება იწყება XIX ს-ის შუა პერიოდიდან. შტოშის წარმოების მსხვილი პლანტაციები თავმოყრილია კანადაში და აშშ-ის ძირითადად 5 შტატში: მასაჩუსეტის, ნიუ-ჟერსის, ვისკონსინის, ვაშინგტონის და ორეგონის. XX ს-ის ბოლოს პლანტაციების საერთო ფართობი 15 ათას ჰა-ს აღემატებოდა, ხოლო ნაყოფების ყოველწლიური მოსავლიანობა 250 ათას ტონას შეადგენდა. მიღებულია 200-ზე მეტი ჯიში, რომლებიც განსხვავდებიან მთელი რიგი მორფოლოგიური ნიშნებითა და ბიოქიმიური მაჩვენებლებით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** შტოშს ჭაობის ყურძენსაც უწოდებენ, თუმცა ეს შედარება ყურძნისთვის არც თუ სასარგებლოა, ვინაიდან შტოში ორგანული შენაერთებით მნიშვნელოვნად აღემატება მას. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და მინერალური მარილების შემადგენლობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კენკროვანი მცენარეა. ნაყოფი შეიცავს გლიკოზიდ ვაქცინის, 0,5 მგ% ცილებს, 5 მგ% ნახშირწყლებს, 3 მგ%-მდე ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ბენზოინის, ქნაქინის, ოლეინის, ურზოლის), 2 მგ% უჯრედისს, შაქრებს (გლუკოზა, ფრუქტოზა), 0,7 მგ% პექტინოვან და საღებავ ნივთიერებებს, 15-30 მგ%-მდე C და B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP ვიტამინებს, აზოტოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ფიტონციდებს, სხვადასხვა მიკროელემენტებს: 12 მგ% ნატრიუმს, 116 მგ% კალიუმს, 14 მგ% კალციუმს, 8 მგ% მაგნიუმს, 11 მგ% ფილორის, 0,6 მგ% რებანს, აგრეთვე იოდს, ვერცხლს, ბარიუმს, სპილენბს, კობალტს, მოლიბდენს, ფლავონოიდებს, ფენოლებს. ნაყოფები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, სიცხისდამწევი, ანტიბაქტერიული, გამაჯანსაღებელი, ჭრილობების შემახორციელები, მატონიზირებელი მოქმედებით. ამაღლებს იმუნიტეტს, ზრდის სისხლძარღვების კაპილარების სიმტკიცესა და ელასტიურობას, რის გამოც გამოიყენება ვარიკოზის დროს, აუმჯობესებს მაღას, საკვების ათვისებას, აძლიერებს კუჭისა და

პანკრეასის წვენის გამოყოფას, სასარგებლოა დაბალი მუავიანობით მიმდინარე გასტრიტისა და კუშტებებია ჯირკვლის ანთებისას; ხასიათდება აგრეთვე მკვეთრად გამოხატული ბაქტერიული მოქმედებით, ხელს უშლის მათ გამრავლებას, მისი წვენით ჩამობანილი ჭრილობები მყისიერად ხორცდება. ცნობილია, რომ აძლიერებს ანტიბიოტიკების მოქმედებას, რის გამოც კარგი დამატებითი საშუალებაა ცისტიტის, ნეფრიტის, ქალური ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ. სასარგებლოა საჭმლის მომნელებელი და გულ-სისხლძარღვთა სისტემებისათვის, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას, იცავს საშარდე სისტემას ინფექციისა და კენჭოვანი დაავადებების განვითარებისაგან, აბალანსებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის თრომბების წარმოშობას, ასტიმულირებს პანკრეასის ფუნქციას, რის გამოც რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის; ხელს უშლის გლაუკომის განვითარებას, მისი წვენი აცხრობს ღრძილების ანთებას, ეფექტურია პარადონტოზის მკურნალობისას. წვენი, ნაყენი აუმჯობესებს გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას; სასარგებლოა სისხლძარღვთა სპაზმებისა და ჰიპერტონიის შემთხვევაში; თაფლში გასრესილი ნაყოფი კარგი საშუალებაა ათეროსკლეროზისა და ტუბერკულოზის სამკურნალოდ.

**სიფრთხილის ღონისძიებები:** უკუმაჩვენებელია მაღალი მუავიანობით მიმდინარე გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის მწვავე წყლულოვანი და ღვიძლის დაავადებებისას.

**მურაია – *Murraya exotica* L.**  
**ოჯ. ტეგანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე მცირე ზომის ხეა. ხის ტანი და ტოტები თეთრი მარმარილოს მსგავსია. ფოთლები პრიალაა, ტყავისებრი, მუქი მწვანე, ელიფსური. ყვავილები წვრილია, ნაზი, ზარისებრი, ხუთწევრიანი, შეკრებილია ფოთლისეულ უბეებში ფაშარ ყვავილედებად, გამოსცებს მძაფრ სასიამოვნო არომატს, დადგებითად მოქმედებს ადამიანის გრძნობებსა და ემოციებზე, რაც ვლინდება ფიზიკურ მდგომარეობაზეც. ნაყოფი კენკრაა, ელიფსური, მუქი ნარინჯისფერი, სპეციფიური გემოთი. ყვავილობს და ნაყოფის ხმილიარობს მთელი წლის განმავლობაში.

**ისტორია და კულტურის გაგრცელება:** სამშობლო იაპონიაა. კულტივირებულია აზის ტროპიკულ კლიმატის რეგიონებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო და დეკორატიული მცენარეა, ზოგჯერ “ჩინურ მირტასაც” უწოდებენ. ძველ დროში მიჩნევდნენ, რომ ჯადოსნური ძალის მფლობელია და შესწევს უნარი ადამიანს ააცილოს ისრის ან იარაღის დარტყმა, რის გამოც დიდი ბელადები, იმპერატორები, მხედართმთავრები ბრძოლის დაწყების წინ ტანსაცმელში მალავდნენ მის ნაწილებს. ძველ ეგვიპტეში ქურუმები სასიკვდილო ავაღმყოფობების დაძლევისა და გადალახვის მიზნით მცენარის საფუძველზე ამზადებდნენ ბალზამებსა და ნაყენებს, რომლებიც მხოლოდ ფარაონებისა და სამეფო კარისათვის იყო განკუთვნილი, გამოიყენებოდა დიდი ემოციური და გონებრივი გადაღლილობის დროსაც. ეს

რეცეპტები გასაიდუმლობელი იყო. იაპონიაში კი მურაიოს გამოზრდა მხოლოდ იმპერატორის ბაღ-პარკებში წარმოებდა, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მიუწვდომელი იყო, ხოლო თუ ვინმე გაბედავდა ბრძანების დარღვევას სიკვდილით ისჯებოდა.

იაპონიაში, საიდუმლო დაგალებების შესასრულებლად გაგზავნილ მზერავებს, მის ნაყენს ასმევინენ, რაც იწვევდა გონებრივი და ინტელექტუალური უნარის ნახტომისებრ განვითარებას. ითვლება, რომ სახლში მოაქვს ბედნიერება და კეთილმდგომარეობა.

ფოთლები და ნაყოფები მრავალი სამკურნალო თვისებით გამოირჩევა; მათი საშუალებით კურნავენ იშმიურ დაავადებებს, გულის უკარისობას, სისხლძარღვებს, ყელსა და პირის ღრუს, დიაბეტს, მაღალ წნევებს. გამოიყენება აგრეთვე მიოკარდიული ინფარქტის პროფილაქტიკისათვის, ინფარქტის შემდგომ პერიოდში, ხუთვისა და ცუდი გამწყობილობის დროს.

**უკუქმედება:** დამოუკიდებლად მკურნალობის დაწყებამდე, რჩევისათვის მიმართეთ ექიმს.

### ნესვის ხე ან პაპაია - *Carica papaya L.* ოჯ. პაპაიასებრნი - Fam. Caricaceae (Papayaceae)



**მორფოლოგია:** მარადმწვანე მცენარეა, ბუნებრივ პირობებში აღწევს 4-6 (8) მ სიმაღლეს, გამოხატული მერქნოვანი ტანითა და 5-7 კონებად შეკრებილი, გრძელფუნწიანი, თათისებრგანკვეთილი, მოყვითალო-მწვანე, ტყავისებრი ფოთლით,

მოგვაგონებს პალმას. მცენარე ორბინიანია; ყვავილები უმთავრესად ერთსქესიანია, მოყვითალო-მოთეთრო, მამრობითი ყვავილები შეკრებილია დიდ 1,5 მ სიგრძის საგველა ყვავილები მარტოულია. ნაყოფი - კენკრაა, ფორმით და გემოვნებით ნესვის მსგავსი, აქედან პაპაიას მეორე სახელი “ნესვის ხე”; ნაყოფები იზრდება პირდაპირ ხის ტანზე მოკლე ღეროებზე, ზომები მერყობს 20-დან 40 სმ-მდე, საშუალოდ მათი წონა 2-3 კგ აღწევს, აღინიშნება რეკორდსმენებიც (5-7 კგ), სიმწიფისას მონარინჯისფრო-ყვითელია, წვინიანი, ტებილი.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სამშობლო ტროპიკული ამერიკაა, სადაც წარმატებით ამრავლებენ; ფართო პლანტაციებია შრი-ლანკაზე, აღმოსავლეთ აფრიკაში, პაკისტანში, ინდოეთში, ავსტრალიასა და ბრაზილიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფებს საკვებად იყენებენ ნედლი და გადამუშავებული სახით. ნესვის ხის ქერქი შეიცავს გამჭვირვალე რძისებრ წვენს, რომელსაც ღებულობენ ხის ტანის დასერვით; ჰაერზე სწრაფად შრება და შეარდება. ეს სწორედ ის ნედლეულია, რომელიც ცნობილია Papaya-Latex - ის სახელით. მისგან მიიღება ფერმენტი პაპაინი.

ნესვის ხის მოქმედი ნივთიერებებია: პაპაინი – უმთავრესია ხის წვენიდან გამოყოილი ექვსი ფერმენტიდან, ქიმოპაპაინი A, ქიმოპაპაინი B, ლიზოციმი, კალაზა, ლიპაზა და გლუტამინ-ტრანსფერაზა; მათ გარდა აღინიშნება ამინომჟავები. ფოთლები შეიცავს პაპაინსა და სხეა ფერმენტებს, გლიკოზიდებს, საპონინებსა და ალკალოიდებს.

პაპაინი, აგრეთვე Papaya-Latex-ის ფერმენტების ნაკრები გამოიყენება სხვადასხვა მზა პრეპარატების სახით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეციის დარღვევების დროს, განსაკუთრებით ცილების გადამუშავების დამძიმებისას. ტროპიკებში რძის წვენს იყენებენ ზოლისებრი ჭიების საწინააღმდეგოდ, ფოთლებიც ამავე მიზნით იხმარება.

საინტერესოა, რომ ხის განსაკუთრებულ მომარჯვებულ ზოლებში ცხოვრობენ ჭიანჭველები, რომლებიც კი არ ავნებენ მცენარეს,

პირიქით იცავენ მას მტრის თავდასხმისაგან, სულ მცირე შეხების შემთხვევაში, საცავებიდან მასობრივად გამოღიან მათ წინააღმდეგ.  
**ჟკუქმედება:** არ აღინიშნება.

**ნიანგის ხე – *Zanthoxylum rhetsa* (Boxb.)DC.**  
**ოჯ. ტევანისებრნი – Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მაღალი ხეა, რომლის ტანი ნიანგის ტყავს მოვაგონებს, ძლიერ მჩხვლეტავია, მთლიანად ეკლებით დაფარული. რაც მცენარისათვის ერთგვარ დამცავ როლს ასრულებს, თუმცა არა ადამიანებისაგან.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** იზრდება ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელში, თბილ ქვეწებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე მიეკუთვნება სურნელოვან (ამბროვან) მცენარეთა კატეგორიას. ყერადღებას იპყრობს ფისხბის შემცველობის გამო, იყენებენ ელიტურ პარფიუმერიაში (ამბრის სურნელება) და მედიცინაში. საუკეთესო საშუალებაა ფისით დაზელვა რევმატიზმისა და სახსრებით დაავადებებისას. ადრე აღმოსავლეთის იმპერატორები თამბაქოსთან ერთად ფისს ეწეოდნენ, იწვევდა სიმშვიდესა და მოთენილობას.

ინდონეზიის კუნძულ ბალის ზის ოსტატები ხისგან ამზადებენ საოცარი სილამაზის სტატუეტებებსა და სხვადასხვა ნაკეთობებს.  
**შპუქმედება:** დაუდგენელია.

**ოდალაჯი ან ბაგაუტის ხე – *Guaiacum officinale* L.  
ოჯ. ორყურასებრნი - Fam Zygophyllaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ტროპიკული 15 მ-მდე სიმაღლის ხეა, მოთეთრო-მთნაცრისფრო ქერქით, რომელიც შემდგომში, ასაკთან ერთად შევერილობას იცვლის და მწვანდება. გრძელი, მოხრილი მრავალრიცხოვანი ტოტებით დიდ გუმბათს მოგვაგონებს. ფოთლები მუქი მწვანეა, მოპირისპირედ განლაგებული. ყვავილი ისფერი ან ბაცი ცისფერია, ყვავილობის დასასრულისკენ მოთეთრო შეფერილობის, 5-ფურცლიანი, შეკრებილია ფაშარ ყვავილებად 5-10 ცალად.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ცენტრალურ ამერიკაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ეკონომიკურად მეტად მნიშვნელოვანი ხეა, იძლევა ძალიან გამძლე, მაგარ და მძიმე მერქანს, რომელიც სხვადასხვა ნაკეთობისათვის იხმარება. გამოირჩევა მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებითაც, რის გამოც “სიცოცხლის ხეს” უწოდებენ. ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ გამოიყენებოდა ხის სხვადასხვა ნაწილის (ქერქი, ფოთლები, ყვავილები) ნახარშები რიგი დაავადებებისას: ათაშანგის, საშვილოსნოს, სახსრების ტკივილის, რევმატიზმის, ნივთიერებათა

ცვლის დარღვევების დროს; ხელს უწყობს კანის, თირკმელებისა და ნაწლავების ფუნქციების გაძლიერებას.

შეიცავს განსაკუთრებულ სურნელოვან ფისს, რომელიც გამოიყენება მედიცინაში. ეთერზეთებს ღებულობენ მერქნიდან დისტილაციის მეთოდით; ყვითელი, ქარვისებრი ან მომწვანო ბლანტი სითხეა ჩაის ვარდის არომატით. შეიცავს გვაიაკოლს (42-72%), ბულნეზოლს, ბულნიზინს, გვაიანინს, პაჩულინს, გვაიაოქსიდს.

ეთერზეთებს ხალხურ მედიცინაში იყენებენ სისხლის მოძრაობის გასაუმჯობესებლად, ართრიტისა და ნიკრისის ქარების, რევმატიზმისა და ვენერიული დაავადებების სამკურნალოდ.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, შარლმდნი მოქმედებით, აძლიერებს ლაქტაციას.

ფარმაკოლოგიაში თხევადი ექსტრაქტი და ტინქტურა გამოიყენება როგორც დაიგნოსტიკური რეაგენტი სისხლის გამოკვლევებისას. იხმარება აგრეთვე ფიქსატორად და სურნელებისათვის კოსმეტიკურ წარმოებაში და პარფიუმერიაში.

**შპაჟემედება:** ოდაღავის პრეპარატების მიღება დაუშვებელია 2 წლამდე ბავშვებისა და ფეხმბიმე ქალებისათვის.

ოთახის ფიკუსი, კაუზუქის ფიკუსი –

*Ficus elastica Roxb. ex Hormen.*

ოჯ. თუთისებრნი - Fam. Moraceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 30-40 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები

მორიგეობითა, ოვალური, მახვილი წვერით, ტყავისებრი, პრიალა, გლუვი, კიდემთლიანი, კარგად გამოხატული მთავარი ძარღვით, რომელიც სქელ ფუნქში გადადის, 18-30 სმ სიგრძისა და 10-20 სმ სიგანისაა; ნორჩი ფოთლები მოვარდისფრო-ყავისფერი შეფერილობისაა, ასაკოვანი- მუქი მწვანე. ოთახის პირობებში 2-3 მ-დე სიმაღლეს აღწევს, ყვავილობს იშვიათად, წარმოქმნის მცირე ზომის, მოყვითალო-მწვანე, ოვალური ფორმის, 1 სმ-მდე დიამეტრის ნაყოფებსა და თესლს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი (ასამი) და ინდონეზიის სამხრეთი ნაწილია (სუმატრა და იავა). ტროპიკების გარეთ მოჰყავთ ითახის კულტურის სახით. ყველაზე ცნობილი დეკორატიული ჯიშებია: *Ficus elastica "Decora"* – ბრინჯაოსებრი ნორჩი ფოთლებით; *Ficus elastica "Doescheri"*- ჭრელი ფოთლებით, *Ficus elastica robusta* – მოწითალო ფოთლებით, *Ficus elastica veriegata* – უანგისფერი ფოთლებით, *Ficus elastica tricolor* – სამფერა ფიკუსი.

**სამკურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამშობლოში კაუჩუკის ფიკუსი სამრეწველო დანიშნულების ხე - მცენარეა; მისგან ღებულობები კაუჩუკს.

რაც შეხება ოთახის ფიკუსს, ფართოდ გავრცელებული საოთახო მცენარეა, გამოირჩევა მაღალდეკორატიულობით, ხელს უწყობს პაერის გასუფთავებას, შთანთქავს ზიანის მომტან სხვადსხვავარ მავნე ელემენტებსა და გაზებს. ამავდროულად ხასიათდება სამკურნალო თვისებებითაც, ხალხური მედიცინის ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა. ხელს უშლის ბაქტერიებისა და ვირუსების გამრავლებას, ავლენს სიმინვნის საწინააღმდეგო აქტივობას; ფოთლების გამონაწერს იყენებენ ცხიმგროვების, კოურების, მეჭეჭების მოსაშორებლად; ნახარშს ღებულობენ ტრაქეიტისა და ბრონქიტის, მასტოპატიისა და ფიბრომიომების დროს; აღნიშნავენ რომ ნაყენი არჩებს ართრიტს, თუმცა იქნება მიუთითებენ, რომ აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.

ზოგიერთი მონაცემებით სამკურნალო თვისებებით არჩამოუვარდება ალოეს. ფოთლები შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, ანთების

საწინააღმდეგო და ბაქტერიციდული თვისებებით, რის გამოც ფოთლების კომპრესი შევლის ფურუნგულებს, სხვადსხვაგვარ წყლულებსა და ჭრილობებს, ოსტეოზონდროზს, რადიკულიტს. გამოიყენება ხველების, დიზენტერიის, კარბუნგულების, ბუასილის, საწინააღმდევოდ. ხელს უწყობს მენსტრუაციის სტიმულირებას.

**უპუშქმედება:** დამოუკიდებელი მკურნალობის დაწყებამდე მიმართეთ ექიმს.

**ოლეანდრე - *Nerium oleander* L.**  
**ოჯ. ქენდირისებრნი – Fam. Apocynaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქი ან მცირე ზომის ხეა, მურა დატოტვილი ღეროებით. ფოთლები მორიგეობითია, მოკირისპირე, ლანცეტა ფორმის, შევიწროებული მოკლე ყუნწად. მსხვილი წარმოსალები ყვავილები ჩეულებრივ ვარდისფერია, წითელი ან თეთრი, შეკრებილია მკვრივ ფარისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მოგრძო ფოთლურაა მრავალრიცხოვანი თესლით. ყვავილობს მთელი ზაფხულის განმავლობაში. ნაყოფი მწიფელება შემოგომაზე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ხმელთაშუაზღვეთია. ბუნებრივად იზრდება სამხრეთ ევროპიდან სამხრეთ ჩინეთამდე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია. ფოთლები და ყვავილები შეიცავს დიგიტალინს, ურზოლის მჟავას, ოლეანდრომიცინს (ანტიბიოტიკი), საღებავ ნივთიერებებს, რუტინს, საპონინებს და დიდი რაოდენობის გულის

გლიკოზიდებს, მაგ.: ოლეანდრინს. ოლეანდრის შემცველი გლიკოზიდები ხასიათდება მძლავრი კარდიოტონური მოქმედებით, ანელებს გულის შეკვეცის სიხშირეს, აძლიერებს მის ამპლიტუდას, ასტიმულირებს მიოკარდში სისხლის მიწოდებას, ზრდის სისტემური სისხლის მოძრაობის სისწრაფეს. ადრე ფარმაცევტული მრეწველობა უშვებდა პრეპარატებს, რომლებიც ფოთლებისაგან მზადდებოდა: კორნერინი, ნერიოლინი. უნიშნავლენი ქრონიკული სისხლის მოძრაობის უქმარისობისას ფილტვებში, ღვიძლში, მაგისტრალურ ვენების სისხლძარღვებში, აგრეთვე მიტრალური მანკისა და ტახიკარდიის დროს. სადღეისოდ აღნიშნული პრეპარატები არ გამოიყენება მაღალი ტოქსიკურობის გამო.

დიდი სიფრთხილით იხმარება ხალხურ მედიცინაშიც, მხოლოდ მინიმალური დოზებით. გამოცდილი ფიტოთერაპევტები მის ნაყენს უნიშნავენ თავის ტკივილის, ნერვული გადაღლილობის, კრუნჩხვების, უძილობის, ჰემორაგიული ინსულტის შემდგომ აღდგენის პერიოდში. გარეგანად ნაყენის საფენებს ხმარობენ ეგზემის და კანის სოკოვანი დაავადებებისას.

მიღებულია ჰომეოპატიური პრეპარატი, რომელსაც იყენებენ მიოკარდიტების, გულის უქმარისობის, მიოკარდიოდისტროფიის, კანდიდოზის, სველი ეგზემის, მსხვილ ნაწლავში მიმდინარე გაძლიერებული ლპობის პროცესში.

**უპქმედება:** იმდენად ძლიერი შხამიანი მცენარეა, რომ ცნობილია მისი ბოლოთ მოწამელის მძიმე შემთხვევებიც კი. არ არის რეკომენდებული იმ შენობებში გამოზრდა, სადაც ბავშვები იმყოფებიან. თვითმკურნალობა აკრძალულია!

**თბუნცია – *Opuntia vulgaris* Mill. (=*O. ficus-indica* (L.) Mill.)**  
**ოჯ. კაქტუსისებრნი - Fam. Cactaceae**



**მორფოლოგია:** მსხვილი, მრავალწლოვანი 4-6 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, გამოირჩევა სწრაფი ზრდის უნარით და ბურქების თავისებური, უცნაური ფორმირებით. ახასიათებს მუქი-მწვანე კვერცხისებრი ღერობი, მათი წვერები (კლადოდიუმები) წვნიანია, სქელი, ბაცი-მწვანე, მოგრძო ან უჟუკერცხისებრი, იზრდება ერთი მეორეზე, გაბრტყელებულ ღეროებს შეცდომით ფოთლებად ღებულობენ. ნორჩი წევრების არეოლებზე იზრდება მათზე მიკრული ჩანასახოვანი ფოთოლაკები, რომლებიც შეძლევ ცვივა; ფოთლები მცირეა ზომისაა, წვნიანი, სადგისისებრი, კაშკაშა მწვანე. ეკლები ვითარდება რამდენადმე გვიან მწიფე სეგმენტებზე, ჩვეულებრივ განლაგებულია არეოლებზე (ზოგჯერ 2-4 ეკალი ერთად), მსხვილი და ნემისისებრია; გარდა ეკლებისა არეოლებზე ვითარდება ეწ. გლოზიდიუმები - წვრილი, სუსტი, მახვილი და ხემშემი ეკლები, იზრდება არეოლების ირგვლივ კონებად. აპრილიდან სექტემბრამდე მცენარე ყვავილობს კაშკაშა ყვითელი ყვავილებით, წარმოიქმნება სეგმენტების როგორც წვერებზე, ასევე მათ კიდეებზე. ნაყოფი მწიფდება ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე, მსხლისებრი ფორმის კენკრაა, ხორცოვანი, საკმაოდ მსხვილი (5-7,5 სმ სიგრძისაა, ზოგჯერ 10 სმ, წონით 70-300 გ), რბილობი ტებილია ნახევრადგამჭვირვალე, მრავალრიცხოვანი მსხვილი თესლებით.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** გავრცელებულია კანადის სტეპური ზონიდან სამხრეთ არგენტინამდე, წყნარი ოკეანის სანაპიროდან ანდების მთიან რაიონებამდე, ზღდ.-დან 5000 მ სიმაღლემდე. ევროპაში ვრცელდება XIV ს-დან. ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, კანარის კუნძულებზე, მადაგასკარში, სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთში, აგსტრალიაში ოპუნციის რიგი სახეობები გაველურდნენ და ფართოდ გავრცელდნენ. იგივე აღინიშნება თბილისის მიდამოებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ოპუნციის ნაყოფები და ღეროები საკვებად გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე გადამუშავებული სახით.

ოპუნციის კლადოდიუმებში აღინიშნება დიდი რაოდენობის კაროტინი და ასკორბინის მჟავა, ფლავონოიდები (იზორაემეტინომი), გლიკოზიდები, კემპფეროლი, პენდუმეტინომი, კვერცეტინი, რუტინი, ლუთეინომი, ცხიმები, უკარედისი, სასარგებლო მინერალები, უმთავრესად კალიუმი, კალციუმი, თუთია, მაგნიუმი, მცირე რაოდენობობი ცილები.

გამოირჩევა მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით, აქტიურად გამოიყენება როგორც ტრადიციულ, ასევე სალხურ მედიცინაში. თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ მისგან შესძლებელია მიღებულ იქნეს სპირტი, საპინი, დეზოდორანტები, ვიტამინები. ყლორტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიარეის სამკურნალოდ, დაზენტერიტისა და მუცლის ტკივილებისას; ყვავილები და ღეროები იხმარება კომბლექსურ მკურნალობაში სიმსუქნის, ჰიპერტონიის, შაქრიანი დიაბეტის, კუჭის წყლულის, გასტრიტის, ღვიძლის დაავადებისა და ყაბზობისას. მასი წყალობით სისხლში ხდება შაქრისა და ქოლესტერინის დონის რეგულაცია, ხოლო კალიუმისა და კალციუმის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე ფოთლები ახდენს ორგანიზმში ინსულინის გამომუშავების სტიმულირებას.

ოპუნცია ხასიათდება ბაქტერიციდული, ანტისეპტიკური თვისებებით და ფართოდ გამოიყენება ყელის ტკივილების, ნაწლავებისა და შარდსასქესო სისტემის ანთებისას, ამავდროულად ააქტიურებს ღვიძლის, თირკმელების, ელენთის მუშაობას. ვინაიდან აუმჯობესებს ტვინის სისხლძარღვების მიმოქცევას, ხსნის თავის

ტკივილებს, ამახვილებს გონებას და მახსოვრობას, რეკომენდებულია საკვებად გამოყენება მათვის, ვინც გონებრივი შრომითაა დაკავებული.

ოპუნცია იწვევს ორგანიზმზე საერთო გამაჯანსაღებელ მოქმედებას, ამაღლებს დამცავ ფუნქციებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას; კაქტუსის ექსტრაქტი შედის ზოგიერთი კოსმეტიკური ხაზის შემადგენლობაში. მისი წვენის საფუძველზე მზადება ლოსიონები, რომლებიც გამოიყენება დერმატიტების, მზის დამწვრობებისა და კანის გამონაყრებისას. ასევე ახალი მონაცემებით ოპუნციის გამონაწური - ეთილის აცეტატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავის ტვინის დაავადებების (ალცენიმერია, პარკინსონი, ინსულტი), გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კერძოდ მიოკარდიუმის ინფარქტის თავიდან ასაცილებლად და მათ სამკურნალოდ.

ამერიკაში ჩატარებული ცდებით გაირკვა, რომ კაქტუსის 20 - მდე სახეობა, მათ შორის ოპუნცია საუკეთესო ანტიბიოტიკებია, ხოლო ბოლოვიასა და პერუმი ამ მცენარეებით დაიწყეს კიბოს სიმსივნების მკურნალობა!

ხალხურ მედიცინაში მცენარის ყველა ნაწილს სამკურნალოდ უტკელესი დროიდან იყენებდნენ; კერძოდ: ცინგის, ყელის დაავადებების, ნაწლავებისა და შარდსასქესო სისტემის ანთების, თირკმელების, ღვიძლის, ელენთის მუშაობის გააქტიურებისათვის, მამაკაცებში პოტენციის ასამაღლებლად; ოპუნციის წებოვან წვენს ინდიელები ხმარიბდნენ მოტეხოლობებისას თაბაშირის მსგავსად, ასევე რადიკულიტის საწინააღმდეგოდ.

**უკუქმედება:** სასიამოგონ სიურპრიზების გარდა ოპუნციის გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრ უსიმოვნებას გადაეკიდებით. საქმე იმაშია, რომ გლოხიდიები ადვილად იჭრება კანში, წვრილი ეკლების ამოღება კი გართულებულია, იწვევს ქავილს, დისკომფორტს, ზოგჯერ შემუპებას და ანთებას. მათგან თავის დაღწევას კარგად ახერხებდნენ ამერიკელი ინდიელები, ადებდნენ რა გამღნარ ცვილს დაზიანებულ ადგილებს, გაციების შემდეგ ის ეკლებთან ერთად სცილდებოდა.

**პამილორი - *Lycopersicum esculentum* Mill.**  
**ოჯ. ძალლურძენასებრნი - Fam. Solanaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი (კულტურაში ერთწლოვანი) მცენარეა, სწორმდგომი ან გართხმული 3 მ-მდე სიგრძის ხეშეშბეწვიანი ღეროებით, მკვეთრი სპეციფიური სუნით. ფოთლები მორიგეობითია, წყვეტილ ფრთისებრგანკვეთილი, 10-35 სმ სიგრძისა და 8-28 სმ სიგანის, სეგმენტები მთლიანია ან ფრთისებრდაყოფილი, სხვადასხვა ძოხაზულობისა და ზომების. ყვავილები უბისეულია ან ფოთლებისაგან გამოყვეთილი. ყვავილები 2 სმ-მდე სიგანისაა, ორსქესიანი. გვირგვინი 5-ფოთლაკიანია, მომწვანო-ყვითელი, 5-9 კბილიანი, ჯამის ტოლი. ნაყოფი - კენკრაა, სხვადასხვა ფორმის (სფერული, ქლიავისებრი ან ოდნავ შებრტყელებული), შეფერილობის (წითელი, ყვითელი ან თითქმის თეთრი) და დიამეტრის (10 სმ-მდე). თესლი მოთეთრო-ყვითელია, 1,5-2 მმ დიამეტრის, აღმოცენების უნარს 8 წელს ინარჩუნებენ. ყვ. IV-V; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ რაიონებში. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ XVI ს-ის დასაწყისში შეტანილ იქნა ევროპაში, სადაც პირველად მოჰყავდათ დეკორატიული, შემდგომ კი - სამკურნალო მიზნებისათვის; როგორც საკვები მცენარე პირველად იტალიაში მოიხსენიება XVI ს-ის შუა პერიოდში. ევროპის სხვა ქვეყნებში

პამიდორის საკვებად გამოყენება ნელ-ნელა მკვიდრდებოდა; დაიწყეს მისი როგორც ბოსტნეული კულტურის გამრავლება. XVIII ს-ის ბოლოდან მოიხსენიება საქართველოში, ყირიმში, რუსეთის სამხრეთ რაიონებში, ხოლო XIX ს-დან ფართოდ ვრცელდება და სადღეისოდ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ბოსტნეული მცენარეა. გამოყანილია 700-ზე მეტი ჯიში, რომელიც განსხვავდებან მთელი რიგი მორფოლოგიური ნიშან-თვისებებითა და ქიმიური შემადგენლობით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი გამორჩეული ბოსტნეული კულტურაა. იხმარება ნედლი და გადამუშავებული სახით (მოხარული, ჩაშუშული, ფარშირებული, წილი).

ნედლი ნაყოფი შეიცავს 93,6 მგ% წყალს, 4,5-6 მგ% მშრალ ნივთიერებებს, მათ შორის 1,5-7 მგ% შაქრებს, რომლებიც უძთავრესად მონასაქარიდებითაა წარმოდგენილი (გლუკოზა და ფრუქტოზა), 1,6 მგ% ნედლ ცილებს, 0,35 მგ% სახამებელს, 0,98 მგ% უჯრედისს, 0,35 მგ% ცხიმებს, 4,32 მგ% ნახშირს, პექტინებს, 0,45 მგ% ორგანულ მჟავებს (პანთოთენის, ნიკოტინის, ფოლიოს, ლიმონის, ვაშლის, ღვინის), მაკროელემენტებს (Ca, mg, Na, K, P, Cl, S), ვიტამინებს (55 მგ% ასკორბინის მჟავას, 0,8-1,2 მგ% კარტინის, 0,3-1,6 მგ% B<sub>1</sub>, 1,5-6 მგ% B<sub>2</sub>, B<sub>1</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, E, K, PP, ქოლინი), მიკროელემენტებს (Fe, Zn, I, Cu, Mg, Se, Cr, Ft, Mo, Co, Ni, Ru), ანტიოქსიდანტებს (ლიკოპინი), ფიტონციდებს.

პამიდვრის რიგი სამკურნალო თვისებები გამოვლინდა ჯერ კიდევ შეუა საუკუნეებში. მაგ.: დაჭყლეტილი ნაყოფის ფაფა რომელიც ხელს უწყობს ჩირქოვანი ჭრილობების შეხორცებას, რასაც დღესაც წარმატებით იყენებენ ხალხურ მედიცინაში.

სასიათდება მაღისმოგვრელი, საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი, პათოგენური მიკროფლორის დამთრგუნველი, არტერიული წნევის დამწევი მოქმედებით.

გამოიყენება ავიტამინოზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის, სისხლნაკლებობის, ღვიძლის (ჰეპატიტის) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ათეროსკლეროზისა და უმადობის დროს. აჩერებს ადამიანისათვის

მავნებელი პათოგენური მიკროსკოპული სოკოების განვითარებას. ითვლება კარგ დეპრესანტად, აუმჯობესებს გუნებაგანწყობას, ებრძვის ბაქტერიულ და ანთებით პროცესებს; მასში შემავალი ანტიოქსიდანტი კი ბუნებრივი წამალია მრავალი დაავადების მიმართ, უპირველესად კი კიბოს უჯრედების საწინააღმდეგოდ.

**უგუქმედება:** ორგანიზმის ალერგიულობა, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებები, ნიკრისის ქარები. კონსერვირებული, დამარილებული და დამწილებული პომიდორი არ არის რეკომენდებული თირკმელებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მათ შორის ჰიპერტონიის დროს.

### პაპირუსი – *Cyperus papyrus L.* ოჯ. ისლისებრი - Fam. Cyperaceae



**მორფოლოგია:** ტროპიკული მრავალწლოვანი 4-5 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა სქელი, სისებრი ფესურით, რომელისგანაც წარმოიქმნება მჭიდროდ შეჯგუფებული მიწისზედა თითქმის უფოთლო 7 სმ-მდე დიამეტრის ყლორტები. ღეროები სამწახნაგოვანია, მოკლებულია ღრუს და მუხლითშორისებს; ცალკეული ღერო ფუძესთან მურა, ქერქლისებრი განუვითარებელი ფოთლების ვაგინითაა შემოხვეული, ბოლოებზე ინვითარებს კაშკაშა მწვანე, 10-30 სმ სიგრძის წვრილი ღეროების კონებს, რომლებიც იტოტება მეორე რიგის 3-5 სხივად, შემოსილია ვიწრო მფარავი ფოთლებით; ყვავილები წვრილია, უფერული, ორსქესიანი,

ანემოფილური, ღეროების წვერზე შეკრებილია მოყვისფრო-მწვანე ცილინდრული ფორმის 1-2 სმ სიგრძის თავთუნებად, რომლებიც თავის მხრივ მსხვილ ქოლგისებრ ყვავილედს ჰქმნის. ნაყოფი კაკლუჭაა, ყავისფერი, ვრცელდება წყლის მეშვეობით. ყვავილობს ზაფხულის ბოლოს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** მცენარე ვეებერთელა შალდამებს ჰქმნის ტროპიკული და ჩრდილო აფრიკის წყალსატევების სანაპიროებზე; გავრცელებულია მაღაგასკარზე და ხმელთაშუაზღვეთის ზოგიერთ ოლქში, კერძოდ სიცილიასა და ლევანტში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ძველ დროში მისი რაყებით დაფარული ყოფილა ვეებერთელა ფართობები მდინარე ნილოსის დაჭაობებულ დელტაში. პაპირუსი ეგვიპტელებს ყველაფერს აძლევდა; მისგან ამზადებდნენ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ავეჯს, ბაგირებს, ნავებს; ფესურებსა და ნორჩ ღეროებს საკვებადაც ხმარობდნენ; თუმცა ეს სასარგებლო თვისებები გაფერმერთალდა მას შემდგ, რაც აღმოჩენილი იქნა უმთავრესი - საწერ ფურცლებად მათი გამოყენება. სწორედ მან დაუდო საფუძველი ცივილიზაციის განვითარებას გზა და არა მარტო ნილოსის სანაპიროზე. 4000 წელი საწერი პაპირუსის წარმოების მონოპოლია ეგვიპტეს ეკავა და ძველ შსოფლიოს ის ამარავებდა. სწორედ ამ პაპირუსების წყალობით მოაღწია ჩვენამდე ცნობებმა უძველი ხალხების ისტორიისა და კულტურის შესახებ; ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე უძველი პაპირუსი (5200 წლისაა) კაიროს მუზეუმშია დაცული.

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტელი ფარაონები ღებულობდნენ რა დიდ მოგებას პაპირუსის გაყიდვით, არ ცდილობდნენ მასზე ფასის დაწევას, უფრო მეტიც, ხშირად კრძალავდნენ მის გაყიდვას ქვეყნის გარეთ ან მყიდველებს იმდენს არ აძლევდნენ, რამდენიც ესპიროებოდათ. ღვევნდის თანახმად, ახ.წ.აღ.-მდე II ს-ში მცირე აზის პერგამის სახელმწიფოს მეფემ ევმენ II გადაწყვიტა პაპირუსის დიდი პარტიის ყიდვა, იმ დროს ეგვიპტის ელინისტური დინასტიის მმართველი პტოლემეუსი იყო, მან უარი უთხრა მიყიდვაზე, იქიდან გამომდინარე, რომ პერგამის დედაქალაქის

ბიბლიოთეკას არ დაეჩრდილა ალექსანდრიის ცნობილი ბიბლიოთეკა. თუმცა პერგამის მბრძანებელი კერპი აღმოჩნდა, მან დაიწყო თავის დედაქალაქში საწერი მასალის გამომუშავება, მაგრამ ის პაპირუსი კი არა პერგამენტი გახლდათ – ცხოველის კანისგან დამზადებული საწერი მასალა. ბრძოლა პაპირუსსა და პერგამენტს შორის დიდხანს გრძელდებოდა, პაპირუსი არ თმობდა პოზიციებს, მაგრამ პერგამენტმა და შემდეგ ქაღალდმა მისი ბედი განსაზღვრა. ახ.წ.აღ.-ის X ს-ში ეგვიპტეში გაქრა პაპირუსი, როგორც მცენარე, ასევე საწერი გრაფნილები.

გავიდა ასწლეულები და ეგვიპტეში XX ს-ის 60-იან წლებში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ეგზოტური პაპირუსის აღდგენა მთავარი დანიშნულებით.

იმ დროისათვის პაპირუსის ტრადიციული რაიონი - ნილოსის დაჭაობებული დელტა - ამოშრობილი იყო. ეგვიპტეში სულ რაღაც ორ მცირე ფართობზედა იყო ეს მცენარე შემორჩენილი. ამ ადამიანებმა ნილოსის ერთ-ერთ კუნძულზე მის პლანტაციას ჩაუყარეს საფუძველი, მაგრამ მოსავალის აღების შემდეგ გაირგვა, რომ არავინ იცოდა პაპირუსის საწერი გრაფნილების დამზადების წესი. ძეველმა ეგვიპტელებმა დამზადების საიდუმლო თან გაიყოლიეს. რამდენიმე წლის ცდის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ისეთივე გრაფნილის მიღება, როგორიც მათ მუზეუმში იყო დაცული.

გალენის, დიოსკორიდის, მოგვაინებით არაბი მეცნიერების თხზულებებში მოცემულია ცნობები მისი სამკურნალო თვისებების შესახებ. კოსმეტოლოგიასა და მედიცინაში გამოიყენება მცენარის ოძე, რომელიც შეიცავს ცხიმოვან მჟავებსა და პოლარულ ლიპიდებს, ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ნაოჭების გამასწორებელი და მკვებავი თვისებებით, აგრეთვე ხელს უწყობს თმის ღერის აღდგენას, აუმჯობესებს მხედველობას და ტვინში სისხლის მიმოქცევას. დადგითად მოქმედებს უყურადღებო, თავის ტკივილითა და უძილობით გაწამებულ ადამიანებზე. აგრესიულმა და გაუბედავმა ადამიანებმა ოთახის პირობებში მის გამოზრდაზე თავი უნდა შეიკავონ.

**შაშქმედება:** დაუდგენელია.

**პარაგვაული ჩაი, მატე – *Ilex paraquariensis* A. S t. Hil.  
ოჯ. ბაძგისებრნი - Fam. Aquifoliaceae**



**მორფოლოგია:** 15 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა  
მორიგეობით განწყობილი ტყავისებრი, უკუკვერცხისებრი ან  
მოგრძო კვერცხისებრი ფორმის ფოთლებით, რომლებიც კიდეებზე  
ხერხებილაა, საშუალოდ 7-11 სმ სიგრძისა და 3-5,5 სმ სიგანის.  
ყვავილები წვრილია, მომწვანო-თეთრი, ოთხი გვირგვინის  
ფურცლით. ნაყოფი წითელი, წვრილი, წვნიანი, სფერული  
კურკიანაა, კონბადაა განლაგებული ფოთლების უბეებში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება  
ბრაზილიის, პარაგვაის, არგენტინის, ურუგვაის ტყეებში. არსებობს  
ფართო პლანტაციები ლათინური ამერიკის სხვა ქვეწებშიც.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო  
ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს; შეიცავს ბეტა-ამირინს,  
ვანილინს, წყალს, იზოვალერიანის, იზოკაპრონის, იზოზეთოვანის,  
ნეოქლოროგენის, ნიკოტინის, პანთოენის მჟავებს, ინოზიტოლს,  
მატენს, 2,5-ქსილენოლს, ვიტამინებს, ცილებს, რიბოფლავინს,  
რუტინს, ფისებს, ტანინებს, თეობრომინს, თეოფილინს,  
ტრიგონელინს, ქლოროფილს, ქოლინს, ცელულოზას, საშუალოდ  
1-1,5% კოფეინსა და 4-10% მორიმლავ ნივთიერებებს.

ფოთლებისაგან მზადდება ე.წ. “პარაგვაის ჩაი” და “მატე-ჩაი”  
(Mate - მცენარის ინგლისური სახელწოდებაა), რომელიც სამხრეთ

ამერიკის მოსახლეობაში ცვლის ჩინურ ჩაის. თანამედროვე ბრაზილიისა და პარაგვაის ტერიტორიებზე მცხოვრები გუარანის ტომის ინდიელები მატეს ჩაის იყენებდნენ დამწვრობებისა და სხვა დაავადებებისას.

მატე რეკომენდებულია როგორც საშუალება, რომელიც ამცირებს ნევროზებისა და დეპრესიის დამანგრეველ მოქმედებას, გავლენას ახდენს საერთო ფსიქომოციურ მდგომარეობაზე - აუმჯობესებს განწყობას, ამაღლებს აქტიურობას, ამავლოულად მოქმედებს რბილად, ხსნის ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა უძილობა, შფოთი, ემოციური გაუწონასწორობა და ნერვოზები. მისი მიღებისას ორგანიზმი ღრმა ძილში ეფლობა, რაც ზელს უწყობს დაძაბულობისა და დაღლილობის მოხსნას.

მატე შედის გახდომის ენერგეტიკული სასმელის “სოლსტიკ სლიმის” შემადგენლობაში, არ იწვევს რა სასმელისადმი დამოკიდებულებას, არის იდეალური შემცვლელი ყავისა და ჩაის.

მატეს მაგარ ჩაის აქვს მომწარო, მსუბუქი მოტკბო გემო, შეიცავს ალკალინიდებს ქსანტინების ჯგუფიდან (ამ ჯგუფში შედის თეობრომინი და თეოფილინი), A ვიტამინს, B ჯგუფის ყველა ვიტამინს, ჭარბობს B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C, E, P, მიკროელემენტებს, მათ შორის S, Mg, K, Mn, Na, Fe, Cu, Cl. იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას, აუმჯობესებს საკვების მონელებასა და ღვიძლის მუშაობას, ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს სასმელის იმუნომასტიმულირებელ მოქმედებას.

**ჟაუქმედება:** მატეს ჩაის მიღება არ შეიძლება თეოფილინისა და თეობრომინის მიმართ ალერგიულად განწყობილ პირთათვის, მაღალი მეტანონისა და თირკმელების დაავადებებისას, ბავშვების, ფესმბიმე და მეტუმური ქალებისათვის.

**პარფიუმერიის ზე ან ფაგრეა –  
*Fagraea berteroana* A. Gray ex Benth. (syn. *F. berteriana*)  
ოჯ. ლოგანიასებრნი - Fam. Loganiaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული, მარადმწვანე, ხშირი ბუჩქია ხორცოვანი მუქი მწვანე ფოთლებითა და ფართო არომატული ძაბრისმაგვარი ყვავილებით, რომლებიც მჭიდრო ყვავილედებადაა შეკრებილი; გაშლის მომენტში ყვავილები თეთრია, თანდათანობით იძენს კაშკაშა ყვითელ შეფერილობას. ყვავილობს ადრე გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე.

**ისტორია და ძულტურის გავრცელება:** ძლიერ პოპულარული მცენარეა ჰავაის კუნძულებზე, აშშ-ში და აზიურ ქვეყნებში, სადაც ბუნებრივად არის გავრცელებული. კულტივირებულია აზიის მთელ რივ ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ყვავილების გამონაწერი გამოიყენება პარფიუმერიასა და კოსმეტიკურ მრეწველობაში.

**პეკანი - *Carya pecan Engl. et Graebn.***  
**ოჯ. კაკლისებრნი - Fam. Juglandaceae**



**მორფოლოგია:** ტანადი ხეა 30-60 მ სიმაღლის, 2,5 მ დიამეტრის ტანითა და ძლიერი ვარჯით. ფოთლები 50 სმ სიგრძისაა, 9-17 მოგრძო-ლანცეტა დაკბილული ფოთოლაკებით. მამრობითი მჭადა ყვავილები 15 სმ - მდე სიგრძისაა, სამ-სამი ფოთლის უბებიდან ამოდის. მამრობით ყვავილებში 4-6 მტკრიანაა. მდედრობითი ყვავილები შეკრებილია კონებად, 3-4 ცალი ყლორტების ბოლოებში. ნაყოფი მშრალი კურკაა კვერცხისებრი ან მოგრძო ფორმის, მუქი ყავისფერი გარეთა ნაწილით, რომელიც მომწიფებისას სკდება და მოგრძო ფორმის მერქნისებრი კურკით, რომელშიც თესლია მოთავსებული.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა, სადაც წარმოქმნის ფართო ტყეებს, განსაკუთრებით აშშ - ში (ტეხასი, ლუიზიანა, მისისიპი). ინდიელები უძველესი დროიდან იყენებდნენ ველურად მოზარდი პეკანის ნაყოფებს. XVIII ს-ში დაიწყეს მისი მოშენება ამერიკაში, XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში - ევროპაში, მათ შორის რუსეთშიც. საქართველოში მისი მოშენება მცირე ფართობებზე XX ს-ის ბოლოს იწყება, უმთავრესად აჭარაში. განსაკუთრებით ფართოდ ჩრდილოეთ ამერიკაში და ავსტრალიაშია გავრცელებული, სადაც მრავალი ჯიშია გამოყვანილი.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აშენებენ საკვებად გამოსადეგი თესლების, მყარი მერქანისა და დეკორატიული

მიზნებისათვის. თესლებს იყენებენ ნედლი და მშრალი სახით, გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში და სხვადასხვა სახის საკვების დასამზადებლად.

თესლები შეიცავს 71 მგ% - მდე ცხიმებს, 19 მგ% ცილებს, 14 მგ% ნახშირწყლებს, პროტეინებს, ფოლიუვის მჟავას, ვიტამინებს (A, E, B), მინერალურ მარილებს (Ca, Mg, Zn, P, K).

თესლიდან მიღებული ზეთი ზეთისხილის ზეთის მსგასია და ანალოგიურად იხმარება, კერძოდ: ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის დონის დაქვეითებას, აფერხებს ათეროსკლეროზისა და ვარიკოზის განვითარებას, სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა და იშემიური დაავადებების, თავის ტკივილების დროს; აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს, იცავს უჯრედებს, აღადგენს ძალებს; შეუცვლელია ასაკოვანი და დაავადებული ადამიანებისათვის სიფრთხილის ღონისძიებები: ფაქტოურად არ გააჩნია.

### **პერუს ბალზამი – *Myroxylon balsamum* (L.) Harms ოჯ. პარკოსანი – Fam Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** ტროპიკული მარადმწვანე 25-30 მ-მდე სიმაღლის ხეა სწორი გლუვი ტანით; მერქანი მუქი ყავისფერია მოწითალო გულით, ლპობისადმი მეტად გამბლეა ფისების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე. ფოთლები კაქნტფრთაროულია, 5-13 ფოთოლაკით უხვად შეფოთლილი. ყვავილები თეთრია, ფაშარ ყვავილედებად შეკრებილი, ბალზამის ძლიერი სურნელით. ნაყოფი 7-11 სმ სიგრძის პარკია ერთი თესლით.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ამერიკის ტროპიკებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ფის – ბალაზმს, რომელსაც ღებულობენ ქერქის დასერვით. ნედლი სახით წარმოადგენს მუქავისფერ სქელ მასას. ბალზამი შეიცავს 50-64% ზეთებს და 20-28% ფისებს. ეთერზეთების შემადგენლობაში ჭარბობს ბენზილბენზონატი, ბენზილცინამატი, დარიჩინის (8-10%) და ბენზოინის მჟავები, მცირე რაოდენობითაა – ნეროლიდოლი და ვანილინი.

ეთერზეთები მიიღება ნედლი ბალზამიდან, მცენარის ვარჯიდან და ნაყოფებიდან დისტილაციის გზით. ეთერზეთები გამოირჩევა მოტკბო, ბალზამის სუნით, რომელიც ვანილს, სუმბულის ყვავილების არომატს მოგავარებს. გამოიყენება მედიცინაში, ხასიათდება ანტიპარაზიტული, ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიული, ფუნგიციდური, ბალზამისებრი, ამოსახველებელი, მასტიმულირებელი აქტივობით; სპობს პარაზიტებს, ხელს უწყობს რეგენერაციის პროცესების სტიმულირებას, ეპითელიარული უკრედების ზრდას, აწესრიგებს გულის მუშაობას, ამაღლებს სისხლის წნევას, ამსუბუქებს რევმატიულ ტკივილებს, ამცირებს ლორწოს სეკრეციას. გამოიყენება ასთმის, გაციების, ქრონიკული წველებისა და ბრონქიტის, რევმატიული ტკივილების, ნაწოლების დროს.

არომათერაპიაში რეკომენდებულია ზეთის ან ბალზამის სპირტიანი ექსტრაქტის გამოიყენება მუნის, ფურუნგულოზის, რევმატიული ტკივილების, ნაწოლების, ინფიცირებული და ძნელად შესახორცებელი ჭრილობების, ნიკრისის ქარების, აგრეოვე კანის სხვადასხვა დაავადებებისას.

ტროპიკულ მედიცინაში ბალზამისაგან აწარმოებენ ზველების საწინააღმდეგო სიროფს. გამოიყენება პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებისა და საპნის წარმოებაში.

შინაურ პირობებში იხმარება კანის სიმშრალის, გამონაყრების, უზემის, წყლულისა და ჭრილობების შესახორცებლად.

**უპუქმედება:** შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები; უკამაჩენებელია ფეხმიმე ქალებისათვის.

**პერუს ონტკოფა – *Physalis peruviana* L.  
ოჯ. ძაღლყურძენასებრი – Fam. Solanaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბუჩქბალახოვანი მცენარეა 0,9-1,6 მ სიმაღლის უხვად შებუსული ღეროებით. ფოთლები გულისებრია, ოდნავ გოფრირებული, ხავერდოვანი, დაკბილული, 6-15 სმ სიგრძისა და 4-10 სმ სიგანის. ყვავილები ზარისებრია, ყვითელი, მუქი ისფერ-ყავისფერი, 5 ლაქით. ნაყოფი სფერული კენკრაა 1,25 – 2 სმ დამეტრის, გლუვი, პრიალა, ნარინჯისფერ-ყვითელი კანითა და წვნიანი რბილობით, მრავალრიცხოვანი წვრილი ყვითელი თესლით. მწიფე ნაყოფი მომჟავო-ტებილია, ყურძნის სასამოვნო არომატით. ონტკოფის სხვა სახეობების მსგავსად ნაყოფები მოთავსებულია ხეშეში ჩენჩხს გარსში, რომელიც წარმოიქმნება შეზრდილი ჯამის ფოთოლაკებისაგან. თესლი წვრილია, ოვალური, ბრტყელი, ბაცი ყვითელი.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** სამშობლო კოლუმბის, ჩილისა და პერუს მთიანი რაიონებია. ამჟამად ინტროდუცირებულია და კულტივირებული სამხრეთ აფრიკაში, ცენტრალური აფრიკის ზოგიერთ რაიონში, ავსტრალიაში, ინდოეთში, ჩინეთში, მალაიზიაში, ფილიპინებსა და ბელორუსში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მწიფე ნაყოფი ნედლი სახით საკებად გამოიყენება. მისგან ამზადებენ ჯემს, პუდინგებს, ხილის სალათებს, კოკტეილებს, მარინადებს, ღვინოს. ნაყოფი მდიდარია შაქრებით, ცილებით, პექტინებით, ლიმონის მჟავით, რკინით; შეიცავს C ვიტამინს, კაროტინს, ორგანულ

მჟავებს: ვაშლის, მჟაუნას, ქარვის, ღვინისა და ყავის, მთრიმლავ ნივთიერებებს.

ხასიათდება სასარგებლო სამკურნალო მნიშვნელობით. არის შარდმდენი, ნაღველმდენი, სისხლისშემაჩერებელი, ანტისეპტიკური და ტკივილგამაფუჩებელი თვისებების. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ორგანიზმიდან მძიმე მეტალების, რადიონუკლეიიდების, მოჭარბებული ქოლესტერინის გამოსაღევნად, როგორც შარდმდენი საშუალება შეშუცების, თირკმელებსა და შარდის ბუშტში ქვების დროს. ონტკოფაში აღმოჩენილი სტეროიდული ნივთიერებები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, გამაუმტკივნებელი, ზოგიერთი მონაცემით კიბოს საწინააღმდეგო ეფექტით. რეკომენდებულია ათეროსკლეროზის დროს.

**უძუქმედება:** არ არის მითითებული.

პიმენტა, სურნელოვანი წიწაკა ან მიხაკის წიწაკა

*Pimenta dioica* (L.) Merr. (=*P. officinalis* L.)

ოჯ. მირტისებრი - Fam. Myrtaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-20 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები შედარებით მსხვილია, ტყავისებრი, მუქი მწვანე, მოგრძო ოვალური და მახვილწვერიანი. ყვავილები მცირე ზომისაა, შეკრებილია წვეროსეულ ყვავილებებად. ნაყოფი მოლურჯო-მწვანე ფერის კენკრაა.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** სამშობლო ცენტრალური ამერიკაა, კარიბის აუზის კუნძულები. კულტივირებულია ინდოეთში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში (უმთავრესად ბრაზილიაში), კუბასა და იამაიკაზე. პიმენტას სანელებლის სახით ჯერ კიდევ აცტეკები ხმარობდნენ. ევროპაში გავრცელდა კოლუმბის მოგზაურობის შემდეგ და ხშირ შემთხვევაში შესცვალა შავი პილპილი.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აგროვებენ მოუმწიფებელ ნაყოფებს (*Fructus Pimentae*) და აშრობენ მზეზე სურნელოვანი სანელებლის მისაღებად. მოუმწიფებელი ნაყოფები შეიცავს 4% ეთერზეთებს, რომელიც შედგება 65-80% ევგენოლის, ცინეოლისა და ფელანდრენისაგან, ალინიშნება სხვა ნივთიერებებიც. საოცარი სურნელებით გამოირჩევა, თითქოსდა მასში შერწყმულია დარიჩინის, მიხაკის, შავი პილპილის, ჯავზის გაერთიანებული სურნელი. ფართოდ გამოიყენება კეებით მრავალობაში, კოსმეტიკურ წარმოებაში, საპნებისა და სუნამოების დასამზადებლად.

სასიათოება ძლიერი ანტისეპტიკური მოქმედებით. ნაყოფების ჩაი შველის კუჭის აშლილობას და მეტეორიზმს.

**უაუქმედება:** ძლიერი სანელებელია, გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

**პირშუშხას ხე ან მორინგა – *Moringa oleifera* Lam.**  
**ოკე. მორინგასებრნი- Fam. Moringaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული, სწრაფადმოზარდი, ტანადი, მარადმწვანე 10 მ-მდე სიმაღლის ხეა, ტოტებზე ჩამოკიდებული ფოთოსებრი ფოთლებით, რომლებიც წვრილ ფოთოლაკებინა, მოთეთრო-მოყვითალო არომატული ყვავილები კონებად იზრდება. ნაყოფი გრძელი ჭოტია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო პიმალაის მთისწინებია; ბუნებრივად იზრდება მრავალ ტროპიკულ რაიონში, აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში. სადღეისოდ მცენარე ფართოდაა კულტივირებული აფრიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, შრი-ლანკაზე, ინდოეთში, მალაიზიასა და ფილიპინებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მორინგას “სასწაულებრივ - ხეს” უწოდებენ, ცნობილია სხვა სახელწოდებებითაც, მაგ.: “ზეთოვანი ხე”, “პირშუშხას ხე”, “ხე-ჭოტი”, ხოლო აღმოსავლეთ აფრიკაში მოიხსენებენ “დედის სუპეთესო მეგობრის” სახელით. მცენარე, რომელიც დასავლეთში ნაკლებადაა ცნობილი, მეტად სასარგებლო და მნიშვნელოვანია, წარმოადგენს საკვები მცენარეების ლილერს, რომლის ყველა ნაწილი საკვებად გამოიყენება. მორინგის მთავარი ლირსება

ფესვებია, შეიცავს მრავალრიცხოვან საკვებ ნივთიერებებს და ფართოდ გამოიყენება აზიური ქვეყნების სამზარეულოში პირშუშხას შემცველად, ვინაიდან გემოვნებით მისი მსგავსია; ფოთლებიდან ამზადებენ სალათებსა და სანელებლებს; მერქნიდან – ღებულობებს საღებავს, თესლებიდან – ზეთებს, რომელიც დიდხანს არ ფუჭდება და გამოიყენება პარფუმერიულ მრეწველობაში სუნამოების დასამზადებლად, იხმარება კულინარიაშიც. ასევე იხმარება წვანე, უმწიფარი ნაყოფები - ჭოტები, ინდოეთში მწვანე ბარდის ან მწვანე ლობიოს ანალოგიურად გამოიყენება, მოხალული კი არის გემოვნებით და არომატით არაქისის მსგავსი. თესლები იხმარება დახალული ბარდისა და თხილის მსგავსად. ყვავილებზე აღნიშნავენ, რომ სოკოსმაგარი გემოვნებით გამოირჩევა. მშრალი ნაყოფებიდან ღებულობენ 38-40 % საკვებ ზეთს, რომელიც ცნობილია “ბენ ზეთის” სახელით, არის ბაცი, ტებილი, უსუნო, არასოდეს არ მძალდება, ზეთისხილის ზეთის მსგავსია.

ფოთლები შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობის ამინომჟავებს, ვიტამინებს, ცილებს, მინერალურ მარილებს. აღსანიშნავია, რომ მასში 7-ჯერ მეტია ვიტამინი C, ვიდრე ფორთოხალში, Ca - 4-ჯერ უფრო მეტია ვიდრე რძეში, 4-ჯერ მეტია ვიტამინი A სტაფილოსთან შედარებით, ცილები ორჯერ მეტია რძესთან მიმართებაში და სამჯერ მეტია K - ბანანთან შედარებით.

აფრიკაში მცენარის გამოზრდა სამკურნალო მნიშვნელობიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივი მასტებით წარმოებს. სპეციალისტების აზრით მეტუმური დედების საკვებ რაციონში დამატებული ფოთლები ხელს უწყობს რძის მეტი რაოდენობით გამომუშავებას, ხოლო მანანის ბურღულში ფოთლების დამატებით იზრდება ბაგშებისათვის საკვები ნივთიერებების შემცველობა. თესლები ხასიათდება ანტიმიკრობული და ბაქტერიციდული მოქმედებით. ათასეული წლებია, რაც გამოიყენება წყლის გასასუფთავებლად, მღვრიე წყალში ჩაყრილი დანაყილი თესლები წყალს გამჭვირვალეს ხდის.

ხალხური მედიცინის სპეციალისტების მიერ დიდიხანია გამოვლენილია, რომ ყვავილებით, ფოთლებითა და ფესვებით ინკურნება სხვადასხვაგვარი სიმსიგნები, თესლით კი მუცლის სიმსივნე.

მედიცინაში ფართოდ გამოყენება პროფილაქტიკურ საშუალებად. ინდოეთის უძველეს ტრადიციულ სამედიცინო ძეგლში - აიურ-ვერდაში ნათქვამა, რომ ფოთლები 300 -ჯერ მეტი დაავალების აცილებას ახდენს.

ინდოეთში 1976 წელს პირშუშხას ხე დიდ მასშტაბებში დაირგა ქაღალის მრეწველობისათვის მერქნის ნედლეულად გამოყენების მიზნით. მერქნიდან ამზადებენ ლურჯ საღებავსაც.

**უძუქმედება:** არ არის დადგენილი.

**პომელო – *Citrus maxima* Merr.**  
**ოჯ. ტევანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული მარადმწვანე 15 მ-მდე სიმაღლის ხეა სფერული ვარჯით. ფოთლები მსხვილია, მუქი მწვანე; ყვავილები თეთრია, 3-7 სმ დამტეტრის, მარტოული ან 2-10 ცალი წვეროსეულ ყვავილებად შეკრებილი. ნაყოფი მომრგვალოა, სქელი კანით, დაყოფილია მსხვილ ნაკვთულებად, გადატიხრულია გასქელებული, ხეშეში ტიხრით, თითოეულ მათგანში ერთი თესლია. მწიფე ნაყოფი ბაცი მწვანედან მოყვითალო შეფერილობისაა, გრეიიტრუტზე უფრო მსხვილია, მისგან განირჩევა მსხვილი ბოჭკოთი და ტკბილი გემოთი. პომელო ციტრუსოვან ხეხილოვან კულტურებს შორის ყველაზე მსხვილნაყოფიანია, მისმა წონამ შეიძლება 10 კგ-ს მიაღწიოს, დამეტი -30 სმ-ია. ნაყოფის რბილობი სხვა ციტრუსოვნებთან შედარებით უფრო მშრალია.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სამშობლო აზის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონები, მალაიზია, ტონგასა და ფიჯის კუნძულებია. ჩინეთში ცნობილი იყო ჩვენს ერამდე ბევრად აღრე. ევროპაში შეტანილ იქნა ზღვაოსნების მიერ.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი შეიცავს: მშრალ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ცილებს, ცხიმებს, უჯრედისს, ნაცარს, მინერალურ მარილებს, კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას, ნატრიუმს, ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>5</sub>, ბეტა-კაროტინს). 100 გ რბილობის კალორიულობა 25-39 კკალორიას შეადგენს.

კალიუმი, რომელსაც ნაყოფები შეიცავს აუცილებელია გულ-სისლძარღვთა სისტემისთვის, კალციუმი – ამაგრებს ორგანიზმის ძვლოვან სისტემას, ფოსფორი – სასარგებლოა ტვინის მოქმედებისთვის, ვიტამინები ხელს უწყობს ორგანიზმის ვირუსებთან ბრძოლაში; განსაკუთრებული ფერმენტები ახდენს ცხიმის გახლეჩვას; დამტკიცებულია, რომ მასში არსებული ლიმონიდები აჩერებს კიბოს უჯრედების დაყოფას. ნაყოფის ქერქის შემცველი ბიოფლავონოიდები სასარგებლოა დიეტური კებისათვის ნაწლავების დაავადებებისას, კუჭქეშა და სარძევე ჯირკვლებისათვის. პომელო გამოიმუშავებს ფერმენტებს, რომლებიც იწვევს ორგანიზმში შაქრის შთანთქვას, რეგულარული გამოყენების შემთხვევაში - გახდომას.

აწყნარებს ხველებას, ხელს უწყობს სისხლძარღვების ელასტიურობას; გამოიყენება როგორც დიეტური პროდუქტი აგრეთვე ციებ-ცხელებისა და დიაბეტის დროს. ფორთოხლის მსგავსად, მიღება როგორც ანტიდეპრესანტი. სასარგებლოა ფეხმძიმე ქალებისათვის. ფოთლებით მკურნალობებ წყლულებსა და შეშუბებებს.

**უკუქმედება:** ნაყოფის რეგულარულად გამოყენებისა და მკურნალობის შემთხვევაში სასურველია ექიმის კონსულტაცია.

**პურის ხე - *Artocarpus altilis* L.  
ოჯ. თუთისებრნი - Fam. Moraceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული საქმაოდ მსხვილი 20-26 მ სიმაღლის სწრაფმოზარდი ხეა, რომელიც მუხას მოგვაგონებს; ქერქი ნაცრისფერია, გლუვი; ტოტების ერთი ნაწილი სქელია, შეფერდული გვერდითი ტოტებით, მეორე ნაწილი გრძელი და წვრილია, წვერებზე ფოთლის კონებით. ფოთლები საოცრად ნაირგარია, ერთ ხეზე აღინიშნება მთლიანი და ფრთისებრგანკვეთილი, სხვადასხვა ხარისხის შებუსვით. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მარადმწვანე და ფოთოლმცვენი. ყვავილები წვრილია, უსახური, მწვანე; პირველად იშლება მამრობითი ყვავილები, შეკრებილია მოვრძო ყვავილედებად; მდედრობითი ყვავილები მსხვილი კვერთხისებრი ფორმის ყვავილედებადაა წარმოდგენილი, რომლებიც მომრგვალო გირჩისებრ ნესვის მსგავს დიდი ნაყოფედად შეიზრდება. ნაყოფები თითო-თითოდ ან მტევნებადაა განწყობილი ტოტების წვერებზე, ახალგაზრდა ნაყოფები მწვანეა, მომწიფებასთან ერთად ყვითლდება, ბოლოს მოყვითალო-ყავისფერი შეფერილობის ხდება, 30 სმ დიამეტრისაა, 3-4 კგ წონის; უმწიფარ სტადიაში - მაგარია, სახამებლიანი, ბოჭკოვანი თეთრი რბილობით, მომწიფების შემდეგ ყვითლდება და მოტკბო გემოს იძენს. არსებობს პურის ხის ორი ნაირსახეობა – “ველური”, მათი ნაყოფები თესლებს შეიცავს და კულტურული - უთესლოა.

ერთ-ერთი ყველაზე მაღალმოსავლიანი ხე მცენარეა, წელიწადში იძლევა 150-700 ცალ ნაყოფს; ნაყოფმსხმოიარობს 9 თვის მანძილზე, რაც ასე განუწყვეტლივ 60-70 წელი გრძელდება.


**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ახალი გვითაა, საიდანაც პოლინეზიელებმა ოკეანეთის სხვა კუნძულებზე შეიტანეს. პირველი იყო ინგლისელი ზღვაოსანი, რომელმაც ევროპელებს აცნობა საოცარ ხეზე, რომლის ნაყოფები აბორიგენებისათვის პურის შემცვლელელად გამოიყენებოდა. XVIII ს-ის ბოლოს იამაიკაზე დიდი შიმშილობის შემდეგ წარმოიშვა იდეა, რომ აქ გაეშენებინათ პურის ხე, როგორც იაფი და კალორიული საკვები პლანტაციის მონებისათვის (საინტერესოა, რომ გვარის სახელი Artocarpus, წარმოსდგება ბერძნულიდან, artos – პური, carpus – ნაყოფი). მართლაც 1793 წლიდან დაიწყო ამ კულტურის პლანტაციების გაშენება იამაიკასა და კუნძულ სენტ-ვინსენტზე, შემდეგ გავრცელდა ვესტინგოუთის სხვა კუნძულებზეც. ამჟამად კულტივირებულია მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამჩრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით ოკეანეთის კუნძულებზე პურის ხე საკვების მნიშვნელოვანი წყაროა. მას აშრობენ, ხარშავენ, აშაქრებენ, ამზადებენ ნამცხვრებს. საჭმელად ნედლი სახით ბანანების მსგავსად გამოიყენება, უმწიფარი ნაყოფები ბოსტნეულის სახით, ხოლო მწიფე - ტებილი ხილის იდენტურად. შემწვარი ნაყოფები უფრო კარტიფილის მსგავსია, ვიდრე პურის. ნედლი რბილობისგან ამზადებენ ცომს და აცხობენ პურს. ნედლი რბილობი სწრაფად ფუჭდება, რის გამოც აშრობენ და ამ სახით რამდენიმე წელს ინახავენ. თესლებიც გამოიყენება საკვებად მოხარშული და დახალული სახით. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს წებოვან რძე-წვენს ლატექსს. მშრალი ნაყოფის რბილობში აღინიშნება 4,05% - ცილები, 76,70% - ნახშირწყლები და 331 კგალ. 100 გ-ზე. პურის ხის საკვები მნიშვნელობა 100 გ-ზე: 60-80% - სახამებელი, 14% - შაქარი, 0,2-0,8% - ცხიმები. ხოლო კარაკასის (ვენესუელა) საკვლევი ინსტიტუტის მონაცემებით პურის ხის ნაყოფის

რბილობი შეიცავს 98,86% სახამებელს და 0,06% - ცილებს. თესლების საკვები მნიშვნელობა 100 გ-ზე: 34 გ ნახშირწყლები, 29 გ ცხიმები, 15 გ ცილები.

**უპუქმედება:** არ გააჩნია.

**უენშენი – *Panax ginseng* C.A.Mey  
ოჯ. არალიასებრნი - Fam. Araliaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 30-70 სმ სიმაღლის ბალაზოვანი მცენარეა; ფესვი მთავარღერძა, წვნიანი, 2-6 ნაწილად დატოტვილი, 20-25 სმ სიგრძის და 2-2,5 სმ სიგანის, მოგრძო-ცილინდრული ფორმის, ყვითელი ან მოთეთრო შეფერილობის; ფესვის ზედა ნაწილში ჩანს ”ყელი”, პატარა სიგრძივი ნაოჭიანი ფესურით და 2-3 მოზამთრე კვირტით; ინვითარებს ერთ მიწისზედა, სწორ, წვრილ დეროს, რომლის ფუძესთან რამდენიმე ფოთლისეული ქერქლა, 2-5 ფოთლისგან შემდგარი წვეროსეული როზეტით; ფოთლები თათისებრფრთართულია, გრძელყუნწიანი, ღეროს წვერზე რგოლებად შეკრებილი. ღერო და ფოთლები ისფერ-ძოწითალო ელფერითაა; ფოთლების რგოლების ცენტრიდან ამოდის საყვავილე ისარი, რომელიც ინვითარებს მარტივ ქოლგებად შეკრებილ მომწვანო-მოთეთრო შეფერილობის ყვავილებს. ნაყოფი კაშკაშა წითელი, ოდნავ თირკმლისებრი, ხორცოვანი ქენქრაა (2-3 კურკით). ყვ. VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ჟენშენი რელიქტური მცნარეა, უძველესი გეოლოგიური ეპოქის მცნარეული საფარის გადარჩენილი წარმომადგენელი. გვაოცებს თავის სიცოცხლის ხანგრძლივობით, რაც უზვეულოა ბალახოვანი მცნარეებისათვის. 1905 წელს მანჯურიაში რკინიგზის მშენებლობისას ნაკონი იქნა ჟენშენის უნიკალური ძირი, რომელიც 200 წლის იყო, ხოლო მისი ფესვი 600 გრამს იწონიდა, მაშინ როდესაც 100-200 გრამიანი ფესვები იშვიათობას წარმოადგენს. ფესვი გაყიდული იქნა შანხაიში 5000 დოლარად, რაც სპეციალისტების აზრით მისი საფასურის ნახევარ ფასს შეადგენდა.

ჟენშენი ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, კორეასა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, უსურის ტაიგაში. იზრდება ხელშეუხებელ ფართოფოთლოვან - წიწვოვან ტყეებში კედართან ერთად ერთულ ეგზემპლარებად ან ოჯახებად (100 მცნარე და უფრო მეტიც).

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს. შეიცავს: პანაქს-საპონინს, ეთერზეთებს - პანაცენს, მის შემადგენლობაშია - სესკვიტერპენები, პანაქსინის მჟავა, რომელიც შედგება ცხიმოვანი ზეთების ნარევებისაგან: პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლინის, გინზენინის, ფიტოსტერინის, ლორწოს, ფისების, ფერმენტების, ვიტამინების (B,B<sub>1</sub>), ლერწმის შაქრის, მცირე რაოდენობით დაუდგენელი ალკალინების, ფოსფორის, გოგირდისა და მიკროელემენტებისაგან: P,K,Ca,Mg,Na,Fe,Al,Si,Sr,Mn,Ti.

1596 წელს გამოცემულ ჩინურ ფარმაკოპეაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მცნარეს, რომელიც ორი იეროგლიფით აღინიშნება “უნ” – ადამიანი და “შენ”- ფესვი. მცნარის ფესვი მართლაც ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს. ჩინეთში სამკურნალო მიზნით 3000 წლის წინათ გამოიყენებოდა. მის სამკურნალო თვისებებზე უამრავი ლეგენდა არსებობს. მას მიაწერდნენ არა მარტო ყველა დაავადების განკურნების თვისებას, არამედ მომაკვდავ ადამიანში თვით სიცოცხლის ჩასახვის უნარსაც კი. ხალხში მას უწოდებენ “სასიცოცხლო ფესვს”, “შსოფლიოს საოცრებას”. ევროპაში მისი სასიცოცხლო თვისებები პირველად

XVII ს-ში გახდა ცნობილი. უენშენის სამშობლოში მოგზაურ პირებს ევროპაში ჩამოჰქონდათ ცნობები ამ საოცარი მცენარის შესახებ, რომელიც ყველა დაავადებას კურნავდა. აქედან გამომდინარე ცნობილმა შვედმა ბოტანიკოსმა კარლ ლინემ 1753 წელს ლათინურად უწოდა “Panax”, რაც “ყოვლის მკურნალს” ნიშნავს.

საღვეისოდ ოფიცინალურ მედიცინაში უენშენის პრეპარატები გამოიყენება ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობის, დაქვეითებული შრომისუნარიანობის, ხანგრძლივი, მმიმე ავადყოფოვობის შემდეგ გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის ფუნქციონალური დარღვევების, სასქესო ორგანოების ჰიპოფიუნქციის და ფუნქციონალური, ნერვული და ფსიქიური დაავადებების (ნევროზები, ნევრასტენია, ფსიხოსტენია და სხვ.), ქრონიკული და ანაციდური გასტრიტების დროს. ხელს უწყობს ტკივილების გაქრობას, მაღის აწევას, არეგულირებს კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციას, არტერიულ წნევას.

**უაუქმედება:** არ შეიძლება უენშენის პრეპარატების მიღება ჰიპერტონიის საწინააღმდეგო, გულისა და ანტიბიოტიკურ საშუალებებთან ერთად.

### რამბუტანი – *Nephelium lappaceum* L. ოჯ. საპინდასებრი - Fam. Sapindaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ხეხილოვანი 25 მ-მდე სიმაღლის

ტროპიკული მცენარეა გადაშლილი ვარჯით. ფოთლები კენტფრთართულია, 2-8 ოვალური ან გაერცხისებრი ტყავისებრი ფოთოლაკებით. ყვავილები წვრილია, შეკრებილია ტოტების ბოლოებზე დატოტვილ ყვავილებად. ნაყოფი მომრგვალო ან ოვალურია 3-6 სმ დიამეტრის, იზრდება მტევნებად, მომწიფებასთან ერთად იცვლის შეფერილობას მწვანედან მოყვითალო-ნარინჯისფრამდე, შემდეგ კაშკაშა წითელ ფერს იძენს. დაფარულია მკვრივი, რბილობიდან ადვილად მოსაცილებელი ქერქით, რომლებიც მოფენილია ზეშეში, მუქი ყავისფერი, 2 სმ-მდე სიგრძის, წვერში მოკაკული ბეწვებით. რბილობი თეთრია ან ოდნავ მოწითალო, არომატული, სასიამოვნო მომჟავო-მოტკბო გემოთი. თესლი მსხვილია, ოვალური 3 სმ-მდე სიგრძის, ყავისფერი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა, კულტივირებულია ამ რეგიონის მრავალ ქვეყანაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას, ნიკოტინის მჟავას, ვიტამინებს: C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>. ნაყოფებს ხმარობენ ნედლი და დაკონსერვირებულის სახით. ფესვები, ქერქი და ფოთლები გამოიყენება საღებავებისა და ქსოვილების წარმოებაში. ნაყოფის ქერქს იყენებენ ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა დანიშნულებით. ხოლო თესლებისაგან მიღებულ ზეთს საპნისა და სანთლების წარმოებაში.

**უკაშქმედება:** არ არის დადგენილი.

**რაუვოლფია - *Rauwolfia serpentina* Benth.**  
**ოჯ. ქენდირისებრნი - Fam. Apocynaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, მცირე ზომის 20-დან 50 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები რგოლურადაა განწყობილი, მკვრივია, შიშველი, ელიფსური ან მოგრძო-ოვალური, ოდნავ წამახვილებული და მოკლე ყუნწად შევიწროებული. ყვავილი თეთრია, იშვიათად ვარდისფერი, მილისებრი, 5-ნაკვთიანი, შეკრებილია ხშირ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი წითელი, სფერული კენკრაა, ორი წვნიანი კურკით, რომელებიც შუამდეა შეზრდილი.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ინდონეზიაში, ბირმაში, ინდოეთში, პერუში, ბენგალიაში, ჰიमალაიზე, კუნძულ იავასა და შრი-ლანკაზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს, რომელიც დიდი რაოდენობის აღკალიოდებს შეიცავს, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვანს, როგორიცაა რეზერპინი, რაუნატინი, რაუვოლფინი და სხვ. უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სხვადასხვა მწერებისა და გველების ნაკბენების დროს, ქლოერის, ფალარათის, მუცლის ჭიების საწინააღმდევოდ, დამაშვიდებლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და აქვეითებს სისხლის წნევას.

თანამედროვე მედიცინაში რაუვოლფიის კომპონენტების საფუძველზე მიღებულია უამრავი პრეპარატი, რომლებიც მოელი რიგი დაავადებების საწინააღმდევოდ გამოიყენება. ხასიათდება

საოცარი სედატიური მოქმედებით მანიაკალური ქცევის, მოუსვენრობის, ეპილეპსიის, ფსიქიური დაავადებების, ქრონიკული უძილობის დროს. მას უნიშვევენ როგორც ეფექტურ ჭიისმდენ საშუალებას, ციებ-ცხელების (მაღარია), სხვადასხვაგვარ დერმატოზების დროს.

პრეპარატების სამკურნალო მოქმედება დაფუძნებულია ცალკეულ გამოყოფილ ალკალოიდებზე. როგორც წესი, რეზერპინი გამოიყენება როგორც ჰიპოტენზიური და ანტიარითმიული საშუალება, ვინაიდან ხელს უწყობს არა მარტო ძილის აღდგენას, არამედ აქვეითებს ტვინში დოფამინის, სეროტონინისა და ნორადრენალინის შემცველობას. ჰიპერტონიის დროს ასეთი პრეპარატები საერთოდ შეუცვლელია, ნერვულ სისტემაზე მისი დადებითი მოქმედებიდან გამომდინარე. რაუნატინის რეგულარული მიღებით იხსნება თავის ტკივილების სიმძიმე, გაღიზიანება და თავბრუსხვევები.

თანამედროვე ჰომეოპატების მიერ დამტკიცებულია რაუგოლფიის ეფექტურობა არა მხოლოდ ჰიპერტონიის, აგრეთვე დეპრესიებისა და სხვადასხვა სახის ნევროზების დროსაც.

**შკუქმედება:** რაუგოლფიის გამოყენებისას დოზის გადაჭარბებამ ან არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დარღვევები სისხლის მიმოქცევის სისტემაში, აღინიშნება მძიმე დეპრესიაც, იშვიათად მოძრაობის შენელება. მკურნალობის დაწყების წინ აუცილებელია ექიმთან კონსულტაციის მიღება.

**როდიოლა ან ოქროს ფესვი, ვარდისფერი ფესვი –  
*Rhodiola rosea* L.**

**ოჯ. შუქანასებრნი - Fam. Crassulaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 40 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფესურა სქელია, პრიალა, პერლმუტრისებრი; სწორედ მისი ოქროსფერი გახდა მიზეზი, რომ მრავალმხრივი სასარგებლო სამკურნალი თვისებების გამო უწოდეს “ოქროს ფესვი”. ინვითარებს 15-მდე დაუტოტავ დეროს. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო-კვერცხისებრი, ელიფსური, წაწვეტებული, ზედა ნაწილში დაკბილული. ყვავილი მრავალრიცხოვანია, ყვითელი, შეკრებილია ფარისებრ ყვავილებად. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია რუსეთში: ალტაი, აღმ. ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, თეთრი და ბარენცის ზღვის რაიონები. იშვიათ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, შეტანილია რუსეთის წითელ წიგნში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ცნობილი სამკურნალო მცენარეა, მას ციმბირის უენშენსაც უწოდებენ. სამკურნალო ნედლეული ფესურაა, რომელიც მნიშვნელოვანი ნივთიერებების ნამდვილი საცავია, აღინიშნება ეთერზეთები, მთრიმლავი ნივთიერებები, ადამიანის ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი 20-მდე მიკროლემზნტი, ასკორბინის, ნიკოტინის, ვაშლის და ღვინის მჟავები და სხვ. ფესურა ვარდის ზეთის

სურნელებისაა. ყვავილობის დასასრულს (VII) იწყება ნედლეულის დამზადება და გრძელდება ზაფხულის ბოლომდე. გამრობისას უკუმაჩვენებელია მზის პირდაპირი სხივები, სამკურნალო თვისებებს ფესურა 2 წელს ინარჩუნებს.

როდიოლას პრეპარატები მატონიზირებელი მოქმედებით ხასიათდება, ასტიმულირებს ადამიანის ორგანოებისა და სისტემის დინამიურ და სტატიურ მუშაობას, ხსნის მაღალი დატვირთვის ფონზე წარმოქმნილ დაღლილობას, სწრაფად აუმჯობესებს ენერგეტიკულ ცვლას, ააქტიურებს უანგვით პროცესებს, ამაღლებს გონებრივი შრომის უნარს, მახსოვრობასა და ყურადღებას.

ამავე დროს კურნავს გულ-სისხლძარღვთა, კანისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, ნიკრისის ქარებს, შაქრიან დიაბეტს, ანემიას, იმპოტენციას, პიპოტონიას (ახდენს არტერიალური წნევის ნორმალირიზებას).

გამოიყენება კვებით მრეწველობაშიც. ნორჩ ფოთლებს სალათებს უმატებენ. ფესვებიდან ამზადებენ დიეტურ სასმელებს (ნახარშები, კისელი, კომპოტები), სამკურნალო ტებილეულს (კანფეტები, მურაბები, ჰასტები), რომლებიც ხასიათდება გამაჯანსაღებელი ეფექტით.

**უკუმედება:** მცენარე ხასიათდება მძლავრი სამკურნალო ეფექტით, მაგრამ ღოზის გადაჭარბებამ შეიძლება უკუ ეფექტი გამოიწვიოს, კერძოდ: გაღიზიანება, უძილობა, ტკივილები გულის არეში. უკუმაჩვენებელია პიპერტონიული კრიზის, მაღალი აღგზნებადობის დროს.

**როზმარინი - *Rosmarinus officinalis* L.**  
**ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 0,5 - 2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი. ფოთლები მოგრძო საზურია, ბლაგვი, თითქმის მჯდომარე, მოპირისპირე, ტყავისებრი, კიდემთლიანი, ზედა მხრიდან პრიალა, მწვანე შეფერილობის, ქვედა მხარეს - ქერისებრი, მონაცრისფრო-თეთრი, მკვეთრად გამოსახული შუა ძარღვით, 1,5-3,5 სმ სიგრძისა და 1,5-3 მმ სიგანის; მათ უბეებში ვითარდება 4-6 ფოთლიანი მოკლე ყლორტები. ყვავილები შეკრებილია მოკლე უბისეული ყლორტების ბოლოებზე, 5-10 ცრუ მტევნებად; ჯამი ორტუბაა, სამქბილა, გვირგვინი მოლურჯო-ისფერია, ზედა ტუჩი ორადაა გაყოფილი, ქვედა - უფრო გრძელია, სამაღაყოფილი, მსხვილი შუა ნაკვთით. მტვრიანა 2, გვირგვინიდან გამოყოფილი. ნაყოფი მშრალია, იშლება 4 ერთეულიან, მურა ფერის კაკლუჭად; თესლი უენდოსპერმოა. ყვ. II-V; ნაყ. VI-VII. აღინიშნება მეორადი ყვავილობა შემოღომით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივი გავრცელების ოლქია ხმელთაშუაზღვეთის ქვეწები, სადაც ამავდროულად უძველესი დროიდანაა კულტივირებული, ზოგჯერ ველურდება და აკლიმატიზირდება. ალბების ჩრდილოეთით უძთავრესად საბაღო, ხოლო ინგლისში მინდვრის კულტურაა. საქმაოდ ვარიაბილური სახეობაა, არსებობს რამდენიმე ქვესახეობა,

ზოგიერთ მათგანს, ალჟირში გავრცელებულს, მიუთითებენ როგორც სახეობას.

ამჟამად, სამრეწველო ნარგაობები არსებობს ესპანეთში, საფრანგეთში, ალჟირში, ტუნისში, ინდოეთში, ალბანეთში, სლოვაკიასა და თურქეთში. 1816 წელს შეტანილ იქნა ყირიმსა და ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში, შემდგომ გავრცელდა საქართველოშიც, სადაც უმთავრესად დეკორატიულ მებაღეობაში გამოიყენება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ეთერზეთოვანი მცენარეა; ხასიათდება სასიამოვნო, მკვეთრი არომატით; ეთერზეთები აღინიშნება ფოთლებში, მოკლე უბისეულ ყლორტებში და ყვავილებში (1-2 მგ%-ძეგ), რომლის შემადგენლობაშია პინენი, კაბჭვენი, პინეოლი, ბორნეოლი, ბორნილაცეტატი, ლიმონენი, ფელანდრენი, მირცენი და სხვ., აღინიშნება მთრიმლავი ნივთიერებებიც.

ფოთლები ხასიათდება სუნელ-სანელუბლიანი გემოთი, გამოიყენება ხორცისა და თვეზეული კერძების საკმაზად, საკონდიტრო და ლიკიორის საწარმის გემოს მისაცემად; უმატებენ სალათებს, კონსერვებს, ბოსტნეულ წვინიანებს, მარინადებს და სხვ. მისი კერძებში გამოყენება ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას, აუქვაბესებს საკვების მონელების პროცესებს, ამაღლებს იმუნიტეტს, სასარგებლოა ფიზიკური უძლურების, ჰიბროტონიის, მეტეორიზმის, სტრესებისა და ნერვული აშლილობისას.

სამკურნალო მიზნებისათვის იხმარება ნორჩი, ერთწლოვანი ყლორტები და ფოთლები. ხასიათდება ნაღველმდენი, შარდმდინი, მადეზინფიცირებელი, ანთების საწინააღმდეგო, მატონიზირებელი, ჭრილობების შემახორცებელი, ანტიდეპრესიული, ანტიოქსიდანტური მოქმედებით. მას იყენებენ კლიმაქსის, სქესობრივი სისუსტეს, თეთრი შლის, გაციების (ზველების საწინააღმდეგოდ და დამარბილებელი), გულის მრავალი დაავადებების, განსაკუთრებით პერიკარდიტების დროს.

ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკოლოგიაში, როგორც ძლიერმოქმედი საშუალება ცელულიტისა და სიმსუქნის საწინააღმდეგოდ; დადებითად მოქმედებს კანზე, ასტრიმულირებს სისხლის მიმოქცევას

და ხელს უწყობს გაახალგაზრდავებას, მისგან ამზადებენ ლოსიონებს. მეტად ღირებულია როზმარინის ეთერზეთები, ხასიათდება ანტისეპტიკური მოქმედებით და გამოიყენება ფერიმჭამელებისა და ფურუნგულების გამონაყრების, ეგზემის, ინფიცირებული ჰრილობების, აბსცესების დროს; ეთერზეთები განსაკუთრებით ეფექტურია თავის კანზე შესაზელად, ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის პროცესებს, იწვევს მატონიზირებელ და მაღეზინფიცირებულ მოქმედებას, სპობს ქერტლს.

ხალხურ მედიცინაში მისი პრეპარატები იხმარება როგორც მატონიზირებული საშუალება ნევროზების, იმპოტენციის, გაციების, რევმატიზმის, ბრონქიალური ასთმის, სისხლნაკლებობის, გინგივიტის, სტომატიტის, ფარინგიტის, ძნელად შესახორცებელი წყლულების დროს. სამკურნალოდ იყენებენ ნახარშებს, ნაყენებს, ეთერზეთებს, ხოლო რევმატიზმისა და რადიკულიტის დროს აბაზანებს როზმარინის ფოთლებით. ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ ხალხური მედიცინა გვთავაზობს მშრალი, დაქუცმაცებული ფოთლების მოწევას.

**უძუქმედება:** უკუმაჩვენებელია ფეხმიმე ქალებისა (სასტიგად აკრძალულია) და ბავშვებისათვის, ეპილეპსიის, კანის მაღალი მგბნობელობის, ჰიპერტონიისა და კრუნჩევებისადმი მიღრეპილების დროს.

**რძიანა (პალასის ან ფიშერის) – *Euphorbia fischeriana* L.  
ოჯ. რძიანასებრი - Fam. Euphorbiaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე 20-25 სმ სიმაღლის ღეროთი და მძლავრი, ხორცოვანი, სქელი მთავარღერძა ფესვით, აქედან მისი მეორე სახელი “კაცური ფესვი”. ღერო მთლანად ფოთლებითაა შემოსილი, მოგრძო ელიფსურია, წაწვეტებული. ყვავილები მომწვნო-ყვითელია, ქოლგისებრ ყვავილედებად შეკრებილი. მთელი მცენარე უხვად გამოჰყოფს რძისებრ წვენს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელების ძირითადი ადგილსამყოფელია მონღოლეთი, აღმოსავლეთ ციმბირი და ჩინეთი.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აღნიშნული სახეობა გვარის სხვა სახეობებთან შედარებით სამკურნალო მნიშვნელობით გამორჩეულია და დიდი ზანია მეცნიერების კვლევის ობიექტია.

სამკურნალო ნედლეული ფესვებია. მის შემადგენლობაშია ლაქტონები, რომლებიც გამოირჩევა სიმსივნის საწინააღმდეგი და ანტიბაქტერიული აქტივობით. დადგინდა, რომ რძიანას პრეპარატები ამუხრუჭებს სიმსივნის უკრედებისა და მეტასტაზების განვითარებას, არეგულირებს ქალის სასქესო ჰორმონების ცვლას, კურნავს ანემიას, საშვილოსნოს მიომასა და მასტოპატიას, ასტიმულიორებს სისხლისმიმოქცევას, ხელს უწყობს სისხლის აღდგნას ქიმიოთერაპიის შემდგომ, გამოიყენება ლეიკოზიის დროს; ასევე წარმატებით კურნავს თირკმელებისა და

შარდის ბუშტის დაავადებებს, ეპილეპსიას, ტუბერკულოზს, კუჭის წყლულს.

ითვლება, რომ ფესვების სიმსიგნის საწინააღმდეგო მოქმედება განპირობებულია მისი უნარით აამაღლოს ორგანიზმის დამცველი ძალები და გააძლიეროს იმუნური სისტემა. მიჩნეულია ყველა დაავადების ადრეულ პროფილაქტიკურ საშუალებად.

ტიბეტურ ხალხურ მედიცინაში იხმარება ციმბირული წყლულის, სიმსივნეების, ჩირქეროვების საწინააღმდეგოდ. ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში მისით მკურნალობდნენ კანის, სახსრებისა და ძვლების ტუბერკულოზს, ლიმფურ კვანძებს, წინამდებარე ჯირკვლის ადენომას, ქრონიკულ პროსტატიტს, საკვერცხეების დაზიანებას.

**შაშქმედება:** წვენი ძლიერ ტოქსიკური და შხამიანია!

### რძის ან ძროხის ზე –

**Brosimum galactodendron D.Don. ex Sweet.**

(= *Galactodendron utile H.B.K.*)

ოჯ. თუთისებრნი - Fam. Moraceae



**მორფოლოგია:** 30 მ სიმაღლის მარადმწვანე ზეა, მსხვილი დისკოსებრი ფესვებით. მერქანი მძიმე და მყარია. მოწითალო-ოქროსფერი, ქერქი გლუვია. ფოთლები მთლიანია, დიდი ზომის,

კერცხისებრი, მახვილწვერიანი, ტყავისებრი, მუქი მწვანე. ყვავილები ერთსქესიანია, შეკრებილია თაგაკისებრ ყვავილედებად. ნაყოფი ცილინდრული კენკრაა, მრავალი თესლით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სახეობის ბუნებრივი არეალია ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტროპიკები. კულტივირებულია ტროპიკულ აზიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** თუთისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლების მსგავსად ხის ტანი გამოჰყოფს რძისებრ წვენს, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით არ არის შხამიანი, გამოიყენება საკვებად, არის გემრიელი და სასარგებლო. ადგილობრივი მაცხოვრებლები ამ რძეს მუდმივად ხმარობენ, ევროპელებშიც ინტერესით სარგებლობს. მის მისაღებად ბურღავენ ხის ტანს და სულ რაღაც ნახევარ საათში ნახევარლიტრს ღებულობენ, მას ძროხის რძის იდენტურად იყენებენ.

რძის წვენი შეიცავს წყალს (57%), მცენარეულ ცვილს (37 %), შაქარსა და ფისებს (5-6 %); განსხვავებით ნამდვილი რძისგან, უფრო სქელი და ბლანტი კონსისტენციისაა, ხასიათდება ბალზამის არომატით. შემადგენლობით ახლოა ძროხის რძესთან და გვაგონებს შაქრიან ნაღებს. “რძე” ერთი კვირის განმავლობაში თვით ტროპიკებშიც კი არ ფუჭდება, წყალში კარგად იხსნება, არ დედება; ადგილობრივი მოსახლეობა მას იყენებს ძუძუმწოვარა ბავშვების საკვებად. რძის აღუღებისას წარმოიქმნება ხაჭოს მსგავსი მასა. მცენარის რძის წვენი გამოიყენება არა მხოლოდ სასამოვნო სასმელად, არის აგრეთვე ეჯექტური საშუალება ასთმის სამკურნალოდ. დიეტოლოგების მიერ რეკომენდებულია როგორც ბავშვებისათვის, ასევე მოხუცებში ძალის შესანარჩუნებლად. რძის აორთქლებისას რჩება სქელი ყვითელი ნივთიერება, რომელიც ფუტკრის ცვილს წააგავს, მისგან ამზადებენ სანთლებს, საღეჭ რეზინებს, ჰერმენტულად ხუფავენ ჭურჭელს.

სულ ახლახანს დაიწყო რძის წვენის ექსპორტირება.

**უკუმედება:** არ გააჩნია.

**საგოვანა – Cycas revoluta Thunb.  
ოჯ. საგოვანასებრი - Fam. Cycadaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ნისებრი მცენარეა მძლავრი სკეტისებრი ტანით, გამხმარი ფოთლების ნაჭდევებით, აღწევს 2-3 მ სიმაღლეს, იშვიათად 6-7 მ. ფოთლები მუქი მწვანეა, პრიალა, კენტურთართული, 50-150 სმ სიგრძის, განწყობილია მკვრივ როზეტებად ტანის წევრზე 100-240 ვიწრო, ხეშეში ფოთლისეული ფირფატებით. ზრდასრული მცენარეები დატოტვილია; სპოროფილები შეკრებილია ერთსქესიან სტრობილებად. თესლი მრგვალია, 2-2,5 სმ დიამეტრის. ცოცხლობს 100-ზე მეტ წელს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია იაპონიის სუბტროპიკულ რეგიონებში, კიუსიუსა და რიუკიუს კუნძულებზე; ზოგიერთი ცნობით იზრდება ჩინეთის პროვინციალ ფუძიანში. ერთადერთი სახეობაა ამ გვარის წარმომადგენლებს შორის, რომელიც იტანს წაყინვებს, ამიტომ ცნობილია ბუნებრივი არეალის გარეთ.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთოლი სასიათდება შემკვრელი და შარდმდენი მოქმედებით; ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის აშლილობისას, სიყვითლის, წყალმანკის, კიბოს საწინააღმდეგოდ, იხმარება გემატომების

დღოსაც. მცენარის ტანიდან ამზადებენ საგოს, რომელიც ხასიათდება გამაჯანსაღებელი და გამახალგაზრდავებელი მოქმედებით, ხელს უწყობს სიცოცხლის გახანგრძლივებას; თესლებსაც იყენებენ სამედიცინო მიზნებისათვის, თუმცა რეცეპტი არ არის გასაჯაროებული თესლების შხამიანი თვისებებიდან გამომდინარე, სიფრთხილის დაცვის მიზნით.

**შაჟქმედება:** მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, განსაკუთრებით ფოთლები!

### საგოს პალმა - *Metroxylon sagu* Rott.

ოჯ. პალმისებრნი (პალმები) - Fam. Arecaceae (Palmae)



**მორფოლოგია:** 9 მ სიმაღლისა და 30-35 სმ დიამეტრის მცენარეა. ფოთლები წყვილფრთართულია, 5-7 მ სიგრძის, ხაზურლანცეტა, ვიწრო მახვილწვერიანი ფოთოლაკებით, რომლებიც 1 მ სიგრძისა და 5 სმ სიგანისაა, დაძარღვული, ქვედა მხრიდან ბეწვებით შებუსული, გრძელი, მაგარი, დაღარული 1 მ-მდე სიგრძის, ეკლებიანი ყუნწებით. ყვავილედი წვეროსეულია 4 მ სიგრძის, დატოტვილი, ზოგჯერ ეკლიანი. მცენარე იღუპება პირველი ნაყოფმს ხმოიარობის შემდეგ.

**ისტორია და ქულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ტროპიკულ ტყეებში და ოკეანისპირა კუნძულებზე ინდონეზიაში, მალაიკის არქიპელაგზე, ფიჯიზე, ახალ გვინეაში, მოლუქის კუნძულებზე და მალაიზიაში. აღინიშნება ფილიპინებზეც, მაგრამ მიმჩნევენ, რომ აქ ადამიანის მიერაა შეტანილი. ამავე ქვეყნებში მიმდინარეობს მათი აქტიური კულტივირება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** საგო წარმოადგენს სახამებლის ბურღულს, რომელსაც ღებულობენ პალმის ვარჯიდან. საგოს პალმა, რომელიც სახამებლის მთავარი მიმწოდებელია დიდხანს არ ცოცხლობს, ნაყოფმსხმოიარობის შემდეგ მალევი ხმება, ამიტომ მას ყვავილობამდე ჭრიან – იმ დროისთვის სის გული შეიცავს დიდი რაოდენობის საკვებ სახამებელს. მას რეცხავენ, სპეციალურ საცრებში ატარებენ და აშრობენ. ერთი ხიდან მიიღება 150 კგ ბურღული. საკვებად ადგილობრივი მოსახლეობისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ბრინჯი ჩინელებისა და იაპონელებისათვის და ხორბალი ევროპელების რაციონში.

შეიცავს დიდი რაოდენობის ცილებს, ცხიმებს, მარტივ ნახშირწყლებს, საკვებ ბოჭკოს, შაქრებს და სახამებელს, ვიტამინებიდან ყველაზე მეტია ქოლინი, PP, E; ნაკლებია: H, B ჯვუფისა და A ვიტამინები, მინერალური მარილები შემდეგი ელემენტების: P, Ti, Ca, Br, Mo, K, Va, Cr, I, Cir, Cu, Mg, Mo, Sr. საგოს ადამიანის ორგანიზმი ადვილად ითვისებს, არ შეიცავს ბევრ კალორიებს. სხვა ბურღულეულთან შედარებით ერთი დამაჯერებელი უპირატესობა აქვს, არ შეიცავს გლუტინს (წებოვანა) – როგორც ცილას, რომლითაც მდიდარია მრავალი მარცვლოვანი კულტურები. ეს ნივთიერება მრავალ ადამიანში იწვევს ალერგიას ან ცალკეულ დაავადებას – ცელიაკია (წვრილი ნაწლავის ლირწოვანი გარსის ანთება იმ პროდუქტების მიღების გამო, რომელიც წებოვანას შეიცავს), რის გამოც ფართოდ გამოიყენება დიეტურ კვებაში როგორც სხვადასხვა ბურღულეულის შემცველი.

მისგან მზადდება სხვადასხვა კერძი, უმატებენ წვნიანებს, ბულიონებს, ამზადებენ ფაფებს, პუდინგებს, გამჭვირვალე სიროფებს, გარნირებს, ნამცხვრებს და ა.შ.

**შპუქმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

### საკმლის ხე - *Boswellia serrata* Boxb. ex Colebr.

ოჯ. საკმლისებრნი – Fam. Cistaceae



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი საშუალო ზომის ხეა. ფოთლები მორიგეობითია, შეერებილია ტოტების ბოლოებზე რგოლებად, კენტფრთაროულია, მჯდომარე. ყვავილები მცირე ზომისაა, აქტინომორფული, ორსქესიანი, თეთრი ან ბაცი-ყვითელი ფერის, მოკლე მტევნებად შეკრებილი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** იზრდება ინდოეთისა და აფრიკის შმრალ მთიან რეგიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბეთში (ომანი, იემენი), კუნძულ სოკოტრასა და სომალში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გამოსაყენებელი ნედლეული საკმეველი – გუმფისია, რომელიც მიიღება ხის დასერვით. შეიცავს 50-70% ფისებს, 30-47% გუმფისის, 2,5-8% ეთერზეთებს, მწარე ნივთიერებებს. ეთერზეთების შემადგენლობაშია დიპენტენი, ალფა-პინენი, ფელანდრენი, კამფენი და სხვა ტერპენები. ფისების შემადგენლობაშია – ტრიტერპენული მჟავები, ე.წ. ალფა და ბეტა ბოსველის მჟავები. გუმფისის შემადგენლობა გუმიარაბიკის მსგავსია.

უძველესი სამკურნალო მცენარეა, აიურ-ვერდას საჩუქარი. ინდოეთში მას “ანთებასთან მებრძოლს” უწოდებენ, ტრადიციულ ინდურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენებოდა ანთების საწინააღმდეგოდ და სახსრების დაავადებებისას, აფრიკაში კი ქრექით მკურნალობდნენ როგორც რევმატიზმს, ასევე ნაწლავის ინფექციებს.

ინდოეთში ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ბოსველია რევმატიული ართრიტის დროს უფრო ეფექტურია და ნაკლებ ტოქსიკური, ვიდრე გამოყენებული სტანდარტული სააფთიაქო წამლები, კერძოდ კეტოპროფენი, ინდომეტაცინი ან ასპირინი და რაც მთავარია არ იძლევა გვერდით მოვლენებს.


შეიცავს ფისებს, ე.წ. ბოსველის მჟავებს, რომლებიც სხვა ტრიტერპენულ მჟავებთან ერთად წარმოადგენს მის აქტიურ კომპონენტებს, ეთერზეთებს, კერძოდ პინენსა და კამფენს, აგრეთვე გუმფისს.

ბოსველის ფისი ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, გამაუმტკივნებელი, სისხლძარღვების კედლების გამამაგრებელი, სედატიური, ზომიერი შარდმდენი, ნაღველმდენი, ჰემოსტატიკური, სოკოვანი დაავადებების, ართრიტების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით. აქვს გამოხატული პიოვლიკემიური თვისებები, ამუხრუჭებს პათოლოგიურ მიკროორგანიზმებს. ექსპერიმენტებმა გამოავლინა მისი სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობა ეპიდერმიალური კარცინომის მიმართ.

ბოსველია რეკომენდებულია კომპლექსურ მკურნალობასა და პროფილაქტიკაში შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: აუტონიმუნური ართრიტები და პოლიართრიტები; ნიკრისის ქარები და სახსრების სხვა დაავადებები; ხერხემლის და სახსრების დეგენერატიულ-დისტროფიული პათოლოგია; ლიპიდებისა და ქოლესტერინის ცვლის დარღვევები; II ტიპის შაქრიანი დიაბეტი; ცხიმოვანი ჰეპატოზი; ზურგის ტკივილები; ანთებითი პროცესები; ტრავმები, ჭრილობები; წყლულოვანი კოლიტი; შარდკენჭოვანი დაავადებები; ფარინგიტი; კუჭის აშლილობა და მუცლის ტკივილები; გაციება; ფურუნგულები; ნერგული აშლილობა და სტრესები.

ბოსველის ფისი გამოიყენება ვენერიული დაავადების - ათაშანგის, რესპირატორული დაავადებების, შარდსადინარი გზების ინფექციების, კნის დაავადებების, ნერვული აშლილობის, საკვებმომწელებელი სისტემის დარღვევებისას. ბოსველია შედის “ზენსლიმ ართო”, “ზენსლიმ კარდიო” და “ზენსლიმ დიაბ” –ის შემადგენლობაში. **შაჟქმედება:** დაუდგენელია.

**საკპინაჭი (ასაფეტიდა) – *Ferula assa-foetida* L.  
ოჯ. ქოლგოსანი - Fam. Umbeliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. წარმოქმნის ფოთლისეულ როზეტის, ფოთლები მსხვილია, ყერწიანი. სიცოცხლის მეზუთე წელს ინვითარებს საყვავილე ღეროს, რომელიც საკმაოდ მძლავრია, სწორმდგომი, ყვავილობის პერიოდში 3 მ-მდე სიმაღლეს აღწევს. ყვავილები ყვითელია, შეკრებილია რთულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მომწიფებისას იშლება ორ ერთოესლიან მერიკარპიუმად, ფართო გვერდითი წახნაგებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ირანი (ჰერათი, ხორასანი), ავღანეთი და ტაჯიკეთია. იზრდება ირანისა და ერაყის ქურთების ტერიტორიაზე, აგრეთვე ირანისა და

ავლანეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე. VI ს-ში შეტანილ იქნა ჩრდ. აფრიკის (კირენაიკა) ტერიტორიაზე, სადაც პირველხანებში გაამრავლეს, მაგრამ შემდგომ პერიოდებში მათზე მეტად დიდი მოთხოვნილების გამო ბარბაროსულად განადგურდა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფარმაკოლოგიაში გამოიყენება ფესურას გუმფისი – ფისები (მშრალი რძის წვენი), რომელიც ცნობილია Asa foetida – ს სახელით. ფესურა შეიცავს დიდი რაოდენობით ფისებს, რომლის შემადგენლობაშია ვანილინი, კუმარინები, ეთერზეთები.

გუმფისი ხასიათდება ამოსახველებელი, სასაქმებელი, სპაზმოლიტური, დამამშვიდებელი მოქმედებით. მისი პრეპარატები ეფექტურია ისტერიისა და მაღალი აღზნებადობის დროს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გალენური პრეპარატების სახით ისეთი სიმპტომების დროს როგორიცაა მეტეორიზმი, ნაწლავების მოდუნება; როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება იხმარება ართორიტისა და სახსრების ტკივილებისას. ადგილობრივი მოსახლეობა მას უმატებენ საკვებს მაღის გასაძლიერებლად.

ჩინურ მედიცინაში იყენებენ საერთო გამჯანსაღებელ და მატონიზიორებელ საშუალებად ისტერიის, ნევრასტენიის, ვეგეტატიური ნევროზის, გაციგბის, აგრეთვე კანის ზოგიერთ დაავადებისას. სხვა მცენარეებთან ნაკრებში - კრუნჩვების საწინააღმდევოდ ექსუდატური დიათეზის დროს, ფილტვების ტუბერკულოზის, ლიმფადენიტების სამკურნალოდ.

შეუა აზის ხალხი გუმფის ჭიისმდენად იყენებს. ზოგიერთ წყაროში მითითებულია მცენარის ეფექტური მოქმედება ავთვისებიანი სიმისივნეებისა და ვენერიული დაავადების – ათაშანგის სამკურნალოდ, რისთვისაც ფოთლებს ურევენ რძეში და ისე ღებულობენ.

**უპუქმედება:** არ არის რეკომენდებული ფეხმძიმე ქალებისა და მაღალი მგრძნობელობის აღამიანებისათვის. ნევატიურად მოქმედებს ნაღვლის ბუშტზე.

**სამკურნალო სალბი – *Salvia officinalis* L.  
ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მცენარეა – ნახევრადბუჩქი, 50 სმ-მდე სიმაღლის. ღერო დატოტებილია, ოთხწანაგოვანი, უხვად შეფოთლილი, ფესვებთან გამერქნებული. ფოთლები მოპირისპირეა, ყურწიანი, წაგრძელებული, მოგრძო ან ფართო-ლანცეტა, ბლაგვი წვერით; ზედა ფოთლები მჯდომარეა, ქვედა მხრიდან მონაცრისფრო-მწვანე, შებუსული, მკვეთრად გამოხატული ძარღვებით, ახალგაზრდა – მოთეთრო ქეჩისებრი, კიდეხერხებილა. ყვავილები არომატულია, მსხვილი, მოლურჯო-ისფერი, ვარდისფერი ან თეთრი, ორტუჩა, შეკრებილია მეჩხერ წვეროსეულ თავთავისებრ ყვავილედებად. ნაყოფი დანაწევრებულია, შედგება ოთხი, მუქი-მურა ან მოშავო ფერის კაკლისაგან, რომლებიც ჯამის ფოთოლაკებშია მოთავსებული, 2-3 მმ დიამეტრისაა. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ხმელთაშუაზღვეთში, ბალყარეთში, მცირე აზიასა და სირიაში. კულტივირებულია ევროპაში, აშშ-ში, კანადაში, ინდოეთში, უკრაინაში, მოლდოვაში, რუსეთში (კრასნოდარის მხარე), ჩრდილოეთ კავკასიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს გამშრალი ფოთლები წარმოადგენს. უძველესი დროიდანაა ცნობილი და აღწერილი მრავალი ქვეყნის

მედიკოსებისა და ხალხის მიერ. ჯერ კიდევ პიპოკრატე აღნიშნავდა მის მრავალრიცხოვან სასარგებლო თვისებებს და მას უწოდებდა “წმინდა ბალახს”. თვით სახელწოდება “salvia”, ლათინური ენიდან, ითარგმნება როგორც “იყავი ჯანმრთელი”.

ფოთლები შეიცავს ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ფლავონოიდებს, ალკალიოიდებს, ორგანულ მჟავებს (ურზოლის, ოლეინის, ქლოროგენის), ვიტამინ P, ნიკოტინის მჟავას, მწარე ნივთიერებებს, პარალიფენოლს, გუმფისს, სახამებელს, ცილოვან ნივთიერებებს, ფიტონციდებს, რომლებიც ძლიერი ბაქტერიოციდული თვისებებით გამოიჩინა.

მცენარე ხასიათდება დამამშვიდებელი, მადეზინფიცირებელი, ამოსახველებელი, შემკვრელი, სისხლშემაჩერებელი, ანთების საწინააღმდევო, ანტისეპტიკური, ანტისოკოვანი, ნაღველმდენი, შარდმდენი მოქმედებით.

გამოიყენება ნახარშების, ნაყენების, ზეთის სახით შინაგანი ორგანოების ანთებითი პროცესებისა და მრავალრიცხოვანი დაავადებებისას, აგრეთვე კოსმეტოლოგიაში. ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია ჩაის სახით მიღება, მაგრამ საჭიროა გახსოვდეთ, რომ ეს ბალახი სამკურნალოა, მისი მიღება უნდა კონტროლდებოდეს, მაღალმა დოზებმა შეიძლება მოწამლვა გამოიწვიოს.

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ქურუმები ქალებს ურიგებდნენ სალბის, რათა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაფეხმბიმებულიყვნენ და ამით გაეუმჯობესებინათ დემოგრაფიული მდგომარეობა ქვეყანაში, რომელიც მუდმივი ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ითვლება, რომ ახდენს სასქესო ჯირკვლების მოქმედების ნორმალიზებას, რის გამოც მას უნიშნავენ უშვილობისას, დადგენილია რომ სალბი შეიცავს პორმონ ესტროგენს (რომლის ნაკლებობას მრავალი ქალი განიცდის), რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს კვერცხუჯრედის მომწიფებას და აუცილებელია ქალის ორგანიზმისათვის, განსაკუთრებით ციკლის პირველ ფაზაში, რა თქმა უნდა მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია პორმონების შემცველობაზე ანალიზების ჩატარება. სალბი იწვევს ლაქტაციის

სწრაფ შეწყვეტას, ხელს უწყობს კლიმაქტურიულ პერიოდში თანმდევი უსიამოვნო პროცესების (გაფანტული ფურადღება, გაღიზიანება, სწრაფი გადაღლა, ლიბიდოს დაქვეითება, თავის ტკივილები, თავში სისხლის ავარდნა) სიმპტომების შერბილებას, უადგილებს ორგანიზმს ჰორმონების გარდაქმნას; თმებს უბრუნებს ჯანმრთელობას, სილამაზეს, ბრწყინვალებას, ამუხრუჭებს ჭალარისა და ქერტლის წარმოქმნას.

ტრადიციულია ფოთლების ნაყენის გამოყენება მწვავე ანგინისა და ქრონიკული ტონზილიტის, სტომატიტის, გინგივიტის, მწვავე რესპირატორული დაავადებების, ხახის აფტოზური დარღვევების, პულპიტების მკურნალობისას, აგრეთვე ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, დამწვრობების ჩამოსაბანად.

სალბს იყენებენ დაბეტის საწინააღმდეგოდაც სხვა სამკურნალო მცნარეებთან ერთად ნაკრებში. კომპლექსურად გამოიყენება სახსრების რევმატიზმის, სახსრების ქრონიკული ანთებისა და დისტროფიული დაავადებების, დეფორმირებული ოსტეოართორზის, რადიკულიტის, ხერხემლის ოსტეოქრონდროზის დროს საერთო და ადგილობრივი აბაზანების გამოყენებით, აპლიკაციებისათვის. ნახარშს იყენებენ ფილრიაზის სამკურნალოდ, შედის კუჭისა და გულ-ძკერდის დამარბილებული ნაკრებების შემადგენლობაში.

ბულგარელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სალბი აქვეითებს საოფლე ჯირკვლების სეკრეციას, გამოიყენება ტუბერკულოზით დაავადებულთათვის დამის ოფლაბინბისას, კუჭ-ნაწლავის ანთების, კუჭის წყლულის, მეტეორიზმის, ფალარათის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და თირქმელების დაავადებების დროს.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული მებუბური ქალებისათვის, ვინაიდან იწვევს რძის სეკრეციის შემცირებას, თირქმელების მწვავე ანთების, ძლიერი ხველებისას; სიფრთხილე მართებთ პიპოტონით დაავადებულებებსაც, ვინაიდან სალბი რამდენადმე აქვეითებს წნევას.

## საპნის ხე – *Quillaja saponaria* Molina.

ოჯ. ქვილასებრნი - Fam. Quillajaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 20 მ-მდე სიმაღლის ხეა, გრძელი ფესვთანური სისტემით. ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, მარტივია, ტყავისებრი, 15-40 სმ-მდე სიგრძის. ყვავილი ხუთწევრიანია, მოკლე საყვავილე ჭუნწებით, თეთრი, ტოტების ბოლოებსა და ფოთლების უბეებში წარმოქმნის საგველა ყვავილებს. ნაყოფი, რომელსაც ხშირად საპნის კენკრას, ან საპნის კაკალს უწოდებენ, 1.5 სმ დიამეტრისაა, შეიცავს 3 სქელ გარსიან თესლს.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აშშ-ში, იაპონიაში, სამხრეთ აზიაში, ინდოეთში, ჩინეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში (ბოლივია, ჩილი, პერუ), რუსეთის სამხრეთით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეული ქერქი და ნაყოფებია. ქერქი შეიცავს კვილაივის საპონინს (10%), მეაუნმჟავას (19 %), კვილაივის მჟავას (8 %), მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, სახამებელს, ღვინის მჟავის მარილებს; ნაყოფები - 38 %-მდე საპონინებს.

ხასიათდება სოკოების საწინააღმდეგო, ბაქტერიოციდული

მოქმედებით. გამოიყენება სოკოვანი დაავადებების, ბრონქიტის, პირის ღრუსა და კანის დაავადებების (კერძოდ ეგზემა), სიმსუქნის, ქერტლის, თმის ცვენის, გაღიზიანებების, ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ, ასევე გველისა და მორიელის ნაკბენების შხამსაწინააღმდეგოდ.

**უპუშქმედება:** თვითმკურნალობა არ არის რეკომენდებული, ვინაიდან შეიცავს დიდი რაოდენობის მეუნმჟავასა და საპონინებს. მიღებულ უნდა იქნეს ზომიერად, წინააღმდეგ შემთხვევაში იწყება გულის რევა, პირღებინება, თავბრუსხვევები, კუჭის ტკივილები, სპაზმები, ანთებითი პროცესები, შარდსასქესო და თირგმლის სისტემების დარღვევები.

### საპოტა, საპოტილა, საპოდილა

**Manilkara zapota (L.) P. Royen (syn. Sapota achras Mill.)**

ოჯ. საპოტასებრნი - Fam. Sapotaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 18-30 მ სიმაღლის ხეა პირამიდალური ვარჯით. ქერქის დაზიანებისას უხვად გამოჰყოფს თეთრ წებოვან ლატექსს. ფოთლები ელიფსურია, პრიალა, 7,5-11,25 სმ სიგრძისა და 2,5-4 სმ სიგანის. ყვავილები წვრილია, 6

მტკრიანითა და 3 ყავისფერი, ბეწვებიანი ჯამის ფოთოლაკებითა და ბაცი მწვანე გვირგვინის ფურცლებით. ნაყოფი მრგვალია, ან ოვალური, 5-10 სმ სიგრძისა და 100-170 გ წონის. სტრუქტურით ხურმის მსგავსია. მწიფე ნაყოფი დაფარულია მქრქალი ან უანგისებრ-ყავისფერი თხელი კანით; რბილობი ყავისფერია, ყვითელი ან ვარდისფერი ელფერით, რბილი, წვნიანი. უმწიფარი ნაყოფი - მაგარია, წებოვანი და მთრიმლავი. ცალკეული ნაყოფი შეიცავს 3-12 მაგარ, შავ, პრიალა, ოვალურ და ოდნავ შებრტყელებულ, 1,5-2 სმ სიგრძის თესლს, ადვილად სცილდება რბილობს; საკვებად გამოყენების წინ აუცილებელია თესლების მოცილება, ვინაიდან კაუჭისმაგვარ დანართს ინვითარებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ მექსიკა. ამჟამად კულტივირებულია ტროპიკული სარტყლის ყველა ქვეყანაში: სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, აფრიკისა და აშშ-ის ზოგიერთ რაიონში, ინდოეთში, ინდონეზიაში, მალაიზიაში, შრი-ლანკასა და ფილიპინებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** საპოდილა მდიდარია ვიტამინებითა და ორგანიზმისათვის აუცილებელი მინერალებით; მეტად გემრიალია მწიფე ნაყოფები ნედლი სახით; მისგან ამზადებენ ჯემს, მარმელადს, ჰალვასა და სხვადასხვა დელიკატესებს; მას თუშავენ სხვადასხვა სანელებელთან ერთად, იყენებენ ნამცხვრებელში, ამზადებენ ღვინოს. ხისგან გამოყოფილი რძის წვენიდან - ლატექსიდან მიიღება ე.წ. ჩიკლი - საღეჭი რეზინის ფუძე.

მოუმწიფებელი ნაყოფები მდიდარია ტანინებით და გამოიყენება დიარეუს საწინააღმდეგო საშუალებად. ქერქს იყენებენ სიცხის დამწევად და დიზენტერიის საწინააღმდეგოდ. ფოთლების ნახარში ჩაიოტის ფოთლებთან ერთად არტერიალური წნევის დასაწევად გამოიყენება, ხოლო რბილი თესლის გამონაწური - დამამშვიდებელი საშუალებაა.

საპოდილას ექსტრაქტი მისი მაღალი ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, საკვები, დამატენიანებელი და მარეგულირებელი მოქმედებიდან გამომდინარე ხშირად კოსმეტიკური მიზნებისათვის იხმარება; კოსმეტიკური პროდუქტები, რომლის შემადგენლობაშიც

საპოდილაა, ეფექტურია პრაქტიკულად კანის ყველა დაავადებისას; შეუცვლელია კანის სოკოვანი დაზიანებების, გამონაყრების, სხვადასხვა დეფექტების დროს, ხელს უწყობს კანის ფერისა და მისი ტექსტურის აღდგენას, ამაგრებს მშრალ და მტვრევად თმებს. მისი ზეოთ გამოიყენება ნიღბებისა და აპლიკაციებისათვის, მისით აძლიდობებრ უკვე დამზადებულ შამპუნებს, ბალზამებს, კრემებსა და ნიღბებს.

**უკუქმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა. საკვებად მხოლოდ დამწიფებული ნაყოფები გამოიყენება, ვინაიდან მომწიფებელ ნაყოფებში შეიცავს რძისებრ წვენს - ლატექს და მთრიმლავ ნივთიერებებს, რომლებიც უსიამოვნო გემოთი გამოირჩევა.

**სეკურინეგა - *Securinega suffruticosa* (Pall.)Rehd.  
(= *S.ramiflora* Mill.)  
ოჯ. რძიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae**



**მორფოლოგია:** გართხმული 1,5-2 მ სიმაღლის ბუჩქია, მაგარი მერქნით. ტოტები წვრილია, მათრახისებრი, შიშველი, სწორი, ბაცი-ყვითელი. ფოთლები მორიგეობითია, მარტივი, მთლიანი, კიდემთლიანი ან უსწოროდ ამოკვეთილი, ოვალური ან ელიფსური, ყუნწიანი. ყვავილები ორბინანია, მომწვანო-ყვითელი ან მწვანე, ბუტკოიანი - მარტოულია (ან 3-8), სფერული ნასკვითა და სამი სვეტით, მტვრიანიანები - კონგადაა განლაგებული 3-12 ცალად. ნაყოფი - სამბუღიანი, მომრგვალო, სამნაკვითიანი კოლოფია. ყვ. VI; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია აღმოსავლეთ ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკის მხარეს და დასავლეთ ამჟრისპირეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია ფოთლები და გაუმერქნებელი ტოტები. ნედლეული შეიცავს აღკალოიდებს (სეკურინინი, სუფრუქტიკონინი, სუფრუტიკონინი, აღმოსეკურინინი, დიპიდროსეკურინინი, სეკურინოლა), მათ შორის ძირითადია სეკურინინი, რომელიც კარგად იხსნება ეთილის სპირტში, ქლოროფორმში, სუსტად – წყალში; აღინიშნება აგრეთვე მთრიმლავი ნივთიერებები, სახამებული, სხვადასხვა ამინომჟავები.

სეკურინინი მოქმედებით ახლოა სტრიქნითან. იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებას, განსაკუთრებით ზურგის ტვინის, ამაღლებს კუნთების ტონუსს. მედიცინაში გამოიყენება: ჰიპოტონიური მდგომარეობისას, რაც ხასიათდება არტერიული წნევის დაქვეითებით, სწრაფი დაღლილობითა და თავბრუქსევეით, ქრონიკული ინფექციების, გულის მანკის დეკომპენსაციის, ჰიპოტირეოზებისა და სხვ.

კლინიკური დაკვირვებებიდან გამომდინარე რეკომენდებულია სხვადასხვა მამოძრავებული სისტემის დარღვევების: პოლიომიელიტით გამოწვეული პარეზებისა და დამბლის, დუნე დამბლის, ფუნქციონალური ნეიროგენური დარღვევების ნიადაგზე გამოწვეული სქესობრივი უქლურების, ხელს უწყობს აგრეთვე თირკმელზედა ჯირკვლის პორმონების გამოყოფის გაძლიერებას.

**უკუმედება:** უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიული დაავადებების, ათეროსკლეროზის, მწვავე და ქრონიკული ნეფრიტის, ჰეპატიტის, ტეტანუსისა და ბაზედური დაავადებებისას.

**სეკვოია მარადმწვანე ან წითელი სეკვოია  
*Sequoia sempervirens* (Lambl. ex D.Don.) Endl.  
 ოჯ. კვიპაროზისებრნი (ტაქსოდიუმისებრნი) –  
 Fam. Cupressaceae (Taxodiaceae)**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ერთბინიანი 60-90 მ-მდე სიმაღლის ხეა; ვარჯი კონუსური ფორმისაა, ტოტები პორიზონტალურად იზრდება ან ოდნავად დახრილი. ქერქი სქელია 30 სმ სისქის, შედარებით რბილი, ჭურჭლოვანი, მოწითალო-ყავისფერი, დროთა განმავლობაში მუქდება. ფოთლების ცრუ ორმწკრივი განლაგების შედეგად ყლორტები ბრტყელია, ხაზურ-ლანცეტია და სიგრძით 1,5-2,5 სმ აღწევს. მდედრობითი გირჩები ძლიერ მცირე ზომისაა, 2-3 სმ სიგრძის, თითქმის სფეროსებრი, 15-25 სპირალურად დახვეული ქერქლებით; დამტვერვა ზამთრის ბოლოს ხდება, მწიფებება 8-9 თვის შემდეგ; თითოეულ გირჩში სათესლე ქერქლებზე 3-7 თესლებია, გირჩის მომწიფებისას თესლები ცვივა.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ ამერიკის წყნარი ოკეანის 750 კმ სიგრძისა და 8-დან 75 კმ სიგანის სანაპირო ზოლში, ზღ.დ. 30-920 მ სიმაღლეზე. დედამიწაზე ყველაზე მაღალ და დღეგრძელ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. ცალკეული ეგზემპლარები 110 მ სიმაღლეს აღწევენ,

ხოლო მაქსიმალური ასაკი სამიათასწუთასი წლით განისაზღვრება. პირველად სექვოიას ტყეები ევროპელებმა 1769 წელს აღმოაჩინეს წენარი ოკეანის სანაპიროზე, მერქნის ფერიდან გამომდინარე მას ”წითელი ხე” (Redwood) უწოდეს, რომელიც დღემდეა შენარჩუნებული. 1847 წელს ავსტრიელმა ბოტანიკოსმა შტეფან ენდლიშერმა მცენარე დამოუკიდებელ გვარად გამოჰყო და მიანიჭა სახელწოდება “სექვოია” ინდოელთა ტომის ჩეროკის ბელადის სექვოიის საპატივცემულოდ, რომელიც ჩეროკის მარცვლოვანი ანბანის გამომგონებელი (1826 წ.) და ჩეროკულ ენაზე გამოსული გაზეთის დამჯუნებელი იყო.

ნამარხი ნიმუშებიდან გამომდინარე ეს გიგანტური ხეები არსებობდნენ უკვე იურის პერიოდში 208 და 144 მილიონი წლების წინათ და დიდი ტერიტორიები ეკავათ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

ყველაზე მაღალი სექვოია, რომელმაც ”ჰიპერიონის“ სახელი მიიღო, ნანახი იყო 2006 წელს რედვუდის ნაციონალურ პარკში სან-ფრანცისკოდან ჩრდილოეთით, მისი სიმაღლე 115,5 მ აღწევს. სექვოიას გენომი (შეადგენს 31500 მეგაბაზს) – ყველაზე მაღალია წიწვოვანებს შორის და სადღეისოდ ერთადერთი ცნობილი ჰექსაპლოიდია შიშველთესლოვნებში.

არის აშშ-ის კალიფორნიის შტატის სიმბოლო.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სექვოიას ცალკეული სამეურნალო თვისებები არ არის გამოვლენილი, მაგრამ მსგავსად სხვა წიწვოვნებისა (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) ხასიათდა ბიოპოტენციური შესაძლებლობებით. მცენარე წარმოადგინს ბრწყინვალე ფილტრს, იცავს ჰაერს გაჭუჭყიანებისაგან. სექვოიას მერქანი გამოიყენება სამშენებლო და სადურებლო წარმოებაში, ამზადებენ ავეჯს, სატელეგრაფო ბოძებს, შპალებს, კრამიტს, ქაღალდს.; ვინაიდნ არა აქვს სუნი იხმარება თამბაქოსა და კვებით მრეწველობაში, ამზადებენ კოლოფებსა და კუთებს სიგარებისათვის, თაფლის შესანახ კასრებს და ა.შ. მაღალ დეკორატიულობიდან და წრაფი ზრდიდან გამომდინარე ამრავლებენ სატყეო მეურნეობებში, ბალ-პარკებში.

**სექვოიადენდრონი გიგანტური –  
*Sequoiadendron giganteum* (Lindl.) J.Buchh.  
 ოჯ. კვიპაროზისებრნი (ტაქსოდიუმისებრნი) –  
 Fam. Cupressaceae (Taxodiaceae)**



**მორფოლოგია:** საოცრად დიდებული და მონუმენტალური ხეა, აღწევს 100 მ-ზე მეტ სიმაღლეს, ღეროს დიამეტრი 10 მ-ს უდრის; ხის ტანი 50 მ-ზე მოკლებულია ტოტებს. ვარჯი კონუსურია, ყლორტები ჯერ ლეგა მწვანეა, მოგვიანებით - მოწითალო-ყავისფერი. მცირე ზომის (3-6, იშვიათად 10 მმ სიგრძის) ვიწრო ლანცეტა, მარადმწვანე ფოთლები სპირალურადაა განლაგებული. გირჩები მეორე წელს მწიფდება, ისინი კვერცხისებრია 5-8 სმ სიგრძის, სათესლე ქერქლებზე 3-14 თესლაკვირტია განვითარებული. მცენარე 3500-4000 წლამდე ცოცხლობს.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ცალკეული კორომების სახით იზრდება კალიფორნიაში, სიერანევების დასავლეთ ფერდობებზე. ამჟამად ყველა მათგანი აღრიცხვაზეა აყვანილი, ხოლო უფრო დიდი მასივები ნაკრძალებადაა გამოცხადებული.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სექვოიადენდრონის მერქანი სექვოიას მსგავსად მაღალხარისხის ხოვანია და კარგად ეწინააღმდეგება ლპობას. ამიტომ ფართოდ იყენებენ მშენებლობასა

და წყალქეშა ნაგებობებში. სხვა წიწვოვნების (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) მსგავსად ხასიათდება ბიოპოტენციური შესაძლებლობებით. გვარი გამოირჩევა მაღალდეკორატიულობით. აშენებენ სხვადასხვა ქვეყანაში.

ნამარხ მდგომარეობაში ცნობილია მთელ ჩრდილოეთ ნახევრსფეროში; ევროპასა და აზიაში პლიოცენამდე იყო გავრცელებული, შემდგომ გადაშენდნენ გამყინვარების პერიოდში.

### **სიმინდი - *Zea mays L.***

**ოჯ. მარცვლოვანი - Fam. Gramineae (Poaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი 60-300 სმ სიმაღლის მცენარეა. ფესვთანური სისტემა მძლავრია, ხშირად ღეროს ქვედა მუხლებში წარმოიქმნება საჰკერო საბჯენი ფესვები. ღერო სწორმდგომია, 2-7 სმ დიამეტრის, შიგნით ამოვსებულია გულგულით. ფოთოლი ფართოა, ხაზურ-ლანცეტა, კიდეტალდოვანი. ყვავილები გაყოფილსქესიანია, მცენარე ერთბინიანია; მამრობითი ყვავილები წვეროსეული მსხვილი საგველაა, მდედრობითი ყვავილედი ტაროა, ვითარდება ფოთლების უბებში. მარცვალი ტაროში განლაგებულია ვერტიკალურ რიგებად; მარცვლები სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობისაა: მომრგვალო, წაგრძელებული,

გლუვი ან დაღარული, თეთრი, ყვითელი, იშვიათად მოწითალო, ისცერი, ლურჯი, შავი, წვერში ჩაჭყლეტილი. ყვ. VI; ნაგ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება, კულტურაში შეტანილია მექსიკაში. სახეობის წარმოშობა არ არის დადგენილი, მის შესაძლო წინაპარს წარმოადგენს ოესინტე (Euchlaena mexicana Schrad.), რომელიც ველურად გვხვდება მექსიკაში, სადაც ასარევლიანებს სიმინდის ნათესარებს. არსებობს ასევე წარმოშობის სხვა ჰიპოთეზებიც. უძველესი დროიდან სიმინდი ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობის მთავარი სამრეწველო კულტურა იყო. ევროპაში ცნობილია XV ს-დან კოლუმბის მოგზაურობის შემდეგ, სადაც პირველად აშენებდნენ როგორც იშვიათ საბაღო მცენარეს, შემდგომ მან მოიპოვა სამრეწველო და საკვები მცენარის მნიშვნელობა. XVI ს-ში სიმინდი შეტანილ იქნა აზისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, ხოლო XVII ს-ში მოხვდა სამხრეთ კავკასიაში, საიდანაც სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში. მსოფლიოში სათესი ფართობის მოცულობით მესამე ადგილი უკავია, ხორბლისა და ბრინჯის შემდეგ (114,5 მილიონ ჰა-ზე მეტი).) განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი აშშ-ში, ბრაზილიაში, მექსიკაში, ინდოეთსა და ჩინეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამრეწველო, ტექნიკური და საკვები კულტურაა.

მარცვალი შეიცავს 10-15 მგ% ცილებს, 65-70 მგ% ნახშირწყლებს, 4-7 მგ% ცხიმებს, ფლავონოდებს, ალკალიოდებს, საპონინებს, ფილოვან ნივთიერებებს, მწარე გლიკოზიდებს, ვიტამინებს (C, K, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, E, P, PP), ინოზიტს, სტერინებს, მიკროელემენტებსა და სხვ. სიმინდის დინგი შეიცავს ვიტამინ K, ასკორბინისა და პანთოენის მჟავებს, კაროტინოიდებს, გუმფისს, მწარე გლიკოზიდებს, ცხიმებსა და ეთერზეთებს, ინოზიტს, ფილებს, სტიგმასტეროლს, საპონინებს, სიტოსტეროლს და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში სიმინდის ფქვილის შეჭამანდი დიეტურ საჭმელად ითვლებოდა; ზოგჯერ მას უმატებდნენ კარტოფილის ფქვილს და თირკმელების დაავადებებისას

იყენებდნენ, როგორც ჩანს, მას შარდმდენ თვისებებს მიაწერდნენ. ხასიათდება შარდმდენი, ნაღველმდენი, ანთების საწინააღმდევო, სისხლდენის შემაჩერებელი, დამამშვიდებელი, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი, სიმსივნისა და სიმსუქნის საწინააღმდევო მოქმედებით.

დამტკიცებულია, რომ სიმინდის დინგის პრეპარატები ხელს უწყობს სისხლის შედედების დაჩქარებას, რის გამოც ეფექტურია პიპოტრომბინების დროს, აძლიერებს დიურეზს და ამაღლებს თრომბოციტების რიცხვს; გამოიყენება როგორც ნაღველმდენი საშუალება ქოლანგიტების, ქოლეცისტიტის, პეპატიტის, წყალმანკისა და თირკმელკენჭოვანი დაავადებებისას, როგორც შარდმდენი საშუალება, ხასიათდება სისხლშემაჩერებელი მოქმედებითაც.

შედიცინაში გამოიყენება ნაღვლის ბუშტისა და საშარდე გზების ანთებითი პროცესების, გულისმიერი წარმოშობის შეშუპების, შარდგენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი, თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას; აგრეთვე პიპერტონიის, ათეროსკლეროზის, დიათეზების დროს.

**სიფრთხილის ღონისძიებები:** სიმინდის კერძები უკუმაჩვენებელია ტრომბოზებისა და ტრომბოფლებიტის, დაქვეითებული მაღის, სისხლის მომატებული შედედების, კუჭ-ნაწლავის წყლულის გამწვავების პერიოდში.

**სინამაჯის ზე - Cassia acutifolia Del.  
ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული ფოთოლმცვენი მრავალწლოვანი ბუჩქია. ფოთლები მორიგეობითია, წყვილფრთართული, 4-8 წყვილი ფოთლაკებით, რომლებიც მონაცრისფრო-მწვანეა, მოკლეუნწიანი, ლანცეტა, მახვილი წვერით, შიშველი, კიდემთლიანი, თხელი. ყვავილედი მოკლე მტევანია, განლაგებულია ფოთლების უბეებში; ყვავილები საკმაოდ მსხვილია, ოქროსფერ-ყვითელი, 5-წევრიანი, მრავალი მტევრიანით. ნაყოფი პარკია, მურა-მწვანე, მოგრძო ოვალური ფორმის, ჩეულებრივ ოდნავ მოღუნული, ძლიერ ბრტყელი, მშრალ აკვიანი, მრავალთესლიანი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ აფრიკის მშრალ რაიონებში, სამხრეთ არაბეთში, ნილონის ხეობაში და წითელი ზღვის სანაპიროზე. კულტივირებულია როგორც მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარე ინდოეთში, ჰაკისტანში, სამხრეთ ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები და ნაყოფები შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს (გლიკოალომოდინს, გლუკორეინს), რომლებიც ნაწლავებში საკვებმომნელებელი ფერმენტის მოქმედებით იშლება აგლიკონებად და შაქრად, გამაღაზიანებლად მოქმედებს ლორწოვან რეცეპტორებზე და მასტიმულირებლად ნაწლავების გლუკი მუსკულატურის

მამოძრავებელ აქტივობაზე. ფოთლების შემადგენლობაშია ასევე: ბიოფლავონიდები, ორგანული მჟავები, ფისები, ნაცარი, ფიტოსტერინები, მარტივი და რთული პოლისახარიდები, ალკალოიდები კვალის სახით, მიკროელემნტებიდან - კალიუმი, მაგნიუმი, ფტორი; მცენარეს შესწევს უნარი კონცენტრირება მოახდინოს ბარიუმის, სელენის, სტრონციუმის, სპილენბისა და თუთიის.

როგორც მცენარეული სასაქმებელი საშუალება ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტურ მედიცინაში, იმავე მიზნით გამოიყენებოდა ჩინეთში; მცირე დოზით ჩინურ მედიცინაში მას უნიშნავდნენ მაღის სტიმულირებისათვის, ასციტისა და გლაუკომის დროს, აგრეთვე როგორც შარდმდენს.

სადღეისოდ ფართოდ გამოიყენება ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში. სინამაქის ხის პრეპარატები მეცნიერულ მედიცინაში იხმარება როგორც სასაქმებელი საშუალება ხანგრძლივი ატონური ყაბზობის დროს. დადგენილია რბილი ნაღველმდენი და ანტიოქსიდანტური მოქმედება, რის გამოც გამოიყენება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციის დარღვევებისას. ინფექციურ პრაქტიკაში მას უნიშნავენ ამებური დიზენტერიის დროს. ექიმი-პროექტოლოგები ურჩევენ ანალური ხვრელის დახეთქის, ბუსილის და პარაპროექტილების შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ სინამაქის პრეპარატები ხასიათდება ნელი სასაქმებელი მოქმედებით, რის გამოც ენიშნებათ ღამით, მას არ ახასიათებს ელვასტებური ტკივილები ნაწლავებში და თხელი გასვლა, განსხვავებით სხვა სასაქმებელი პრეპარატებისაგან, რის გამოც თერაპიულ დოზებში ფართოდ გამოიყენება ბავშვთა და გერონტოლოგიურ პრაქტიკაში.

ხალხურ მედიცინაში სასაქმებელი და შარდმდენი მოქმედების გარდა მის ნახარშს იყენებენ სალბუნების სახით პიოდერმისის განსაკურნავად.

**უკუქმედება:** სინამაქის ხანგრძლივმა და უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება მიჩვევა გამოიწვიოს. უკუქმაჩვენებელია ფეხმძმიმბისა და ლაქტაციის დროს. არ არის რეკომენდებული დიარეის, წვრილი და მსხვილი ნაწლავების მწვავე ანთებითი პროცესების დროს.

**სკოპოლია – *Scopolia carniolica* Iacq.  
ოჯ. ძაღლფურძენასებრნი – Fam. Solanaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 30-50 სმ სიმაღლის ბალაზოვანი მცენარეა, ხორცოვანი, სუსტად დატოტვილი ფესურით, რომელიც ღეროსეული ნაჭილებითაა დაფარული - წლიური ნამატების საზღვრები. მიწისზედა ნაწილი შედგება ვაგეტატიური ყლორტებისაგან, 10-13 ქვედა, მჯდომარე, ქერქლისებრი ფოთლებით, რომლებიც თანდათანობით გადადის შუა თანაფოთლებში. ყლორტი მთავრდება წვეროსეული ყვავილით; სუსტ ეგზემპლარებში 1 ყვავილი ვითარდება, მძლავრ მცენარეებში - 1-3 შეფოთლილი ყვავილები. ყვავილსაფარი ორმაგია. გვირგვინი ზარისებრია ან მილისებრ-ზარისებრი, გარედან ალუბლისფერ-ისფერი ან მურა წითელი, შიგნიდან მოყვითალო-მურა ან მკრთალი ისფერი. ნაყოფი მომრგვალო კლოფია, მრავალრიცხოვანი თესლით, იხსნება სარქველით. ფვ. III-IV; ნაყ. V-VI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია უკრაინაში, კარპატებში, მოლდოვასა და კავკასიაში (სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში).

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია ფესურები, ამზადებენ გაზაფხულზე ნაყოფმსმოიარობამდე. მცენარის ყველა ორგანო შეიცავს ტროპანულ ალკალოიდებს: ჰიოციამინს (რომელიც

ალკალოიდების ჯამის ძირითად ნაწილს შეადგენს), სკოპოლამინს, ტროპინს, პსევდოტროპინს, სკოპოლეტინს და სხვ.

ფარმაკოლოგიური ეფექტი განსაზღვრულია ალკალოიდ ატროპინისა და სკოპოლამინის მოქმედებით. ატროპინი – ძირითადი წარმომადგენელია ქოლინერგიური ნივთიერებების, რომელიც იწვევს უმთავრესად ქოლინორეცეპტორების ბლოკირებას. თანამედროვე წარმოდგენებით, ატროპინი არის ეგზოგენური ლიგანდა – ქოლინორეცეპტორების ანტაგონისტი.

მცენარიდან მიღებულია პრეპარატები: სკოპოლამინის ჰიდრობრომიდი და ატროპინის სულფატი სხვადასხვა სამკურნალო ფორმებში (ხსნარები, აბებები, მალამო), ტაბლეტები – “აერონი” გამოიყენება წყლიულოვანი და ნაღველაქნჭოვანი დაავადებების, ნაწლავებისა და შარდსადინარი გზების ჭვლების, ბრონქიალური ასთმის, ბრადიკარდიის, გლუკი მუსკულატურის ჭვლების დროს. ატროპინი გამოიყენება ანესტეზიოლოგიურ და ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაშიც.

**უპუშქმედება:** ყურადღება უნდა მიექცეს სკოპოლამინის პრეპარატებისადმი ინდივიდუალურ მგრძნობელობას; ზოგიერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი დოზა იწვევს აღგზებას, პალუცინაციებს და სხვა გვერდით მოვლენებს.

**სტევია, თაფლოვანი ბალაზი – *Stevia rebaudiana Bertoni*  
ოკ. როულფგავილოვანნი (ასტრასებრნი) - Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, ფოთოლმცვენი, უხვფოთლიანი ნახევრადბუჩქია. ფოთლები ელიფსურ-ლანცეტუაა, ბაცი მწვანე-ყვავილი ზუთწევრიანია, გვირგვინის თეთრი ფურცლებით. ნაყოფი წვრილი კოლოფია მრავალრიცხოვანი წვრილი თესლით. ზოგიერთ ქვეყანაში ერთწლოვანი კულტურის სახით მოჰყავთ.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ (პარაგვაი, ბრაზილია) და ცენტრალური ამერიკის სუბტროპიკულ რაიონებში, იზრდება ნახევრადმშრალ ტერიტორიებზე დაბლობიდან მთიან რაიონებამდე. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში: აშშ-ში, კანადაში, სამხრეთ ამერიკაში, რუსეთში, ჩინეთ-იაპონიაში, ტაივანზე, ტაილანდში, მალაიზიაში, სენტ-კიტსა და ნევისში, შედის საკვები პროდუქტების შემადგენლობაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აღნიშნულ სახეობას, ისევე როგორც გვარი სტევიას სხვა წარმომადგენლებს, თანამედროვე ბრაზილიისა და პარაგვაის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი ინდიელი ტომის – გუარანის მკვიდრნი იყენებდნენ მატესა (პარაგვაული ჩაი) და სხვა სამკურნალო ჩაის შემადგენლობაში,

დამწვრობისა და მთელი რიგი დაავადებების სამკურნალოდ. აღნიშნებოდა, რომ მას შესწევს უნარი ადამიანის ორგანიზმი დარღვეულ ნივთიერებათა ცვლის პროცესების აღდგენის, ენერგეტიკული დონის ამაღლების, სიბერის პროცესების დამუხრუჭების, გარემოს უარყოფითი გავლენისაგან დაცვის, ორგანიზმის მთელი სისტემის პარმონიზაციის; ამასთან ერთად გააჩნია ტკბილი გემო, რომელიც ახლოა შაქართან. ბოლო პერიოდში გახდომის დიეტისადმი გაზრდილი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, როგორც ნახშირწყლებისა და შაქრების ბუნებრივ წყაროს კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა. შაქრის შემცველად და საკვების დანამატად იყენებენ იაპონიაში, აშშ-ში, კანადაში. სამედიცინო კვლევებმაც აჩვენა დადგებითი შედეგები სიმსუქნისა და ჰიპერტონიის სამკურნალოდ.

განსაკუთრებული ყურადღება მცენარეს XX ს-ის 30-იანი წლებიდან მიექცა, როდესაც შესწავლილ იქნა მისი ქიმიური შემადგენლობა.

მთავარი ნივთიერებები, რომელმაც ეს სახეობა ცნობილი გახდა მასში არსებული სტევიოზიდი და რებაუდიზიდებია, ესენია დიტერპენონიდული გლიკოზიდები, მათი სიტყბო 200-400-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე სახაროზის, და რაც მთავარია მათი უპირატესობაა კალორიების მინიმალური შემცველობა; მდიდარია სხვა სასარგებლო ნივთიერებებით - ვიტამინებით (A, B, C, P - ჯვუფის), ამინომჟავებით (აღინიშნება 17 სახის), მიკროელემენტებით, ბეტა-კაროტინით, ეთერზეთებითა და ჰექტინებით.

დადგენილია, რომ ბუნებრივი სიტყბოს გარდა, ბალაზი ხასიათდება ანთების საწინააღმდევო მოქმედებით, ამცირებს სისხლში შაქრის შემადგენლობას, აქვეითებს ქოლესტერინს, ამაღლებს ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებს იმუნიტეტს, ანელებს სიბერის პროცესს. თაფლოვანი ბალაზი ხასიათდება ანტიმიკრობული მოქმედებითაც; რეკომენდებულია მისი ჩაის მიღება გაციებისა და გრიპის პროფილაქტიკისათვის.

ბიოლოგიურად მომქმედი ნივთიერება სტევიოზიდი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის

წყლულის დროს, ხელს უწყობს სისხლში შაქრის შემცირებას, ამაგრებს სისხლ-ძარღვების კედლებს, მოქმედებს კბილის უმაღლე, ეწინააღმდეგება პირის ღრუში ბაქტერიების გამრავლებას (აქედან გამომდინარე მრავალი კბილის პასტა, პირის ღრუს პიგინის პროდუქტები სტევიოზიდს შეიცავს).

ამგვარად, მსოფლიოს წამყვანი დიეტოლოგები ამ მცენარეს თვლიან თანამედროვეობის ყველაზე სასარგებლო, პერსპექტიულ დამატებობელ საშუალებად, მას აქვს სიტყბოს მაღალი კოეფიციენტი, დაბალი ენერგეტიკა, მდგრადია გაცხელებისას, ადვილად იხსნება, დოზირებულია, არ იწვევს ორგანიზმზე მავნე მოქმედებას; სტევიოზიდის საფუძველზე დამზადებული ტკბილეული რეკომენდებულია ყველა ასაკის ადამიანისათვის.

სტევიოზიდის საფუძველზე მიღებული ნატურალური შაქრის შემცველი ტაბლეტები წარმოდგენილია სავაჭრო მარკეტ “სლადის ელიტ”-ით.

**უკუქმედება:** ვინაიდან უკუჩვენებები არ აღინიშნება, შესულია მცირეწლოვანი ბავშვების რაციონში.

**სტელეხოკარპუსი, კეპელის ხე – *Stelechocarpus burahol*  
(Blume) Hook et Thomson  
ოჯ. ანონასებრნი - Fam. Annonaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ერთსახლიანი 20-25 მ სიმაღლის ხეა მონაცრისფრო-ყავისფერი ან შავი ქერქით, დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი ხორკლებით. ფოთლები მოგრძო-ელიფსური ან ოვალურ-ლანცეტაა, 12-30 სმ სიგრძისა და 5-9 სმ სიგანის, 1,5 სმ სიგრძის ფუნწებით, სხვადასხვა შეფერილობის - მუქი-მწვანე და ვარდისფერი, თხელი-ტყავისებრი. ყვავილები ერთსქესიანია, მცირე ზომის, მომწვანო-თეთრი ან მოწითალო, მამრობითი ყვავილები განლაგებულია ხის ტანის ზედა ნაწილზე და ძველ ტოტებზე, ჯგუფ-ჯგუფად (8-16 ცალი) ვითარდება; მდედრობითი ყვავილები ხის მხოლოდ ქვედა ნაწილზე ასევე ჯგუფებადაა (1-16) შეკრებილი; ნაყოფი კანკრისებრია, თითქმის სფერული, სქელი ყავისფერი კანით, 3 სმ-მდე დიამეტრის, შეკრებილია გრძელყუნწიან კუნწულებად; რბილობი წვნიანი და ტებილია მანგოს სასიამოებო არომატითა და გემოთი. თესლი ელიფსურია, 3 სმ სიგრძის. მცენარე ყვავილობს სექტემბერ-ოქტომბერში, ნაყოფები წარმოიქმნება მარტ-აპრილში, ერთ ხეზე საშუალოდ 1500-მდე ცალი ნაყოფი ვითარდება.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სამხრეთ-აღმოსავლეთ

აზიის მეტად იშვიათი და გადაშენებადი სახეობაა. ბუნებრივად იზრდება იაკასა და სოლომონის კუნძულებზე, მალაზიის ზოგიერთ ოლქში.

ძველ დროში კუნძულ იაკაზე ამ ხეებს რგავდნენ მხოლოდ მეფის სასახლეების ბაღებში. ნაყოფების გამოყენებაც მხოლოდ დიდებულებს ხელეწიფებოდათ, უბრალო ადამიანებისათვის კი ხელმიუწვდომელი იყო.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი საკვებად ვარგისია. სწორედ ნაყოფებიდან გამომდინარე ყველაზე საოცარ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, ცვლის პარფიუმერიულ წყლებს, მისი მიღებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში პირიდან და ოფლიდანაც კი ის სასიამოვნო სურნელი იფრქვევა. ნაყოფები დეზადორული თვისებების გარდა, სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა. ეჯექტური შარდმდენი საშუალებაა, თავიდან აცილებს თირქმელების რიგ დაავადებებს; ქალების მიერ გამოიყენება კონტრაცეპტულ საშუალებად, იწვევს დროებით უნაყოფობას.

**შპუქმედება:** არ არის დადგენილი.

**სტეფანია - *Stephania glabra* (Roxb.) Miers.  
ოჯ. მენისპრმასებრნი - Fam. Menispermaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 15 მ-მდე სიგრძის მერქნოვანი მცოცავი ლიანაა. ფესვი მოყავისფრო ნაცრისფერია, ხორცოვანი, ტუბეროვანი, ბაცი ყვითელი რბილობით. ფოთლები გულისებრი ფორმისაა, მწვანე, იზრდება სპირალურად. წვრილი ერთსქესიანი ყვავილები შეკრებილია უბისეულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი კურკიანაა, მომწიფებისას ვარდისფერი ხდება. თესლი - მუქი ყავისფერია, უკუკაპერცხისებრი ფორმის. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივი გავრცელების არეალია – ტროპიკული და სუბტროპიკული მთანი რაიონები: ავსტრალია, სამხრეთ ჩინეთი, იანძია, ბირმა, ვიეტნამი, ინდოეთი. კულტივირებულია ამავე ქვეყნებში. ინტროდუცირებულია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ტუბერი წარმოადგენს. შეიცავს დიდი რაოდენობით ალკალოიდებს: გინდარინს, სტეფანინს, როტუნდინს. ხალხურ მედიცინაში სტეფანიის პრეპარატები გამოიყენება როგორც დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ეფექტურია აგრეთვე ციებ-ცეხელების დროს სიცხის დასაწევად, შველის უძილობას, თავის, ნაწლავებისა და კუჭის ტკივილებს;

იხმარება ტუბერკულოზის, ბრონქიალური ასთმის, დიზენტერიის დროს.

მიღებულია პრეპარატი “გინდარინი”, რომელიც დაშვებულია ოფიცინალურ მედიცინაში გამოსაყენებლად. მას უნიშნავენ ნევრასტენის, ნაირგვარი ფსიხოზების, ნევროზების, მაღალი აღგზნებადობის დროს; გამაუმტკივნებელი საშუალებაა მშობიარობისას.

**შეჯმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა, ჰიპერმგრძნობიარობა; უკუმაჩვენებელია ფეხმძიმებისა და მემუტური დედებისთვის.

### სტირაქსი – *Stirax officinalis* L.

ოჯ. სტირაქსისებრნი - Fam. Styracaceae



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 7 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები მორიგეობითია, კიდემთლიანი, ფართოკვერცხისებრი ან კვერცხისებრი, 2,5-6,5 სმ სიგრძის. ბლაგვი ან ოდნავ მახვილი. ღერო, ფოთლები, ყვავილის ჯამის ფოთოლაკები და გვირგვინის ფურცლები დაფარულია მოყვითალო-ყავისფერი ვარსკვლავსებრი ბეწვითა და წვრილი ქერცლებით. ყვავილები სურნელოვანია, შეკრებილია მცრერიცხოვან მტევნებად, აქტინომორფულია, ჩვეულებრივ ორსქესიანი, ყვავილსაფარი 4-5 წევრიანია, თეთრი. ნაყოფი კურკაა.

**ისტორია და ქულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთში (დასავლეთით იტალიამდე) და მცირე აზიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო სტირაქსი და ამავე გგარის ხსევა მრავალი სახეობა არომატული ბენზოინის ფისების მიღების წყაროს წარმოადგენს. უფელესი დროიდანაა ცნობილი, ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და კოსმეტიკაში.

არომატული ფისების სასიამოვნო სუნი გამოწვეულია მათში ვანილინისა და დარიჩინის შემცველობით. ძველი არაბები მას სურნელებისათვის იყენებდნენ და კუნძულ იავადნ ჩაჰქონდათ. ფისის მიღების წესი მეტად მარტივია, დასაწყისში შემოატეხავენ ქერქს, შემდეგ სერავენ რამდენიმე ადგილას კაბიუმამდე, გამონადენი არომატული წვენი თეთრი ფერისაა, პაერზე სწრაფად მაგრდება, მას აგროვებენ და აგზავნიან შემდეგი დამუშავებისათვის; საინტერესოა, რომ ახალგაზრდა ჯანმრთელ ხეებს არ გააჩნიათ ფისი და არც განსაკუთრებული ფისოვანი საცავები; ლიზიგენური დარებისა და ფისის წარმოქმნა იწყება გარკვეული დროის შემდეგ ხეების დაზიანებისას. ჩვეულებრივ პირველი დასერვა წარმოებს შვიდწლიან მცენარეებზე, უფრო მეტად ფასდება ახალგაზრდა ხეების ფისი, შეიცავს მოყვითალო-თეთრი ფერის საკმაოდ მსხვილ ნაჭრებს, ხნოვანებასთან ერთად მუქდება და ერთგვაროვანი ხდება. როგორც წესი ხეებს 12 წლის ასაკამდე იყენებენ, შემდეგ ჩეხავენ და მათ ადგილზე რგავენ ახალგაზრდა მცენარეებს.

**უპუქმედება:** გამოიყენება მხოლოდ გახსნილი ნაერთების სახით. შინაგანად მისი მიღება დაუშვებელია. გამოიყენებისას სიფრთხილე მართებთ ფენმძიმე ქალებს.

**სტროფანტი - *Strophanthus combe* Oliv.  
ოჯ. ქენდირისებრნი - Fam. Apocynaceae**



**მორფოლოგია:** მსხვილი მერქნოვანი ლიანაა, იშვითად ბუჩქი ან მცირე ზომის ხე, გრძელი, სუსტად ხვიარა გადაშლილი ყლორტებით. ფოთლები ჯვარედინ-მოპირისპირეა, იშვიათად რგოლურად შეკრებილი, ელიფსური, მახვილწვერიანი, შებუსული. ყვავილები სწორია, განწყობილია ყლორტების ბოლოებში დიაზიუმებად; გვირგვინი ძაბრისებრია, ხუთნაკვთიანი გადანალუნით, ორიგინალური ფორმის, გვირგვინის ფურცლები გადაღუნულია, 20-25 სმ სიგრძისა და 1 სმ სიგანისაა, ყვავილის ხახაში 5 პატარა ორგბილა წითელი წამონაზარდით, გარედან მოთეთრო-ვარდისფერია, შიგნიდან ყვითელი, ხშირად ლაქებით. ნაყოფი შედგება 2 თითისტარისებრი, წვერისკენ მკვეთრად დაკიწროებული, მუქი ყავისფერი ან მოყავისფრო-ისფერი სიგრძივ დალარული 35-40 სმ სიგრძისა და 3-5 სმ დიამეტრის ფოთლურისაგან, მომწიფებისას პორიზონტალურად იხსნება. თესლი მრავალრიცხოვანია, ლანცეტისებრი, ბრტყელი 10-17 მმ სიგრძის, მუქი მურა, სუსტად შებუსული, წვერზე ბუსუსთ დაფარული ფხით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ აფრიკაში, სენეგალიდან ანგოლამდე, ხშირ ტრპიკულ ტყეებსა და ტყის პირებზე.  
**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო

ნედლეული თესლებია. შეიცავს გულის გლიკოზიდებს: K-სტროფანტოზიდს და სხვა გლიკოზიდებს, რომლებიდანაც ფერმენტული დამუშავების შემდეგ გამოიყოფა K-სტროფანტინი, ციმარინი, ციმაროლი, პერიპლოციმარინი, პელვეტიკოზიდი, ემიციმარინი, გლუკოჰელვეტიკოზიდი, გლუკოციმაროლი, ციმარილის მუვა; აგრეთვე ქოლინი, ტრიგონულინი, საპონინები და ცხიმზეთები (35%-მდე); ფესვების ქერქში აღინიშნება - გულის გლიკოზიდები (0.6-0,7%), ქოლინი და ტრიგონულინი.

სამედიცინო პრაქტიკაში სტროფანტის პრეპარატები გამოიყენება გულის მოქმედების დეკომპენსაციისათვის შემდეგი დაავადებებისას: გულის მანკი, ნეფრიტის ნიადაგზე წარმოქმნილი გულის მწვავე უქმარისობა, გულის ასთმა, ინფექციური დაავადებები, კარდიოათეროსკლეროზი, ფილტვების შეშუპება. თერაპიულ დოზებში სტროფანტი აძლიერებს გულის სისტოლურ კუმშვადობას, ახანგრძლივებს დიასტოლს, ანელებს რიტმს, ამცირებს მოდუნებულ მდგომარეობასა და ქოშინს, ამცირებს დიურეზს. Digitalis-ის პრეპარატებისაგან განსხვავებით ნაკლებად ავიწროებს გულის ვენურ სისხლძარღვებს, ნაკლებად კუმულირება, ორგანიზმიდან სწრაფი გამოდევნის გამო. სტროფანტის მოქმედება სისხლში შეყვანის პირველი წუთებიდანვე იწყება, რაც მეტად მნიშვნელოვანია გულის მწვავე უქმარისობისას.

**შაჟქშედება:** სტროფანტის პრეპარატები საფრთხილოა დისტროფიკებისათვის.

სურნელოვანი დრაცენა ან “ბჯდნიერების ხე”-

*Dracaena fragrans* (L.) Ker Gawl.

ოჯ. სატაცურისებრნი - Fam. Asparagaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე დეკორატიულ-ფოთლოვანი მცენარეა, გრძელი, ზოგჯერ დატოტვილი ღეროთი, ბუნებრივ პირობებში აღწევს 6 მ სიმაღლეს, ოთახის კულტურაში არა უმეტეს 1-2 მ-ს. წარმოქმნის ფოთლისეულ როზეტს, ფოთლები პრიალაა, რკალისებრ-მოხრილი, კიდეებზე სუსტად დატალდული, მსხვილი, 60 სმ-მდე სიგრძისა და 10 სმ-მდე სიგანის, მწვანე, ერთგვარი ან განსხვავებული ზოლებით, ბაცი მწვანე, თეთრი, ყვითელი ფერის არშით; ფოთლის ფირფიტის ორივე მხარეს მკვეთრადაა გამოხატული ცენტრალური დამარღვა.

მცენარის დამახასიათებელი თავისებურებაა ყვავილების მკვეთრი არომატი, რომელიც ახლად გათიბული ბალანის სურნელის მსგავსია. ყვავილები თეთრი ან ბაცი მწვანეა, წვრილი, 90 სმ სიგრძის საყვავილე ისრით, ვითარდება ფოთლის როზეტის ცენტრიდან, ფორმირებულია ფუმფულა ყვავილედებად, ინტენსიური სუნით იზიდავს დამამტვერიანებლებს, მწერებს და წვრილ ჩიტებს - კოლიბრებს. ოთახის კულტურის პირობებში არ ყვავის ან ყვავის იშვიათად. ზრდასთან ერთად ღერი შიშვლდება და იძენს პალმის ეგზოტურ იერს, წვერზე პრიალა ფოთლების კონით.

ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, თითოეულ ბუდეში ერთი თესლით. ფართოდაა გავრცელებული ოთახის კულტურის სახით, მიღებულია უამრავი ჯიში, სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის ფორმებით.

**ისტორია და ძულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკისა და ცენტრალური ამერიკის ტროპიკებში.

სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება: სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში დრაკენას “ბეღნიერების ხეს” უწოდებენ. თვლიან, რომ ასუფთავებს ატმოსფეროს მავნე ენერგეტიკისაგან, მოაქვს წესრიგი, სიმშვიდე და ჯანმრთელობა.

გვარი Dracaena – ს სახეობების წვენი ადგილობრივი მოსახლეობის ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კანის დაავადებებისა და კუჭის წყლულის სამკურნალოდ; ხმარობენ თმის შესაღებადაც.

### სურნელოვანი გერანი, სურნელოვანი პელარგონიუმი *Pelargonium graveolens* Alt.

ოჯ. გერანიასებრი - Fam. Geraniaceae



**მორფოლოგია:** ბუჩქ-ბალახოვანი 0,5-1,5 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, ძლიერ დატოტილი ღეროებით. ფორმილი 5-7 ნაწილადაა თათისებრ დაყოფილი, გრძელი შებუსული ყუნწებით,

მოყვითალო-მომწვანო ფერისაა, ჯირკვლოვანი ბუსუსით მოფენილი. ყვავილი მრავალრიცხოვანია, შეკრებილია ფოთლისეულ უბეებში ქოლგისებრ ყვავილედებად, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, წითელი შტრიხებით. ნაყოფი ხუთბუდიანია, თითოეულ ბუდეში ერთი თესლით, მთავრდება წაგრძელებული ნისკარტით, რომელიც ყარყატის ნისკარტს მოგვაგონებს. მთელი მცნარე ძლიერი სურნელით გამოირჩევა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ აფრიკა. კულტივირებულია ეგვიპტეში, კონგოში, ჩინეთიაპონიაში, ცენტრალურ ამერიკაში, ევროპაში (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი), რუსეთში. გერანის ეთერზეთებს აწარმოებენ საფრანგეთში, ეგვიპტეში, ჩინეთსა და რუსეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გერანი ეთერზეთების მიღების წყაროს წარმოადგენს, გამოიყენება მცნარის მიწისზედა ორგანოები (ფოთლები, ღერო, ყვავილები). გამოხდილი ზეთის შეფერილობა მომწვანო-მოყვითალოა, არომატი: თბილი, ზეთოვანი, ნედლი, ყვავილოვანი, ფისის, ლიმონისა და ვარდის ნარევი სურნელის. შეიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: ციტრონელოლი, გერანიოლი, ფენოლი, ეთილის ალკოჰოლი.

გამოირჩევა ფისქო-ემოციური მოქმედებით, ამაღლებს გრძებრივ და ფიზიკურ აქტივობას, აღადგენს ფისქო-ემოციურ ჰარმონიას გადაღლილობისა და ნერვული გამოფიტვის დროს, აცილებს შიშის შეგრძნებას, არის საუკეთესო ანტიდეპრესანტი, აუმჯობესებს განწყობილებას, ხსნის არასრულფასოვნების კომპლექსს და სხვაზე დამოკიდებულებას, ჰაერს ბრწყინვალე არომატით ავსებს, ადამიანებს ანიჭებს სიმწნევეს და აძლიერებს ფიზიკურ ძალებს.

**არომათერაპია:** სახლის პირობებში გამოიყენება როგორც ეფექტური საშუალება ჭრილობების, დამწვრობის, წყლულების შესახორცებლად. შეელის კანის ნეიროენდოკრინული ხასიათის პრობლემებს, ღერმატიტს, პედიკულოზს. აუმჯობესებს კანის საერთო მდგომარეობას, ხელს უწყობს მისი ქსოვილების აღდგენით პროცესებს, ათეთრებს, არბილებს და აახალგაზრდავებს მშრალ კანს, სპობს ქერტლს.

როგორც სამკურნალო საშუალება ანტიკური დროიდანაა ცნობილი, შველის დიზენტერიას, ბუსილს, ანთებით პროცესებს, მენორეგიას. ხასიათდება ანტიგანცეროგენული, ანტიბაქტერიული, ანტიტენციული, ანტისეპტიკური, ანტივირუსული, გამაუმტკიცნებელი მოქმედებით; ხსნის შუა კურისა და ცხვირ-ხახის ანთებას, აუმჯობესებს გულის კუნთის გამტარუნარიანობას, მიკროცირკულაციას, აქვეითებს არტერიალურ წნევას, ასტმიმულირებს სისხლისა და ლიმფურ მოძრაობას, ამცირებს შაქრის ღონეს სისხლში; ხასიათდება მატონიზირებელი, შარდმდენი, შემკვრელი და ჭიისმდენი ეფექტით, აჩერებს სისხლდენას, აწესრიგებს მენსტრუალურ ციკლს, ამსუბუქებს ორგანიზმის მდგომარეობას კლიმაქსის პერიოდში.

ძველ დროში ითვლებოდა საუკეთესო სამკურნალო საშუალებად, რომელსაც შეეძლო მოტეხილობებისა და კიბოს განკურნება. ძველი დროიდანვე უწოდებდნენ “ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს”, ვინაიდან ხსნის ტკივილებსა და ანთებით პროცესებს ამ ორგანოებში; ხელს უწყობს გულის კუნთის მიკროცირკულაციას, აცილებს იშემიას, ტახიკარდიას, სინუსურ არითმიას, არის მძლავრი გამაუმტკივნებელი და შეშუპების საწინააღმდეგო საშუალება, აცილებს ნევრიტებს, ნევრალგიას, ხსნის ტკივილებს ართორიტის, მიგრენის, რეგმატიზმისა და ნევრალგიის დროს, ასტრიმულირებს ლეიქოდისა და კუჭქვეშა ჯირგვლის ფუნქციებს, ხასიათდება სოკოების საწინააღმდეგო და ანტიპარაზიტული მოქმედებით.

გერანის ზეთი, რომელიც სურნელებით გარდის ზეთს წააგავს იხმარება პარფიუმერიაში მოელი რიგი პროდუქტების დასამზადებლად (სუნამო, ოდეკოლონი, ტუალეტის წყალი, საპონი, პუდრი და სხვა კოსმეტიკური საშუალებები). გამოიყენება ლიქიორისა და არყის წარმოებაში, საკონდიტრო საქმეში ხილეულის ესენციების დასამზადებლად.

**უგუქმედება:** არ არის ტოქსიკური, არ იწვევს გაღიზიანებას, მაგრამ ზოგიერთ ადამიანში შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს. მისი გამოყენება ხანგრძლივი დროის მანძილზე არასასურველია (არაუმეტეს 3 კვირისა). არასოდეს არ უნდა მიიღოთ ზეთი უზმოზე!

**სურნელოვანი ზეთის ხე, ოსმანთუსი  
*Osmanthus fragrans* Lour.  
ოჯ. ზეთისხილისებრნი - Fam. Oleaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10 მ-მდე სიმაღლის ხეა ან ბუჩქი. ფოთლები ტყავისებრია, ელიფსური, მახვილი წვერით, კიდეებზე წვრილი კბილებით ან კიდემთლიანი, 10 სმ-მდე სიგრძის. ყვავილები სურნელოვანია, თეთრი, შეკრებილია ფარისებრ უბისულ ყვავილებებად, ყვავილის სიგრძე 1,5-2 სმ-ია. ნაყოფი ერთ თესლიანი კურკაა, 1,5 სმ სიგრძის, კვერცხისებრი. ყვ. VI-VIII; ნაყ. X-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო პიმაღლაი, ჩინეთი და იაპონიაა; იზრდება მთებში ზღვ. 3700 მ-მდე. ფართოდაა კულტივირებული.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ოსმანთუს – “ყვავილოვანი ჩაის” სახელით უძველესი დროიდან იყენებდნენ. ხასიათდება მკვეთრი, სასიამოვნო არომატით, გამოირჩევა გემოვნებით, სიმძლიერით, სიმწვევითა და სიმკვრივით. ჩინელები ამ მცენარეს მთელ რიგ სამკურნალო თვისებებს აწერენ; ითვლება, რომ წმინდავს ორგანიზმს, ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას, წარმოადგენს გაახალგაზრდავების საშუალებას, ასტიმულირებს სისხლისმოძრაობას, ნივთიერებათა ცვლას და უჯრედების მეტაბოლიზმს, რაც შესაბამისად ხელს უწყობს გახდომას და ზედმეტი კილოგრამების დაწვას, არის შუბუქი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის. შველის გაციებას, ყვავილის ზეთი

არბილებს ზველებას. მიიჩნევენ, რომ მთელი წლის განმავლობაში ნაეყნის მიღება ადამიანს 5 წლით აახალგაზრდავებს., ხოლო 2 წლის მანძილზე – 10 წლით.

**უკუქმედება:** არ გააჩნია.

**ტაბელა, პტერისი – *Pteris cretica L.***  
**ოჯ. პტერიდასებრნი - Fam. Pteridaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მიწისპირა მცენარეა, მოკლე მსობავი დატოტვილი ფესურით (დაფარულია ჟანგისფერი ან ბაცი-ყავისფერი ქერქლებით), რომელთა ბოლოებიდან ვითარდება მაღალი წვრილი ლეროები; ფოთლები ფრთისებრია, 40-70 სმ სიგრძის, მწვნე, კიდებზე ხეშეში ჯაგრით მოფენილი, მუქი-ყავისფერი სორუსები ფოთლებზე სიგრძივაა განწყობილი, ყუნწი ბევრად მოკლეა ფოთლის ფირფიტაზე, მაგარია, მოყვითალო-ყავისფერი, უხვადაა მოფენილი ბაცი-ყავისფერი ქერქლებით, სეგმენტური ლაქები ვიწროსამკუთხა ფორმისაა.

**ისტორია და ძულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ახალი ზელანდიის, ტასმანიის, აფრიკის, იაპონიისა და სამხრეთ ამერიკის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ცნობილია “ფრთიანი გვიმრის” სახელითაც. ოთახის კულტურაა, მეყვავილეების მიერ მრავალი კულტივარია გამოყვანილი, განირჩევა კონფიგურაციითა და შეფერილობით.

ხალხურ მედიცინაში მცენარის მიწისზედა ნაწილი გამოიყენება დიზინტერის, ჰეპატიტის, სისხლდენების, შარდსადინარი სისტემის ინფექციებისა და ინტოქსიკაციის, გულის ტკივილების დროს. ნაყენი რეკომენდებულია სტომატიტის, კიბოს, გემატომის, ბუასილისა და ლიმფური კვანძების ანთებისას.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**ტარო, კოლოკაზია – *Colocasia esculenta* (L.) Schott.  
ოჯ. ნიუკასებრინი - Fam. Araceae**



**მორფოლოგია:** პოპულარული ტროპიკული მრავალწლოვანი, 80-120 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს მსხვილ ტუბერს, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებენ. ფოთლები ფესვთანურია, მსხვილი, ტყავისებრი, მკერივი, ფართოკვერცხისებრი, 30-50 სმ სიგრძის. ყვავილები – ტაროა. ნაყოფი მრავალთესლიანი კენკრაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ტროპიკულ რეგიონებში: ინდოეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ბირმაში, მალაიზიის ნახევარკუნძულზე, ფილიპინების კუნძულებზე, ჩინეთის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ტრადიციული ადგილსამყოფლების გარდა ფართოდაა კულტივირებული ოკანიის კუნძულებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტაროს უპველესი დროიდან სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებდნენ. ცნობილი იყო, რომ ტუბერის საკვებად გამოყენება ხსნის ტემპერატურას, ააქტიურებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამშვიდებს ანთებით პროცესებს და ამსუბუქებს ტკივილებს. საკვებად ტუბერთან ერთად გამოიყენება ღერო და ფითლები მრავალი სახის ეროვნული კერძის დასამზადებლად.

ტუბერი უმთავრესად ნახშირწყლებს შეიცავს, მათგან დიდი რაოდნობით სახამებელს, აგრეთვე დექსტრინსა და შაქრებს, რომლებიც მას ანიჭებს სპეციფიურ მოტკბო გემოს, აღინიშნება ცილები, ცხიმები, უჯრედისი, გლუკოზა, სხვადასხვა არაორგანული შენაერთები, მინერალური მარილები, ვიტამინები (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>) და სხვ. ლორწოვანი ნივთიერება მუცინი, რომელსაც ტუბერი შეიცავს გლიკოპროტეიდია, ანუ შაქრებისა და ცილების წარმოებულები, ის აჯანსაღებს ღვიძლსა და თირკმელებს, ასტიმულირებს ცილების გახლეჩვას, აჩქარებს უჯრედების ზრდას; სიბერის პროფილაქტიკური საშუალებაა. გარდა ამისა, მუცინი ანელებს ნახშირწყლების გადამუშავებას და შეწოვას, ამით აბრკოლებს ზედმეტი წონის დაგროვებას. აღნიშნული ნივთიერება მეტად ეფექტურია დისბაქტერიოზისა და დიარეის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, რაც გამოწვეულია ალკოჰოლის გადაჭარბებული მიღებით.

**შაქმედება:** არ არის დადგენილი.

**ტეტრაკლინისი ან სანდარაკის ხე - *Tetraclinis articulata* Mast.  
 (=*Callitris articulata* (Vahl) Murb.; *C. quadrivalvis* Vent.)  
 ოჯ. კვიპაროზისებრნი - Fam. Cupressaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე წიწვოვანი 6-15 მ სიმაღლისა და 35-45 სმ დიამეტრის დატოტვილი ხეა. წარმოქმნის ქოლგისებრ ფაშარ ვარჯვს, დაფარულია ჯვარედინად განწყობილი ქერქლისებრი, მიჭყლეტილი, წვრილი ფოთლებისაგან. ნაყოფები – გირჩები მცირე ზომისაა, 10-15 მმ სიგრძის, სქელი მერქნისებრი ქერქლებით, მომწიფებისას მწვანეა, მოგვიანებით ყაყისფერი, ბურთისებრი. თესლები 5-7 მმ სიგრძისა და 2 მმ სიგანისაა, ფართო ფრთებით.

მონოტიპური გვარია ერთადერთი სახეობით, შეტანილია საერთაშორისო წითელ წიგნში. მცენარე ცნობილია “ბერბერის ტუიას” და “სანდარაკის ხის” სახელითაც.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის მთიან რაიონებში, უმთავრესად ალჟირსა და მაროკოში, ესპანეთსა და კუნძულ მალტაზე, სადაც ეროვნულ სიმბოლოდ ითვლება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** წარმოადგენს მნიშვნელოვანი ნივთიერების – რბილი ფისის ეწ. “სანდარაკის ფისის” მიღების ძირითად წყაროს, რომელიც გროვდება ქერქის ფისოვან სათავსებში; ხის ბუნებრივი ნაბზარებიდან ან დასერილი ადგილებიდან ყვითელი წვეთების სახით გამოყოფილი სითხე, ჰაერზე სწრაფად შრება, გამჭვირვალეა, ბაცი ყვითელი ფერის,

მტკრევადი, ხასიათდება სასიამოვნო არომატით და მწარე გემოთი. შედგება უმთავრესად ფისოვანი მჟავებისაგან, ეთერზეთები მშრალ ფისში მცირეა. გამოიყენება მაღალი ხარისხის ლაქის დასამზადებლად. არაბულ მედიცინაში იხმარება დიზინტერიის საწინააღმდევო საშუალებად. **შაშქმედება:** დაუდგენელია.

**ტექქის ხე – *Tectona grandis* L.**  
**ოჯ. ცოცხანასებრნი - Fam. Verbenaceae**



**მორფოლოგია:** 40 მ-დე სიმაღლის მარადმწვანე ხეა, ნაცრისფერი ან მონაცრისფრო-ყავისფერი ტოტებით. ფოთლები ოვალურია, 15-45 სმ სიგრძისა და 8-23 სმ სიგანის, კიდემთლიანი, 2-4 სმ სიგრძის სქელი ყუნწებით. ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე თეთრი სურნელოვანი ყვავილებით, რომელებიც შეკრებილია 25-40 სმ სიგრძისა და 30 სმ სიგანის საგველა ყვავილებად; ყვავილი სუსტად პროტანდრიულია, მტკრიანები ბუტკოზე აღრე მწიფდება და მტკერი გამოიყოფა რამდენიმე საათით ადრე ყვავილის გაშლამდე, გვირგვინის მილი 2,5-3 მმ სიგრძისაა, ბლაგვი 2 მმ სიგანის ფურცლებით. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, მწიფდება სექტემბრიდან დეკემბერში, სფერულია, 1,2-1,8 სმ დიამეტრის.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ინდოეთში, ინდონეზიაში, ბირმაში, ტაილანდში, მალაიზიაში, სუმატრასა და იავაზე. ფართოდაა კულტივირებული მშრალ სეზონიან ტროპიკული კლიმატის რაიონებში ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, მიანმეში და სხვ.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტექის ზის მერქანი მაგარია, მკვრივი, კარგი დასამუშავებელი; უძლებს ოერმიტების დამშლელ მოქმედებას, ზღვის წყალს, ქიმიურ ზემოქმედებას და ძნელად ლაპება. დიდად ფასობს გემთმშენებლობაში, ნავსადგურის ნაგებობათა მშენებლობაში, საავეჯო მრეწველობაში და სხვ. მერქანი გააქვთ ევროპაში.

**ტრადესკანცია, ზებრინა - *Tradescantia zebrina* (Schinz) D. R. Hunt (syn. *Zebrina pendula*)  
ოჯ. კომელინასებრნი - Fam. Commelinaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მხოხავი, თავწამოწეული ღეროებითა და მრავალი შებუსული ტოტებით, რომლებიც მუხლოშორისებრი ფესვიანდება. ფოთლები მორიგეობითია, ტოტებზე გარშემორტყმული, ფართო-კვერცხისებრი, ოდნავ წაწვეტებული, შუა ძარღვზე მოწითალო-მწვანე, კიდეებზე ფართო სიგრძივი ვერცხლისფერი ზოლებით, ქვედა მხრიდან – იისფერი. ყვავილი წვრილია, ვარდისფერი ან მეწამული.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სამშობლო ტროპიკული მექსიკაა. გავრცელებულია ცენტრალურ ამერიკაში, ანტილის კუნძულებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ყველაზე ფართოდ გავრცელებული ოთახის მცენარეა. მისი პრეპარატები გამოიყენება კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადებების, ტუბერკულოზის, გაციებისა და ანგინის, პარადონტოზის სამკურნალოდ. ტრადიციულ მედიცინაში დაქუცმაცებულ ფოთლებს კომპრესების სახით სიმსივნების, გემატომის, კოურების საწინააღმდეგოდ იყენებენ. ფოთლების ნახარში გამოიყენება კოლიფის, სისხლიანი ხველების, დიზინტერიის, დიაბეტის, საშვილოსნოდან სისხლდენის, გაციების, სახის ნევრალგიის სამკურნალოდ.

**უძუქმედება:** მკურნალობის დაწყებამდე მიმართეთ ექიმს.

**ტუნგოს ზე ჩინური – *Aleurites fordii* Hemsl.**

**ოჯ. რძიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae**



**მორფოლოგია:** ფოთლმცვენი 5-8 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი, შიშველი, გრძელფუნწიანი, გულისებრი ან ფართოკვერცხისებრი, 7-20 სმ სიგრძის. ყვავილები ერთსქესიანია, შეკრებილია ფაშარ ყვავილებად. ნაყოფი კურკისებრია, გლუვი, გრძელფუნწიანი, 6 სმ დიამეტრის, მუქი

ყავისფერი. თესლი მსხვილია, თესლის ბირთვი ზეთოვანია, სპილოს ძვლის ფერის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ცენტრალურ და დასავლეთ ჩინეთში და ჩრდილოეთ კიეტნაში, კულტივირებულია ჩინეთში, ტროპიკული აზიის ქვეყნებში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, ანტალიის კუნძულებზე, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტუნგოს ხის თესლი 60%-მდე ტუნგოს ზეთს შეიცავს. გამოიყენება მაღალხარისხოვანი მინანქრების, ლაქების და საღებავების დასამზადებლად. უბადლო ნედლეულად ითვლება ავიამშენებლობაში, გემთმშენებლობაში, ელექტროტექნიკურ, საავტომობილო, ტექქსოვილების, რეზინის, ლითოგრაფიულ და კვების მრეწველობაში (საკონსერვო ქილების მფარავი ლაქი). საერთოდ, ამ პროდუქტს 80-მდე სხვადასხვანაირი გამოყენება აქვს.

თესლი შეიცავს 48-57% ცხიმოვან ზეთებს, რომლის 80% შედგება ელეოსტეარინის მჟავისაგან.

**უნაბი - *Ziziphus jujuba* Mill.**

**ოჯ. ზეჭრელისქბრნი - Fam. Rhamnaceae**



**მორფოლოგია:** დატოტვილი 9 მ - მდე სიმაღლის ბუჩქია ან ხე, დაკუთხული - ხვეული ტოტებით, მოფენილია 3 სმ-მდე სიგრძის მახვილი ქაცვებით. ფოთლები ტყავისებრია, ფართო ლანცეტა ან

მოგრძო-კვერცხისებრი, თითქმის მჯდომარე, განწყობილია ორ რიგად წერილ ყლორტებზე, რომელიც რთულ ფოთოლს მოგვაგონებს. ყვავილები წვრილია, მომწვანო, მსხვილ გორგლისებრ ყვავილედებად შეკრებილი, ხუთწევრიანი, ბუტკო ორად გაყოფილი სვეტით. ნაყოფი - სფერული ან მოგრძო კურკიანაა 4 სმ სიგრძისა და 2,5 სმ დიამეტრის, 45 გ წონის, მოწითალო-ყავისფერი ან ყვითელი პრიალა კანით, ხორცოვანი, ტკბილი, თეთრი ან ბაცი მწვანე მეზოკარპიუმითა და ქვისებრი გულით. წვრილნაყოფა ჯიშების რბილობი შეადგენს ნაყოფის წონის 74-89 %, მსხვილნაყოფებში – 97 %. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ავღანეთში, სირიაში, აზერბაიჯანში, ირანში, ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში. უძველესი ღროიდანაა კულტივირებული სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ევროპის სამხრეთით (ხმელთაშუაზღვეთი), იაპონიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ ჩინეთში. სადაცისოდ ჩინეთის სუბტრონიკულ რაიონებში ერთ-ერთი მთავარი ხეხილოვანი კულტურაა. მოჰყავთ ასევე პაკისტანში, ავღანეთში, ირანში, აშშ-ში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. მიუხედავად იმისა, რომ უნაბის კულტურისათვის საქართველოს კლიმატური პირობები ხელსაყრელია, საკარმილამო ნაკვეთებზე მხოლოდ მცირე ფართობებით შემოიფარგლება.

ცნობილია 400-მდე ჯიში, რომელთა უმრავლესობა ჩინეთშია გამოყენილი და შემდგომ სხვადასხვა ქვეყნაში გავრცელდა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხეხილოვანი მცენარეა. ნაყოფები გამოიყენება საკვებად ნედლი, მშრალი და დაკონსერვებული სახით, აგრუთვე საკონდიტრო და სასმელების წარმოებაში.

ნაყოფის მშრალი რბილობი შეიცავს 40 მგ%-მდე ნახშირწყლებს, 5 მგ%-ზე მეტ პროტეინს, 1,5 მგ% ქარვის, ურზოლისა და ვაშლის მეტებს, 5,8 მგ% პექტინოვან ნივთიერებებს, 2 მგ%-მდე ფისებს, 1,2 მგ% მთრიმლავ ნივთიერებებს, კუმარინებს, ფლავონოიდებს (კემპფეროლი, მირიცეტინი და სხვ.), ტრიტერპენებსა და ტრიტერპენულ გლიკოზიდებს, საპონინებს,

იზოქინოლინის ალკალოიდებს (სტეფარინს, აზიმილობანს); ნაყოფები მეტად მდიდარია ვიტამინებით (C - 1100 მგ% და P - 100-მდე მგ%); ფოთლებიც შეიცავს ვიტამინ C – ს

უძველესი დროიდან ნაყოფები გამოიყენება აღმოსავლურ მედიცინაში. ხასიათდება დამამშვიდებელი, ჰიპოტენზური, დამარბილებელი, ამოსახველებელი, მატონიზირებელი, შარდმდენი და სასაქმებელი მოქმედებით. სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება შარდკენჭოვანი და შარდის ბუშტის ანთებითი პროცესების, ღვიძლის, ბრონქიტის, ტრაქეიტის, ყელის დაავადებების სამკურნალოდ; დადგბითად მოქმედებს მაღალი არტერიალური წნევის დროსაც.

თესლები ხასიათდება სედატური მოქმედებით; ფესვების ქერქის ნახარში ფალარათის საწინააღმდეგოდ გამოიყენება, ხოლო ფოთლებისა და ქერქის ნახარში ფილტვებისა და კანის დაავადებების დროს იხმარება.

**შპუქმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა, ფეხმძიმობა; არასასურველია მისი მიღება ჰიპოტონიის დროს.

**ფაცია – *Fatsia japonica* (Thunb.) Decne ex Planch.  
ოჯ. არალიასებრნი - Fam. Araliaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე მერქნოვანი 3-6 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ღერო მაგარია, განტოტვილი. ახალგაზრდა ტოტები, კვირტები და ფოთლები აბლაბუდისებრი ბეწვითაა შებუსული.

ფოთლები მორიგეობით და სპირალურადაა განწყობილი, გრძელყუნწიანია, ტყვაისებრი, მუქი მწვანე, ფოთლის ფირფიტა ღრმადაა 8 ნაკვთად დანაკვთული, თითოეული მათგანი 7-9 სმ სიგანისაა, დავიწროებული წვერით, კიდეხერხბილა. ყვავილი ორსქესიანია, ხუთწევრიანი, გვირგვინის ფურცლები კრემისფერ-თეთრია, შეკრებილია რთულ 30 სმ დიამეტრის ქოლგისებრ ყვავილებებად. ნაყოფი წვრილი მომრგვალო შავი კურკაა, 5 მმ-მდე დიამეტრის.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია იაპონიიდან კუნძულ ნანსეიმდე და კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ რაიონებამდე. ზოგიერთ ტროპიკულ ოლქში, მაგ. ახალ ზელანდიასა და კუნძულ ხუან-ფერნანდეზე, სადაც კულტურაში მოჰყვდათ, გავეღურდა. ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში ბალ-პარკების დამამშვენებელი ფრიად დეკორატიული მცენარეა; სხვა ქვეყნებში ოთახის კულტურის სახითაა ცნობილი.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფესვები შეიცავს ეთერზეთებსა და მთრიმლავ ნივთიერებებს. სამკურნალო მიზნით გამოიყენება როგორც მატონიზირებელი და საერთოგამაძლიერებელი საშუალება; ამაღლებს ორგანიზმის იმუნურ თვისებებს; ქერქი ხელს უწყობს ნერწყვისა და შარდის გამოყოფას. არის კარგი ანალგეტიკი, გამოიყენება როგორც ტკივილგამაფურჩებელი საშუალება სახსრების ტკივილებისა და რევმატიზმის დროს. ხასიათდება ანტისეპტიკური თვისებებით, შველის კანის დაავადებებს; ასევე კურნავს გასტრიტს, უძილობას, მაღალ ნერვულ აღვწებადობას. ფარმაცევტიულ მრეწველობაში ამზადებენ „რეპარატურატურადი“-ს.

**უპარატურა:** მთელი მცენარე შსამიანია!

**ფეიონა - *Feijoa selloviana* Berg.**  
**ოჯ. მირტისებრნი – Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 2-5 მ სიმაღლის ბუჩქია ან მცირე ზომის ხე. ფოთლები კლიფუსურია, 3-6 სმ სიგრძისა და 2-4 სმ სიგანის, სქელი, ტყავისებრი, ზედა მხარეს მუქი მწვანე, ქვედაზე – ქეჩისებრი შებუსვის გამო მოთეთრო შეფერილობის. ყვავილები 4 სმ-მდე დიამეტრისაა, 1-5 ცალად შეკრებილია ფოთლების უბებში; გვირგვინის ფურცლები თეთრია, შიგნიდან ვარდისფერი. ნაყოფი – კენკრაა, მუქი მწვანე, მოყვითალო, ხშირად მოწითალო გვერდით და ხორკლიანი ზედაპირით, კლიფუსური ან კვერცხისებრი, 4-7 სმ სიგრძისა და 3-5 სმ სიგანის. თესლი მრავალრიცხოვნია, წვრილი. ყვ. IV; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება სამხრეთ ამერიკის (ურუგვაი, პარაგვაი, ბრაზილიის სამხრეთი, არგენტინის ჩრდილოეთი) ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონებში. კულტურაში შეტანილია XIX ს-ის ბოლოს საფრანგეთში. პირველ ხანებში მცენარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც XX ს-ის 20-იან წლებში ყირიმში ნიკიტის ბოტანიკურ ბაზში ბოტანიკოსების მიერ დადგინდა ნაყოფებში იოდის მაღალი შემცველობა, კულტურა პოპულარული გახდა. სადღეისოდ კულტივირებულია მრავალ სუბტროპიკულ ქვეყანაში, ყველაზე ფართოდ ხმელთაშუაზღვეთსა და აშშ-ში. მცირე რაოდენობით მოჰყავთ აზერბაიჯანში, საქართველოს შავიზღვისპირეთსა და ყირიმში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხეხილოვანი კულტურაა. ნაყოფი მოტკბო-მომჟავოა, ანანასისა და მარწყვის არომატით, გამოიყენება ნედლი სახით, ამზადებენ შესანიშნავ მურაბას, უელეს, კომპოტს, ნაყენებს, ლიქიორებს. შეიცავს 5-14 მგ% შაქრებს, 1,5-3,5 მგ% მჟავებს, 50 მგ% C ვიტამინს, ფლავონოიდებს, ნახშირწყლებს, პექტინოვან ნივთიერებებს, იოდს, ეთერზეთებს ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო და შემომგარსავი მოქმედებით. ნაყოფებში გროვდება 0,6 მგ % იოდის წყალხსნადი შენაერთები, რის გამოც მას იყენებენ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ. ასევე სასარგებლოა - ათეროსკლეროზის, თირეოტოქსიკოზის, ავიტამინოზის, რაჭიტის დროს.

**უძუქმედება:** გასტრიტი, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, თუმცა მცირე რაოდენობით მიღება დასაშვებია.

### ფეხფოთოლა - *Podophyllum peltatum L.* ოჯ. კოწახურისებრი – Fam. Berberidaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 40-50 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფეხურა მხონავია, გრძელი. ღერო მარტოულია, გლუვი, ბოლოვდება წვეროსეული ყვავილით. ღეროზე ვითარდება მხოლოდ ორი, იშვიათად სამი გრძელყუნწიანი თათისებრ დანაკვთული ფოთოლი, რომლებიც მიწის პირზე ფარისებრაა განლაგებული (აქედნაა მისი სახელწოდებაც),

მსხვილია, 30 სმ-მდე დიამეტრის. ცალკეული მცენარე ინვითარებს მარტოულ ღეროს ერთი თეთრი ფერის ყვავილით, ყვავილსაფარი შედგება ჯამის ორ-სამწევრიანი წრისა და 6-9 გვირგვინის ფურცლისაგან, მტვრიანა მრავალია და სამწევრიან წრებადაა განლაგებული. ნაყოფი მრავალთესლიანი ერთბუდიანი მომჟავო კენკრაა 5 სმ-მდე სიგრძის, კვერცხისებრი ფორმის, ყვითელი. ყვ-V; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ აფრიკაში, კანადაში, სამხრეთ ამერიკის ტყესტეპის ზონაში, წიწვოვან ტყეებში. კულტივირებულია რიგ ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ძლიერ შხამიანი მცენარეა. სამკურნალო ნედლეული ფესურაა, შეიცავს ფისოვან ნივთიერებებს, ლიგნინებს (პოდიფილ-ლოტოქსინისა და პელტატინის წარმოებულები).

ფესურიდან და გვერდითი ფესვებიდან მიიღება ფისი, რომელიც მედიცინაში გამოიყენება როგორც მძლავრი კუჭის გამწმენდი საშუალება, არ გააჩნია შემდგომი გამამაგრებელი მოქმედება. მისი პრეპარატები იხმარება აგრეთვე ავთვისებიანი ახლადწარმონაქმნების, კონდილომას, პაპილომისა და კანის დავაღებების სამკურნალოდ.

**უკუმშედება:** უკუმაჩვენებელია რეცესიული პერპესის, ანთებითი კონდილომისა და სისხლიანი ჭრილობების დროს.

**ფიზოსტიგმა - *Physostigma venenosum* Balf.**  
**ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** ხვიარა 15 მ-მდე სიგრძის ლიანაა. ფოთლები რთულია, სამმაგავრცხისებრი, 7-15 სმ სიგრძის, წაგრძელებული მახვილი წვერით. ყვავილი კაშკაშა წითელია, შეკრებილია ჩაქინდრულ 15 სმ-მდე სიგრძის მტევნებად. ნაყოფი მუქი ყავისფერი პარკია 2-3 თესლით. თესლი თირკმლისებრ - ოვალურია, მოშავო, პრიალა, 3 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის.  
**ისტორია და გავრცელება:** ბუნებრივი არეალია დასავლეთ აფრიკის, ინდოეთისა და ბრაზილიის ტროპიკები.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ძლიერ შხამიანია. სამკურნალო ნედლეული თესლებია. შეიცავს ალკალოიდების ჯაფუს: ეზერინს, ეზერამინს, ეზერიდინს, გენეზერინს, იზოფიზოსტიგმინს, ფიზოვენინს, აგრეთვე ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს; მათ შორის მთავარია ფიზოსტიგმინი (ეზერინი) - 1,5% და მეორე ალკალოიდი გენეზერინი - 0,1 %, რომლებიც განსაზღვრავს მის ფარმაკოლოგიურ მოქმედებას.

უშუალოდ თესლები გამოიყენება მხოლოდ კეტერინარიაში ჭვლების მოსახსნელად. რაც მთავარია, წარმოადგენს შხამიანი ალკალოიდის - ფიზოსტიგმინისა და გენეზერინის მიღების წყაროს, რომლებიც ატროპინის ანტაგონისტებია, გამოიყენება გლაუკომის დროს თვალის გუგის შესავიწროებლად და თვალის შიდა წნევის დასაქვეითებლად.

ფიზოსტიგმინი იხმარება აგრეთვე ნერვულ-კუნთოვანი სისტემის სხვადასხვა დაავადებებისას (პარეზები, დამბლა, პოლიომიელიტი, სირნიგომიელია, გაფანტული სკლეროზი) კანქვეშ 0,1 % ხსნარის სახით.

**უკუქმედება:** ფიზოსტიგმინი უკუმაჩქენებელია ბრონქიალური ასთმის, ეპილეპსიის, გამოხატული ჰიპერკინეზის, ჰიპერტონიული დაავადებების, ათეროსკლეროზისა და გულის დაავადებებისას.

ფილანტუსი, ინდური ხურტკმელი, ამლა, ამალაკი  
**Phyllanthus emblica L. (syn. Emblica officinalis Gaertn)**  
 ოჯ. ფილანტასებრნი - Fam. Phyllanthaceae



**მორფოლოგია:** ნახევრად ფოთოლმცვენი 18-30 მ სიმაღლის ხეა, მონაცრისფრო-ყავისფერი შეფერილობის ქერქით, რომელიც ადვილად იქერცლება. ფოთოლი წვრილია, მოგრძო, ნაზი, მახვილი წვერით, 1,25 - 2 სმ სიგრძისა და 3 მმ სიგანის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფოთლების ცვენის პერიოდში, მათთან ერთად ტოტებიც ცვივა. ყვავილი მომწვანო-ყვითელია, შეცრებილია ტოტების ქვედა ნაწილებზე, ფოთლების ქვეშ მტევნისებრ ყვავილედებად, ყვავილობს მარტ-მაისში. ნაყოფი მრგვალია, ბაცი ყვითელი, ზოგჯერ მომწვანო-ყვითელი, გამჭვირვალე, 2,5-3,5 სმ დიამეტრის, მომჟავო- ხრაშუნა წვნიანი რბილობითა და 6 წვრილი თესლით. მწიფდება ნოებერ-თებერვალში.

## ისტორია და ქულტურის გავრცელება: სამშობლო სამხრეთ-

აღმოსავლეთ აზია, ბუნებრივად იზრდება ინდოეთის ბევრი რაიონის ტყეებში, პიმალაიზე ადის ზღვ. 1300 მ სიმაღლემდე. ამჟამად კულტივირებულია ინდოეთში, სამხრეთ ჩინეთში, პაკისტანში, ტაილანდში, მალაიზიაში, ბანგლადეშშა და შრი-ლანკაზე.

ჩრდ. ინდოეთში უწოდებენ ამლას, დასავლეთ ბენგალიასა და ორისში ამალაკს. ინდოეთში მიაკუთხნებენ “წმინდა წეთა” რიცხვს, მას ეთავგანებოდნენ როგორც მიწის დედას, სწამდათ, რომ ნაყოფების მაღალი ყუათიანობიდან გამომდინარე შეეძლო კაცობრიობის სრულად გამოიკვება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები ინდოეთის ზოგიერთი რეგიონის საკვების მნიშვნელოვანი წყაროა, იყენებენ ნედლი სახით, ამზადებენ მურაბებს, წვენებს, გამავრილებელ სასმელებს, ამარილებენ ცხიმთან და სანელებლებთან ერთად. მცენარის ყველა ნაწილი – ნაყოფი, ფოთლები, ყვავილები, ოქსლი, ქერქი, ფესვები - სამკურნალო თვისებებით გამოიჩინება.

მისი საოცარი სამკურნალო თვისებები ინდოეთში ცნობილი იყო ახ.წ.-აღ.-მდე რამდენიმე ასეული წლების წინ. დაახლოებით 50 წლის წინათ მიაკვლია მას დასავლეთის მედიცინამ, მრავალმხრივი სამეცნიერო გამოკვლევების შემდეგ კი საპატიო ადგილი დაიკავა დასავლურ ფარმაკოპეაში.

უმთავრესი ადგილი უკავია აიურ-ვედასა და იუნანის მედიცინაში და შედის აიურ-ვედას ბალახების “ოქროს რიგში”; მიეკუთვნება მირობალანტების მცენარეთა ჯგუფს, რომლებიც ცნობილია ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობით, მათ შორის კი ყველაზე ძლიერ გამახალგაზრდავებელ მცენარედ მიიჩნევენ. მისი ნაყოფები ასკორბინის მჟავის ყველაზე მდიდარი ბუნებრივი წყაროა, 100 გ რბილობი 800 მგ-ს შეიცავს, 30-ჯერ უფრო მეტს ვიდრე ფორთოხალი და 1,5-ჯერ მეტს ასკოლთან შედარებით. გამოვლენილია აგრეთვე ბიოფლავონოიდები და კაროტინოიდები, რომლებიც ასკორბინატებთან ერთად ანტიოქსიდანტები თვისებებით ხასიათდება. კატეხინებთან ერთად ანტიოქსიდანტები

აფერხებს ათეროსკლეროზისა და ორგანიზმის სხვადასხვა

იმუნური დარღვევების განვითარებას. ნაყოფები შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ახდენს ერითროპროტეინის გამომუშავების სტიმულრებას, რისი წყალობითაც ადრიდანვე ანემის სამკურნალოდ გამოიყენებოდა. მცენარის გლიკოზიდები და საპონინები ახდენს ნაწლავების ფუნქციის ნორმალიზებას, აცილებს ყაბზობას, მეტეორიზმს, ნაწლავვების ჭვლებს. მათში გამოვლენილია ბუნებრივი ანტისეპტიკები, რომლებიც ამუხრუჭებს ნაწლავებისა და სასქესო გზების პათოგენური მიკროფლორის ცხოველმოქმედებას.

ნაყოფები ანტიოქსიდანტურ თვისებებთან ერთად იმუნომოდულირების ეფექტით გამოირჩევა, ახდენს ჰემოვლობინის სინთეზს, ამაღლებს მის რაოდენობას, აუმჯობესებს სისხლის წითელი ბურთულაკების გამოყოფას, წმინდავს ღვიძლს, სისხლს, ნაწლავებს, არეგულირებს შაქრისა და ქოლესტერინის დონეს სისხლში, ამაგრებს კბილებს, თმებსა და ფრჩხილებს, აშორებს ქერტლს, აფერხებს ნაადრევი ჭაღარის წარმოქმნას; ანთების საწინააღმდეგო ძლიერი საშუალებაა, სასარგებლოა ბუასილის, გასტრიტის, კოლიტის, თვალის დაავადებებისას, განსაკუთრებით შველის თვალის ანთებით პროცესებს, ახდენს ახლომშედველობის აღმოფხვრას, ხშირად იყენებენ კატარაქტის დროს, არის ძლიერი ინჰიბიტორი თავისუფალი რადიკალების, რომლებიც კატარაქტის წარმოქმნის მიზეზია, აძლიერებს იმუნიტეტს, აღადგენს და იცავს ახალ ქსოვილებს, არის მატონიზირებელი საშუალება.

ნედლი ფოთლები, ისევე როგორც ქერქი შემკვრელი და ქარმდენი მოქმედებით გამოირჩევა.

ამლა უმნიშვნელოვანესი ინგრედიენტია აიურ-ვედას მიერ გამოშვებული უამრავი სამკურნალო თუ კოსმეტიკური პრეპარატების, ექსტრაქტების, ზეთების, საპნებისა და შამპუნების. ამ მცენარეს ასევე წარმატებით იყენებს ჩინური ტრადიციული მედიცინა.

**უპარატულება:** არ გააჩნია.

**ფილოკარპუსი – *Pilocarpus pennatifolius* Lem.**

**ოჯ. ტეგანისებრნი – Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 2-4 მ სიმაღლის ბუჩქი ან მცირე ზომის დატოტვილი ხეა. ქერქი და ტოტები დაფარულია ჩამოცვენილი ფოთლების ნაჭდევებით; ფოთლები მოკლე ყუნწიანია, მორიგეობითი, ლანცეტა ან მოგრძი ფორმის, კენტურთართული, უმთავრესად 3-4 ფოთოლაკიანი, გლუვი, ტყავისებრი. ყვავილის ზამთარ-ადრე გაზაფხულზე, ყვავილები წვრილია, ყავისფერი შეფერილობის მეწამული ელფერით, შეკრებილია გრძელ, მრგვალყვავილიან ყვავილედებად. ნაყოფი კოლოფია, შავი პრიალა თესლებით.

**ისტორია და ძულტურის გავრცელება:** სამშობლო არგენტინა და ბრაზილიაა. ჯულტივირებულია სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, დასავლეთ საქართველოში - აჭარასა და აფხაზეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფარმაკოლოგიაში ფოთლები გამოიყენდა, რომლისგანაც მიიღება სამკურნალო პრეპარატი პილოკარპინი, ხასიათდება ნაღველმდენი, ოფთალმოლოგიური, დამაშშვიდებული, ძლიერი ოფლმდენი მოქმედებით.

ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება ოფთალმოლოგიაში, უფრო

ხშირად გლაუკომის შემთხვევაში. პრეპარატი ხანგრძლივი მოქმედებისაა, კოფეინის დოზის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამამხნევებელ და გამახალისებელ საშუალებად, იწვევს დამამშვიდებელ მოქმედებას, ანელებს გულისცემას და არეგულირებს პულსაციას; რეკომენდებულია სისხლის წნევის დასაქვეითებლად.

**შაჟქმედება:** უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალებისათვის.

### ფინიკის პალმა – *Phoenix dactylifera L.* ოჯ. პალმები (პალმისებრნი) - Fam. Palmae (Palmaceae)



**მორფოლოგია:** ფინიკის პალმა ერთადერთი გვარის ფენიქსის (*Phoenix L.*) წარმომადგენელია. ინვითარებს 35 მ-დე სიმაღლისა და 50 სმ დიამეტრის მარტოულ კარგად განვითარებულ ხის ტანს, წვერზე მსხვილი მარაოსებრი ფოთლებით. მცენარე ორსახლიანია, ცალსქესიანი, ქარით დამატვერიანებელი.

ყვავილები შეკრებილია მსხვილ ყვავილედებად, მაგ. მდედრობით ყვავილედებში შეიძლება თავმოყრილი იყვეს 10000-მდე ყვავილი. საკმარისია ერთი მამრობითი მცენარე, რათა მოხდეს 100 მდედრობითი ეგზემპლარის დამტვერვა. პირველად ფინიკურ პალმაზე, კერ კილვ 3-4 ათასი წლის წინათ ასირიელების მიერ იქნა გამოყენებული ხელოვნური დამტვერვა. ნაყოფი ერთობლიანი წვნიანი კენკრაა წაგრძელებული ფორმის, 7,5 სმ სიგრძისა და 2,5 სმ დიამეტრის. თესლი მსხვილია, მოგრძო, მაგარი გარსით. ერთი პალმა იძლევა 100 კგ-მდე ნაყოფს. არაბულ

ქვეყნებში არჩევენ ნაყოფის მომწიფების ოთხ სტადიას: კიმრი – ნაყოფი ჯერ მწვანეა; ხალაბ – მოწითალო-ყვითელი უერისაა; რუტაბ – წვერი იწყებს დარბილებას; ტამარ – ფინიკი “რბილია” ყავისფერი შეფერილობის. ყველაზე სასარგებლო საკვები ღირებულება ფინიკებს ხალიბის სტადიაში აქვთ და არაბების მიერ სწორედ ამ ღროს გამოიყენება. თუმცა ევროპელებისათვის ის ზედმეტად მწკლარტეა, რის გამოც საექსპორტოდ აგროვებენ სრულად მომწიფებულ ნაყოფებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ცნობილი რუსი ბოტანიკოსის პ. უკოვსკის განმარტებით – “კულტურული მცენარეების ისტორიაში უძველესი ღროიდან დაწყებული, ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ფინიკის პალმის გამრავლება. მან შესაძლებელი გახსადა უდაბნოებში ცხოვრება, განსაზღვრა თაზისის მიწათმოქმედების ტიპი, არაბეთის, ეგვიპტის, ნუბიისა და ბერბერის გეოგრაფიული ლანდშაფტის ტიპი; ის იყო და არის ამ ზონის ღარიბი მოსახლეობის პური. იქ ვერცერთი მცენარე ვერ შეძლებდა ნაყოფმსხმოიარობას, თუ არა ფინიკის პალმა, რომელიც უდაბნოების ერთადერთი ხეა, მან შექმნა დამტავი მწვანე საფარი, რომლის ჩრდილებეშ შესაძლებელი გახდა მარცვლოვნების, ზოგიერთი ბოსტნეულისა და ბაღჩული კულტურების მოყვანა. ამდენად ფინიკის მეშვეობით მემცენარეობას დაეთმო უდიდესი ტერიტორიები”.

მცენარის წარმოშობა დაუდგენელია. მისი კულტურა ათასეული წლების სიღრმეში გადადის. მეცნიერთა ყვლაზე ფრთხილი გამოკვლევებით ფინიკი მოჰყავდათ ახალ ქამდე 3500 წლით ადრე ირანის, ეგვიპტისა და საუდის არაბეთის თანამედროვე ტერიტორიებზე.

ამერიკაში შეტანილ იქნა ესპანელი მისიონერების მიერ ამ კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ, თუმცა იქ მისი სამრეწველო კულტურა XX ს-ის დასაწყისიდან ვითარდება.

ამჟამად გავრცელებულია ვეებერთელა ტერიტორიებზე ჩრდილეთ აფრიკის ატლანტიკი სანაპიროებიდან დაწყებული სპარსეთის ყურემდე, შემდეგ - ინდოეთში მდინარე განგამდე, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** 100 გ ნაყოფების საკვები ნაწილის ენერგეტიკული სარგებლობა 142-274 კალორიას შეადგენს, მშრალის – 340 კალორიას. ნაყოფები შეიცავს 40,0-77,5% მშრალ ნივთიერებებს, 26-55% შაქრებს, უმთავრესად გლუკოზასა და ფრუქტოზას, 0,9-2,9% ცილებს, 0,3-1,9% ცნობებს, 1,7-6,5% უჯრედისს, 1,0-1,9% ნაცრებს, რომლებიც წარმოდგენილია ფოსფორით ( $30-350\text{მგ}/100\text{ გ}$ ), კალციუმით ( $34-60\text{ მგ}/100\text{გ}$ ), რკინით ( $0,7-6,0\text{ მგ}/100\text{გ}$ ), კალიუმით ( $700\text{ მგ}/100\text{გ}$ ), ნატრიუმით ( $1\text{მგ}/100\text{გ}$ ). ნაყოფების ვიტამინების კომპლექსი შედგება ბეტაკაროტინის ( $30-145\text{ მგ}/100\text{გ}$ ),  $B_1$  ( $0,07-0,09\text{ მგ}$ ),  $B_2$  ( $0,05-0,1\text{ მგ}$ ),  $B_5$  ( $0,1-2,2\text{ მგ}$ ), C ( $30\text{ მგ-მდე}-\text{გან}$ ). თესლები შეიცავს საშუალოდ 23,2% ცნობოვან ზეთებს და 5,8% ცილებს. ფინიკი მდიდარია შეუცვლელი ამინომჟავით ტრიპტოფანით, რომელიც აუცილებელია ტვინის ოპტიმალური ფუნქციონირებისა და ნორმალური ფსიქიური ძღვომარების შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით ასაკოვან ასაკში. ტრიფტოფანი აფერხებს დაბერებას, ხასიათდება დამაშვიდებელი და დასაძინებელი რბილი მოქმედებით. მეორე ამინომჟავა - გლუტამინი აფერხებს კუჭის ძმარვას, ანეტრალებს კუჭის სიმჟავეს. რეკომენდებულია გადაღლილობის, სტრესის, გონებრივი დაძაბულობის, გულ-სისხლძარღვთა და მძიმე დაავადებების შედგომ პერიოდებში.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული შაქრიანი დიაბეტით და კუჭით დაავადებულთათვის.

## ფორთოხალი - *Citrus sinensis* (L.) Osb.

ოჯ. ტევანისებრნი - Fam. Rutaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 7-12 მ სიმაღლის ხეა, ეკლიანი ყლორტებით. ფოთლები მარტივია, ვიწროფრთიანი ყუნწით, ოვალური, იშვიათად მოგრძო, მახვილი, მუქი მწვანე. ყვავილები მარტოულია ან მცირერიცხოვან მტევნებად ან ფარისებრ ყვავილებად შეკრებილი. ჯამი 0,5 სმ დიამეტრისაა. გვირგვინის ფოთლაკები თეთრია, 20-25 მტვრიანით. ნაყოფი ნარინჯისფერია, გლუვი ან ხორკლიანი ქერქით, 10 სმ-მდე დიამეტრის. რბილობი მომჟავო-მოტკბოა, ნარინჯისფერი, თესლიანი ან უთესლო. თესლი ხშირად მრავალჩანასახოვანია. ყვ. IV-V; ნაყ. X-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. კულტურაში შეტანილია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალ ერამდე დიდი ხნით ადრე როგორც სამკურნალო მცენარე. ჩინეთში მოშენებული იყო ახ.წ.-აღ.-მდე 2200 წლის წინ. ევროპაში პორტუგალიელების მიერ XV ს-ში ვრცელდება. XVIII ს-დან თანდათანობით იპყრობს მთელ სამხრეთ ევროპას. ამერიკაში, კუნძულ გაიტანე მოხვდა ამერიკის ნაპირებზე კოლუმბის მეორე მოგზაურობისას 1493 წ. კულტივირებულია სუბტროპიკული კლიმატის ყველა ქვეყანაში. შსოფლიოში ნარგავების საერთო ფართობი 0,5 მილიონ ჰა შეადგენს, მათ შორის პირველი ადგილი უკავია აშშ, მეორე – ბრაზილიას, შემდეგ ესპანეთს, იტალიასა და იაპონიას.

საქართველოში ფორმობლის მოშენება დიდი წნის წინათ დაიწყეს.

თუმცა მისი კულტურა მრავალჯერ წყდებოდა, პერიოდული მკაცრი ზამთრებისა და უამრავი დამპყრობლების თავდასხმების შედეგად. XIX ს-ის 40-იანი წლებიდან კვლავ აღორძინდა ფორმობლის კულტურა შავი ზღვის სანაპიროზე გაგრიდან ბათუმამდე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული პროდუქტია მსოფლიოში. ნაყოფებს იყენებენ ნედლი და გადამუშავებული – წვენების, კომპოტებისა და მურაბების სახით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფორმობლის წვენი, რომელიც რბილობის მსგავს ნივთიერებებს შეიცავს და მშენივრად შენარჩუნდება. ნაყოფების კანი გამოიყენება ცუპატების, უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად, ეთერზეთებისა და მჟავების მისაღებად. ყვავილებისა და ფოთლებისაგან მიიღება ეთერზეთები, რომლებსაც პარფიუმერიულ წარმოებაში იყენებენ.

რბილობი შეადგენს ნაყოფის წონის 70 %, შეიცავს 6-8 მგ% შაქრებს, 1-2 მგ% ლიმონის მჟავას, ვიტამინებს (C - 65 მგ%, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP, კაროტინის), პიგმენტებს, პექტინოვან ნივთიერებებს, კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის მინერალურ მარილებს. ნაყოფის ქერქში აღინიშნება შაქრები, მცირეოდენი მჟავები, პექტინოვანი ნივთიერებები, ეთერზეთები, ვიტამინ P, ფიტონციდები.

ხასიათდება მაღის აღმძერელი, საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი, მსუბუქი მატონიზირებელი, ნივთიერებათა ცვლის მომწერიგებელი ფარმაკოლოგიური მოქმედებით. აუმჯობესებს საჭმლის მონელებასა და ნაწლავებას მოქმედებას, ხელს უწყობს მავნე ნივთიერებების გამოყოფას, ლპობის პროცესების შემცირებას. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ჰიპო და ავიტამინზების, დაბალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტის, ნიკრისის ქარის, ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, ჰიპერტონიის, ყაბზობის, შარდგენჭოვანი დიათეზის, დიაბეტის, ღვიძლის დაავადების პროფილაქტიკისათვის.

**შეუქმედება:** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, მაღალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტი.

**ფსტა – *Pistacia vera L.***  
**ოჯ. თუთუბოსებრნი – Fam. Anacardiaceae**



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 7 მ-მდე სიმაღლის ხეა ან ბუჩქი, მორიგეობითი, კენტურთართული ტყავისებრი ფოთლებით, რომელებიც შედგება 3-5 ელიფსური ფოთოლაკისაგან. მცენარე ორბინიანია; ყვავილები - საგველაა; ყვავილები წვრილია, ცალსქესიანი, მარტივი ერთ - ხეორთულიანი (9-მდე) ყვავილსაფრით; მამრობითი ყვავილები 5-6 მტკრიანია, მდედრობითი - ზედა ნასკარი ბუტკოთი და სამადგაყოფილი სვეტით. ნაყოფი – კვერცხისებრი კურკაა 2 სმ-მდე სიგრძისა და 1 სმ სიგანის, საკმაოდ თხელი მოწითალო ნაყოფსაფრით (რომელიც ადვილად სცილდება მწიფე ნაყოფებს) და მაგარი შიდანაყოფით (კურკა), რომელიც კულტურულ მცენარეებში მომწიფებისას ხშირად სკდება და ჩნდება მასში მოთავსებული მომწვანი თესლი. კაკლის წონა 5,5-15,5 გ, თესლს კაკლის წონის 32-55 % უკავია. ყვ. IV-V; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება შუა აზიაში, ირანსა და ავღანეთში. კულტივირებულია ბუნებრივი არეალის ფარგლებში დაახლოებით 2000 წლის წინათ. ახალი ერის I ს-ში ვრცელდება ევროპაში, ჯერ იტალიასა და საბერძეთში, შემდეგ ხმელთაშუაზღვეთის სხვა ქვეყნებში. XIX ს-

ში შეტანილ იქნა აშშ-ში, კულტურისათვის განსაკუთრებით შესაფერისი კალიფორნიის კლიმატური პირობები აღმოჩნდა. სადღეისოდ შედარებით დიდი ფართობები უკავია იტალიაში, სირიაში, ირანში, ჩრდ. ინდოეთში, თურქეთსა და ერაყში. XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში ვრცელდება სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში. ბუნებრივი არეალის ფარგლებში (შეუ აზია) მან ჯერ ვერ ჰპოვა განვითარება, ბოლო პერიოდში ტაჯიკეთში მიმდინარეობს სამუშაოები ამ მიმართებით.. ნაყოფების ყოველწლიური მსოფლიო მოსავლიანობა შეადგენს 25 ათასამდე ტონას.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი კაკლოვანი კულტურაა. თესლები საკებად გამოიყენება ნედლი, მოხალული და დამარილებული სახით, ტორტების, ნამცხვრების, შოკოლადისა და სხვა საკონდიტრო წარმოებაში, უმატებენ ყველსა და ძეხვეულს. თესლებიდან მიღებული ზეთი არ ჩამოუვარდება ზეთისხილის ზეთს, გამოიყენება სასურსათო და სამრეწველო წარმოებაში ძვირფასი ლაქის მისაღებად. კოპტონი შინაური ცხოველების საკებად იხმარება. გადამწვარ ნაყოფებს ყავის სუროგატად იყენებენ.

თესლები შეიცავს 68 მგ% ცხიმებს, 17 მგ% ცილებს, B ჯგუფისა და E ვიტამინებს, მიკროელემნტებს (Ca, K, Mn, Cu, Se, Zn), ბიოტინს, ნიაცინს, ტანინებს, ფიტოსტერინებს.

ძველი ქართული წყაროების თანახმად სამკურნალო მიზნებისათვის უმთავრესად იყენებდნენ თესლს, ზეთსა და ქერქს. შარდის შეუკავებლობისას უკეთებდნენ ზეთიან ოყნას; მას ხმარობდნენ გულმკრდის, თირკმლებისა და ხველებით გამოწვეული ტკივილების დროს მტკიგურული ადგილების დასაზელად; თესლს მიიჩნევდნენ ჭიის საწინააღმდეგო საშუალებადაც.

სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემებისა და შაქრიანი დაბატის დროს; სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის დონის დასაწევი ოპტიმალური ნორმაა 15-20 ნაყოფი დღეში. შველის სასუნთქი სისტემის დაავადებებს, ტუბერკულოზს, პირის ღრუს სხვადასხვა ინფექციებს; ხელს უწყობს ტვინის უჯრედების გააქტიურებას, მხედველობის შენარჩუნებას, ხსნის მუდმივი ფიზიკური დაღლილობის სინდრომებს, ამსუბუქებს ღვიძლს;

დადგენილია, რომ 30 გ-მდე მისი მიღება ადამიანს ააცდეს იმპოტენციას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, სიმსუქნეს.

ფოთლები შეიცავს 10 მგ%-მდე მთრიმლავ ნივთიერებებს, რის გამოც გამოიყენება მთრიმლავი ექსტრაქტების (რომელსაც ტყავის წარმოებაში იყენებენ) და სამედიცინო ტანინების მისაღებად. სამედიცინო პრაქტიკაში მას იყენებენ დამწვრობის, წყლულების, ნაწოლების, პირის ღრუს ანთებითი პროცესების სამჯერნალოდ.

**უძუქმედება:** დადგენილია, რომ თესლში შემავალი ცილები წარმოადგენს რა მძლავრ ალერგენს, იწვევს კანზე გამონაყრებს, ხველას, საკვებმომნელებელი სისტემის პრობლემებს, რის გამოც დაუშვებელია საკვებად 30 გ-ზე მეტის გამოყენება.

**ფუნთუშა, შსუქანა – *Sedum sieboldii* Sweet.**

**ოჯ. შსუქანასებრნი - Fam. Crassulaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ღეროფოთლოვანი 40-80 სმ სიმაღლის ბალახოვანი ფოთოლმცვენი მცენარეა. მისი გასქელებული ფესვებიდან ვითარდება მრავალრიცხოვანი, მხოხავი, წვრილი, მოწითალო შეფერილობის ღეროები, წარმოქმნის ხალიჩოვან რაყებს. ფოთლები მჯდომარეა, მომრგვალო, ხერხებილა, სქელი, წვნიანი, ლეგა-მოცისფრო შეფერილობის, 3-3 ცალად რგოლებადა შეკრებილი. უხვად ჭვავილობს, ჭვავილები წვრილია, გარდისფერი, შეკრებილია ქოლგისებრ-ფარისებრ

ყვავილედებად. ნაყოფი შეკრებილია ხუთინაკვთიანი ფოთლურის სახით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო იაპონიაა. კულტურაში გამოიყენება როგორც ამპელური მცენარე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტრადიციულ მედიცინაში ფოთლები და ფესვები გამოიყენება ბიოსტიმულატორების დასამზადებლად, რომელსაც უნიშნავენ კომპლექსურ თერაპიაში ნივთიერებათა ცვლის დარღვევებისა და ქსოვილების რეგენერაციისათვის. ასევე იხმარება ბრონქიტის, პნევმონიის, ჰეპატობილიარული სისტემის დარღვევების, ლორწოვანი გარსის ატროფირებული პროცესებისას.

იყენებენ სტომატოლოგიურ პრაქტიკაში და ქირურგიაში, როგორც შესახორცებელი ჭრილობების, ტროფიკული წყლულების დროს, იშვიათად - წნევის დასაწევად.

**უკუქმედება:** მცენარე შხამიანია! შინაგანი გამოყენებისას დოზების გადაჭარბება საფრთხილოა.

### ფუფალა - *Areca catechu* L. ოჯ. პალმისებრნი – Fam. Arecaceae (Palmae)



**მორფოლოგია:** 20 მ-მდე სიმაღლისა და 20-30 სმ ლიამტრის პალმაა დაუტოტავი სწორი ტანით, დაფარულია რგოლური ნაჭილებით, რაც რჩება ფოთლების დაცვის შემდეგ. ფოთლი ფრთისებრრთულია 1,5-2 მ სიგრძის, ფოთლისეული ვაგინით ხის ტანზე შემორტყმული, პალმის წვერზე წარმოქმნის ფოთლების

ე.წ. “მწვანე კონუსს”; ასაკოვანი პალმები ჩვეულებრივ 8-12 ფოთოლს ინვითარებს. ყვავილები ერთსქესიანია, მოთეთრო-კრემისფერი; მდედრობითი ყვავილები ხის ქვედა მხარეს საგველასებრ ყვავილებადაა შეკრებილი, მამრობითი ყვავილები წვერთან ახლოს ვითარდება. ჯვარედინდამამტვერიანებელი მცენარეა. ნაყოფი ნარინჯისფერი ან წითელი ელიფსური კურკაა ბოჭკოვანი მეზოკარპიუმითა და მსხვილი კურკით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ეკვატორიალურ და სუბტერიალურ ზონებში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ ჩინეთში, დასავლეთ კეკანეთში და აღმოსავლეთ აფრიკაში. კულტივირებულია მაღაის არქიპელაგის კუნძულებსა და ინდოეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეწებში ფოთლებს ნაყოფთან ერთად საღებად ხმარობენ. ფოთლები ანტისეპტიკური თვისებებით ხასიათდება. შეიცავს 0,5% ძირითად ალკალინდს – არეკოლინსა და 0,1%-მდე სხვა ალკალინდების ნარევს (არეცუალინი, გუვაცინი, გუვაკოლინი). არეკოლინი უფერო, ზეთოვანი სითხეა, რომელიც დუღს 209<sup>0</sup> ტემპერატურაზე, ძლიერი ბუნებრივი ანტიპელმინტია, ხასიათდება მატონიზირებელი მოქმედებით, სწორედ ის აძლევს ფსიქოტროპულ თვისებებს მას. ნაყოფებში მთრიმლავი და საღებავი ნივთიერებებიც აღინიშნება.

ხმარობენ ქსოვილების შავ და წითელ ფერებად შესაღებად. დაფქვილი ნაყოფები გამოიყენება მედიცინასა და ვეტერინარიაში სოკოვანი და პროტოზოული წარმოშობის კანის დაავადებების, ფარარათისა და მუცელის ჭიების საწინააღმდეგოდ. რესპირატორული დააგადების სამჯურნალოდ იყენებენ ფუფალას ზეთს (ინგალიაცია, პირის გამოვლება).

თესლები შედის საღეჭი მასის “ბეტელის” შემადგენლობაში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის მოსახლეობის მიერ ფართოდ იხმარება მოსაწევად თაბაქოს მაგიერ, ხასიათდება მატონიზირებელი მოქმედებით.

**უაუქმედება:** ხშირი გამოყენება იწვევს პირდებინებას, თავბრუსხევებას, ფაღარათს, კრუნჩხებს, ირლვევა ნერვული

სისტემა, წარმოიქმნება ნაკოლოგიური დამოკიდებულება. წარმოადგენს რა ძლიერ ბიოსტიმულატორს ვითარდება გულის პრობლემებიც, დიდი დოზა კი დამბლას და სიკვდილს იწვევს.

**ქაფურის ხე - *Cinnamomum camphora* (L.) I. Presl.  
ოჯ. დაფნისებრნი – Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 30 მ-მდე სიმაღლის ხეა, ხშირი ფართოდ გადაშლილი ვარჯით. ქერქი ბაცი ან მუქი ნაცრისფერია, დახეთქილი. ფოთოლი 5-12 სმ სიგრძისაა, მორიგეობითი, ყუნწიანი, ტყავისებრი, კვერცხისებრი ან ელიფსური, წაწვეტებული, კიდეეთლიანი. ყვავილები მოყვითალო-თეთრია, შეკრებილია 5-11 სმ-მდე სიგრძის ციმოზურ-საგველა ყვავილედად, წაგრძელებული საყვავილე ყუნწებით, უბისეული ან წვეროსეულია. ნაყოფი მოშავო-ლეგა, სფერული კენკრაა, წვნიანი რბილობითა და გლუვი თესლით. ყვ. V-VI; ნაყ. IX.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება სამხრეთ ჩინეთში, კუნძულ ტაივანზე, ინდოჩინეთში, იაპონიასა და მალაის არქიპელაგზე. კულტივირებულია ტენიანი სუბტროპიკების ზონაში, მათ შორის საქართველოშიც.

სამკურნალო და სხვა მიზნებისათვის ქაფურის გამოყენება როგორც ფიქრობენ ინდუსტრიალურ დაიწყეს. ამის მანიშნებელია

ქაფურის სახელწოდება, რომელიც წარმოსდგება ძველი სანსკრისტული სიტყვიდან “ქაპურა”, რაც თეთრს ნიშნავს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკული ოლქის მოსახლეობისათვის ქაფურა ფასდებოდა არა მარტო როგორც ძვირფასი წამალი, არამედ როგორც კეთილსურნელოვანი საშუალება, რომელსაც იყენებდნენ რიტუალური ცერემონიების დროს. დიდად აფასებდნენ მას არაბულ მედიცინაშიც. ცნობები მის შესახებ მოიპოვება არაბულ ხელნაწერებში, რომელიც VI ს-ს მიეკუთვნება. ევროპაში ცნობილი ხდება შუა საუკუნეებიდან. ძველ მსოფლიოში და შუა საუკუნეებშიც მეტად ძვირად ფასობდა, ექიმები რეცეპტის გამოწერისას სიტყვა “ქაფურს” უმატებდნენ: “თუ იშვით”. ქაფურის ნის უმდიდრესი ტყეებით უძველესი დროიდან ყურადღებას იპყრობს კუნძული ტაივანი, რომელიც XVI ს-ში პორტუგალიელების მიერ იქნა აღმოჩნდილი და იმდენად მოიხიბლნენ მისი სილამაზით, რომ მას დაარქვეს “*Insula Formosa*” –ლამაზი კუნძული. XVIII ს-ში ჩინელმა იმპერატორებმა აიღეს მონოპოლია ქაფურის წარმოებასა და ვაჭრობაში. უნებართვოდ ნის მოჭრა სიკვდილით ისჯებოდა, მხოლოდ 1720 წელს დასჯილი იყო იმპერატორის ბრძანებით - 200 დამრღვევი. 1896 წ-ს კუნძული ტაივანი იაპონელებს გადაეცა, მათვე ეპუთვნით ქაფურის ზეთის პირველი სისტემური სამეცნიერო გამოკვლევები.

სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება: სამკურნალო ნედლეულია ახალგაზრდა შეფეროლილი ყლორტები, რომლიდანაც ქაფური მიიღება. შეიცავს ეთერზეთებს, რომლის უმთავრესი კომპონენტი ქაფურია (75%), აგრეთვე პინწი, კამფენი, ფენქენი, ფელანდრენი, ლიმონენი, დიპენტენი, კადინენი, ბიზაბოლენი, ციტრონელოლი, ევგენოლი, აცეტილალდეპიდი, ორგანული მჟავები და სხვ. თესლებში აღინიშნება მნიშვნელოვანი რაოდენობის მკვრივი ცხიმოვანი ზეთები, რომელიც შედგება ლაურინის, კაპრონის და ოლეინის მჟავებისაგან.

ქაფურის ზეთოვანი ხსნარი აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და მოგრძო ტვინს, ასტიმულირებს სუნთქვას, იწვევს დაღებით მოქმედებას მიოკარდიის ცვლის პროცესებში, აქვეითებს

ტემპერატურას, ამცირებს გლუკი და განივ-ზოლიანი მუსკულატურის შემცირებას, ზრდის ნერწყვისა და ოფლის გამოყოფას, ამცირებს ლაქტაციას. ადგილობრივ გამოყენებისას პრეპარატები იწვევს გაღიზიანებას და ნაწილობრივ ანტისეპტიკურ მოქმედებას.

დადებითად მოქმედებს გულის კუნთის მწვავე და ქრონიკული უკარისობის, კოლაპსის, ინფექციური დაავადებების, ფილტვების კრუპოზული ანთების, მხუთავი გაზით, ნარკოტიკული და ძილისმომგვრელი საშუალებებით მოწამლვისას. ქაფურის კრუნჩხვითი მოქმედება გამოიყენება ფსიქიატრიულ პრაქტიკაში, განსაკუთრებით შიზოფრენის დროს. პრეპარატ “ბრომკამფორას” უნიშნავენ ნევრასტენის, გულის ნევროზებისა და მაღალი ნერვული აღგზებადობის შემთხვევაში. ქაფურის შეცველ მალამოებს ხმარობენ სხვადასხვა სახის ანთებითი პროცესების, მიოზიტის, იშიაზის, რევმატიზმის სამკურნალოდ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ მედიცინაში იხმარებოდა ქაფურის ზეთი, კვერი, მაღამო მთელი რიგი დაავადებების (დაბეჟილობა, თვალისა და თავის ტკივილები, ნერვული და გულის დაავადებები, სიდამწვრისა და კანის სხვა დაზიანებები) დროს.

**უპუქმედება:** უპუმაჩევენებელია ეპილეპსიისა და კრუნჩხვებისაკენ მიღრეკილი ადამიანებისათვის.

**ქენდირი – *Apocynum cannabinum* L.**  
**ოჯ. ქენდირისებრი - Fam. Apocynaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1-1,5 მ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. სასიათდება მსხვილი სქელი ვერტიკალური ფესურით, რომელიც წვრილ მთავარლექრძა ფესვში გადადის; ფესურიდან ვითარდება 2-4 მ სიგრძის ჰორიზონტალური ყლორტები. ფოთლები მოპირისპირეა, მოკლეყუნწიანი, კვერცხისებრი, მოკლე მახვილი წვერით. ყვავილები წვრილია, მკრთალი ვარდისფერიდან მუქ შეფერილობამდე, შეკრებილია ფარისებრ წვეროსეულ ყვავილედებად. ნაყოფი რთული ფოთლურაა; თესლი მრავალრიცხოვანია, საფრენი ბეწვებით შემოსილი.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ რეგიონების მაღალმთიანეთში, ზღვა. 2000 მ სიმაღლეზე იზრდება. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამჯურნალო ნედლეულია ფესურა ფესვებითურთ (*Rhizoma et radix Apocyni cannabini*). შეიცავს გულის გლიკოზიდებს (ციმარინს, აპოკანოზიდს, ცინკანოზიდს, K-სტროფანტინ ბეტას), ცხიმოვან მჟავებს (ლინეოლის, ოლეინის, პალმიტინის, სტეარინის),

ტრიტერპენულ შენაერთებს, ტანინებს, კაუჩუკსა და ალკალოიდებს გვალის სახით.

ჩრდილოეთ ამერიკის სალტერ მედიცინაში პირველ ზანებში წყალმანგის სამკურნალოდ ხმარობდნენ. 1911 წელს გერმანელი მეცნიერების მიერ მცენარის მიწისქვეშა ორგანოებიდან გამოყოფილი იყო კრისტალური გლიკოზიდი — ციმარინი, დადგინდა რომ ფარმაკოლოგიური აქტივობით ახლოა სტროფანტინთან, აძლიერებს გულის კუშშვადობას, გულის რიტმს, ზრდის სისხლდენის სიჩქარეს, აფართოებს გულის კორონარულ სისხლძარღვებს, ხელს უწყობს შარდის გამოყოფას.

ფესურიდან მიღებულია გულის პრეპარატი — “კენდოზიდი”, მოქმედებს როგორც ციმარინი, მაგრამ მისგან განსხვავებით აღაგზნებს სასუნთქ ცენტრს და აძლიერებს სუნთქვის მოქმედებას. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება გულის რეგმატიული მანქის ნიადაგზე წარმოქმნილი სისხლდარღვევების, კარდიოსკლეროზისა და პიპერტონიული დაავადებებისას.

**უკუქმედება:** მცენარის შხამიანობიდან გამომდინარე, შინაგანი მიღებისას სიფრთხილის დაცვა აუცილებელია.

### ქინაქინის ხე — *Cinchona officinalis* L.

ოჯ. ენდონისებრნი - Fam. Rubiaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, უხვად შეფოთლილი ტანადი, 10-25 მ-მდე სიმაღლის, შუა ნაწილამდე დატოტვილი ხეა,

მონაცრისფრო-მურა ქერქით. ფოთლები მოპირისპირება, კვერცხისებრი, ფართოელიფსური ან თითქმის მრგვალი, 50 სმ-მდე სიგრძის, კაშკაშა მწვანე, პრიალა, ოდნავ ტყავისებრი, კიდემთლიანი, ყუნწიანი. ყვავილები ქოლგისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, რომლებიც თავის მხრივ მსხვილ ფართო პირამიდულ საგველასებრ ყვავილედს წარმოქმნის. გვირგვინი ვარდისფერია, შებუსული გრძელი მილითა და 5 ნაკვთანი გადანაღუნით, კიდეებზე უხვად შებუსული. ნაყოფი – მშრალი, მოგრძო, მურა-ყავისფერი 2-ბუდიანი კოლფია, 3 სმ-მდე სიგრძის, წაწვეტებული, ბრტყელი, დანაოჭებული ბაცი ყავისფერი თესლით, გარშემორტყმულია ფართო, თხელი აპკისებრი ფრთით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში (პერუ, ბოლივია, ეკვადორი, ვენესუელა, კოლუმბია, ანდების აღმოსავლეთ ფერდობები), ზღ.ღ. 800-3200 მ სიმაღლეზე იზრდება.

ქინაქინის ხის ქერქის მაღარის საწინააღმდეგო სამკურნალო თვისებები ინდიელების მიერ იყო გამოვლენილი. ამ “წითელი წყლით” მაღარისგან იქნა განკურნებული პერუს ვიცე-ხელმწიფის მეუღლე ანა-დელ ჩინ-ჩინი (სწორედ მასთანაა დაკავშირებული მცენარის ლათინური სახელწოდება **Cinchona**). ევროპაში სწრაფად შეაფასეს ძვირფასი სამკურნალო საშუალება და დაიწყეს პერუდან მისი ექსპორტირება, რასაც მოჰყვა ზეების თავდაუზოგავი ჩეხვა. უკვე XIX ს-ის შუა პერიოდში წარმოიქმნა საშიშროება სახეობის სრული განადგურებისა, ვინაიდან საერთო მოთხოვნილება აჭარბებდა დამზადებას. წარმოიშვა მისი კულტივირების აუცილებლობა, პერუს მთავრობას კი არ სურდა ქერქის გაყიდვის მონიპოლიის დაკარგვა და სათეს მასალას არ აძლევდა სხვა ქვეყნებს. თესლების ჩუმად მოპოვება შეძლეს ჯერ გერმანელმა ბოტანიკოსმა, შემდევ ინგლისელმა ვაჭარმა და კუნძულ იავაზე დაიწყეს ქინაქინის ხის კულტივირება. სადღეისოდ მისი პლანტაციები გაშენებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთში, შრი-ლანკასა და აფრიკაში.

**სამკურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია ხის ქერქი. შეიცავს 30-მდე დასახელების

ალკალოიდს. ყველაზე მნიშვნელოვანია მათ შორის ქინინი (რომლის შემცველობა ქერქში 7,5%-მდე), ქინიდინი, ცინხონინი და ცინხონიდინი; ცნობილია ჰიდროქინინი, ჰიდროქინიდინი, კუპრეინი, ეპიხინინი, ეხინიდინი და სხვ. ალკალოიდები.

ქინინი ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვაგვარი მოქმედებით ხასიათდება: იწვევს თერმომარეფულირებელი ცენტრების დათრგუნვას და სხეულის ტემპერატურის დაწევას ციტ-ცელებით დაავადებისას, აქვეითებს გულის კუნთის აღვზნებადობას, ახანგრძლივებს რეფრაქტორულ პერიოდს და რამდენადმე ამცირებს მისი კუმშვადობის უნარს; აღავზნებს საშვილოსნოს მუსკულატურას და აძლიერებს შეკუმშვის უნარს, ამცირებს ელენთას.

ქინინის უმთავრესი თავისებურებაა მისი მაღარის საწინააღმდეგო მოქმედება, წარმოადგენს პლაზმურ შხამს, რომელიც ორგანიზმიდან სწრაფად გამოიდევნება.

ქინინი თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, დიდი დოზები იწვევს ყურების გამოჭედვას, ხმაურს ყურებში, თავის ტკივილს, მხედველობის დაქვეითებას.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ფეხმძიმობა, გულის უგმარისობა, გამოკვეთილი ჰიპოტენზია, მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტი, არითმია.

**ქონის ხე – *Sapium sebiferum* (L.) Roxb.**  
**ოკე. ომიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae**



**მორფოლოგია:** 8-10 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები მორიგეობითია, მთლიანი, რომელიც ან ფართოკვერცხისებრი, ყუნწის ზედა ნაწილში 2 ჯირკვლით მოფენილი. ყვავილები ერთსქესიანია, გვირგვინის ფირცლების გარეშე 2-3 ნაკვთიანი ჯამით, შეკრებილია წვეროსეულ მტევნისებრ ყვავილედებად, შედგება რამდენიმე ცალკეული ბუტკოანი და მრავალრიცხოვანი მტერიანისებრი ყვავილებისაგან, რომლებიც კონკრეტული განვითარებილია. ნაყოფი ხსნადი კოლოფია რამდენიმე თესლით, რომლებიც მყარი ცხიმის ფენითაა დაფარული.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** იზრდება აღმოსავლეთ აზიაში – ცენტრალური ჩინეთიდან კუნძულ ტაივანამდე. სამრეწველო მიზნით უმთავრესად აზიაშია კულტივირებული. საქართველოში (ბათუმი, სოხუმი) ინტროდუცირებულია დეკორატიული თვალსაზრისით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** თესლების ნაფიფქიდან აწარმოებენ ე.წ. ჩინურ მცენარეულ ქონს (აქედან ხის სახელწოდება), გამოიყენება სანთლებისა და საპნის წარმოებაში. თესლების დაპრესების გზით ღებულობენ ზეთს, რომლებისგანაც ამზადებენ საღებავებს, ლაქებს. ფოთლებისაგან გამოიმუშავებენ შავ საღებავს.

**ქოქოსის, კოკოსის პალმა – *Cocos nucifera* L.  
ოჯ. პალმასებრნი – Fam. Palmae**



**მორფოლოგია:** 15-30 მ-მდე სიმაღლის მცენარეა სწორმდგომი ღეროთი, დაფარულია რგოლური ნაჭლევებით, რაც გამოწვეულია ჩამოცვენილი ფოთლების ვაგინის ნარჩენებით. ფოთლები ღეროს ზედა ნაწილშია განვითარებული, 4-6 მ სიგრძისაა, ფრთისებრგანკვეთილი; ყველა ფოთლის მე 5-7 წელს მათ უბებში ვითარდება რამდენიმე ყვავილედი – რთული საგველა, 1-2 მ სიგრძის. თითოეული ყვავილედი შემოხვეულია ქერქოვანი ვაგინით, რომელიც ყვავილობისას იშლება; ყვავილი ყვითელია, განსხვავებულ სქესიანი; ბუტკონიანი ყვავილები ყვავილედის ქვედა ნაწილში სხედან, უფრო წერილი მტკრინანი ყვავილები კი ყვავილედის ზედა ნაწილშია თავმოყრილი. კოკოსის კაკალი კუკაა, 15-30 სმ სიგრძის, მომრგვალო, 1,5-2,5 კგ წონის; ნაყოფის გარეთა გარსი უჯრედისისგან შედგება, რბილია; შიგნითა ნაჭუჭი მაგარია, სამი თესლკვირტით, მხოლოდ ერთისგან ვითარდება თესლი, შედგება თეთრი ფერის ხორცოვანი 12 მმ სისქის (რბილობი ან კოპრა) ფენისა და ენდოსპერმისგან, რომელიც დასაწყისში თხევადი და გამჭვირვალეა (კოკოსის წყალი), რბილობიდან გამოყოფილი ზეთის წვეთები გადაქცევა რძისებრ ემულსიად (კოკოსის რძე), რომელიც თანდათანობით სქელდება და მყარდება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ქოქოსის პალმის ისტორიული სამშობლო უცნობია;

ერთ-ერთი ვერსიით ესაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, მეორეთი – ამერიკის ტროპიკები. სადღეისოდ გავრცელებულია წენარი ოკეანის ეკვატორიალური და ტროპიკული ოლქების სანაპიროებსა და კუნძულებზე. მის ფართო გავრცელებას ხელს უწყობს ნაყოფების აგებულება, რომელსაც სიმსუბუქისა და წყალშეუღწევადობის გამო შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე ტალღებზე ცურვა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კოკოსის კაკალს დანის საშუალებით ყოფენ შუაზე და იღებენ ენდოსპერმს, რომელსაც აშრობენ ცხელწყლიან მილებზე. ენდოსპერმის ეს ნახევრები რძისფერია, ჯამისებრი ფორმის, უწოდებენ კოპრას. კოკოსის კაკლის რბილობი ანუ კოპრა შეიცავს ცხიმებს, ვიტამინებს B, C, მინერალურ მარილებს, ნატრიუმს, კალციუმს, რკინას, კალიუმს, აგრეთვე 5% გლუკოზას, ფრუქტოზას და სახაროზას, ცხიმოვან მჟავებს – ლაურინის, მირისტინის, პალმიტინის, კაპრონის, კაპრინოლის, ოლეინის, ლინოლინისა და სხვ.

გამოიყენება საკვებად ნედლი ან მშრალი სახით, რომელსაც უმატებენ საკონდიტრო ნაწარმსა და ეროვნულ სასმელს - კარის. რბილობი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნედლეულს კოკოსის ცხიმოვანი ზეთების მისაღებად, რომლისგანაც ამზადებენ საპნებს, სანთლებსა და მარგარინს. უჯრედისისგან წნავენ თოკებს, ბაგირებს, ხალიჩებს, ჯაგრისებს. კოკოსის მაგარი გარსისგან ამზადებენ ჭურჭელს, სათამაშოებს, ღილებს, სუვენირებს და მუსიკალურ საკრავებს. ნორჩი ყვავილების დასერვით ღებულობენ ტებილ სითხეს, რომელიც 15%-მდე შაქარს შეიცავს, წვენს ან აორთქლებენ და იღებენ კრისტალურ ყავისფერი შეფერილობის პალმის შაქარს, ან დუღილის პროცესის შემდეგ ღებულობენ ღვინოს, მისგან კი ხდიან არაყს. ერთი ზე წელიწადში იძლევა 40-70 ლ პალმის არაყს.

კოკოსის ზეთი წარმოადგენს მაღალეფექტურ ანთებისა და მიკრობების საწინააღმდეგო საშუალებას; ხასიათდება კანისა და თმის მკვებავი, დამატენიანებელი და დამარბილებელი მოქმედებით; ანტიოქსიდანტური მოქმედებიდან გამომდინარე, კანს იცავს

დაბერებისა და ჭკნობისაგან, მზისა და ქარის მოქმედებისაგან – დამწერობის, კანის სიმშრალის, აქერცვლის, გაუხეშებისას და ა.შ. ხელს უწყობს თმის ზრდას, აძლევს მას ბუნებრივ ბზინვარებას. გამოიყენება კანის სხვადასხვა დაავადების (ფსორიაზი, ეგზემა და სხვ.) სამკურნალოდ; ხელს უწყობს ორგანიზმიდან მავნე ქოლესტერინის გამოღვვნას, არეგულირებს არტერიულ წნევას, აძლიერებს მეტაბოლიზმს; ანტიმიკრობული თვისებებიდან გამომდინარე ახდენს საკვებმომნელებელი ტრაქტის მუშაობის რეგულირებას, ახშობს პათოგენური ბაქტერიებისა და სოკოების განვითარებას; აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ მინერალური ნივთიერებების შეთვისებას, მათ შორის მაგნიუმისა და კალციუმის, ამაგრებს ძვლოვან სისტემას, აძლიერებს იმუნიტეტს, აჩქარებს ჭრილობების შეხორცების პროცესს, თავიდან არიდებს შაქრიანი დიაბეტის წარმოქმნას, აწესრიგებს კუჭჭეშა ჯირკვლის მოქმედებას და ინსულინის სეკრეციას. კარგი საშუალებაა დიარეის სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**ქუბაბა, ქუბაბას წიწაკა - *Piper cubeba* L.  
ოჯ. პილპილისებრი - Fam. Piperaceae**



**მორფოლოგია:** ორსახლიანი ხისმაგვარი ლიანაა გლუვი ცილინდრული ტოტებით; ფოთლები მორიგეობითია, მოვრმა ელიფსური, ძირში გულისებრი და მახვილწვერიანი, დაფარულია გამჭვირვალე ჯირკვლებით. ყვავილები ერთსქესიანია; მამრობითი ყვავილები შეკრებილია ვიწრო ცილინდრულ თავთავებად, შეღვება 2-3 მტვრიანისაგან; მდედრობითი - უფრო გრძელ ჩაქინდრულ თავთავისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, ყვავილი შეღვება ბუტკოსაგან, სფერული ერთბუდიანი ნასკვისა და მჯდომარე დინგისაგან. ნაყოფი სფერული კენკრაა, მურა ნაცრისფერი დანაოჭებული ზედაპირით, 3,5-5 მმ დიამეტრის; თესლი განუვითარებელია, არომატული.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო უპირველესად კუნძული იავა, ინდონეზია, ბორნეო და სუმატრაა. კულტივირებულია არეალის ფარგლებში და ანტალიის კუნძულებზე.

ევროპელები ქუბებას ვენეციელი ვაჭრების საშუალებით გაეცნენ XIII ს-ში, შემდევ ასეული წლების მანძილზე გასავლიან საქონლად ითვლებოდა. XIX ს-ში იავაზე მცხოვრებმა

ინგლისელმა ოფიცრებმა გაარკვიეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მას სამკურნალოდაც იყენებდა შარდსადინარი გზების სხვადასხვა ანთებითი დაავალებებისას. მალე დაიწყეს მისი გამოყენება ევროპულ ფარმაცევტიაშიც.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ცნობილი კლასიკური სანელებელია; წიწაკის სახეობებიდან ყველაზე არომატულია, გამოიჩინა სიმწვავითაც, მას შავ პილპილთან ერთად იყენებენ სხვადასხვაგვარი კერძების შესაკაზმად. ხასიათდება ანტისეპტიკური, ანტისპაზმური, ანტივირუსული, ბაქტერიციდული, შარდმდენი, ამოსახელებელი და მასტიმულირებელი მოქმედებით ადამიანის ორგანიზმზე.

ქუბაბასა და მისი ზეთის სამკურნალო თვისებები განპირობებულია მასში არსებული კარიოფილენის, კადინენის, კბინენის, მწარე ნივთიერებების, ფისების, კუბებინის, პიპერინისა და რიგი სხვა ნივთიერებების არსებობით. ზეთი არატოქსიკურია, არ აღიზიანებს კანსა და ლორწოვან გარსს. წარმოადგენს ზოგიერთი სამკურნალო საშუალების კომპონენტს, იხმარება საპნის, დეზოდორანტებისა და ტუალეტის წყლის წარმოებაში.

ჯერ კიდევ ახალ ერამდე ინდიელები იყენებდნენ შარდსადინარი გზების დაავადებებისას.

**სადღეისოდ რეკომენდებულია:** მეტეორიზმის, ფიზიკური და ფისიქური გადაღლილობის, თავის ტკივილების, ნერვული აშლილობის, მადის დაქვეითების, დეპრესიის, ბრონქიალური ასთმის, ბრონქიის ქრონიკული ანთების, ბრონქიტის, ხველების, ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, ყელის ინფექციების, კატარისა და სინუსიტის, შარდსასქესო ინფექციების, ცისტიტის, ურეტრიტის, პროსტატიტის, გონორეის, დიზენტიტრის, გულისრევის, D ვიტამინის ნაკლებობის, პახმელის სინდრომის, დაღლილობის, ჰეპატობილიარული სისტემის დარღვევების სამკურნალოდ.

**უპუქმედება:** არატოქსიკურობიდან გამომდინარე, უკუჩვენებები პრაქტიკულად გამორიცხულია.

**ქუჩულა - *Strychnos nux-vomica* L.**  
**ოჯ. ლოგანიასებრნი - Fam. Loganiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ტროპიკული ხეა 10-15 მ – მდე სიმაღლის. ფოთლები მოპირისპირეა, ოვალური, პრიალა, ტყავისებრი. ყვავილები წვრილია, მომწვანო-თეთრი, ხუთწევრიანი, მილისებრი გვირგვინით, წარმოქმნის ნახევარქლობა ყვავილებს ფოთლების უბეებში. ნაყოფი კენკრისებრია, სფერული, კაშკაშა ნარინჯისფერ-წითელი, მსხვილი, მაგარი გარსითა და უფერო სქელი რბილობით, 2-6 თესლით. თესლი 4-5 მმ დიამეტრისა და 1,5—2,5 მმ სიგანის, დისკოსებრი, უსწორო, მოყვითალო-ნაცრისფერი, აბრეშუმისებრ პრიალა ზედაპირით, დაფარულია მრავალრიცხოვანი ბუსუსით, რქისებრია.

**ისტორია და ძულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აფრიკის, ინდოეთის, აგსტრალიისა და სამხრეთ აზიის ტროპიკულ ქვეყნებში, კულტივირებულია აფრიკის ტროპიკებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება თესლები; შეიცავს 2-3% ალკალოიდების ჯამს (სტრიხნინს, ბრუცინს, კოლუბრინს, ფსევდოსტრიხნინს, სტრუქსინს, ვომიცინს), ქიმიურ ნივთიერებებს (ციკლოარსენალს, სტიგმასტრინს, ლოგანინს, ქლოროგენის მჟავას).

მცენარის გალენურ პრეპარატებს მცირე დოზებში იყენებენ მაღის გასაძლიერებლად და საკვების მონელების გასაუმჯობესებლად.

ქუჩულას პრეპარატების რეზორბტიული მოქმედება შესწავლილია მცენარის ინდიგიდუალური ალგალოიდის სტრიხნინის ნიტრატის მაგალითზე. პირობითი რეფლექსების მეთოდით დადგინდა, რომ სტრიხნინი აძლიერებს როგორც ამგზნებ, ასევე დამამუხრუჭებელ პროცესებს თავის დიდი ნახევარსფეროს ქერქში.

სტრიხნინი მედიცინაში გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორად, აგრეთვე მამოძრავებელი აპარატის დამბლისა და პარეზების დროს. ორაპიულ დოზებში იყენებენ როგორც მატონიზირებელ საშუალებას ნივთიერებათა ცვლის დარღვევების, ჩქარი დაღლილობის, კუჭის ათონის, მაღის გაუარესებისას და ა.შ. ფართოდ გამოიყენება მხედველობისა და სმენის ანალიზატორების დაავადებებისას.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიული დაავადებების, ბრონქიალური ასთმის, სტენოკარდიის, ათეროსკლეროზის, მწვავე და ქრონიკული ნეფრიტის, ჰეპატიტის, ჰიპერკინეზის, ფებმიმობის, ბაზედური დაავადებების დროს.

**ფეის ხე - *Coffea arabica* L.  
ოჯ. ენდოსებრნი - Fam. Rubiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქია ან მცირე ზომის 4-5 მ-მდე სიმაღლის ხე. ქერქი თხელია, მონაცრისფრო-ყავისფერი

შეფერილობის. ფოთლები მოკლე ფუნქციანია, მოპირისპირედ განლაგებული, მსხვილი, პრიალა, ტყავისებრი, მუქი მწვანე, სუსტად ტალღისებრი კიდეებით. ყვავილი მცირე ზომისაა, უბისეული, მოთეთრო-კრემისფერი, სასიამოვნო სურნელის, ჩვეულებრივ ყვავილედებად შეკრებილი. მწიფე ნაყოფი წითელი შეფერილობისაა, ალუბლისმაგვარი ფორმის და სიდიდის, თითოეულ კოლოფში მოთავსებულია ერთმანეთთან ბრტყელი მხრიდან მიკრული ყავის 2 მარცვალი. ერთი ზიდან ყოველწლიურად მიიღება 3 კგ-მდე მარცვლეული.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ ეთიოპიას მიიჩნევენ. მცენარის არაბული სახელი “კახვა” ნიშნავს “ღვინოს”. ლეგენდის თანახმად, მწევემსმა ყურადღება მიაქცია თხებს, რომლებიც სიამოვნებით მიირთმევდნენ ყავის ბუჩქის ნაყოფებსა და ფოთლებს, ამასთან ცხოველები უფრო მოძრავი და აქტიურები ხდებოდნენ. ყავის ზის ამ საოცარი თვისებით დაინტერესდნენ ბერებიც, რომლებმაც დაიწყეს ფოთლების ნახარშის გამოყენება, რათა მხნედ ყოფილიყვნენ ღამის ლოცვების დროს.

ეთიოპიადან მცენარე მოხვდა არაბეთში, სადაც მეტად პოპულარული გახდა. 1604 წელს ყავის მარცვლები ვენეციელმა ვაჭრებმა ევროპაში შეიტანეს. ამჟამად კულტივირებულია მრავალ სუბტროპიკულ და ტროპიკულ ქვეყანაში. ყველი შსხვილ მწარმოებლად ითვლება ინდონეზია, ბრაზილია, ეთიოპია, კოლუმბია, მექსიკა, ინდოეთი და გვატემალა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ყავის მარცვალი შეიცავს ცხიმებს (12%), შაქარს (8%), ცილებს (13%), კოფეინს (0,65-2,75%), ტრიკონელინს, მინერალურ მარილებს; მოხალულ თესლებში დამატებით აღინიშნება ფენოლური ნაერთები, ვიტამინები PP და ჰირიდინი, მმრის მჟავა.

ყავა – მატონიზირებელი სასმელია, დილით მისი მიღება ახალისებს, ამხნევებს აღამიანს, ამღღლებს შრომისუნარისნობას და აქტიურებს გონგბრივ მოქმედებას. გამოყენება ჰიპოტონიის დროს.

ნედლი ფოთლების ნაყენს ხმარობენ თავის ტკივილის, ციებ-ცხელების, ართრიტების, ნიკრისის ქარის და ყივანახველის დროს.

**შპუქმედება:** ყავის მარცვლების ნახარში არ შეიძლება მიღებული იქნეს ჰიპერტონიული, ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას. მასში შემავალი კოფეინი ალკალოიდია, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ორმაგ მოქმედებას ახდებს; ერთის მხრივ მცირე დოზებში იწვევს მატონიზირებელ, დიდ დოზებში კი ძალ-ღონის დაქვეითებას, ადამიანი ხდება გულფიცხი, ნერვიული. ყავის შემცველი ორგანული მჟავები ამლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას, ზრდის მუსკიანობას, ამიტომ სიფრთხილე მართებთ კუჭის წყლულისა და გასტრიტით დაავადებულებს.

**ყვითელი კოჭა – *Curcuma longa L.***  
**ოჯ. ჯანჯაფილისებრნი - Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 90 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, მორიგეობით განწყობილი მარტივი, მომრგვალო ფოთლებით; ტუბეროვანი ფესურა 4 სმ-მდე დიამეტრისაა, ინგითარებს მრავალრიცხვოვან, ყვითელი შეფერილობის გვერდით ყლორტებს - ძირითად სამგურნალო ნედლეულს. ფესვთანური ფოთლები გრძელია, მახვილი წვერით. საყვავილე ღეროს შუა ნაწილში ვითარდება ყვითელი ფერის ყვავილები. ნაყოფი კოლოფია რამდენიმე თესლით.  
**ისტორია და პულტურის გავრცელება:** სამშობლო

ინდოჩინეთია. კულტივირებულია ინდოეთში, კამბოჯაში, ცეილონზე, ინდონეზიაში (იავა), სამხრეთ ჩინეთში, ფილიპინებზე, მადაგასკარსა და კუნძულ რეიუნიონზე, კარიბის აუზის ქვეყნებში (გაიტი), სამხრეთ კავკასიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ინდოეთში როგორც სანელებლი 2500 წელზე მეტია რაც ცნობილია და დღესაც სანელებლებს შორის პირველი ადგილი უკავია. I საუკუნის ბოლოს ძველ საბერძნეთში იქნა შეტანილი, ბევრად მოვაინგით კი ევროპაში. სანელებლად გამოიყენება გვერდითი გრძელი ფესვები, ხასიათდება სუსტი მწვავე, ოდნავ მომწარო გემოთი, თავისებური, სასიამოვნო, ნაზი სურნელით. შეიცავს ვიტამინებს (C, K, B, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>), მინერალურ მარილებს, ანტიოქსიდანტებს, ეთერზეთებს, კურკუმინს და სხვ. ფართოდ გამოიყენება კულინარიაში.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ღვიძლის, ნალვლის ბუშტის, შინაგანი სისხლდენების, თირკმელებისა და კუჭის დაავადებების სამკურნალოდ, მაღის აღმძვრელ და საკვების მონელების გამაუმჯობესებელ საშუალებად.

ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, დეტოქსიკაციური, ანტისეპტიკური, ნალველმდენი, ჭრილობების შემახორციელები, ანალგეტიკური მოქმედებით. ბრწყინვალე ბუნებრივი ანტიბიოტიკია. მისი გამოყენებისას იზრდება ნაწლავების ფლორის აქტიურობა და უმჯობესდება საკვების მონელება. საჭმელში დამატებული ყვითელი კოჭას სანელებელი ხელს უწყობს ნაღვლის და კუჭის წვენის გამოყოფას, მაღის აღმძვრას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, სისხლში ქოლესტრინის დონეს.


სასარგებლოა მისი გამოყენება შემდეგი დაავადებებისას: შაკი, წყლულოვანი კოლიტი, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებები, ართრიტი, შაქრიანი დიაბეტი, გაციება, გრიპი, ხველება, ფარინგიტი, ათეროსკლეროზი, ქრონიკული ფადარათი, მეტეორიზმი, ღრძილებიდან სისხლდენა.

ნედლი ფესვების წვენს იყენებენ სისხლის დენის შესაჩერებლად, ჭრილობების შესახორცებლად, დაუეუილობის, წურბელების,

მორიელის, გველის ნაკბენების, გამონაყრების შემთხვევაში. ყვითელი კოჭას პასტა იხმარება ყვავილისა და ჩუტყვავილას დროს, რათა დააჩქაროს კანის გამოშრობისა და ქერქის წარმოქმნის პროცესი, აგრეთვე ეგზემის, სირსველის, ლიქენის, წყლულების, პარაზიტებით გამოწვეული კანის სხვა დაავადებებისას. თანახმად ძველი ინდური ხელნაწერებისა ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად 40 გ ფხვნილის შარდთან ნაზავში მიღება შველის კეთრსაც. ხელს უწყობს ომის ძირების გამაგრებას, თმას უბრუნებს ბრწყინვალებას.

**ჟაზქმედება:** არ არის რეკომენდბული 2 წლამდე ბავშვებისათვის.

**ყვითელი ფიჭვი – *Pinus ponderosa* P. Lawson et G. Lawson.**  
**ოჯ. ფიჭვისებრნი - Fam. Pinaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ხეა, საშუალო სიმაღლე მერყეობს 18-39 მ-დან (მაქსიმუმია 72 მ), დიამეტრი 80-120 სმ-ია, ვარჯი ფართო კონუსურია ან მომრგვალო, ქერქი ყვითლიდან მოწითალო-ყავისფრამდე შეფერილობისაა, ღრმა ნახეთქებით. ტოტები მაგარია 2 სმ სისქის, ნარინჯისფერ-ყავისფერი, ასაკთან ერთად მუქდება და ხეშეშლება. კვირტები კვერცხისებრია, 2 სმ სიგრძის და 1 სმ სისქის, მოწითალო-ყავისფერი, ძლიერ ფისოვანი, კიდეებზე თეთრი

ფორმით; წიწვები კუნწულებადაა შეკრებილი, შენარჩუნებულია 4-6 წელს, მათი სიგრძე 7-25 სმ, სისქე 1,2-2 მმ, ოდნავ გამრუდებული, მოქნილი, გაჯერებული მოყვითალო-მწვანე, შეკრებილია კონტად ტოტების ბოლოებზე; წიწვები წაწვეტებულია გვერდებზე კარგადაა გამოხატული თეთრი ზოლები, საბურველი 1,5-3 სმ-ია. მამრობითი გირჩები ელიფსურ-ცილინდრულია, 1,5-3,5 სმ სიგრძის, ყვითელი ან წითელი; მდედრობითი გირჩები მწიფდება 2 წელიწადში ერთხელ, რის შემდეგაც თესლები იფანტება, ტოვებენ რა ტოტებზე ქერქლისებრ როზეტებს, გირჩა სიმეტრიულია ან ოდნავ ასიმეტრიული, კონუსურ-კვერცხისებრი, უფრუნო ან თითქმის უფრუნო, ტოტებზე მარტოულად ან იშვიათად წყვილ-წყვილად განწყობილი. თესლი ელიფსურ-კვერცხისებრია, 4-9 მმ, ყავისფერი ან მოყვითალო-ყავისფერი, ხშირად წვრილი ლაქებით მოფენილი, ფრთა 15-25 მმ-ია.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აშშ-ის დასავლეთ რაიონებში, კანადასა (ბრიტანეთი კოლუმბია) და მექსიკაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფიჭვის წიწვებიდან ორთქლიანი დისტილაციის გზით ღებულობენ ეთერზეობს; ზეთი უფეროდან ბაცი ყვითელი შეფერილობასაა, ფისისებრ-ანისულის არომატით, შემდეგი ქიმიური შემადგენლობის – მონოტერპენები: ბეტა-პინენი, ალფა-ფელანდრენი, ალფა-პინენი, ლიმონენი, ტერპინოლენი, ფენოლური მეთილ-ეთერები, სესკვიტერპენები: დელტა-კადინენი, გამა-კადინენი.

ფსიქო-ემოციური მოქმედება: ამშვიდებს და აწონასწორებს ნერვულ სისტემას, ააქტიურებს ფსიქიკას; გამოიყენება შიშის, შეფოვის, სიავის, უძილობის დროს. არის ძლიერი ანტისპაზმური მოქმედების, ხსნის კრუნჩებებს; იხმარება ასტმის, ასტმოიდური ბრონქიტის, კრუნჩებებისა და კუნთების დაბაბულობის, ჰემოგლიკოსის, კოლიკის, გულისრევის, გინეკოლოგიური სპაზმების, ცისტიტის, ურეთრიიტის, დეპრესიული მდგომარეობის, ძლიერი გადაღლილობის დროს.

**უპაქტედება:** უკუმაჩვენებელია ფეხმძიმობის პირველ სამ თვეში.

**ფუნწმაქარა ან “კანფეტის ხე” – *Hovenia dulcis* Thnb.  
ოჯ. ხეჭრელისებრნი – Fam. Rhamnaceae**



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი ხეა 10-12 მ სიმაღლის, საკმაოდ დეკორატიული; ახასიათებს გადაშლილი ვარჯი, ღიდი ზომის პრიალა მუქი მწვანე ფოთლები, მტევნებად შეკრებილი წვრილი ყვავილები. ნაყოფი მშრალი კურკაა, ვითარდება ხორცოვანი ნაყოფისყუნწის ბოლოებზე. ყვ. VI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივი არეალია იაპონია, აღმოსავლეთ ჩინეთი, კორეა და ჰიმალაის მთისწინები, სადაც იზრდება ზღ. დ. 2000 მ სიმაღლემდე, თიხნარ ან ტენიან ქვიშნარ ნიადაგებზე. აზიაში ყველგრძა კულტივირებული სიღამაზისა და სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე. ჩატარებულია წინასწარი სამუშაოები ამ მცენარის კულტივირებისა ყირიმსა და კავკასიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტებილი არომატული ნაყოფისყუნწები საკვებად დაუმუშავებელი სახით იხმარება; საჭმელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ ხიდან ან გამშრალი სახით, მსგავსად ქიშმიშისა. მომჟავო-ტკბილია, ნაზი გემოვნების, რძიანი შოკოლადის კანფეტის მაგვარი. მას უმატებენ სხვადასხვაგვარ დასერტებს.

ამავდროულად გამოირჩევა სამურნალო მნიშვნელობითაც. მას იცნობდნენ და აფასებდნენ ჯერ კიდევ ძველ ბაბილონსა და ინდოეთში. სირიის მეფის აშურბანიპალას ბიბლიოთეკაში, თიხის ფილებზე, რომელიც ახალ ერამდე 650 წლით ადრეა დაწერილი,

ნაყოფის ყუნწები მითითებულია როგორც გამაახალგაზრდავებელი და სისხლის გამწმენდი სამუალება. რომაელი იმპერატორები მისი საოცარი უნარიდან გამომდინარე მიიჩნევდნენ დაკარგული ძალისა და სილამაზის აღმდგენ, გამახალისებელ, ენერგიის მომატებელ, მრავალი დაავადებებისაგან განმანთავისუფლებლად. ტიბეტურ მონასტრებში, რომელიც ცნობილია ღრმა სამედიცინო ცნობიერებით, ამ ხეს თვლიდნენ ეფექტურ საშუალებად ათასი დაავადების საწინააღმდევოდ, ახალგაზრდობის და სიცოცხლის გამახანგრძლივებლად. შეუასეუქუნებში ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა დაავადებების განსაკურნავად, განსაკუთრებით სიყვითლის, შინაგანი ორგანოებისა და ცინგის დროს.

თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ნაყოფები შეიცავს დიდი რაოდენობის ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ლიმონის, ასკორბინის, ღვინის), შაქრებს, მდიდარია ვიტამინებით და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებით. ნაყოფის წვენი ხასიათდება სიცხისდამწევი, მიკრობების საწინააღმდევო, სისხლისშემაჩერებელი, ოფლმდენი და შემკვრელი მოქმედებით. ნედლ ნაყოფებს, ნაყენებსა და გამონაწვლებს იყენებენ ღვიძლის, ჰეპატიტის, თირკმელ-კენჭოვანი დაავადებების, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთების, ნიკრისის ქარებისა და რევმატიზმის დროს.

ფოთლებსა და ნაყოფებში აღმოჩნდილია ნივთიერებები, რომელიც აცილებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს; მათში შემავალი კომპონენტები შლის ტრომბებს, აღაღგენს სისხლძარღვთა ელასტიურობას, მთლიანდ კურნავს ათეროსკლეროზს, აუმჯობესებს ორგანიზმის ყველა ორგანოსა და სისტემის მუშაობას. ამ ნივთიერებებს შესწევს უნარი განკურნოს დიაბეტი, სისხლნაკლებობა, თავისა და სახსრების ტკივილები, მოახდინოს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზება.

დამტკიცებულია, ვინც რეგულარულად ღებულობს რამდენიმე ნაყოფს, არასოდეს ავადლება კიბოთი, ათეროსკლეროზით, მათთვის უცნობია ცუდი გუნება-განწყობა, ოფლიანობა, ქოშინი; გამოირჩევიან ძლიერი ჯანმრთელობით, სიმბნევით, სიცოცხლის სიყვარულით ყველა ასაქში.

**უძუქმედება:** არ გააჩნია.

**შავი პილპილი – *Piper nigrum L.***  
**ოჯ. პილპილისებრნი - Fam. Piperaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული მერქნოვანი ლიანაა, რომელიც საჰაერო ფესვებით ემაგრება საყრდენს. ფოთლები გულისებრია ან გაუცცხისებრი, მახვილი წვერით. ყვავილები მოთეთრო-მომწვანო ფერისაა, უსახური, წვრილი, შეკრებილია ფაშარ მტკვნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი წვნიანი ბურთისებრი კურკაა, პირველად მწვანე, მომწიფებისას ჯერ წითლდება, ბოლოს ყვითლდება. აგროვებენ მოუმწიფებლებს, აშრობენ მზეზე, სადაც ხდება მათი გაშავება და რბილობის დანაოჭება, სურნელოვანი სუნისაა და ძლიერ მწვავე.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროა – მაღაბარის ოლქი (ამჟამად კერალა), რის გამოც ზოგჯერ „მაღაბარის კენკრას“ უწოდებენ. ინდოეთში უძველესი დროიდანაა კულტივირებული. ძველ დროშივე კარგად იცნობდნენ ჩინეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში. შეა საუკუნეებში ევროპის კულინარიაში, მიუხედავად მაღალი საფასურისა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სანელებელს წარმოადგენდა. იმ დროისათვის ევროპაში პილპილის შემოტანის მონოპოლია გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს ეკავათ. ამჟამად უმსხვილესი მწარმოებლებია ინდოეთი, ინდონეზია და ბრაზილია (რომლებიც წელიწადში 40 ათას ტონას აწარმოებენ), კულტივირებულია აგრეთვე იავაზე, შრი-ლანკაზე, კალიმანტანში, სუმატრასა და სხვა მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში.

**სამეცნიერო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი მწვანე მარცვალია, შავ ფერს ღებულობს დამუშავების პროცესის შემდეგ. გადამუშავების ხერხებიდან გამომდინარე მიიღება თეთრი, მწვანე და წითელი ფერის მარცვლები.

სანელებლებს შორის შავი პილპილი მსოფლიოში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. მას “სანელებლის ხელმწიფესაც” უწოდებენ. კულინარიაში გამოიყენება როგორც მთლიანი, ასევე დაფქვილი სახით.

USDA Nutrient Database – ის მონაცემებით 100 გ შავი პილპილი შეიცავს: წყალს-12,5 გ, ცილები-10,4 გ, ცხიმები-3,3 გ, ნახშირწყლები-38,6 გ, უჯრედისს-25,3 გ, ნაცარს-4,5 გ, ვიტამინებს: A-310 მგ, B<sub>1</sub>-0,11 მგ, B<sub>2</sub>- 0,18 მგ, B<sub>3</sub> - 1,143 მგ, B<sub>5</sub> - 1,4 მგ, B<sub>6</sub> - 0,291 მგ, B<sub>9</sub>-17 მგ, C -21 მგ, E -1,04 მგ, K - 163,7 მგ, ქოლინი - 11,3 მგ. მაკროელემენტებს: K- 1329 მგ, Ca-443 მგ, Mg - 171 მგ, Na-20 მგ, P -158 მგ; მიკროელემენტები: Fe-9,71 მგ, Mg - 12,75 მგ, Cu -1,33 მგ, Se - 4,9 მკგ, Zn - 1,19 მგ, F-34,2 მკგ.

შავი პილპილი უძველესი დროიდან გამოიყენება სამედიცინო მიზნებისთვისაც. ძველი ოძღვეოთის ექიმები მას იყენებდნენ ხველების, გრიპის, ანგინის, ასთმის დროს და როგორც ტკივილგამაფუჩქელ საშუალებას. ხოლო ძველი საბერძნეთის მოღვაწეებს - დემოკრიტეს, პიპოკრატესა და პლინიუს უფროს საკუთარ შრომებში აღწერილი აქვთ მისი სამკუნალო თვისებები.

შავი პილპილი ხასიათდება საერთოგამაჯანსაღებელი, ტკივილგამაფუჩქელი, ბაქტერიციდული, ანთების საწინააღმდევო, ამოსახველებელი, ჭიისმდენი და შარდმდნი მოქმედებით, აძლიერებს სტრესებისადმი მდგრადობას და აწესრიგებს საკებბისმონელებას, გულ-სისხლძარღვა, სასუნთქი და ენდოკრინული სისტემების მოქმედებას. მის შემადგენლობაშია ალკალიოდი კაპსიცინი, რომელიც გამოირჩევა დამახასიათებელი მწვავე გემოთი, იწვევს მაღის აღძვრას, ასტიმულირებს მეტაბოლიზმს, აწესრიგებს კუჭისა და კუჭჭეშა ჯირკვლის მოქმედებას, ამცირებს არტერიალურ წნევას, ათხელებს სისხლს, აფერხებს ტრომბის წარმოქმნას.

**რეკომენდებულია:** დაღლილობის, დეპრესიების, სტრესის,

უმაღობის, ქრონიკული კუჭის მოუნელებლობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, სიმსუქნის, ვიტილიგის, მაღალი ტემპერატურის, ციებ-ცხელებისა და გაციების დროს.

**შპუქმედება:** უკუმაჩქენებელია ანემის, შარდის ბუშტისა და თირკმელების მწვავე ანთების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ოპერაციების შემდგომ პერიოდებში, ასევე ინდივიდუალური შეუთავსებლობის დროს.

**შამბალილა, ულბო – *Trigonella foenum-graecum L.***  
**ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა. ღერო მომრგვალოა, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები მოგრძო ლანცეტულია, მახვილწერიანი, სამნაკვთიანი. ნაყოფი – 10 სმ სიგრძის ხმლისებრი პარკია, 5-20 მდე, წვრილი, ბრტყელი, მოყავისფრო თესლით ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცებულია აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, თურქეთში, ერაყში, ირანში, შუა აზიაში, ეგვიპტესა და ეთიოპიაში. ფართოდაა კულტივირებული თითქმის ყველა ქვეყანაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ბალაზი და თესლები წარმოადგენს. შეიცავს ნიკოტინის მჟავას, რუტინს, სტეროიდულ საპონინებს, ფიტოსტეროლებსა და ფიტოსტერინებს, ფიტოესტროგენებს,

ფლავონოიდებს, ლორწოს, მწარე ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, ცილებს, ტანინებს, ვიტამინებსა (A, C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>9</sub>) და ენზიმებს, ალკალოიდ ტრიგონელინს, ქოლინს, ლეციტინს, გალაქტომანინს, სტეროიდებს – ლიოსცინს, გიტოგენინს, ტიგოგენინს, გლიკოზიდებს – ლიოსცინსა და ამოსცინს; აგრეთვე სახამძევლს, ნახშირწყლებს, შაქრებს, ანტიოქსიდანტებს და ანთების საწინააღმდეგო შენაერთებს, როგორიცაა - აპიგენინი, გენისტეინი, კემპფეროლი, კვერცეტინი, რუტინი, სელენი და სუპერჟისიდისმუტაზა.

ხასიათდება ამოსახველებელი, ლორწოს დამშლელი, შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, დამამშვიდებლი, შემომგარსავი, ლაქტოგენური, სპაზმოლიტური, მატონიზირებელი, საერთოგამაჯანსაღებელი, აღმდგენი მოქმედებით; არის აფროდიზაკი, სიცხის დამწევი; ლიმფური სისტემის საშუალებით ორგანიზმიდან დევნის ტოქსინებსა და ალერგინებს; ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, ამაღლებს ჰემოგლობინის დონეს, აქვეითებს სისხლის წნევას.

უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება; ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ სიცხის დამწევ და მატონიზირებელ საშუალებად, მშობიარობის შესამსუმბუქებლად და ლაქტაციის გასაძლიერებლად; ინდოეთში - წყლულოვანი დაავადებებისა და ქალის ორგანიზმის გასაძლიერებლად; ჩინელი ექიმები ხმარობდნენ თიაქარის, ციებ-ცხელების, შარდის ბუშტის, ნაწლავებისა და ფილტების დაავადებების, კუნთებისა და მუცლის ტკივილებისა და იმპოტენციის დროს; შამბალილას სამკურნალო თვისებებს მაღალ შეფასებას აძლევდა ჰიპოკრატე; ევროპაში, IX ს-დან დაწყებული ფართოდ გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში ჭრილობების, რესპირატორული და კუჭის დაავადებების, ციებ-ცხელების, მტკივნეული მენსტრუაციის დროს; ჩრდილოეთ ამერიკაში კოლონისტები იყნებდნენ ქალის დავადებების სამკურნალოდ და ა.შ.

ამჟამად სამედიცინო პრაქტიკაში თესლების ნახარში რეკომენდებულია: დიზენტერის, კუჭის მოუნელებლობის, ქრონიკული ხველების, ალერგიული დაავადებების, ბრონქიტის,

გრიპის, წყალმანკის, კბილის ტკივილების, ნევრასტენიის, ართონიტების, ხერხემლის რადიგულიტის სამკურნალოდ. მას უნიშნავენ წონის დაკარგვის, მძიმე ოპერაციების შემდგომ, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ტუბერკულოზის, ფილტვებისა და ელენთის დაავადებების, გაციების, ხველების დროს; იყენებდნენ მაღის გასაძლიერებლად, ვიტამინ PP –ს ნაკლებობისას.

დაქუცმაცებული თესლები გარევანად მაღამოებისა და საფენების სახით გამოიყენება კანის დაავადებების (ეგზემა, წყლულოვანი ჭრილობები, ფურუნკულები, ჩირქეროვები, მუწუკები) სამკურნალოდ.

სადღეისოდ სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება შამბალილას აღმონაცენი, ხასიათდება მიზანმიმართული გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური მოქმედებით. შეუცვლელია ანემის, ორგანიზმის გამოფიტვის, ნევრასტენიის დროს; აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, იცავს გულს დაავადებებისაგან, ეფექტურია ლამბლიოზთან საბრძოლველად, ხელს უწყობს ნაწლავების მიკროფლორის გავარსაღებას, თრგუნავს პათოგენურ მიკროორგანიზმებს. მხნეობის ნამდვილი წყაროა.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია უქსმიმე და მეტური ქალებისათვის.

### შაქრის ლერწამი – *Saccharum officinarum* L. ოჯ. მარცლოვანი - Fam. Gramineae (Poaceae)



მორფოლოგია: გიგანტური მრავალწლოვანი ბალახოვანი

მცენარეა, მოქნილი ღეროების სიმაღლე მერყეობს 2 - 6 მ-დე, დიამეტრი 4 სმ აღწევს, ხასიათდება მხოხავი ფესურითა და მრავალრიცხოვანი ყლორტებით. ფოთლები მორიგეობითა, გრძელი, ბრტყელი, ლანცეტისებრი ფორმის, ტყავისებრი, მახვილკიდებიანი, ღეგა-მომწვანო შეფერილობის. ყვავილობს ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით, ყვავილედი მრავალბეწვიანი რბილი ბამბურა გადაშლილი საგველაა, რომლის სიგრძე 30 სმ აღწევს, ისფერი შეფერილობისაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** შაქრის ლერწამი ცნობილია მხოლოდ კულტურაში, მრავალი ჯიშის სახით, სადაც თესლს არ ივითარებს და ვეგეტატიურად - კალმებით, ფესურების დაყოფით მრავლდება. გრძელი სავეგეტაციო პერიოდიდან გამომდინარე, მისი კულტურა მხოლოდ ცხელ ქვეყნებშია შესაძლებელი. ლერწმის შაქრის წარმოების მიხედვით პირველ ადგილებზეა ბრაზილია, ინდოეთი და ჩინეთი.

კულტურის წინაპრად მიიჩნევენ სპონტანურ შაქრის ლერწამს (*Saccharum spontaneum*), რომელიც ველურად იზრდება აზისა და აფრიკის ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონებში; თუმცა არსებობს სხვა ვარაუდიც, რომ ის ინდური წარმოშობის ორი ან რამდენიმე სახეობის ჰიბრიდია.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამრეწველო ნედლეული ღეროებია, ყვავილობამდე ხელით გროვდება, ხდება მისი სწრაფი გადამუშავება; მცენარის შემადგენლობაში აღინიშნება 12%-მდე უჯრედისი, 21% შაქარი, მინერალური მარილები, სახამებელი, ცილები და 70%-ზე მეტი წყალი. სახაროზის მაქსიმალური შემცველობა გარანტირებულია ღეროების ზრდის მომენტში. შაქარი მიიღება ლერწმის წვენის აორთქლებით კრისტალიზაციამდე.

შაქრის ლერწამი არა მხოლოდ შაქრის მიღების უმნიშვნელოვანების წყაროა, მას სხვადასხვა სამკურნალო დანიშნულებითაც ხმარობენ, უმთავრესი კი გულის დაავადებებია. ღეროებს ჭრიან 30-50 სმ სიგრძის ნაწილებად, ასუფთავებენ ქრექისაგან და იყენებენ საკვებად (უფრო სწორედ საღეჭად); პოპულარულად ითვლება 3 სმ-მდე დიამეტრის ღეროები, ვინაიდან

საღეჭად უფრო მოსახერხებელია. მოსავლის შეგროვების პერიოდში ჩინეთის ქუჩებში მრავალრიცხოვანი ვაჭრები მყიდველებს სთავაზობენ მეტად პოპულარულ ტკბილი წვენის შემცველ ნუგბარს, რომელიც ამავდროულად ხელს უწყობს კბილების გასუფთავებასა და გამაგრებას.

**უპუქმედება:** არ გააჩნია.

**შაქრის პალმა – *Arenga sacharifera* Labill.  
ოჯ. პალმები – Fam. Arecaceae (Palmae)**



**მორფოლოგია:** 7-12 მ-მდე სიმაღლის ორსახლიანი მცენარეა; პალმის ტანი დაფარულია ჩამოცვენილი ფოთლების ნაჭდევებით, რომელიც ახდენს შავი ბოჭკოს მასის ფორმირებას. ფოთლები დიდია, ვერტიკალური, გრძელფუნქციანი, ზედა მხრიდან – მუქი მწვანე, ქვედაზე – მოთეთრო ფერის. ყვავილები 2-3 მ სიგრძისაა, შედგება მდედრობითი და მამრობითი ყვავილებისაგან. ნაყოფი კენკრასებრია, ყავისფერი, შეხებისას კანს აზინებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ინდოეთში, ბირმაში, ტაილანდსა და მალაიზიაში, ბუნებრივ დიაპაზონში იზრდება ექსტენსიურად; კულტივირებულია არეალის ფარგლებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფების რბილობი ტებილია, საკვებად ვარგისი. მისი წვენიდან მიღებული შაქარი რეგიონში მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროდუქტის წარმოადგენს.

შაქრის წვენს ღებულობენ ყვავილედების მოჭრილი ღერძიდან, რის შემდეგაც შაქარ ამუშავებენ. შეიცავს დიდი რაოდენობის მონოსახარიდებს (გლუკოზასა და ფრუქტოზას) და სახაროზას. გაუსუფთავებული პალმის შაქარი ყავისფერია, სასიამოვნო გემოთი და სუნით, შეიცავს 50-75% შაქრებს. 1 ჰა პლანტაციიდან (150-200 პალმა) მიღება 20 ტ შაქარი. შაქრის ღერწამთან შედარებით, არ ხდება მისი ექსპორტირება, მხოლოდ ადგილობრივი დანიშნულებისაა; შაქრის მიღების შემდეგ, ფილტრაციის შედეგად მიღება სუსტი ალკოჰოლური სასმელი, შემდგომი გადამუშავებით კი არაყი “ტოდი.”

**შაქრის უპრედის:** უპნებელია.

**შირბაზტი, ქუნჯუტი - *Sesamum indicum L.***

**ოჯ. შირბაზტისებრნი - Fam. Pedaliaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა. ფოთლები მორიგეობითია, მოპირისპირედ განწყობილი, მთლიანი. ყვავილები დიდი ზომისაა, უბისეული, 1-3 დიქაზიუმებად შეკრებილი, საყვავილე ყუნწები მოკლეა, ძირთან ორი თანაყვავილის

ფოთოლაკებითა და მომრგვალო ჯირკვლებით. გვირგვინი ზარისებრია, ან ძაბრისებრ-მილისებრი, თითქმის ორტუჩა, 3 (იშვიათად 5) ქვედა ნაკვთიანი და მოკლე ორნაკვთიანი ზედა ტუჩით. ნაყოფები მცირე ზომის მოგრძო, ძირამდე ხსნადი, ოთხწახნაგოვანი, ღეროსთან მიტკეცილი კოლოფებია, სხვადასხვა შეფერილობის, მუქი შავიდან – თეთრამდე შეფერილობის თესლებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ აღინიშნება; ფართოდაა კულტივირებული ყველა ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში, სადაც ზოგჯერ ველურდება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ზეთოვანი კულტურაა. ძირითად ნედლეულს თესლები წარმოადგენს; გამოიყენება კულინარიაში, მედიცინაში და კოსმეტოლოგიური მიზნებისათვის; შეიცავს დიდი რაოდენობის ზეთებს, რომლებიც შედგება ორგანული მჟავებისაგან, გაჯერებულ და ნახევრადგაჯერებული ცხიმოვანი მჟავებისაგან, ტრიგლიცერიდებისა და გლიცერინის ეთერებისაგან, აგრეთვე შეიცავს მძლავრ ანტიოქსიდანტს სეზამინს, რომელიც სასარგებლოა მრავალი დაავადების, მათ რიცხვში კიბის პროფილაქტიკისათვის; აღინიშნება აგრეთვე ნახშირწყლები, ამინომჟავები, ცილები, ვიტამინები (A, B, C, E), მინერალური მარილების შენაერთები (Ca, P, Fe, K, Mg- ის), უჯრედისი, ლეციტინი და ნივთიერება ფიტინი.

ოფიციალური მედიცინა თესლებიდან მიღებულ ზეთს საფუძვლად იყენებს ცხიმში ხსნადი პრეპარატების დასამზადებლად, რომლებიც ინექციის სახით გამოიყენება. ზეთისგან ამზადებენ ემულსიებს, მალამოებს, პლასტიკებს. მედიცინაში შენაგანად იყენებენ თრომბების, თრომბოფლებიტისა და ჰემორაგიული დიათეზის დროს. ამაღლებს თრომბოციტების რიცხვს და აჩქარებს სისხლის შედედებას. ზეთის მიღება ამსუბუქებს სუნთქვას ბრონქიალური ასთმის, ქოშინისა და მშრალი ხველებისას. ანეიტრალებს სისხლის მჟავიანობას და კუჭის წვენის მაღალ სიმჟავეს; ხელს უწყობს წონის მომატებას, სხეულის გაკუებას. იყენებენ გაციების, კუჭის ამლილობის, გასტრიტისა და წყლულოვანი კოლიტის,

კბილებისა და ღრძილების გასამაგრებლად, კანის სხვადასხვა დაავადებების და ჭიისმდებ საშუალებად.

შირბახტის სასარგებლო თვისებებიდან ერთი მეტად მნიშვნელოვანია - წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმში კირის მიღების ძირითად წყაროს. ითვლება, რომ ყოველდღიურად თესლის მიღება იწვევს ორგანიზმში კირის უკამარისობის შესებას, რომელიც საერთოდ უმნიშვნელოა ბოსტნეულისა და ხილში.

**უპაქტედება:** ვინაიდან შირბახტი აუმჯობესებს სისხლის შედეგებას, თრომბოზებით დაავადებულთათვის არ არის რეკომენდებული. უკუმაჩვენებელია შარდკენჭოვანი დაავადებების დროსაც.

**ჩვეულებრივი ბამბუკი – *Bambusa vulgaris* Schrad. ex Wendl.**

ოჯ. მარცვლოვანნი (ქვ. ოჯ. ბამბუკისებრნი)

Fam. Poaceae (Bambusoideae)



**მორფოლოგია:** მარადმწვანე მრავალწლოვანი ერთლებნიანი ფესურიანი მცენარეა მრავალრიცხოვანი ყლორტებით; ღერო გამერქნებულია, ჯერ მწვანე, შემდეგ ოქროსფერ-ჩალისფერი, დამუხლული, უხვად დატოტვილი მრავალრიცხოვანი ფოთლებითა და ტოტებით, აღწევს 20-25 მ-მდე სიმაღლეს. ფოთოლი მუქი მწვანეა, ლანცეტისებრი, 15-18 სმ სიგრძისა და 1,3 სმ სიგანის, მოკლეფენწიანი. ყვავილობს 25 წელიწადში ერთხელ უხვად, წარმოქმნის ნაყოფებს, რის შემდეგაც კვდება; ყვავილები საგველასებრ ყვავილებადაა შეკრებილი, ნაყოფი მარცვალია.

ბამბუკი გამოირჩევა სწრაფი ზრდით, დღე-ღამეში 40 სმ-ის ნაზარდს იძლევა, ხოლო 3 წელიწადში მეტქნოვანი ხდება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო აღმოსავლეთ აზიაა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ბამბუკის გამოყენების შესაძლებლობები თითქმის განუსაზღვრელია; მისგან აკეთებენ ტივებს, ხიდებს, სახლის ყველა ნაწილს, წყალსადენ მილებს, ავეჯს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, თხევადი და ფეხიერი სხეულების ჭურჭელს, ქაღალდს, ნორჩ ყლორტებს ხმარობენ როგორც ბოსტნეულს და ა.შ.

გამოირჩევა ანტიბაქტერიული თვისებებით, რაც გამოწვეულია ბოჭკოში არსებული ძლიერი ანტისეპტიკის არსებობით. ხშირად გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო და საერთო გამაჯანსაღებელ საშუალებად, კერძოდ გაციებისა და გრიპის შემთხვევაში; მწვანე ბამბუკი ჯანმრთელობის უნიკალური წყაროა, მისი ბოჭკოდან დამზადებული ნახელავები სასარგებლოა ასთმით შეწუხებული და ალერგიული რეაქციის მქონე პირთათვის.

ბამბუკის ძალის სიძლიერეს განსაზღვრავს კრემნიუმის მჟავის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური მოქმედებისათვის; როგორც ცნობილია ასწორებს კანს, ხელს უწყობს შეხორცებას, ძვლების, ფრჩხილებისა და თმების გამაგრებას, ასევე ხასიათდება დეპრესიული ძღვომარეობის დროს დამაშვიდებელი ეფექტით, რის გამოც ფართოდ გამოიყენება აღმოსავლურ ტრადიციულ მედიცინაში.

მდიდარია ანტიოქსიდანტებით, ფლავონოიდებით, ლაქტონით, ფენოლური მჟავებით, პოლიოზით, უჯრედისით, ცილებითა და სხვა არაორგანული შენაურობებით. ნედლი ყლორტები შეიცავს 92,4% წყლს, 4% უჯრედისს, 1,9% ცილებს, 0,7% ნახშირწყლებს, 0,7% არაორგანულ ნივთიერებებსა და 0,2% ცხიმებს.

აქედან გამომდინარე მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ითვლება შესანიშნავ მატონიზირებელ, შარდმდენ, ამოსახველებელ, მასტიმულირებელ და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებად; აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა მოქმედებას,

რეკომენდებულია კუნთოვანი ქსოვილების სპაზმის, ამენორეის და ძალის დაკარგვისას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმის საკვებმომწელებელი სისტემის დარღვევების, წყლულოვანი დაავადებებისა და დიარეის დროს; მრავალ აზიურ ქვეყანაში მას იყენებენ ტუბერკულოზის, სიყვითლის, დიზენტერის, ციებ-ცხელების სამკურნალოდ, ხოლო ევროპელი ჰომეოპატები თვლიან, რომ კარგად უმკლავდება შაქრიან დაბეტს. ფაქტიურად ამ უნიკალური მცნარის თითოეული ნაწილი ჯანმრთელობის წყაროა. მისი ფოთლები ხასიათდება ამოსახველებელი და სიცხისდამტევი მოქმედებით; ფესვები-ორგანიზმის გამაძლიერებელი საშუალებაა, ხოლო წვენი ეპილეპსითა და აპოპლექსით საუკეთესო წამალია. ბრძენი ჩინელები უძველესი დროიდან ამზადებდნენ ბამბუკის ექსტრაქტს, მდიდარია რა მინერალებით, პოლისახარიდებით, ორგანული და ამინომჟავებით ელექტრი იწვევს სისხლძარღვების კედლების გამაგრებას, ამაღლებს ტონუსსა და ელასტიურობას, აუმჯობესებს ქსოვილებში სისხლისმოძრაობას და აქვეითებს კაპილარების გამტარუნარიანობას.

თანახმად ძველი აღმოსავლური ტრადიციებისა, ბამბუკი ხასიათდება მრავალრიცხოვანი სამკურნალო თვისებებით, არის უნიკალური მცნარე, აღადგენს ადამიანის ორგანიზმში ენერგიის ბალანსს, არის საოცრად პლასტიური და ერთდროულად მეტად გამძლე. მასთან დაკავშირებულია მრავალი დადებითი სიმბოლური მნიშვნელობები; მააჩნდათ, რომ წარმოადგენს სიტუაციის, მდგრადობის, მუდმივობის, მოქნილობის, კარგი აღზრდისა და მეგობრობის მაგალითს. ჩინეთში მცნარე განასახიერებს დღეგრძელობასა და შვილებისადმი კეთილდამოკიდებულებას, ინდოეთში - მეგობრობას. ფილიაპინელები თილისმის სახით პლანტაციებში ბამბუკის ჯვრებს არჭობენ, ბეღნიერების მოზიდვის ნიშნად.

**უპქმედება:** მცნარის გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო, ვინაიდან ნორჩი ყლორტები შეიცავს შხამიან ციანოგენურ გლიკოზიდს, რომელიც იშლება ჭულინარული დამუშავებისას.

**ჩვეულებრივი ბეგქონდარა - *Thymus vulgaris* L.  
ოჯ. ტუჩოსანნი - Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ნახევრადბუჩქია, კარგად განვითარებული მთავარლერძა ფესვით. ღერო გამერქნებულია, ოთხწახნაგოვანი, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი, 50 სმ-მდე სიმაღლის; ფოთლები მოკიდისპირება, წვრილი, მოგრძო-უკუკვერცხისებრი, მოკლეყუნწიანი, ორივე მხრიდან დაფარულია წერტილოვანი ჯირკვლებით. ყვავილები განლაგებულია ზედა ფოთლების უბებში, თანაყვავილები წვრილია, ლანცეტა ფორმის. გვირგვინი ორტუჩაა, ბაცი ისფერი, ვარდისფერი ან თეთრი. მტკრიანა 4.

ნაყოფი შედგება ოთხი კაქლუჭისაგან, მომრგვალოა, მურა-ყავისფერი. 1000 თესლის წონა 0,3 გ-ია. ფ. V-VII; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გაგრცელება:** ხმელთაშუაზღვეთური მცენარეა. საქართველოში ბუნებრივად იზრდება ამ გვარის სხვა სახეობები, რომლებიც ქართულ ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება.

**ჩვეულებრივი ბეგქონდარა კულტივირებულია საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, სამხრ. საფრანგეთში, გერმანიაში, აშშ-ში, რუსეთში, უკრაინაში, უნგრეთსა და სხვ.**

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელი მცენარეა. სამკურნალო ნედლეულია ფოთლები; შეიცავს ეთერზეთებს 0,8-1,2 მგ% - მდე. მისი ხარისხი განისაზღვრება

თიმოლით, რომლის შემცველობაა 42 მგ%. სხვა შემადგენელი ნაწილებია: კარვაკროლი, ტერპინელოლი, ბორნეოლი, კარიოფილენი, ლინალოლი და სხვ. ეთერზეთების გარდა შეიცავს - თიმონის ტრიტერპენულ მჟავებს, თიმუს-საპონინს, ურზოლისა და მჟაუნმჟავებს, უმნიშვნელო რაოდენობითაა ფლავონოიდები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ იხმარებოდა ფოთოლი, თესლი, წყალი, ზეთი. ბეგქონდარას წყალს ტკივილის გამაფუჩებელ თვისებას მიაწერდნენ და მას მტკივნეულ ადგილზე ასხამდნენ; უნიშნავდნენ როგორც ამოსახველებელ წამალს; შედიოდა თაფლით შეზელილი წამლის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა როგორც შინაგანი საშუალება გულის დაავადებებისას, აძლევდნენ სისხლიანი ფაღარათის დროს; თიაქარის შემთხვევაში მის ნახარშს ცხელი საფენების სახით ადებდნენ მტკივნეულ ადგილს, თავის ტკივილებისას კი მისი ნახარშით თავს იბანდნენ.

ხასიათდება ანტისეპტიკური, მაღეზინფიცირებელი, ტკივილგამაფუჩებელი, ამოსახველებელი მოქმედებით, გამოიყენება ბრონქიტისა და ყივანახველის დროს.

სამედიცინი პრაქტიკაში იხმარება თიმოლი, გამოირჩევა მაღალი ბაქტერიოციდული აქტივობით პათოგენური კოკებისა და სოკოების მიმართ, რის გამოც ფართოდ გამოიყენება ეპიდერმოფიტებისა (კანის სოკოვანი დაავადებები) და აქტინომიკოზების საწინააღმდეგოდ.

**უგუქმედება:** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ორსულობა.

**ჩვეულებრივი მანანა - *Calluna vulgaris* (L.) Huil.  
ოჯ. მანანასებრნი - Fam. Ericaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ქლიერ დატოტვილი ბუჩქია წვრილი სამწახნაგოვანი ფოთლებით. ყვავილები წვრილია, შეკრებილია ცალგვერდა მტევნისებრ ყვავილედებად. ჯამის ფოთლაკები გვირგვინის ფურცლებზე გრძელია, მის მსგავსად ლილისფერ-ვარდისფერი შეფერილობის. ნაყოფი წვრილი სსნადი კოლოფია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, აზის ზომიერ სარტყელში, ჩრდ. ამერიკის ატლანტისპირეთში, ჩრდ. აფრიკასა და აზორის კუნძულებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მანანას ნექტრისაგან მიღებული თაფლი ანტისეპტიკური თვისებებით გამოირჩევა. შველის ბრონქიალურ ასთმას, ასუფთავებს სისხლს, ხასიათდება შარძმდები მოქმედებით, გამოიყენება შარდის ბუშტისა და თირკმელებში ქვების, რეგმატიზმისა და ნიკრისის ქარების სამკურნალოდ.

სამკურნალო ნედლეული ყვავილები და მოყვავილე ყლორტების წვეროებია. შეიცავს ფლავონოიდებს, კვერცეტინსა და მირციტინის წარმოებულებს, არბუზინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, პოლისახარიდებს. ხალხურ მედიცინაში ნაყინების სახით იხმარება როგორც ანთების საწინააღმდეგო, დიურეზული, ანტიბაქტერიული საშუალება ცისტიტის, შარდკენჭოვანი და კანის

დაავადებების, ნიკრისის ქარების, რევმატიზმისა და გაციუბისას. გამოიყენება ჰომეოპათიაშიც.

**უძუქმედება:** მცენარე შხამიანია, რის გამოც შინაგანი მიღებისას ზუსტად უნდა იყვეს დაცული ფიტოთერაპევტის მიერ მითითებული ნორმები.

### ჩვეულებრივი ნუში - *Amygdalus communis* L.

ოჯ. ვარდისებრნი - Fam. Rosaceae



**მორფოლოგია:** პატარა 4-6 მ სიმაღლის, ძლიერ დატოტვილი ხეა. ყლორტები ორი ტიპისაა: წაგრძელებული ვეგეტატიური და დამოკლებული გენერაციული. ფოთოლი ღანცეტა; ყვავილი მარტოულია, თეთრი ან ბაცი-ვარდისფერი გვირგვინის ფურცლებით, მრავალრიცხოვანი მტვრიანებით და ერთი ბუტკოთი. ნაყოფი - ხავერდოვნად შებუსული ოვალური ერთი კურკაა, მშრალი ნაყოფებით მომწიფებისას ადვილად სცილდება კურკას. კურკა ნაყოფის ფორმისაა, დაფარულია წვრილი ორმოებით, ზოგჯერ დარებით, 2,5-3,5 სმ სიგრძის, წონით 1-5 გ. გემოვნებით არჩევენ ნუშის ორ ფორმას: ტკბილი და მწარე, თუმცა მორფოლოგიურად ეს ფორმები ერთგვაროვანია. ყვ. III-IV; ნაყ.VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება შეუა აზიაში, ავღანეთში, ირანში, სამხრეთ კავკასიაში, მცირე აზიაში. კულტურაში შეტანილია ბუნებრივი არეალის საზღვრებში

ჩვენს ერამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე 4 - 3 ათასი წლის წინათ მისი მოყვანა დაიწყო ძველ საბერძნეთში, საიდანაც შეტანილ იქნა რომის იმპერიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და პირენეის ნახევარკუნძულზე. დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში მისი კულტივირება იწყება საფრანგეთში. XIX ს-ის შუა პერიოდში ნუშის კულტურა ვრცელდება ამერიკაში, უმთავრესად აშშ-ში. სადღეისოდ მოჰყავთ თბილი კლიმატის მთელ რიგ ქვეყნებში, საერთო ფართობი 0,5 მილიონ ჰა შეადგენს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კაკლოვანი კულტურაა. კულტურულ ნარგაობებში ჭარბობს ნუშის ტბებილი ფორმები. მისი გული მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტია, გამოიყენება ნედლი, მოხალული, დამარილებული სახით. იხმარება ტორტების, ნამცხვრების, შოკოლადის და სხვა მრავალი საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად.

კურკის გული (თესლები) შეიცავს 40-60 მგ% ცნიშოვან ზეთებს, 20-30 მგ% ცილებს, ნახშირწყლებს (გლუკოზა, გალაქტოზა, მალტოზა და საქაროზა), ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>), ლორწოს, გლიკოზიდ ამიგდალინს; ფოთლებში აღინიშნება ციანოგნური შენაერთები (ამიგდალინი), ფენოლკარბოლმჟავები, ფლავონოიდები.

ნუშის ზეთი იხმარება საკვებ, სამედიცინო, პარფიუმერიულ წარმოებაში; გამოიყენება სამკურნალო და კოსმეტიკური მალამოების ფუძედ, შინაგანად - როგორც სასაქმებელი და შემზღვარსავი საშუალება.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ნახსენებია მწარე და ტკბილი ნუში. კერძოდ აღნიშნულია, რომ კანგაცლილი ტკბილი ნუში თაფლთან ერთად იწვევს ფილტვის, ღვიძლის, თირკმელებისა და ტყირპის გაწმენდას; დანაყილი ნუში თოხლო კვერცხთან ერთად ხველების საწინააღმდეგოდ იხმარებოდა; ნუშის ზეთს მტკიწული და გასიებული აღვილის შესახელად იყენებდნენ, ურჩევდნენ თავის ტკივილის დროსაც; ტვინის ზოგიერთი დავადებისას მწარე და ტკბილი ნუშის ზეთიან წამალს ხანგრძლივად უწვეთებდნენ ცხვირში; ენის დასიების დროს ენას ზეთით უზელდნენ, ტკბილი ნუშის ზეთს ხმარობდნენ ხველების,

შარდის ბუშტის წყლულისა და ტკივილების სამკურნალოდ, აგრეთვე კუჭის შეკრულობის დროს. სასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, დამამშვიდებელი, საფალარათო, ანტიეპილეფსიური, ანტირადიაციული მოქმედებით.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება კუჭის არეში ტკივილების, დიაბეტის, სისხლიანი ხველის, თირკმლის ჭვლების, შარდის გამოყოფის გამნელების, კრუნჩხვების, გულის დაავადებების, ნერვული სისტემის მოშლილობის, სტომატიტების დროს.

**შეზქმედება:** არ შეიძლება უმწიფარი ნუშის ჭამა, მათში შემავალი ციანიდების გამო, რომელიც იწვევს მოწამლვას; ასევე მიუღებელია მწარე ნუშის საკებად გამოყენება მასში არსებული გლიკოზიდ ამიგდალინის შემცველობის გამო, რომელიც იხლიჩება გლუკოზად და ძლიერ შხამიან ნივთიერებად - სენილურ მჟავად.

### ჩვეულებრივი წიწაკა – *Capsicum annuum L.*

ოჯ. ძალლურძენასებრნი - Fam. Solanaceae



**მორფოლოგია:** კულტურაში ერთწლოვანი მცენარეა (სამშობლოში – მექსიკასა და გვატემალაში ნახევრადბუჩქი) 1 მ-დე სიმაღლის სწორმდგომი, გადაშლილი ან გართხმული, მომრგვალო ან ხუთწახნაგოვანი ღეროთი. ფოთოლი ყუნწიანია, კვერცხისებრი ან ლანცეტა, მსგავსად ღეროებისა მწვანედან - მუქი ისფერამდე, შიშველი ან შებუსული. ყვავილები მარტოულია ან

მოკლე ყვავილედად შექრებილი, თეთრი, ყვითელი ან ისფერი, ორმაგი ხუთწევრიანი ყვავილსაფრით; ნაყოფები ჩაქინდრულია ან აშვერილი, ხორცოვანი, განსხვავებული ფორმით (ჭარბობს კონუსური და მოგრძო-კონუსური ფორმები), სიდიდით (1-20 სმ-მდე სიგრძის, რბილობის სისქე 0,1 -5-8 მმ-მდე), შეფერილობით (ბაცი მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, კრემისფერი, მოყვითალო-ყავისფერი, მოშავო-ისფერი, წითელი და ა.შ.) და გემოთი. თესლი მრავალრიცხოვანია, ბრტყელი, ბაცი ყვითელი. ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გაგრცელება:** სადღეისოდ ველურად არ გვხვდება. კულტურაში შეტანილ იქნა ახალ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე ცენტრალურ ამერიკაში. XV ს-ის ბოლოს ქრისტოფორ კოლუმბის ექსპედიციებისას სხვა მცენარეებთან ერთად ძველ სამყაროში წიწაკაც იქნა ჩამოტანილი. ეროვანი პირველად მას ეგზოტიკის მოყვარულები ამრავლებდნენ, შემდგომ საოცრად სწრაფად გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში. უკვე XVI ს-ში მათი გამოზრდა წარმოებდა თანამედროვე გერმანიის, ბელგიის, ინგლისის, უნგრეთის, ბულგარეთის ტერიტორიებსა და ბალყარეთის ნახევარკუნძულზე. რუსეთში მოჰყავთ XVII ს-დან, უმთავრესად სამხრეთ რაიონებში, ვინაიდან წიწაკა სითბოს მოყვარული მცენარეა ვეგეტაციის სანგრძლივი პერიოდით. ამავე პერიოდში ვრცელდება მისი კულტურა საქართველოშიც.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** წიწაკის მრავალრიცხოვანი ჯიშები ორ ჯგუფად იყოფა; ბოსტნეული და სანელებლიანი; ბოსტნეული ჯგუფის ნაყოფები, რომელსაც ტკბილ წიწაკას უწოდებენ - პოპულარული საკვები პროდუქტია (ცნობილია ასევე ბულგარული წიწაკის სახელწოდებით). სხვა ფორმა - მწვავე, ან ჭოტოსანი წიწაკა მოჰყავთ როგორც სანელებელი მცენარე.

ბოსტნეული ჯიშების რბილობი შეიცავს 8-დან 20 მგ%-მდე მშრალ ნივთიერებებს, მათ რიცხვში 7,4 მგ% შაქარსა და 2,6 მგ% ნედლ ცილებს. მასში ბევრია ვიტამინები, განსაკუთრებით კაროტინი (პროვიტამნი A) და ასკორბინის მჟავა, მისი შემცველობით ზოგიერთი ჯიშის ნაყოფი აჭარბებს ყველა

ბოსტნეულსა და ზილსაც - ნაყოფის რბილობის 100 გ ნედლ ნივთიერებაში შეიძლება დაგროვდეს 480 მგ ასკორბინის მჟავა. მნიშვნელოვანი რაოდენობით აღირიცხება B ჯგუფის ვიტამინებიც (თიამინი, პიბოფლავინი, ფოლიოს მჟავა), აგრეთვე P - ის აქტიური ნივთიერებები, ნახშირწყლები, სახამებელი, ცხიმები, უჯრედისი, ალკალიოდი კაპსიცინი, ფიტონციდები, საპონინები.

ხასიათდება გამაუმტკივნებელი, მაღისაღმერელი, ნერვული დაბოლოებების გამაღიზიანებელი, საჭმლის მომნელებელი ფერმენტების სინთეზის გამაძლიერებელი და ანტივირუსული მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება ნეკრალგის, რადიკულიტის, მიოზიტის, საჭმლის მომნელებელი ფერმენტების აქტივობის დაქვეითების შემთხვევაში.

ფარმაცევტული წარმოება უშვებს წიწაკის შემდეგ პრეპარატებს: წიწაკის სპირტიანი ნაყენი, მაღამო მოყინვას საწინააღმდეგოდ, წიწაკას საფენი, “კაპსინი”, “კაპსიტრინი”, წიწაკა - ნიშადურის ლინიმენტი, წიწაკა - ქაფურის ლინიმენტი. აღნიშნული პრეპარატები ძირითადად გამოიყენება დასაზელად ნეკრალგის, მიოზიტების, რადიკულიტის დროს.

**უპექმედება:** უპექმაჩვენებელია კუჭისა და თორმეტგოვა ნაწლავის წყლულის, გასტრიტის დროს; დიდ დოზებში მიღება იწვევს კუჭ-ნაწლავის მწვავე მოშლას.

**ჩინური ლვია – *Juniperus chinensis* L.  
ოჯ. კვიპაროზისებრნი - Fam. Cupressaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე საშუალო სიხშირის ბუჩქია, ვარჯის სიმაღლე და დიამეტრი 4-5 მ-ია, წლიური ნაზარდი 5-15 სმ, სიცოცხლის ხანგრძლივობა 200-მდე წელი. ერთ და ორსახლიანი მცენარეებია. წიწვები, უმთავრეად ქერქლიანია, ლეგა-მწვანე. გირჩა მომრგვალოა 5-7 მმ დამეტრის, დასაწყისში ბაცი მწვანე, შემდეგ - შავი, მკრთალი-ცისფერი ნაფიქით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ჩინეთი, იაპონია და კორეა. ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში; გამოყვანილია უამრავი დეკორატიული ჯიში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გამოირჩევა მაღალდეკორატიულობით. ნიადაგისადმი ნაკლებმომთხოვნია, იზრდება ქვიანებზე, რის გამოც ხშირად გამოიყენება ქვიანი მოეზნებისა და ფერდობების გასამწვანებლად, როგორც ორდინალურად, ასევე ჯგუფებსა და ალპინარიუმებში. განსაკუთრებით დეკორატიულია გართხმული ფორმები, საოცარ სილამაზეს კი მოწითალო ქერქი ქმნის.

ხასიათდება მაღალი ფიტონციდური, გაუსწოვნებისა და ინსექტიციდური თვისებებით. მფრინავი გამონაყოფები კლავს ჰაერში არსებული მიკრობების 30 %.

ჩინური ლვია სამკურნალოდ სხვა ლვიების იდენტურად გამოიყენება. ეთერზეთებს ხმარობენ გაციებებისას, ინგალაციების ან აპლიკაციების სახით. ზეთი ხასიათდება რა

მაღეზინფიცირებელი მოქმედებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჭრილობების, ჩირქეროვების, წყლულების დასამუშავებლად.

ხალხურ მედიცინაში უმთავრესად გირჩების ნაცენს იყენებენ. მიიღება წყალმანკის, შარდის ბუშტის ანთებითი პროცესების, შარდში ცილების არსებობისას, კუჭისა და ღვიძლის დაავადებებისას; აგრეთვე - ღვიძლში ქვების, ნიკრისის ქარების, რევმატიზმის, კანის გასაწმენდად სხვადასხვა მიკროორგანიზმებისაგან. ნახარში გამოიყენება ღრძილების ანთებითი პროცესების დროს პირის ღრუს გამოსავლებად, აბაზანების სახით ნიკრისის ქარებისა და რევმატიზმის დროს. მიგრენის სამჯურნალოდ ხშირად იხმარება გირჩების ფხვნილი. გირჩების სპირტიანი ნაცენი გარეგანად კანის სხვადასხვა დაავადებისას გამოიყენება.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებლია თირკმელების ანთებითი პროცესების დროს.

**ჩინური ჩაის ბუჩქი - *Thea sinensis* L.**

**ოჯ. ჩაისებრნი - Fam. Theaceae**



**მორფოლოგია:** ხე ან მსხვილი ბუჩქია, კულტურაში 1,5 მ სიმაღლის. ფოთლები მორიგეობითია, ტყვავისებრი, ოვალური, მახვილი, მუქი მწვანე, პრიალა, 6-30 სმ სიგრძის, ნორჩი ფოთლები შებუსულია. ყვავილები 1-5 ცალად შეკრებილი ფოთლების უბეებშია განლაგებული, 2-5 სმ დიამეტრისაა, არომატული, ორმაგი ყვავილსაფრით, გვირგვინი 5-9 თეორი ან

ვარდისფერი ფურცლისაგან შედგება, მტვრიანა მრავალია, სამტვრები ყვითელია. ნაყოფი 3-4 ბუდიანი კოლოფია, ბუდეში თითო ან რამდენიმე თესლია. ფ. V; ნაფ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად ჩაის ბუჩქი იზრდება ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთებში (ასამი) და ინდოჩინეთის მოსაზღვრე რაიონებში. უკვე 2500 წლით ადრე ახალ ერამდე, როგორც სამკურნალო მცენარე კულტივირებული იყო ჩინეთში. ევროპაში პირველად პორტუგალიელების მიერ იქნა შეტანილი XV - XVII ს-ში აღმოსავლეთ აზიდან. პირველად მას სამკურნალო დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, მხოლოდ XVIII ს-დან დაიწყო სასმელად, ჩაის სახით გამოყენება. რუსეთში პირველად ჩინეთიდან იქნა შეტანილი 1638 წელს რუსი ელჩის ვინძე სტარკვის მიერ. დასაწყისში შეჰქონდათ ნედლეულის სახით, 1814 წელს დაირგა ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში, ხოლო 1846 წელს - საქართველოში, სადაც პირობები კულტურისათვის სასარგებლო აღმოჩნდა; XIX ს-ის 60-იან წლებში ოზურგეთის რაიონში შეიქმნა პირველი პლანტაცია. 1912 წლიდან ჩაის ამრავლებენ აზერბაიჯანში, უკვე 1917 წ. კავკასიის შავიზღვისპირეთში ჩაის პლანტაციებს 1000 ჰა ჰქონდა დათმობილი. ამჟამად მსოფლიოში ჩაის ბუჩქებს 1,5 მილიონი ჰა უკვია, ხოლო მშრალი ჩაის მსოფლიო წარმოება წელიწადში 1,5 მილიონ ტონას შეადგენს. ყველაზე დიდი რაოდენობის ჩაის აწარმოებს ინდოეთი, შრი-ლანკა, ჩინეთი, იაპონია. საქართველოში ჩაის კულტურას გასული საუკუნის (XX ს.) 80-იან წლებში 75 ათასი ჰა ეკვივა, ბოლო პერიოდში სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით მნიშვნელოვნადაა განადგურებული ჩაის პლანტაციები.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** განსაკუთრებული წესით დამუშავებული და გამშრალი ჩაის ბუჩქის ფოთლები იძლევა “ჩაის” პროდუქტს, რომელსაც ხმარობენ ყოველდღიური ცხელი მატონიზირებული სასმელის მისაღებად. მშრალი ჩაი შეიცავს 12 მგ% ტანინებს, 16 მგ% ცილებს, 1,5 მგ% შაქრებს, ალკალოიდებს (4 მგ% კოფეინი, თეოფილინი, თეობრამინი), ეთერზეთებს კვალის სახით, ვიტამინებს (C -250

მგ%, P, PP), მიკროელემნტებს (Fe, Mg, K, Mn, I, Cu, Au, P) და სხვ. ჩაის დაფენებისას ნაეუნში აღინიშნება დიდი რაოდენობის სინადი ნივთიერებები, მათ შორის მთრიმლავი ნივთიერებები, რომელიც ჩაის აძლევს მწელარტე გემოსა და ყავისფერ შეფერილობას, ხოლო არომატს განსაზღვრავს ეთერზეთები; რაც შეეხება ვიტამინებსა და ალკალინიდებს ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩაის ანიჭებს მატონიზირებელ და სამკურნალო მნიშვნელობას.

ხასიათდება მასტიმულირებელი, ბაქტერიოციდული, ფალარათის საწინააღმდეგო, სისხლძარღვთა გამაფართოებელი, (განსაკუთრებით გულის), შარდმდენი, გლუვი კუნთების ანტისპაზმური, კაპილართა კედლების გამამაგრებელი მოქმედებით.

ჩაიში შემავალი თეოფილინი - აუმჯობესებს გულის მუშაობას, ახდენს ნაღვლის ბუშტის მტკვნეული სპაზმის მოხსნას, სპასტიკური ბრონქიტისას აადვილებს სუნთქვას. ტანინები - ხელს უწყობს C ვიტამინის დაგროვებას, ხელს უშლის ცინგის განვითარებას. P ვიტამინი - თრგუნავს ფარისებრი ჯირკვლის უუნქცას მისი ჰიპერფუნქციის დროს. კოფეინი - იწვევს დათრგუნული ნერვული სისტემის, სუნთქვის, გულის მუშაობის გააქტივებას. ტანინები P ვიტამინთან კომბინაციაში - ახდენს კარგად გამოხატულ ანტისაფალარათო (შემკვრელ) მოქმედებას. ჩაი აქვეითებს მიოკარდიის ინფარქტის განვითარების რისკს.

**უძუქმედება:** გადაჭარბებული გამოყენება იწვევს მაღალ აღგზნებალობას; მაგარი ჩაი უკუმაჩვენებელია გულის დაავადებების, ნევროზისა და წყლულოვანი დაავადებებისას.

**ჩინური პიბისკუსი, ჩინური ვარდი –*Hibiscus rosa-sinensis* L.  
ოჯ. ბალბისებრნი - Fam. Malvaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე საკმაოდ მსხვილი, 3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ლეროები სწორმდგომია, გადაშლილი ვარჯვით, უხვად შეფოთლილი. ფოთლები პრიალაა, გლუვი, მუქი მწვანე ფერის, მეტად დეკორატიული, მის მწვანე ფონზე გამოირჩევა თეთრი, კრემისფერი ან წითელი ლაქები და შტრიხები. ყვავილობს მსხვილი ვარდისფერი ყვავილებით.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ჩინეთსა და ჩრდილოეთ ინდოჩინეთში. წარმარტებითაა კულტივირებული ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის სხვა ქვეყნებში.

**სამკურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფართოდ გავრცელებული ოთახისა და საორანჟერეო მცენარეა. გამოყვანილია უამრავი ჯიში, რომლებიც განირჩევა ზომებით, ყვავილების შეფერილობით (თეთრი, ვარდისფერი, ლილისფერი, მეწამული, კაშკაშა წითელი და ა. შ.), მარტივი და ბუთხუჭა ფორმებით.

ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში მისი ფოთლებით მკურნალობენ ქრონიკულ ნეფრიტს. გარეგანად გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნის, ავთვისებიანი წყლულების, კარბუნკულების სამკურნალოდ.

შედის არომატული ჩაის “კარკადეს”, “როზალის”, “სუდანის ჩაის” შემადგენლობაში.

**უკუქმედება:** არ აღინიშნება.

**ჩუფა ან მიწის ნუში – *Cyperus esculentus L.***  
**ოჯ. ისლისებრნი - Fam. Cyperaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 30-100 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი ბუჩქია, მრავალრიცხვოვანი ყლორტებითა და კონებით; ფესვი მძლავრია, გვერდითი წვრილი ფესურებით, რომელიც ბოლოვდება გასქელებული, მოგრძო ოვალური, ტყის თხილის სიდიდის გორგლებით. მცენარე ნაყოფმს ხმოიარობს სიცოცხლის მეორე წელს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სხელთაშუაზღვეთი და ჩრდილოეთ აფრიკა. ერთ-ერთი უძველესი კულტივირებული მცენარეა, რომელსაც ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ამრავლებდნენ. ამჟამად კულტივირებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერიდან სუბტროპიკული კლიმატის ოლქებში, უმთავრესად ესპანეთში, ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაში, აზიაში, აშშ-ის სამხრეთ ნაწილში.

სახელწოდება “ჩუფა” წარმოსდგება სუდანის პროვინცია ჩუფიდან (Chuf), საიდანაც 4000 წლის წინათ მოხვდა ესპანეთში, კერძოდ ვალენსიაში, სადაც ფართო გავრცელება პპოვა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ასეული წლების განმავლობაში ადამიანები ჩუფას გორგლებსა და ცხიმებს იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით: კულინარიაში, მედიცინაში, კოსმეტოლოგიაში, პარფიუმერიასა და საყოფაცხოვრებოდ. ფოთლებისაგან ამზადებდნენ თოკებს, ქაღალდს, საიზოლაციო მასალას, საფენებს, საწვავს.

გორგლები საკვებად გამოიყენება ნედლი, მოხარშული, შემწვარი სახით. გადახალული გორგლები ყავის სუროგატია. გემოვნებით ჩვეულებრივი ნუშის, არაქისისა და სოიოს მსგავსია, ფართოდ იხმარება საკონდიტრო ნედლეულში ნამცხვრების, ტორტების, კანფეტების, ჰალვის დასამზადებლად. ხოლო ახლო აღმოსავლეთსა და ესპანეთში მისგან ამზადებენ გამაგრილებელ ტკბილ სასმელს, ორმელიც ცნობილი იყო ძველი ეგვიპტელებისთვისაც. ვალენსიაში ყოველწლიურად აწყობენ ამ სასმელისადმი (რომელიც რძის შემცვლელიცაა), სახელწოდებით “ჰორშატა დე ჩუფა” (horchata dechufa) მიძღვნილ დღესასწაულს. გორგლები შეიცავს ცხიმოვან ზეთებს (26-36%), სახამებელს, გლუკოზას, ცილებს, გაჯერებულ და ნახევრად გაჯერებულ მჟავებს, დიდი რაოდენობის მინერალებს, ფოსფორს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ვიტამინებს განსაკუთრებით C და E.

გორგლებიდან მიიღება სასიამოენო გემოსი და სუნის ჩუფას ზეთი. ფარმაკოლოგიაში ზეთი ცნობილია სახელით “bulbuli thrasi”, მისი წარმოება XVIII ს-დან იწყება. ქიმიური შემადგენლობით ახლოა ზეთისხილის ზეთოან, დაბალი მჟავინობისაა, არ შრება, დაუანგვისას სქელდება. შეიცავს ლინოლინისა და ლინოლენის მჟავებს, დიდი რაოდენობით ოლეინის მჟავას, ვიტამინ E (ალფა და გამა ტოკოფეროლი) – ბუნებრივი ანტიოქსიდანტი, არ სინთეზირდება სამრეწველო გზით). გემოვნებით არ ჩამოუვარდება ზეთისხილის ზეთს და სუფრის ზეთის ანალოგიურად იხმარება.

ჩუფას გორგალი ხასიათდება ანტიოქსიდანტური, ანტისეპტიკური, იმუნომოდელირების, მკვებავი და დამატენიანებელი მოქმედებით. სამკურნალოდ გამოიყენება: გულის პათოლოგიების, გუჭ-ნაწლავის დაავადებების, ნივთიერებათა ცვლისა და საკვებმოწყველებელი სისტემის გასაუმჯობესებლად, სისხლში ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების დონის დასაქვეითებლად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისათვის, აფართოებს სისხლძარღვებს, ამცირებს სისხლის ბალთების წარმოქმნის რისკს, არიდებს ათეროსკლეროზს, ამაგრებს ძვლოვან ქსოვილებს; ანტიოქსიდანტის – ტოკოფეროლის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე ხელს უშლის ორგანიზმის, კერძოდ ქსოვილების დაბერებას.

ჩუფას ზეთი სილამაზის ინდუსტრიაშიც იხმარება; შედის სხვადასხვა კრემების, ნიღბების, ფრჩხილებისა და თმის ძირების გამამაგრებელ საშუალებებში. ძლიერი ანტისეპტიკური საშუალებაა, კურნავს ეგზემას და კანის სხვა დაავდებებს, ხასიათდება მკვებავი და დამარბილებელი მოქმედებით, უბრუნებს კანს ელასტიურობას, ასწორებს ნაოჭებს, არბილებს კანის გაუხეშებულ მონაკვეთებს, კურნავს ნახეთქებს.

**უძრქმედება:** დაუდგენელია.

### ცვილის სურო – *Hoya carnosa* R. Br. ოჯ. ლველკეცისებრნი - Fam. Asclepiadaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ლიანაა 10 მ-მდე სიგრძის მხოხავი გამერქნებული ღეროებით. ახალგაზრდა ყლორტები უფოთლოა, მურა-ისფერი, ფოთლების წარმოქმნის შემდეგ მწვანდება. ყლორტებზე ვითარდება საპაერო ფესვები. ფოთლები მოპირისპირება განწყობილი, პრიალაა, ტყავისებრი, მკვრივი, დაფარულია ცვილისებრი ნაფიფქით, მუქი მწვანეა, ოგალური ფორმის, მახვილი წვერით. ყვავილი სურნელოვანია, ცვილისებრი, მოთეთრო-კრემისფერი შეფერილობის; ცალკეული ყვავილი ხუთსხივიანი ვარსკვლავის მსგავსია, ხოლო უფრო წვრილი ვარსკვლავი ცენტრშია განთავსებული და წითელი შეფერილობისაა, შეკრებილია ფარისებრ ყვავილებად.

ყვავილობის პერიოდში ყვავილზე გამოიყოფა ცრემლის მსგავსი გამჭვირვალე ფისის წვეთები.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ავსტრალიაში, ჩინეთში, ინდოეთსა და მალაის არქიპელაგზე. ფართოდ გავრცელებული ოთახის მცენარეა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მრავალრიცხოვანი დაკვირვებებით დადგენილია, რომ ასუფთავებს შენობას ნახშირმჟავებისაგან, კლავს მიკრობებს, შთანთქავს მტერს. ფოთლები გარეგანად გამოიყენება ფურუნჯულებისა და კარბუნჯულების მოსაშუშებლად.

**უკუმედება:** მცენარე შხამიანია!

**ცილინდრული ლუფა – *Luffa cylindrica* (L.) Roem.**  
**ოჯ. გოგრისებრი - Fam. Cucurbitaceae**



**მორფოლოგია:** 5 მ-მდე სიგრძის ლიანაა. ღერო წვრილია 1,5 სმ სისქის. ფოთლები მომრგვალოა, 5-9 ნაკვთიანი, 15-25 სმ სიგანის. ყვავილები ერთსქესიანია, მდედრობითი – მარტოულია, მართობითი – მოკლე მტევნებადაა შეკრებილი, გვირგვინი მილისებრ-ბორბლისებრია, ბრტყელი გადანალუნით, ნარინჯისფერი, 5 სმ-მდე დიამეტრის. ნაყოფი ფორმით კიტრს მოგვაგონებს, 50-100 სმ-მდე სიგრძისაა, გლუვი ან მცირედ წახნაგოვანი, ყვითელი ან მურა.

ნაყოფის ჭურჭლოვანი კონები წარმოქმნის ბოჭკოვან ჩონჩხს, რბილობი სიმწიფისას ლორწოვანი ხდება; ნეჭას შემდეგნაირად ღებულობენ: ნაყოფს მომწიფების შემდეგ აცილებენ ქერქს, ბოჭკოს ჩონჩხს რეცხავენ, ასეფთავებენ ლორწოსა და თესლებისაგან, ბოჭკოს ხარშავენ, ღებავენ და აშრობენ.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ინდოეთის, აფრიკის ამერიკის ტროპიკებში. კომერციული მზნით ამრავლებენ ჩინეთში, იაპონიაში, ინდონეზიაში, ფილიპინებზე, ჰონკონგში, ბრაზილიასა და კარიბის რეგიონში, ამასთან ითვლება, რომ საუკეთესო ნეჭა იაპონიაში მიიღება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტენიკური და ბოსტნეული პულტურა. ნორჩი ნაყოფები გამოირჩევა ორიგინალური გემოთი, მიემსგავსება ყაბახს, მაგრამ თავისებური განუმეორებელი გემოსია. საკვებად გამოიყენება შემწვარი, დაკონსერვებული, მოთუშული, მოხარშული სახით. შეიცავს ვიტამინებს, კალიუმისა და ფოსფორის მინერალურ მარილებს, ტრიტერპენოიდებს - კუკურბიტაცინს, ოლეინის მჟავას; თესლები - ცხიძოვან ზეთებს.

ნაყოფების ნახარში კოლუმბის ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ცხვირის ქრონიკული დავადებებისას.

შესულია ჰომეოპატიურ მედიცინაში იგივე მაჩვენებლებით, მათ შორის ალერგიული ხასიათის.

ტექნიკური მიზნებისათვის (ნეჭას, მცენარეული ღრუბლის მისაღებად) არჩევენ ცილინდრული ფორმის, მოუმწიფებელ, 30-65 სმ-ზე უფრო გრძელ ნაყოფებს.

**უპუქმედება:** არ გააჩნია.

**ციტრონი, “ბუდას ხელი” – *Citrus medica*  
var. *sarcodactylis* Swingle  
ოჯ. ტეგანისებრი – Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბუჩქოვანი მცენარეა ეკლიანი ტოტებით. ფოთლები მსხვილია, ხეშეში. ფორმით და ფერით არ განირჩევა ლიმონისაგან, თუმცა არსებობს ნაირსახეობა ეწ. “ბუდას თითები”, რომელიც მოჰყავთ იაპონიასა და ჩინეთში და ნამდვილად თითებს მოგვაგონებს; ნაყოფის ქვედა ნაწილი იყოფა რამდენიმე სიგრძივ ნაკვთულებად, 30 სმ-მდე დაბამეტრისა და 40 სმ-მდე სიგრძისაა, უთესლო. უმთავრესად მოყვითალო-ლიმონისფერია, არსებობს მოყვითალო-მწვანე და ნარინჯისფერი ჯიშებიც; ქერქი მკვრივია, სქელი, რბილობს არ სცილდება.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** უძველესი ციტრუსოვანი კულტურაა. სამშობლო ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებია. ამრავლებდნენ ჯერ კიდევ ძველ ინდოეთსა და დასავლეთ აზიაში. კულტივირებულია აზის ზოგიერთ ქვეყანაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ციტრონის ნაყოფები მომჟავი-ტკბილი გემოსია თავისებური სიმწარით. იშვიათად იხმარება ნედლი სახით, უმთავრესად გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში. ქერქი შეიცავს ეთერზეთებს, რომელიც მკვეთრი არომატით გამოიჩინება, რის გამოც მას უმატებენ საკონდიტრო ნაწარში, სასხვავოების, ამზადებენ ცუკატს. ციტრონის ეთერზეთები და ექსტრაქტები იხმარება კოსმეტიკურ

მრეწველობაში, მას უმატებენ შამპუნებს, ტუალეტის წყლებს და სხვა საშუალებებს. ციტრონის ესენცია ბრწყინვალედ ასუფთავებს შენობებში ჰაერს.

შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, განსაკუთრებით A, C, B – ჯგუფისას, უჯრედისს, მინერალურ მარილებს, მიკროელემენტებს. ნაყოფი ხასიათდება ანტისეპტიკური და ვირუსების საწინააღმდეგო მოქმედებით; გამოიყენება ლარინგიტის, ბრონქიტის სამკურნალოდ; ამზადებენ ანგინისა და ბრონქიალური ასთმის სამკურნალო საშუალებებს. ნაყოფის წვენი რეკომენდებულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და მადის გასაუმჯობესებლად ქათმის ბულიონში დამატებული სახით. არის აგრეთვე მატონიზირებელი მოქმედების, ფიქრობენ, რომ კურნავს ალკოჰოლიზმს.

**უპუშტედება:** უკუმაჩვენებელია წყლულოვანი დაავადებების, გასტრიტის, პანკრეატიტისა და ვირუსული ჰემპატიტის დროს.

### ძაღლფურძენა - *Solanum laciniatum* Ait. ოჯ. ძაღლფურძენასებრნი - Fam. Solanaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2,5 მ-მდე, ერთწლოვანი კულტურის პირობებში – 1 მ-მდე სიმაღლისაა. ღერო მარტოულია, ზედა ნაწილში დატოტვილი; ტოტების მუხლებში ისფერი პიგმენტაციის. ქვედა ფოთლები ყუნწიანია,

35 სმ-ძღე სიგრძის, კენტფრთართული; ზედა ფოთლები წვრილია, მთლიანი, ლანცეტია; ფოთლები შიშველია, ზედა მხრიდან უფრო მუქი მწვანეა. ყვავილები ისფერ-ლურჯია, მსხვილი, შეკრებილია ხშირ, მოკლე, 3-17 ყვავილიან მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი – ნარინჯისფერი კენკრაა, მოკრძო-ოვალური ფორმის, 2-2,5 სმ სიგრძის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სუბტროპიკული კლიმატის მცენარეა, გავრცელებულია ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ევროპასა და კავკასიაში კულტივირებულია დეკორატიული მიზნებისათვის.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამეურნალო ნედლეულია ფოთლები, ლეროები, ყვავილები, ნაყოფები. სინთეზის გზით მიღებული პორმონალური პრეპარატები გამოიყენება სხვადასხვა სახის დაავადებისას: პოლიართონტის, რევმატიზმის, ზოგიერთი ფორმის ლეიკოზის, ბრონქიალური ასთმის, ანთებითი პროცესების და კანის ზოგიერთი დაავადებისას, როგორიცაა ეგზემა და სხვ.

ძაღლყურძენას პრეპარატები მნიშვნელოვანია შემდეგი დაავადებებისას: ანგინა, ყივანახველა, გრიპი, ბრონქიალური ასთმა, ფილტვების ტუბერკულოზი, ოტიტი, ექსუდატიური დიათეზი, კანის სოკოვანი დაზიანებები, ფსორიაზი, დერმატიტი, სიყვითლე, ასციტი, ცისტიტი, თირკმელების დაავადებები, პელმინტოზი, ნერვული დაავადებები, ეპილეპსია, სახსრები, რევმატიზმი, გინგივიტი, სტომატიტი, ჭრილობები, წყლულები, დამწერობები. გამოიყენება სისხლის ავთვისებიანი დაავადებების, ლეიკოზის დროს; კარგ შედეგებს იძლევა პანკრეატიტის, თავის ტკივილების, ყურის ძირში სიმსივნის შემთხვევაში. წვეთები შველის ყურის ტკივილებს, გამონაწური კი დამაშვდებელი საშუალებაა.

**უკუქმედება:** ვინაიდან მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, შესაბამისი დოზების ზუსტი დაცვა აუცილებელია. უკუმაჩვენებელია გულსისხლძარღვთა მძიმე დაავადებები, ფეხმძიმობა და დიარეა.

**ძაფოვანი ოუკა – *Yucca filamentosa* L.**

**ოჯ. აგავასებრნი – Fam. Agavaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, მარადმწვანე მცენარეა სუსტად დატოტვილი ღეროთი. ყვავილები 200 სმ-მდე სიგრძის ფართოდ გადაშლილი საგველაა, რომელიც ვითარდება ფოთლისეული როზეტის ცენტრიდან. ყვავილები ზარისებრია, თეთრი, 7 სმ-მდე სიგრძის. ნაყოფი მსხვილი ხორცოვანი კოლოფია, მრგვალი, შავი, 1 სმ-მდე დიამეტრის თესლებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ რაიონებია. კულტივირებულია მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე ხასიათდება ალერგიისა და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. მისი ნახარში გამოიყენება როგორც გარეგანი დანიშნულებით დერმატოლოგიაში, სხვადასხვა დერმატოზების, მაგ.: ეგზემის, ნეიროდერმიტის, წითელი ბრტყელი სირსეელის საწინააღმდეგოდ; წვენით ამუშავებენ ვირუსული ბუშტოვანი დერმატიტით გამოწვეულ გამონაყრებს, ფსორიაზსა და სხვ. ასევე შინაგანი დაავადებებისას - კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული ანთებითი პროცესების, რევმატიზმის, ართრიტების დროს. ოუკას ფუძეზე მიღებული პრეპარატები ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის

ტონუსის ამაღლებას, ხელს უწყობს საკვების უკეთ გადამუშავების პროცესებს, აჩქარებს შლაკების გამოყოფას, ამცირებს ქოლესტერინის დონეს, დადებითად მოქმედებს სასუნთქი ორგანოების სისტემაზე, მთლიანად ორგანიზმის გაახალგაზრდავებაზე.

იუკა, რომელსაც აგრეთვე “სიცოცხლის ხეს” უწოდებენ არის შესანიშნავი მაღეტოქსიფიცირებელი, გამწმენდი და იმუნოსტიმულიატორი. მისი ძირითადი თვისებები განპირობებულია ერთ-ერთი ინგრედიენტით – საპონინებით, რომელიც ხასიათდება ნატურალური სტეროიდების თვისებებით, ამასთან არ იძლევა გვერდით ეფექტებს, არ არღვევს საკვებმომწერლებელი სისტემის მდგრადობას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის პროცესების დაჩქარებას და მათ უკეთ შეთვისებას.

იუკას გამოყენების მაჩვენებლებია ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთება, რევმატიული დაავადებები, ართრიტები, ართროზები.

მიღებულია პრეპარატი “Pure Yucca” (იუკას გამონაწველი) დამამზადებელი: 4Life Products ins., USA. რაოდენობა 100 კაპსულა.

**უკუქმედება:** 10 წლამდე ბავშვებისათვის იუკას პრეპარატების მიღება მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგაა დასაშვები. არ არის რეკომენდებული თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტში ქვების შემთხვევაში.

## **ბირფვითელა - *Hydrastis canadensis* L.**

**ოჯ. ბაიასებრნი - Fam. Ranunculaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ხორცოვანი სტრუქტურის სქელი, მურა ყვითელი შეფერილობის ფესურით, რომელზეც აღინიშნება გამხმარი ყლორტების ნაჭდევები. ღერო მარტივია, სწორმდგომი და მომრგვალო ფორმის, ზედა ნაწილში შებუსული, ძირში 2-3 დიდი და 3-4 მცირე ფოთლებით, რომლებიც ღერომხვევია, თათისებრგანკვეთილი ფორმის, ფოთლის ფირფიტების ფუძე გულისებრია, კიდეები და კბილულია; ყვავილი ღეროს ზედა ნაწილშია განლაგებული, მომწვანო-თეთრი ფერისაა. ნაყოფი ხორცოვანი, წითელი ფერის კენკრაა, შეიცავს კვერცხისებრი ფორმის პრიალა, შავ თესლებს.

**ისტორია და ძულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, აშშ-ში და კანადაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეული ფესურაა, შეიცავს ეთერზეთებს, უჯრედისს, ფისებს, მიკრო და მაკროელემენტებს - რკინას, კალციუმს, კრემნიუმს, კალიუმს, მაგნიუმს, ალიუმინს, ფოსფორს, თუთიას, კობალტს; ვიტამინებს (A, B, C, E), ცხიმებს, ინოზიტოლს, ფიტოსტერინს, სახამბელს, ნახშირწყლებს, ალკალიოდებს (ბერბერინს, ჰიდრასტინს, კანადინს), მწარე ნივთიერებებს, ეთერზეთებს.

ძლიერი მცენარეული ანტიბიოტიკია, ანტიბაქტერიული და ანტისეპტიკური მოქმედების; არღვევს კუჭ-ნაწილავის ტრაქტის საფუარის სოკოებსა და ბაქტერიებს, ასუფთავებს მიკროფლორას.

მისი ძლიერი მაღეტოკსიფიცირებელი მოქმედება ვრცელდება სისხლის მიმოქცევის მთელ სისტემაზე. ამშვიდებს და არგულირებს ღვიძლისა და ელენთის ფუნქციას, აგრეთვე ნახშირწყლებისა და ცხიმების მეტაბოლიზმს, აშორებს ტოქსინებს და ზედმეტ ქსოვილს. ასუფთავებს ორგანიზმს ლორწოსგან, კარგია ყველა სხვა კატარალური მოვლენების დროს.

გამოიყენება დეპრესიის, ცუდი განწყობილების, სწრაფი დაღლილობის, გაღიზიანების, სისუსტის, აპათიის, ყრუ და მწვავე ტკივილების, ცხვირიდან სქელი ლორწოს გამოსაყოფად, ყურებიდან ჩირქოვანი და ლორწოვანი გამონადენების, ქრონიკული სინუსიტის, მახსოვრობის შესუსტების, მშრალი ხველების, ფალარათის, სისხლდენების, სიყვითლის, უმაღლების, გულისრევის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების, ღვიძლის მწვავე ტკივილების, ინტოქსიკაციების, ჰეპატიტის, დაბეტის, სიმსუქნის, წყლულების, ვაგინალური თეთრი შლის, ბრონქიტის, უხვი ოფლიანობის, საშვილოსნოს ეროზიის, დისბაქტერიოზის, დიარეის, ფსორიაზის, მწვავე ფარინგიტის, პნევმონიის, კანდიდოზის, იმუნოდეფიციტის, ალერგიებისა და ფურუნჯულოზის სამკურნალოდ.

**შპუქმედება:** ნევრასტენია, ორგანიზმის გამოფიტვა, თავბრუსხვევა, ქრონიკული გადაღლილობა.

**მმრის ხე – *Rhus typhina* L.**  
**ოჯ. თუთუბოსებრნი - Fam. Anacardiaceae**



**მორფოლოგია:** მეორადი სიმაღლის ფოთოლმცვენი 3-10 მ-მდე სიმაღლის ხეა, წარმოქმნის დიდი რაოდენობის ამონაყრებს; სქელი ასალგაზრდა ყლორტები დაფარულია მოყავისფრო-ნაცრისფერი ხავერდოვანი ქერქით. ფოთლები მწვანეა, ეფექტური, მსხვილი 50-60 სმ სიგრძის, კენტფრთართული, შემოდგომით მოწითალონარინჯისფერი შეფერილობის. მცრავი ორსახლიანია, რის გამოც მამრობითი და მდედრობითი ყვავილები სხვადასხვა ხეზე ვითარდება, ყვავილები წვრილია, მოთეთრო-კრემისფერი, ყლორტების ბოლოებზე შეკრებილია ხშირ, პირამიდულ საგველასებრ 15-20 სმ-მდე სიგრძის ყვავილედებად, მოგვიანებით მდედრობით ეგზემპლარებზე წარმოიქმნება წითელი, შებუსული ნაყოფები, რომლებიც ხეზე დიდხანს რჩება.  
ისტორია და კულტურის გაგრცელება: ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ რეგიონებში.  
**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფებისაგან ამზადებენ მჟავე სასმელს, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები თავისებურ “ენერგეტიკად” იყენებდნენ.

**წყავი – *Laurocerasus officinalis* L.**  
**ოჯ. ვარდისებრნი - Fam. Rosaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 4-6 (8) მ სიმაღლის ბუჩქია ან ხე; ხის ქერქი მურა-ნაცრისფერია, ხორკლიანი. ფოთოლი მორიგეობითია, მოგრძო-ელიფსური, მსხვილი, ტყავისებრი. ყვავილები თეთრია, სურნელოვანი, წვრილი, 8 მმ დიამეტრის, შეკრებილია ხშირ 5-13 სმ სიგრძის მტკვნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი კვერცხისებრი შავი კურკაა, 8 მმ სიგრძის, წვრიანი რბილობით. კურკა (თესლი) კვერცხისებრია, გლუვი. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთში, მცირე აზიაში, ირანში, სამხრეთ კავკასიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეული ფოთლებია. შეიცავს 5-10% მთრიმლავ ნიგოიერებებს, გლიკოზოდებს, ეთერზეთებს, ფიტის. ფოთლებისგან წყალთან გამოხდის გზით ღებულობენ ე.წ. წყავის წყალს, რომელსაც იყენებენ როგორც ტკივილგამაფუჩქელ და დამამჭვიდებელ საშუალებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას. მომქმედ ნებისმიერებას წარმოადგენს გლიკოზიდი ამიგდალინი, ნაწლავებში მისი დაშლის შედეგად გამოიყოფა სინილური მჟავები, რომლებიც ანესტეზიური მოქმედებით ხასიათდება. ზოგჯერ წყავის წყალს უნიშნავენ გულისა და ფილტვების დაავადებებისას, ზველების დროს.

ფოთლებსა და წყავის წყალს ხმარობენ წამლების არომატიზაციისათვის.

**უძუქმედება:** სახლის პირობებში არ არის რეკომენდებული პრეპარატების დამზადება და შესაბამისად გამოყენება.

**ჭიანჭველას ხე – *Tabebuia impetiginosa* (Mart. ex DC) Standl. ოჯ. ბიგნონიასებრნი - Fam. Bignoniaceae**



**მორფოლოგია:** 30 მ-მდე სიმაღლისა და 80 სმ-მდე დიამეტრის ფოთლმცვენი ხე; ამ სიმაღლის მესამედს ჩვეულებრივ ხის ტანი წარმოადგენს, ხოლო ორმესამედს – ვარჯი გრძელი ტოტებით. ვარჯი დიდია, სფეროსებრი; ქერქი მოყავისფრო-ნაცრისფერია და ძნელად სცილდება, მერქანი ყვითელი ფერისაა, როგორც გარეშე, მეტად მაგარი და მძიმე ( $935 \text{ კგ/მ}^3$ ). ფოთლები კენტურთართულია, 5-8 სმ-მდე სიგრძის, ელიფსური ფორმის, სუსტად დაკბილული კიდეებით. ყვავილობს ივლისიდან სექტემბრამდე ახალი ფოთლების წარმოქმნამდე. ყვავილი დიდია, მილისებრი, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან ლილისფერი, იშვიათად თეთრი, 5 სმ-მდე სიგრძის. ნაყოფი ვიწრო ხსნადი კოლოფია, რომელიც რადგნიმე ფრთიან თესლს შეიცავს. დამამტვერიანებლებია ყველაზე პატარა ჩიტები – კოლიბრები, რომლებიც ყვავილების ნექტრით იკვებება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** წარმოშობის ადგილად მიჩნეულია ტრინიდადის კუნძულები და ტობაგო. ბუნებრივად

გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ჩრდილოეთ მექსიკიდან დაწყებული ჩრდილოეთ არგენტინამდე, განსაკურებით ფართოდაა წარმოდგენილი კოლუმბიაში, ვენესუელაში, ბრაზილიაში, არგენტინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში და ბოლივიის სამხრეთ-აღმოსავლეთში – ტროპიკულ ჯუნგლებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ქერქის შიდა ნაწილი გამოიყენება სამედიცინო მიზნებისათვის. მას აშრობენ და აქცემაცებენ, მისი მოხარშვით დებულობენ მწარე ყავისფერ ჩაის, რომელიც ცნობილია “ლაპაჩოს” ან “ტახიბოს” სახელით; მას იყენებენ გრიპისა და წლის ცივ სეზონზე, აგრეთვე მწეველებისთვის ხევლების დასაშვიდებლად.

სამხრეთ ამერიკის მევიდრი მოსახლეობის ხალხურ მედიცინაში ლაპაჩო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბოლო ათეულ წლებში მიიღება როგორც საერთო მატონიზირებელი საშუალება და ადაპტოგენი. 1980-იან წლებში მიმდინარეობდა მისი რეკლამირება, როგორც საოცარი თვისებების მქონე მცენარის, რომელსაც შესწევს უნარი კიბოთი და შიდსით დაავადებულებების განკურნების. თუმცა მთავარი მომქმედი კომპონენტი – ლაპაჩოლი უარყოფილ იქნა მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, ვინაიდან თერაპიული ეფექტის მისაღწევად საჭირო რაოდენობის მიღებას შეეძლო ადამიანის სიკვდილის გამოწვევა. მიუხედავად ამისა, ლაპაჩოლის ძლიერი ანტიბიოტიკური და მაღაზინფირებელი თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი წარმატებით გამოყენება რიგ შემთხვევებში. შენიშნულია, რომ ინდიელი ექიმებაშები ლაპაჩოსა და გვარი *Tabebuia* – ს სხვა სახეობების ჩაის ღაბულობენ როგორც წესი მოკლე დროით, არა ორგანიზმის გასაძლიერებლად, არამედ მწვავე უქეიფობის მოსახსნელად.

ხალხურ მედიცინაში იყენებენ გაციების, გრიპის, სოკოვანი ინფექციების, ჰერპესის, შარდ-სასქესო სისტემის ინფექციური დაავადებების, ბრონქიტის, ფილტვების, კანის, წყლულების, ჭრილობების, სისხლის დაავადებების (მონონუკლეოზი, რკინისდეფიციტური ანემისა და სხვ.) სამკურნალოდ.

ჭიანჭველას ხე გამოირჩევა მდიდარი ქიმიური შემადგენლობით,

ადამიანის ორგანზმის ცხოველმოქმედებისათვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტებით, როგორიცაა: ვიტამინები (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>), ნიაცინი, მიკრო და მაკროელემენტები – თუთია, კობალტი, ქრომი, ფოსფორი, მაგნიუმი, მანგანუმი, კალიუმი, ნატრიუმი, სელენი, ანტრაქინონი, ცილები, ცხიმები, მცენარეული უჯრედისი, ქინონების ჯგუფი, განსაკუთრებით ლაპახოლი და ლაპახნოლი.

ამჟამად მთელ მსოფლიოში თანამედროვე სამკურნალო-მცენარეულ თერაპიაში ერთ-ერთ უმთავრეს მცენარედ მიიჩნევენ. მისი ანტივირუსული და მასტიმულირებელი მოქმედება იმუნურ სისტემაზე დამტკიცებულია მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოკვლევებით. წარმატებით გამოიყენება აგრეთვე სიმსივნეების, სოკოების, კანდიდოზის სამკურნალოდ; აშშ-ში მას იყენებენ შაქრიანი დიაბეტის, ჰიპოგლიკემიის, ლეიკემიის, კანის ტუბერკულოზის, ართრიტის, ჰერპესის, სხვადასხვაგარი წყლულების, ღვიძლისა და ალერგიული დაავადებების საწინააღმდეგოდ.

ამგვარად, ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ლაპახოლი ეფექტურა ვირუსული ინფექციების, პარაზიტების და კიბოს ყველა სახის მიმართ, გამოირჩევა იმუნომასტიმულირებელი, ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, ანტიპარაზიტული, ანტიოქსიდანტური, ტკოვილგამაფუჩებელი, ანტიმუტაგენური, ლეიკოზის, ანთებისა და რეგმატიზმის საწინააღმდეგო და სასაქმებელი მოქმედებით.

**უკუქმედება:** ტოქსიკურობიდან გმირდინარე, პრეპარატების მიღებისას აუცილებელია დოზის ზუსტი დაცვა.

**ჭიათურა – *Phytolacca americana* L.**  
**ოჯ. ჭიათურასებრნი - Fam. Phytolaccaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 3 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სქელია, წვინიანი, მწვანე ან მოწითალო-მწვანე, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვი მთავარდერძაა, თითისტარისებრი, სქელი. ფოთლები მორიგეობითია, მარტივი, კიდემთლიანი, კარგად განვითარებული შუა ძარღვით, ელიფსური, მახვილი წვერით, 10-20 სმ სიგრძისა და 3-6 სმ სიგანის, პირველად ბაცი მწვანე, მოგვანებით მოწითალო შეფერილობის. ყვავილები ორსქესიანია, წვრილი, მარტივი ყვავილსაფრით, შეკრებილია მკვრივ სწორმდგომ 15-25 სმ სიგრძისა და 5 სმ დიამეტრის მტევნად, ფორმით ტაროს მოგვაგონებს. ნაყოფი წვინიანი კენგრაა, მომრგვალო, პრიალა, დასაწყისში მუქი წითელი, სრული სიმწიფისას – თითქმის შავი. თესლი თირკმლისებრია, შავი, პრიალა, წვრილი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდ. ამერიკის აღმოსავლეთ რაიონები და ბერმუდის კუნძულებია. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ევროპაში მრავალი ახალი სასარგებლო მცენარე იქნა შემოტანილი, მათ შორის ჭიათურაც, სადაც სწრაფად მოხდა მისი ადაპტირება. მოჰყავთ ევროპისა და აზიის მეღვინეობის რაიონებში, ღვინის ფერის მისაცემად.

ფართოდ მოიკიდა ფეხი საქართველოშიც, კერძოდ მის დასავლეთ რეგიონებში, სადაც აქტარ სარეველად გვევლინება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ჭიათურა თანამედროვეობის გაორებული მცენარეა. ერთის მხრივ მიიჩნევენ გამაჯანსაღებელ და სამკურნალოდ, მეორეს მხრივ მიუთითებენ მისი ყველა ნაწილის მაღალ შხამიანობაზე, რომელსაც ადამიანის სიკვდილიც ძალუშს. ყველანი ერთად კი ჭიათურას მაღალ დეპორატიულობაზე თანხმდებან.

მცენარეში აღმოჩენილია საპონინები, ტანინები, ალკალოიდები, მწარე ნივთიერებები, შაქრები; ფოთოლებში დამატებით აღირიცხა ასკორბინის მჟავა (240-285 მგ); ნაყოფი და ოესლები მდიდარია B - ჯგუფისა და PP - ვიტამინებით.

ჭიათურას პრეპარატები შინაგანად უმთავრესად მიიღება როგორც პირდებინების საშუალება; გარეგანად - კანის დაავადებების (მშრალი ეგზემა, ფსორიაზი, მუნი, სოკოვანი დაავადებები) და ართორიტების სამკურნალოდ გამოიყენება.

ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ მცენარის ყველა ნაწილს იყენებენ, მაგ.: ნაყოფების ნახარში ხელს უწყობს ჰიპერტონიის საწყის სტადიებში არტერიული წნევის დაქვეითებას; მშრალი ან ნედლი ფესვების სპირტიან ნაყენს იყენებენ შინაგანად და გარეგანი სახით, არის კარგი იმუნოსტიმულიატორი, ანელებს სიმსივნის განვითარებას, ხელს უწყობს კუჭისა და ორმეტგოვა ნაწლავის, თირკმელების ანთებითი პროცესების და კონიუნქტივის განკურნებას; საფენების სახით იხმარება რაღიკულიტის, რევმატიზმის, დამწვრობის, მასტიტის, ართრიტის, სახსრების ტკივილების, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი დაზიანებებისა და ციებ-ცხელების დროს.

**უძუქმედება:** ნედლი მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, გამოყენებისას უაღრესი სიფრთხილეა საჭირო!

**ხაშხაში - *Papaver somniferum* L.**  
**ოჯ. ყაყაჩოსებრნი - Fam. Papaveraceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სწორმდგომი,  
ცალისებრი ნაფიფქით დაფარული ღეროთი. ფესვი  
მთავარღერძაა, ნიადაგში ღრმად ჩამავალი. ფესვთანური ფოთლები  
წაგრძელებულია, სპირალურად განწყობილი; ღეროსეული  
ფოთლები ფართო ლანცეტაა ან გვერცხისებრი ფორმის,  
ღერომხვევი. ყვავილი მსხვილია, სხვადასხვა შეფერილობის –  
თეთრიდან მუქ – იასამნისფერადე. ნაყოფი მრავალთესლიანი  
კოლოფია, სფერული ან წაგრძელებული, თესლების მომწიფებისას  
არ იხსნება, რითიც ყაყაჩოს სხვა სახეობებისგან განსხვავდება. ყვ.  
VI; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ხაშხაში ველურად  
არ გვხვდება, ფიქრობენ, რომ წარმოიქმნა ველური სახეობების  
ჰიბრიდიზაციის გზით. სამშობლოდ წინა აზიას მიიჩნევენ. მისი  
კულტურა საწყისს უძველესი დროიდან იღებს.  
მრავალსაუკუნოვანი კულტურის პროცესში ჩამოყალიბდა  
სამრეწველო ნიშნებით მკვეთრად გამორჩეული ორი ჯგუფი:  
ოპიუმიანი და ზეთოვანი. ოპიუმიანი ყაყაჩოს ჯიშები ხასიათდება  
მსხვილი კოლოფებითა და რძის წვერის მაღალი შემცველობით.

ხოლო ზეთოვანი ჯგუფის ყაყაჩოს ჯიშები მოპყავთ თესლების მისაღებად, იყენებენ კვებით მრეწველობაში.

საშსაშის ჯიშები ფართოდაა კულტივირებული ევრაზიის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ნაწილობრივ ჩრდილოეთ ამერიკაში. მსხვილი მასშტაბით მოპყავთ ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, პაკისტანში, ინდონეზიაში, ირანში, თურქეთში, ბულგარეთში, უკრაინაში, რუსეთში (ვორონეჟის ოლქში, დას. ციმბირში), ყაზახეთში, ბაშკირეთში, თათრეთის რესპუბლიკაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეული კოლოფებია, გროვდება თესლების მომწიფების პერიოდში, როდესაც - მოყვითალო მურა შეფერილობისაა. კოლოფები შეიცავს 8-25 მგ% ოპიუმს, რომელიც წარმოადგენს ორგანული და მინერალური შენაერთების - ალკალოიდების, ცილების, ნახშირწყლების, ლორწოს და სხვ. როგორ ნარევს. ოპიუმში ერთ-ერთი ძირითადი ალკალოიდის - მორფინის შემადგენლობა 0,2-2 მგ% -ია. აფთიაქებში დამზადებული წამლების უმრავლესობა შეიცავს ოპიუმს ან მის ძირითად ალკალოიდებს: მორფინს, კოდეინს, ნარკოტინს, პაპავერინს და სხვა - 25 -ზე მეტი დასახელების ალკალოიდს. ოპიუმი და სხვა ალკალოიდები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში როგორც ტკივილგამაფუჩქელი და დამაშვიდებელი საშუალებები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორფინი, რომელიც ძლიერი ტკივილგამაფუჩქელი მოქმედებით გამოირჩევა; სამედიცინო პრაქტიკაში მას ინექციის სახით იყენებენ ონკოლოგიური დაავადებების მეოთხე სტადიის, სტენოკარდიის, პნევმონიის დროს. კოდეინიც ძლიერი ტკივილგამაფუჩქელი და ნარკოტიკული საშუალებაა, ხშირად გამოიყენება ხელებისას, როგორც დამაშვიდებელი.

**სიფრთხილის ღონისძიებები:** მორფინის უარყოფითი თვისება, რის გამოც მისი გამოყენება შეზღუდულია, არის მისი ძლიერი მოქმედება თავის ტვინის ქერქზე, იწვევს ეიფორიას, წარმოიქმნება მუდმივი მოთხოვნილება პრეპარატისადმი, რაც ფსიქიკური აშლილობით მთავრდება. ამიტომ აღნიშნული პრეპარატების გამოყენება მკაცრად რეგლამენტირებულია

**ზებუერა - *Paulownia tomentosa* (Thub.) Steud.**  
**ოჯ. შავწამალასებრნი - Fam. Scrophulariaceae**



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 25-20 მ სიმაღლის ზეა, მსხვილი, გადაშლილი, მომრგვალო ან კვერცხისებრი ვარჯით. ფოთლები მსხვილია, ფართო, 20 სმ-მდე სიგრძის, გულისებრი ან კვერცხისებრი ფორმის, ზედა მხარეს რბილბეწვიანი, ქვედაზე – აბლაბულისებრი, გრძელყუნწიანი, გვიან იშლება და ასევე გვიან ცვივა. ყვავილები სურნელოვანია, მსხვილი, 6 სმ-მდე დიამეტრის, მოკისფრო-იისფერი, შეკრებილია 30 სმ-მდე სიგრძის წვეროსეულ, ხშირ საგველა ყვავილედებად; კოკრები ზაფხულის ბოლოს ისახება, ამ სახით იზამთრებს და იშლება მომავალი წლის გაზაფხულზე, ფოთლების გაშლისას. ნაყოფი – ფართოკვერცხისებრი კოლოფია მრავალრიცხოვანი ფრთიანი თესლით, ხეზე მთელი ზამთრის განმავლობაშია შენარჩუნებული. მცენარე ნაყოფმსხმიარობს 4-5 წლის ასაკიდან.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება შორეულ აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში: ჩინეთში, ტაივანზე, ლაოსში, ვიეტნამში. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფრიად დეკორატიული და ეფექტური მცენარეა, ფართოდ გამოიყენება ლანდშაფტურ მებაღეობაში ბაღ-პარკების დასამშვენებლად. მერქანი მსუბუქი და რბილია, ჩინეთში მისგან ამზადებენ მუსიკალურ

ინსტრუმენტებს, ავეჯს და სხვა ნაკეთობებს; ფოთლებს საფურაუე მასალად იყენებენ მეცხოველეობის ინდუსტრიაში. დადგენილია, რომ ფოთლები შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც სასარგებლოდ მოქმედებს ღვიძლზე, თირკმელებზე, ნაღვლის ბუშტისა და ფილტვების პრობლემებზე. ჩინეთში მისი სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი, ამჟამად კი ფარმაცევტული მრეწველობა ხებუერას ფოთლების საფუძველზე სხვადასხვა წამლებს უშვებს. ევროპაში ბოლო პერიოდში დაიწყეს ფოთლების ექსტრაქტების ჩართვა კრემებისა და სუნამოების შემადგენლობაში. იგივეა ყვავილების მიმართ, მათი არომატი განისაზღვრება როგორც “ვანილის, პუდრისა და ნუშის” შეზავებული სურნელის; ხებუერას ყვავილებისაგან მიღებული თაფლი მსუბუქია, გამჭვირვალე, ბაცი და არომატული, მას ადარებენ მხოლოდ აკაციის თაფლს. იყენებენ ბრონქიტის, ფილტვებისა და სასუნთქი სისტემის დავადგებების სამკურნალოდ, იწვევს ნაღვლის ბუშტის, ღვიძლისა და მთლიანად საკვებმოწელებელი სისტემის ფუნქციის გაუმჯობესებას.

**უძუქმედება:** არ არის დადგენილი.

**ზევარდი, ფასმინისებრი გარდენია - - *Gardenia florida* L.  
ოჯ. ენდროსებრნი - Fam. Rubiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, 2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, მაგარი, შიშველი ან სუსტად შებუსული ყლორტებით. ფოთლები წვრილია, რგოლურად განწყობილი, სამკუთხა თანაფოთლებით, სქელი

ტყავისებრი სტრუქტურის, პრიალა, ბაციდან მუქ მწვანემდე. ყვავილები მსხვილია, თეთრი ან მოყვითალო-კრემისფერი, მარტოულადაა განლაგებული ფოთლისეულ უბეებში, იშვიათად ტოტების ბოლოებზე, გამოიჩინება დახვეწილი ძლიერი არომატით, ნაყოფი მჯდომარე, მსხლისებრი ან ცილინდრული, მრავალთესლიანი კოლოფია.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება აზის, აფრიკის, იაპონიისა და ჩინეთის ტროპიკულ რაიონებში.

გარდენა გამოიყენება როგორც ქოთნის კულტურა, ფართოდაა გავრცელებული ბუთხუზა ყვავილებიანი, საოცარი სილამაზის ჯიშები, რომლებიც დეკორატიულობითა და სურნელებით გარდის ყვავილების ტოლფასია.

**სამურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სურნელოვანი ყვავილის გვირგვინის ფურცლებს უმატებენ მაღალი ხარისხის ჩაის და მურაბებს. გარდენის ფესვები და ნაყოფები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაშია გამოყენებული. მცენარის ყველა ნაწილში აღმოჩენილია კაროტინოიდური გლიკოზიდი კროცინი, რომელიც ნაღველმდენი თვისებებისაა. ტრადიციულად ნაყოფების ექსტრაქტს არტერიული წნევის დასაქვეთიბლად ხმარობდნენ. ნაყოფებისა და ფესვების ნახარშს იყენებდნენ ანთების საწინააღმდეგოდ, სიცხისდამწევად, სისხლისშემაჩრებელ საშუალებად, აგრეთვე სიყვითლის, კანის დაავადებების, მასტიტის, სტომატიტის, დიზინტერის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, ეპიდემიური გრიპის, ციებ-ცხელების, ფილტვების დაავადებების, ცხვირიდან სისხლდენის დროს.

გარეგანად დაქუცმაცებული ნაყოფები საფენების სახით იხმარებოდა ჭრილობების, ტრაგმების, დამწერობის, სიმსიგნების სამკურნალოდ.

ჩინურ ხალხურ მედიცინაში იყენებენ თავის ტკივილების, სასუნთქი გზების დაავადებების, ნაღვლის სადინარებისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთების, თირკმელების დაავადებებისას, როგორც შარდმდენი და სიმპტომატური საშუალება უძილობისა და გადაღლილობის დროს.

**შპუქმედება:** არ არის დაღენილი.

## ხევერცხლა – *Leucadendron argenteum* (L.) R.Br.

ოჯ. პროტეასებრნი - Fam. Proteaceae



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი ორსახლიანი 5-7 მ (ზოგჯერ 16 მ-დე) სიმაღლის მცენარეა, ნაცრისფერი ქერქით, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები მოვერცხლისფრო-ნაცრისფერია, აბრეშუმისებრი, უხვად შებუსული წვრილი ბეწვებით, მორიგეობით, შემჭიდროვებულ რგოლებად განლაგებული; ფოთლის ფირფიტა მარტივია, კიდევმთლიანი, ტყავისებრი, ლანცეტისებრი, მახვილი წვერით. ყვავილი ორსქესიანია, აქტინომორფული, თითო-თითოდ განლაგებული კენწრული ფოთლების უბებში, შეკრებილია თავაკისებრ ყვავილედებად; ყვავილსაფარი მარტივია, შედგება 4 მეტნაკლებად შეზრდილი ფოთოლაკისაგან. ნაყოფი თვითხსნადი კოლოფია, საკმაოდ სქელი ნაყოფსაფრით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** იშვიათ სახეობათა რიცხვს მიეკუთვნება, სამხრეთ აფრიკის ენდემური სახეობაა, იქვეა კულტივირებული.


**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ქიმიურად სუსტადაა შესწავლილი, შეიცავს მთრიმლავი ნივთიერებების დიდ რაოდენობას, გამოიყენება ტყავის წარმოებაში. ფოთლებისაგან სხვადასხვა სახის სათამაშოებს, სამკაულებსა და სხვა გასართობ ნივთებს ამზადებენ.

ვერცხლის ზეს ადგილობრივი მოსახლეობა მაგიურ თვისებებს მიაწერს. მისი აურა იმდენად ძლიერია, რომ ძალუშს ირგვლივ არსებული ყოველგვარი სიბინძურის – “flux” ჩაყლაპვა და ჰაერის გასუფთავება, მაგრამ სამწუხაროდ თვოთონაც აკადედება, ხის ტანზე თანდათანობით წარმოიქმნება ისტერი წრეები, რომლებიც ერთიანდება და მცენარის განადგურებას იწვევს (ვერ უძლებს დედამიწაზე დაგროვილ ბოროტებას!).

**ზეკაქტუსი, ცერესუსი ან “უდაბნოს გოლიათი”**

***Cereus giganteus Engl.***

**ოჯ. კაქტუსისებრნი - Fam. Cactaceae**



**მორფოლოგია:** გამოირჩევა გრძელი, ხორცოვანი სვეტისებრი ფორმის წიბოიანი ღეროთი, აღწევს 20 მ-მდე სიმაღლეს, ვეგეტაციის ხანგრძლივობა 300 წელია. ღერო-სვეტის სისქე 65 სმ დიამეტრისაა, კაკქტუსის ტანი შედგება 12 - 24 ბლაგვი წახნაგისაგან; ეკლების სიგრძე 7 სმ აღწევს. ფოთლები ჩვეულებრივ არ გააჩნიათ, აღინიშნება მხოლოდ აღმონაცენებზე წვრილი ქერქლების სახით. ფოთლების რედუქციის გამო, ფოტოსინთეზს აწარმოებს მხოლოდ ღერო, რომელიც ან მთლიანად მწვანეა ან მხოლოდ ზედა ნორჩი ნაწილია მწვანე.

ყვავილობს მაისიდან ივნისამდე, ყვავილი მარტოულია, მსხვილი, თეთრი, მეწამულ-წითელი, იშვიათად ნარინჯისფერი, ყვითელი ან მწვანე, წარმოიქმნება მცენარის ძველ ბალიშებზე და ბორცვაკებზე, მიღისებრია, სწორი ფორმის ან ოდნავ ზიგომორფული, იშლება მხოლოდ ღამით. ნაყოფი ხორცოვანი კაშკაშა ფერის კენკრაა, გლუვი ან ბორცვაკებიანი.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** იზრდება არიზონში, სამხრეთ-აღმოსავლეთ კალიფორნიაში და მექსიკაში - სონორანის უდაბნოში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხეკაქტუსის ნაყოფი ფასდება როგორც სასურსათო პროდუქტის ძირითადი ელემენტი; გემონებით ნესვის, ფორთოხლისა და მარწყვის მსგავსია, საკებად გამოიყენება ნედლი სახით, ამზადებენ მურაბებს, კომპოტებს, მარმელადს, გარნირის სახით უმატებენ ხორციან კერძებს. საჭმელად ეკლებისაგან გასუფთავებული ღეროებიც გამოიყენება. მცენარის წვენი შეიცავს განსაკუთრებულ ფერმენტებს, რის გამოც მზადდება უნიკალური ალკოჰოლური სასმელი, რომელიც ყველა ნაციონალური დღესასწაულის დამამშვენებელია.

კაქტუსების სხვა სახეობების მსგავსად, ცერეუსიც შეიცავს ალკალიდებსა და ანტიბაქტერიულ ნივთიერებებს, რომლებსაც ძალუბო მიკრობების განადგურება. მეცნიერულ მედიცინაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს მათი სამკურნალო თვისებების გამოვლინება და შესწავლა, თუმცა სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის მოსახლეობა ხალხურ მედიცინაში ასეული წლების მანძილზე სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ იყენებს; კერძოდ: გულ-სისხლძარღვთა და კანის დაავადებების, ნევრალგიისა და სისხლდენების შესაჩერებლად. ნედლი წვენი აძლიერებს ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას, ხსნის დაღლილობას, იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას.

**უძუქმედება:** დაუდგენელია.

**ხეკოლა, ქოლა –**  
**Cola vera K. Schum. [=Cola nitida (Vent.) A.Chev.]**  
**ოჯ. სტერცულიასებრნი – Fam. Sterculiaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული, მარადმწვანე 10-20 მ სიმაღლის ფრიად დეკორატიული ხეა. ფოთლები მსხვილია, ყუნწიანი, კიდემთლიანი, ფართოლანცეტა. ყვავილები მცირე ზომისაა, მოყვითალო, წითლად დამარლული, მოკლე საგველა ყვავილებად შექრებილი. ნასკვი ხუთბუდიანია; ნაყოფი მსხვილია, ვარსკვლავისებრი, ხუთსხივიანი ნაკრები ფოთლურა. თითოეულ ბუდეში 2-6 თესლია, თესლის გული კაშკაშა წითელი ან თეთრი ფერისაა, შედგება ორი მსხვილი ლებნის, ყუნწისა და კვირტისაგან, უენდოსპერმოა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება დას. აფრიკის ნოტიო ტროპიკულ ტყეებში. კულტივირებულია მსგავსი კლიმატის მრავალ ქვეყანაში.

**სამეცნიერო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს თესლები წარმოადგენს, შეიცავს 1,2 - 2,4% კოფეინს, 3-ჯერ უფრო მეტს, ვიღრე ყავის მარცვლები, თეობრომინს (1.0 - 2,5%) თეოფილინს, ფენოლურ შენაერთებს (წითელ ჰიგმენტს ფლაბაფენს, ეპიკატრინინს, კატენინს), მთრიმლავ ნივთიერებებს, გლიკოზიდებს, მცენარეულ ხეთებს, ანთოციანებს, ცელულოზას, პროტეინს და სხვ. ნედლ თესლებში კოფეინი იმყოფება შეკრულ მდგომარეობაში გლიკოზიდ კოლანინის სახით, რომელიც იხლიჩება გლიკოზიდად, კოფეინად და მთრიმლავ ნივთიერებად.

კოლას კაკალი უნიკალური ენერგეტიკული სტიმულატორია, რაც

გამოწვეულია მასში კოფეინის მაღალი შემცველობით. ის არა მარტო ამხნევებს და ხსნის დაღლილობას, არამედ აყუჩებს შიმშილის გრძნობასაც. ჯერ კიდევ XVI ს-ში აფრიკაში მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ აფრიკელი აბორიგენები ამ კაკალს გამუდმებით ღეჭავენ, რათა არ იგრძნონ დაღლილობა მძიმე შრომის შესრულებისას. მოგვიანებით დამტკიცდა, რომ მისი გამოყენებისას უმჯობესდება ტვინის მოქმედება და მახსოვრობის პროცესი, მაღლდება ყურადღების კონცენტრაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური შრომით დაკავებულთათვის, აგრეთვე მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. რამდენიმე კაკლის მიღება ხელს უწყობს ავადმყოფური მძინარობისა და დაღლილობის მოხსნას, აზრების ნათლად გამოხატვას. გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემისა და გულის მოქმედების მატონიზირებელ საშუალებად. იხმარება ექსტრაქტის, ნაყენისა და კოლას კაკლების შოკოლადის სახით.

ცხელი ქვეყნების ხალხური მედიცინა კოლას კაკლებს უძველესი დროიდან იყენებს როგორც აფროდიზიაქს და ანტიდეპრესანტს, აგრეთვე კუჭის აშლილობის, გულის რევის, მიგრენისა და სიმთვრალის დროს. თუმცა სტანდარტული დასავლური მედიცინა ჯერ კიდევ ეჭვითაა განწყობილი კოლას ზოგიერთი სასარგებლო თვისებების მიმართ. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია ამ პროდუქტის დადებითი მოქმედება წნევის დაწევაზე, რევმატიზმის, ჰეპატიტის, გულის მდგრადი უკმარისობის (რაც ხნიერი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი), ვენერული დააგადებების, გამომყოფი სისტემის ინფექციებისას.

**უკუქმედება:** ხეკოლას შემაღვენლობაში აღინიშნება კანცეროგენული ნივთიერება N – ნიტროზო. აქედან გამომდინარე ნიგერიაში, სადაც კოლას ნაყოფების ღეჭვა რიტუალების ნაწილს წარმოადგენს, დაფიქსირებლია ანომალურად დიდი რიცხვი პირის ღრუსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კიბოთი დაავადებების. კოლას კაკლის გამოყენება არ არის მართებული უძილობისა და მოუსვენრობის დროს; უკუმაჩვენებელია გულით დაავადებების, ანტიდეპრესანტების მიმღებ პაციენტებისა და ფეხმბიმე ქალებისათვის.

**ზემაგარა, სტერკულია – *Sterculia platanifolia* L. (*Firmiana simplex* (L.) W. Wight.)  
ოჯ. სტერკულიასებრნი - Fam. Sterculiaceae**



**მორფოლოგია:** 10-15 მ (ზოგჯერ 30 მ-მდე) სიმაღლისა და 0,7-1 მ-მდე დიამეტრის სწორმდგომი ხეა, მომრგვალო ან ქოლგისებრი ლამაზი ვარჯით და გლუვი, მონაცრისფრო-მწვანე ქერქით. ფოთოლთგნლაგება მორიგეობითია, ფოთოლი 35 სმ-მდე სიგრძისაა, გრძელყუნწა, მარტივი, ღრმად 3-5 ნაკვთად გაყოფილი, ჭადრის ფოთლის მსგავსი. მცენარე ერთბინიანია, ყვავილები ერთსქესიანია, პატარა, მომწვანო-ყვითელი, ტოტების ბოლოებში 25 სმ-მდე სიგრძის საგალია ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი ტყავისებრი ზუთწევრიანი ფოთლურაა, 3-10 სმ სიგრძის. თესლი სასიამოვნო გემოსია, სფერული, დანაოჭებული, 1 სმ-მდე დიამეტრის, მონაცრისფრო-ყვითელი, ზეთოვანი, საკვებად გამოსადეგი. ყვ. VI-VII; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა (ჩინეთ-იანონია). საქართველოში პირველად სოხუმსა და მის შემოგარენში იქნა შეტანილი, საიდანაც გავრცელდა გაგრაში, ოჩამჩირეში, ზუგდიდში, ქობულეთში, ჭუთაისში, თბილისში, წინანდალში, როგორც მაღალდეკორატიული მცენარე. ძირითადად კი შავიზღვისპირა რაიონებში გვხვდება, სადაც ბალ-პარკებში საპატიო ადგილი უკავია.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამურნალოდ გამოიყენება უფენწო, გამშრალი ფოთლები (Folium Sterculiae).

გროვდება ყვავილობის დაწყებიდან ფოთლების გაყვითლებამდე, ხასიათდება სპეციფიური სუსტი სუნით.

ფოთლები შეიცავს ეთერზეთებს (0,1%), ფისებს (5%), მთრიმლავ ნიგორიერებებს, უმთავრესად პიროკატებინების ჯგუფიდან, ორგანულ მჟავებს (2,5%), გლიკოზიდებს, ალკალოიდებს კვალის სახით. თესლებში აღინიშნება კოფეინი, თეობრომინი, ორგანული მჟავები (6%), ცხიმოვანი ზეთები (26%-ძდე), ალკალოიდების კვალი.

ნაყნი გამოიყენება როგორც მასტიმულირებელი და მატონიზირებელი საშუალება ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობის, ასთერიური მდგომარობის, მმიმე დაავდებების გადატანის შემდეგ, ასევე პიპოტონიის დროს.

**შაჟქმედება:** დაუდგენელია.

### ხემარწყვა – *Arbutus andrachne* L.

ოჯ. მანანასგბრნი - Fam. Ericaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-12 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები ტყავისებრია, მარტივი, კიდემთლიანი, მსხვილი, მუქი მწვანე; ყვავილები თეთრია ან ვარდისფერი, წვრილი, შეკრებილია წვეროსეულ საგველა ჩაქინდორულ ყვავილებად. ნაყოფი გარეგანად მარწყვის მსგავსია, კენკრასებრი, მრავალთესლიანი. თესლი ცხოველებით მრავლდება. ხემარწყვი პლანეტის ულამაზეს ხეების რიცხვს მიეკუთვნება. გლუკი, პერგამენტის მსგავსი ქერქი მუქი მეწამული მეფერილობისაა. შუა ზაფხულში ქერქის ზედა

ფენა სკდება და ცვივა გრაგნილებისა და თხელი ნაფლეთების სახით, რჩება გაშიშვლებული ნაზი - მწვანე ქსოვილი. შემდეგში ახალი ქერქი განიცდის მთელ რიგ საოცარ გარდაქმნებს და მომავალი წლისათვის კვლავ იძენს მუქ-წითელ ფერს. ქერქი ყოველწლიურად იცვლება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთში, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, დასავლეთ აზიაში. მრავალ ქვეყანაში ამრავლებენ როგორც საბალო-დეკორატიულ მცენარეს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი საკვებად გამოიყენება, ტებილია, ამზადებენ მურაბებს, ლიქიორებსა და ღვინოებს. პორტუგალიაში ამზადებენ არომატიულ არაფს - “აგუარდენტე დე მედრონია”.

წარსულში მერქანს მორებად ხმარობდნენ. ფოთლებიდან და ქერქიდან მიღებულ მთრიმლავ ნივთიერებებს ტყავის დასამუშავებლად იყენებდნენ. ფოთლებიდან და ფესვებიდან მიიღება ტანინებით მდიდარი აქტიური ინგრედიენტები, რომლებიც ხასიათდება შემკვრელი და ანტისეპტიკური თვისებებით.

**ხეულლო, ხეხენდრო - *Cornus capitata* Wall. ex Roxb.**

**ოჯ. შინდისებრნი - Fam. Cornaceae**



**მორფოლოგია:** 12 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა. ფოთლები ბაცია, ქვედა მხრიდან მონაცრისფრო-მწვანე და უფრო კაშკაშა ზედა მხარეს. ყვავილები თეთრია, შეკრებილია თავაგასებრ ყვავილედებად, ყვავილობს ზაფხულში. ნაყოფები, უფრო სწორად ნაყოფედი სფეროსებრია, ფორმით მარწყვს მოგვაგონებს, წითელი შეფერილობისაა, 2-3 სმ დიამეტრის, წვნიანია, ორიგინალური გემოთი და მარწყვის არომატით, შედგება ტკბილი ლორწოვანი რბილობისაგან, რომელშიც საკმაოდ მსხვილი თესლებია ჩაფლული.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ინდოეთში პიმალაის ფერდობებზე და ცენტრალური ჩინეთის სამხრეთ ნაწილში. ინტროდუცირებულია აგსტრალიაში, ასალ ზელანდიაში, კავკასიის შავზღვისპირეთში და ყირიმში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები ხორცოვანია, ტკბილი, წვნიანი, ორიგინალური გემოგნების, მარწყვის არომატით, გამოიყენება საკედალი.

**ზემფრალი ან ჩინური იფანი - *Ailanthus altissima* (Mill.) Swingle  
ოჯ. ზემფრალისებრნი - Fam. Simarubiaceae**



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 20-30 მ-მდე სიმაღლის უხვად დატოტვილი ხეა, აშურული ვარჯით და მონაცრისფრო-მურა ფერის ქერქით. ფოთლები კერტფრთართულია, 1 მ-მდე სიგრძის; ფოთოლაკები გვერცხისებრ-ლანცეტაა, ძირთან დაგბილული, უსიამოვნო სუნის. ყვავილები ორსქესიანია და მამრობითი, წვრილი, უსახური, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის, შეკრებილია ფაშარ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი ერთთესლიანი რომბული ფრთიანაა, ყვითელი ან წითელი შეფერილობის; მეტად დეკორატიულია ნაყოფმსიმოიარობის პერიოდში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ჩინეთია. როგორც დეკორატიული, სწრაფმოზარდი მცენარე კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში: შუა აზიაში, უკრაინაში, რუსეთის სამხრეთ რაიონებში, კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც მრავლდება თვითნათესით და ამონაყრებით, ხშირად ასარევლიანებს ბალებს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია ქერქი, ყვავილები და ნედლი ყლორტები. ქერქი შეიცავს აქტიურ ნივთიერება – კვასინს, 12%-მდე მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონინებს, სხვადასხვა ალკალოიდებს, ლაქტონ სიმარუბინს, კუმარინულ ჰეტეროზიდს, მწარე ნივთიერებებს - აილანტინს, სტერინებს.

ოფიცინალურ მედიცინაში არ გამოიყენება. სახალხო მკურნალები ხის ქერქს იყენებენ დიზენტერიის დროს, და როგორც ანტიპელმინტურ საშუალებას; ეფექტურია ლეიშმანიოზის სამკურნალოდ. წარსულში, ნაყოფების ნაყენი გამოიყენებოდა პრეპარატ ანგინოლის წარმოებისათვის, რომელსაც უნიშნავდნენ ანგინის სამკურნალოდ. ჰომეოპატიაში ყვავილები, ქერქი და ყლორტები ქუნთრუშისა და ღიფტერიის, აგრეთვე შარდკენჭოვანი დაავალებებისას იხმარება, ხოლო ნაყოფები ნაღველკენჭოვანი დავადებებისა და კიბოს საწინააღმდევოდ. ფოთლები ხასიათდება ანტივირუსული და ინსექტიციდური მოქმედებით და გამოხატული ანტიმიკრობილი და ანთების საწინააღმდევო თვისებებით.

**შაჟქმედება:** მიუხედავად იმისა, რომ მცენარე ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება მისი გამოყენებისას აუცილებელია ექიმთან კონსულტაციის გავლა. ამავდროულად უნდა გაითვალისწინოთ, რომ თესლი შხამიანია!

### სეპილპილა - *Vitex agnus-castus L.* ოჯ. ცოცხასებრნი - Fam. Verbenaceae



**მორფოლოგია:** მერქნოვანი ფოთოლმცვენი 2-4 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ფესვი მთავარღერძაა, დატოტვილი, მრავალრიცხოვანი გვერდითი ფესვებით. ღერო სწორმდგომია, ოთხწახნაგოვანი, მურა ფერის. ფოთლები მოპირისპირებულია, თათისებრდანაკვთული, მწვანე,

შედგება 5-7 მახვილი ფოთოლაკისაგან, უთანაფოთლოა. ყვავილები ხშირი საგველაა თავთავისებრი ფორმის, ყვავილები მრავალრიცხოვანია, იასამნისფერი ან ბაცი-იისფერი (ზოგჯერ მქრთალი ვარდისფერი). ნაყოფი ოთხბუდიანი კურკაა სფერული ფორმის, შავი ფერის, 3-4 მმ ზომის. მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება ძლიერი, მწვავე და სასიამოვნო არომატით. ყვ. VI-VIII; ნაე. X.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, აზიის ზომიერ სარტყელში (შუა აზია, სამხრეთ კავკასია) და ჩრდილოეთ აფრიკაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს მცენარის მიწისზედა ნაწილი (ქერქი, ფოთლები, ტოტები, ყვავილები და ნაყოფები) წარმოადგენს. ფოთლები და ტოტები გროვდება მცენარის მთელ სავეგეტაციოს პერიოდში (სიცოცხლის მესამე წლიდან), ყვავილები – ყვავილობის პერიოდში, ნაყოფები - მოწიფების კვალდაკვალ (სექტემბერი-ოქტომბერი), ქერქი – გაზაფხულზე ან შემოდგომით.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ფლავონოიდებს (იზოვიტექსინი, კასტიცინი), ირიდოიდებს (აუკუბინი, აგნოზიდი), მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალოიდებს, მიკროელემნტებებს, ვიტამინებსა და ეთერზეთებს. ფოთლებში აღინიშნება C ვიტამინი (38,9-118,1 მგ%); ნაყოფებში – კუმარინები და ცხიმოვანი ზეთები, რომლის შემადგენლობაშია ჭიანჭველის, მმრის, პროპიონის, ვალერიანისა და კაპრონის მჟავები. ეთერზეთების ყველაზე მაღალი შემცველობა ფიქსირდება ყვავილობის პერიოდში: ნაყოფებში – 0,47 %, მშრალ ფოთლებში – 55%-მდე. ეთერზეთების შემადგენლობაშია ცინეოლი, პინწი, საბინწი, პალმიტინის მჟავა.

ხეპილპილა ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ექსტროგენული, ანტიფუნგალური და სედატური მოქმედებით. მისი პრეპარატები დაღვებითად მოქმედებს ჯირკვლების ფუნქციაზე პორმონალური დარღვევებისას, ააქტიურებს ფითელი სხეულის (რკინა, რომელიც არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს) ფუნქციას. ნაყოფები აუმჯობესებს საკვების მონელებას, ხასიათდება მატონიზირებული და გამაძლიერებული მოქმედებით.

თესლიდან გამოყოფილი ზეთი შველის ონკოლოგიურ დაავადებებს. ცნობილია, რომ ხეპილპილას პრეპარატები ასტიმულირებს მეტყველების ცენტრს, განსაკუთრებით შველის მეტყველება - განუვითარებელ ბავშვებს, გამოიყენება აგრეთვე შემდეგი დაავადებებისას: დეპრესია, ღვიძლისა და ელენთის ქრონიკული დაავადებები, ციებ-ცხელება, უნაყოფობა, მენსტრუალური ციკლის დარღვევები, მასტოპატია, ქალების მიომა, მამაკაცების იმპოტენცია.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ციებ-ცხელების, გონორეისა და გულის ტკივილებისას. ფართოდ გამოიყენება ჰომეოპატიაში - ნედლ წვენს იყენებენ დეპრესიის, ნერვული დაავადებებისას. ფოთლებისა და ყვავილების ნაყენები გამოიყენება როგორც ლაქტოგენური საშუალება, ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედებით. ნაყოფების ნაყენი ამაღლებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციას, გამოიყენება ქალური დაავადებების (ფიბროზულგისტოზური მასტოპატია, ფიბრომა, მიომა, კისტა, პოლიპები), მამაკაცებში - პროსტატიტის, უნაყოფობისა და ლეიკოზის სამკურნალოდ.

**შპუქმედება:** არ არის რეკომენდებული ხეპილპილას წვეთების მიღება ალკოჰოლიზმის მკურნალობის შემდეგ; გადაჭარბებულმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს პალუცინაციები, ფსიქომოტორული აღგზნება ან კანზე აღერგიული რეაქციები.

**ხეპამიდორი, ციფომანდორა - *Cyphomandra betacea* Cav.) Send.  
ოჯ. ძაღლყურძენასებრნი - Fam.Solanaceae**



**მორფოლოგია:** 3 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა. ფოთლები არომატულია, შესხვილი, მოგრძოკვერცხისებრი, კიდემთლიანი, ქვედა მხრიდან სუსტად შებუსული, 17-30 სმ სიგრძისა და 12-19 სმ სიგანის. ყვავილები წვრილია, არომატული, 1,5 სმ დიამეტრის, განლაგებულია ჯგუფებად, გვირგვინი მოვარდისფრო-თეთრია. ნაყოფი კენკრაა, კვერცხისებრი, 5-7 სმ სიგრძის, იწონის 100-მდე გ, კანი პრიალაა, მაგარი და მწარე; ჯიშებიდან გამომდინარე კანის ფერი მერყეობს ყვითლიდან ბორდოსფერამდე; ანალოგიურია რბილობის ფერიც, ხასიათდება მომჟავო-მოტკბო გემოთი, ფისის სუსტი არომატით. ნაყოფები მწიფებება მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ჩვეულებრივ მოსავალს აგროვებენ აპრილიდან სექტემბრმდე. პლანტაციებზე მცენარის სიცოცხლის ხანგრძლვობა 3-4 წელია.

მსგავსია გრძელნაყოფა პამიდვრის, რის გამოც ესპანელებმა და პორტუგალიელებმა, რომლებიც პირველები მოხვდნენ მის სამშობლოში პამიდვრის ხე უწოდეს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო პერუა. ანდების უძველესი სახეობაა; მისი ოკულტივირება ხდებოდა ამერიკის აღმოჩენამდე ბევრად ადრე. ამჟამად კულტივირებულია სამხრეთ ევროპის სუბტროპიკულ რაიონებში (უმთავრესად მთიან ოლქებში), ტროპიკულ აზიასა და აშშ-ის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები მეტად პოპულარულია ევროპასა და ამერიკაში, ითვლება სასარგებლო დიეტურ პროდუქტად.

**უპარჯება:** დაუდგენელია.

**ზერკინა ან მეზუა – *Mesua ferrea* L.  
ოჯ. კალოფილისებრი - Fam. Calophyllaceae**



**მორფოლოგია:** 14-25 მ სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა, მერქანი მოვარდისფერო – ყავისფერია, მძიმე, მკვრივი და მაგარი; ქერქი ნაცრისფერია, ადგილ-ადგილ მოწითალო-მურა, შრეებად ძვრება. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია 6-15 სმ სიგრძის, ახალი ფოთლები ყვითელია, ვარდისფერი და მოწითალო. ყვავილები თეთრია, სურნელოვანი. ნაყოფი ზისებრი კოლოფია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო შრი-ლანკა (ცეილონი), იზრდება 1500 მ სიმაღლეზე ნოტიო ტყეებში. კულტივირებულია ინდოეთში, ნეპალსა და სხვა აზიურ ქვეყნებში, მაღარიზის ნახევარკუნძულამდე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ზის ფისი შეიცავს შხამიან ნივთიერებებს. სამკურნალოდ გამოიყენება ნედლი და მშრალი ყვავილები, თესლიდან გამოყოფილი ზეთები.

სასიათდება ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, სასაქმებელი თვისებებით. იხმარება მთელი რიგი

დაავადებების დროს: ასთმა, ხველება, ციგბ-ცხელება, გულის რევა და პირლებინება, იმპოტენცია, დიზნეტერია, ბუასილი, კანის დაავადებები, კეთრი, რევატიზმი და როგორც აფროდიზიაკი.

მისი ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული თვისებებიდან გამომდინარე გამოიყენება კოსმეტოლოგიაში, სახის კანის ფერის გასაუმჯობესებლად, პიგმენტაციის მოსაშორებლად. ეფექტურად კურნავს კანის დაავადებებს – მუნს, გამონაყრებს, ფერიმჭამელებს; ახდენს ჭრილობების, დამწვრობის, წყლულების მოშუშებას.

**ჟაჟქმედება:** არ არის დაღენილი.

### ზერკინა ან სიდეროქსილონი – *Sideroxylon inerme* L. ოჯ. საპოტასებრნი - Fam. Sapotaceae



**მორფოლოგია:** დიდი ზომის მარადმწვანე სწრაფმოზარდი 20 მ-დე სიმაღლის ხეა ქერცლისებრი მოწითალო ქერქით. მერქანი რკინისებრ მაგარია; ხის გულგული მოყვითალო ფერისაა. ფოთლები კაშკაშა მწვანეა 15 სმ სიგრძისა და 8 სმ სიგანის. ნაყოფი ოვალური ფორმისაა, 2,5 სმ სიგრძის, მომწიფებისას ყვითლდება. ნაყოფი შეიცავს 1-3 თესლს. ყვავილობს და ნაყოფმშემოიარობს მთელი წლის განმავლობაში.

ისტორია და გულტურის გავრცელება: ბუნებრივი არეალი მოიცავს ფლორიდას, კარიბის ზღვის გუნდულებსა და ცენტრალური ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილს.

სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება: ნაყოფი საკვებად ვარგისა, მაგრამ არა პოპულარული. მძიმე მერქანი ადრე სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოიყენებოდა, ამჟამად სახეობის პოპულაციების შემცირების გამო თითქმის სრულად შეწყვეტილია მისი ექსპლოატაცია.

**ხეჭირა – *Liriodendron tulipiferum* L.**  
ოჯ. მაგნოლიასებრნი - Fam. Magnoliaceae



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 25-36 მ სიმაღლის ხეა. ახალგაზრდა ეგზემპლარებში ვარჯი პირამიდულია, ხნოვანებასთან ერთად ოვალურ მოხაზულობას იძენს. ქერქი განვითარების ადრეულ პერიოდებში გლუვია, მონაცრისფრო-მომწვანო, შემდგომ ნაოჭდება. ფოთლები მორიგეობითია, მარტივი, თათისებრდაძარლვული, ფართო, ბაცი მწვანე ან მწვანე. შემოდგომით იძენს ოქროსფერ-ყვითელ შეფერილობას, გრძელფუნქციანია, 7-10 სმ სიგრძის, თანაფოთლები მსხვილია; ყვავილები ტიტას კოკორს მოგვაგონებს (აქედან მისი

სახელწოდება), 6 სმ-მდე სიგრძისაა, ორსქესიანი, ბაცი მწვანე ან ყვითელი (იშვიათად თეთრი) ჯამის ფოთოლაკებითა და ნარინჯისფერი გვირგვინის ფურცლებით, სუსტი სურნელის, იძლევა დიდი რაოდენობის ნექტარს. ყვავილსაფარი სამწევრიანია, მრავალრიცხოვანი მტვრიანებითა და ბოტკოებით; ყვავილები თითო-თითოდ განლაგებულია ტოტების ბოლოებზე. ნაყოფი მოგრძო გირჩისებრი წარმონაქმნია, 5 სმ-მდე სიგრძის, შედგება ძირაკისა და ფრთიანასაგან, რომლებიც მომწიფებისას ცვივა; ცალკეული ფრთიანა 4 სმ სიგრძისაა, ცალფრთიანია და შეიცავს ოთხწახნაგოვან თესლს. ყვ. V-VI. ნაყ. X-XI.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკა. ფართოდაა კულტივირებული სუბტროპიკული კლიმატის ქვერნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტიტას ხე სუბტროპიკულ ხე მცენარეებს შორის ყველაზე თაფლოვან მცენარედ ითვლება, ერთი ხე იძლევა 4 კგ ნექტარს, რომლისგანაც მიიღება 1 კგ თაფლი. ფრთიად დეკორატიულია, ბაღ-პარკების დამამშვენებელი.

ხასიათდება სამკურნალო თვისებებითაც: ქერქის ნახარში მაღარის სამკურნალოდ იხმარება.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**ზეტუხტი – *Hibiscus syriacus* L.**  
**ოჯ. ბალბისებრნი - Fam. Malvaceae**



**მორფოლოგია:** ბუჩქი ან მცირე ზომის 5-6 მ-დე სიმაღლის ხეა, მოყვითალო-მონაცრისფრო დახეთქილი ქერქით, ახალგაზრდა ტოტები ვარსკვლავისებრი ბეწვითაა მოფენილი. ფოთოლი კვერცხისებრ ან კვერცხისებრ-რომბული ფორმისაა, 5-10 სმ სიგრძისა და 4-6 სმ სიგანის. ყვავილები მარტოულია, ხშირად ბუთხუზისებრი, განლაგებულია ფოთლების უბეებში მოკლე, სქლად ვარსკვლავისებრ შებუსვილ საყვავილე ღეროებზე; გვირგვინის ფურცლები 6-10 სმ დიამეტრისაა, ფართოზარისებრი, ვარდისფერ-მეწამული ან მოწითალო-ლილისფერი, ზოგჯერ თეთრი, ცენტრში მუქი ლაქით. გვირგვინის ფურცლები წაგრძელებულია, უპუჟვერცხისებრი, მომრგვალო წვეროებით. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია. თესლი თირკმლისებრია, დანაოჭებული, გლუვი, მუქი რუხი. ყვ. V-VIII; ნაყ. IX-X.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში, ინდოეთში, მცირე აზიაში. ფართოდაა კულტივირებული დეკორატიული მიზნებისათვის.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ენერგეტიკულ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. ნედლი ფოთლები გამოიყენება საკვებად, უმატებენ სალათებს; თესლი გემოვნებით შირბაზტის მსგავსია, მოხალული და დაჭუცმაცებული იხმარება წვნიანებსა და საკონდიტრო ნაწარმში.

ჯამის ფოთოლაკებისაგან ამზადებენ მეტად სასარგებლო სურნელოვან ჩაის. ნივთიერებები, რომლებიც ჩაის წითელ შეფერილობას იწვევს ანთოციანებია, ხასიათდება მკვეთრად გამოხატული P ვიტამინის აქტივობით, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, არევულირებს მათ გამტარიანობას და სისხლის წნევას; ცხელი ჩაი ამაღლებს წნევას, ცივი - კი აქვეითებს. ხასიათდება სპაზმური და შარდმდენი მოქმედებითაც, აუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. ხეტუხტში შემავალი ფლავონოიდები - კვერცხტინი, აძლიერებს ანთოციანების მოქმედებას, ასუფთავებს და ორგანიზმიდან დევნის შლაკებს, ასტიმულირებს ნაღვლის გამოყოფას, აძლიერებს ღვიძლის დაცვის ფუნქციებს მავნე ზემოქმედებისაგან, აუმჯობესებს მეტაბოლიზმს. სპობს ზოგიერთ ტკივილგამომწვევ მიკროორგანიზმებს, გამოიყენება ჭიისმდენ საშუალებადაც.

ჩაის რეგულარული მიღება ჰიპოვიტამინოზის დამცველი საშუალებაა; მასში შემავალი ვიტამინებისა და მიკროელემენტების კომპლექსი კვებავს ორგანიზმს სასიცოცხლო ენერგიით, იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას და ზრდის ინფექციური დავადებებისადმი წინააღმდეგობას.

**შკუმედება:** არ გააჩნია.

### ზეშროშანა – *Clethra arborea* Aiton ოჯ. კლეტრასებრნი - Fam. Clethraceae



მორფოლოგია: 3 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა; ქერქი

ყავისფერია, ახალგაზრდა ყლორტები და ფოთლები ქვედა მხრიდან უანგისებრშებუსულია. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა ან მოგრძო-კვერცხისებრი, 8-12 სმ სიგრძის, კიდეხერხგბილა. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 15 სმ-მდე სიგრძის ხშირ მტევნებად. ყვავილი ხუთწევრიანია, 5-ად გაყოფილი ჯამითა და გვირგვინით, მტევნები 10, ბუტკო 1. ნაყოფი კოლოფია. ყვ. VIII-IX.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** მადეირას არქიპელაგის ენდემური სახეობაა, იზრდება ქვეტყეში. ამრავლებენ ორანჟერეაში როგორც დეკორატიულ მცენარეს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ყვავილების მაღალი სურნელებიდან გამომდინარე გამოიყენება საპარფუმერიო წამოებაში და სურნელოვანი ჩაის დასამზადებლად..

**ხისებრი მსუქანა, კრასულა (“ბეჭნიერების ხე” ან “ფულის ხე”)**  
**Crassula arborescens Willd.**

**ოჯ. მსუქანასებრნი - Fam. Crassulaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი სუკულენტია, სამშობლოში 3 მ სიმაღლეს აღწევს, კულტურაში 1,5 მ-ს, ღეროებზე აღინიშნება ჩამოცვენილი ფოთლების ნაჭილევები. ფოთლები ხორცოვნია, პრიალა, მოხრილი, ლეგა, კიდეებზე და ქვედა მხარეს მოწითალო ელფერით, ღეროზე განლაგებულია მოპირისპირედ, რომლებიც ხშირად ძირში შეზრდილია, ხოლო ფოთლის წყვილები ერთმანეთის მიმართ ჯვარედინად ვითარდება. ყვავილები წვრილია,

ბაცი ვარდისფერი ან თეთრი, ტოტების ბოლოებში თავაკისებრ ყვავილებადაა განწყობილი, დამასასიათებელი ძლიერი მოტკბო სურნელით. ჩვეულებრივ ყვავილობს სიცოცხლის მე-5 -10 წელს.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაა. ბუნებრივად იზრდება ავსტრალიასა და მადაგასკარში.

ფართოდ გავრცელებული მეტად საინტერესო საოთახო კულტურაა. შენიშნულია მცენარის რეაქცია იმ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებებზე, სადაც კრასულა იზრდება; თუ ვინმე ავადმყოფობს, მაშინ მცენარის მდგომარეობა მკვეთრად იცვლება, იწყებს ფოთლების ჩამოყრას, ჭკნობას, თითქოსდა იწოვს უარყოფით ენტერის, ხოლო ადამიანის გამოჯამრთელებისას კრასულაც ხალისდება და ცოცხლდება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამურნალოდ ფოთლები გამოიყენება. მნიშვნელობითა და სიძლიერით არ ჩამოუვარდება ალოეს. ხასიათდება ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. გამოიყენება შინაგანად კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, თირკმელების ანთებითი პროცესების დროს. გარეგანად - კრასულას ფოთლების გამონაწური იხმარება ართრიტის, ჰერპესის, ჭრილობებისა და წყლულების, ჩირქეროვების, მწერების ნაკენების საწინააღმდეგოდ; ხოლო თბილ წყალში გახსნილი ფოთლების გამონაწურს იყენებენ ანგინისა და ტონზილიტის დროს.

**უკუქმედება:** მცენარე დარიშხანს შეიცავს, ამიტომ მისი შინაგანად გამოყენებისას უაღრესად დიდი სიფრთხილეა საჭირო. დოზის გადამეტებამ შეიძლება გამოიწვიოს გონების დაკარგვა, ფალარათი და პირდებინება.

## ხისებრი ჰორტენზია – *Hydrangea arborescens* L.

ოჯ. ჰორტენზიასებრნი (ფხიკასებრნი)

Fam. Hydrangeaceae (Saxifragaceae)



**მორფოლოგია:** 2,5-3 მ-მდე სიმაღლის მომრგვალო, ფოთოლმცვენი ბუჩქია, ვარჯის დიამეტრიც 2 მ-მდეა, ფართოდ გადაშლილი, აუკუნული. ფოთლები 8-15 სმ დიამეტრისაა, მომრგვალო, მწვანე. ყვავილები წვრილია, პრიალა, შეკრებილია მსხვილ, 25 სმ-მდე დიამეტრის სფერულ ყვავილებად, გაშლისას მკრთალი მწვანეა, შემდეგ თეთრი შეფერილობის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო აშშ-ის აღმოსავლეთია. ფართოდაა კულტივირებული ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფესვები შეიცავს ფლავონოიდებს, გლიკოზიდ ჰიდრანგინს, საპონინებს, რუტინს, კუმარინებს, ალკალოიდებს, ეთერზეთებს.

ფესვები უმცველესი დროიდანვე გამოიყენებოდა მედიცინაში შარდისადინარი ორგანოების ანთებითი დაავადებებისას. ფესვების ექსტრაქტი ხასიათდება რბილი შარდმდენი და ჭრილობების შემახორციებელი მოქმედებით, იწვევს გამწმენდ მოქმედებას შარდსასქესო სისტემაზე, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოდევნას, შეშუპების შემცირებას, შარდმჟავას გამოყოფას; აბრკოლებს შარდსადინარ გზებში ქვიშისა და ქვების დალექვას, ხსნის სპაზმებს ამ ორგანოებში, უზრუნველყოფს გამაუმტკიფნებლ უფექტს. ფესვები, აგრეთვე გამოიყენება

წინამენსტრუალური სინდრომის შესამსუბუქებლად. იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას თირკმელებზე, აუმჯობესებს მის ფუნქციას.

ხისმაგვარი ჰორტენზია გამოიყენება ნალველკენჭოვანი დაავადებების, ქრონიკული პიელონეფრიტის, თირკმელებში კენჭების, ქრონიკული ცისტიტის, სახსრების ტკივილების, ქალის სასქესო სფეროს ქრონიკული ანთების, შეშუპებისა და სიმსუქნის დროს.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**ჯავზი – *Myristica fragrans* Houtt  
ოკ. ჯავზისებრნი - Fam. Myristicaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-15 მ - მდე სიმაღლის ხეა, პირმიდალური ხშირი ვარჯით, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით; ფოთლები ოვალური ფორმისაა, 20-30 სმ სიგრძის, მუქი მწვანე. ყავილები ორსქესიანია, მსხვილი, ნარინჯისფერი ან ლეგა-ყვითელი, ბუთხეზა, კონგაად შეკრებილი. ნაყოფი 3-4 სმ დიამეტრისაა, მუქი მურა ფერის, მკვრივი გარსით, შეიცავს თესლებს თანათესლებით.

**ისტორია და პულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებია. კულტივირებულია ამავე ქვეყნებში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, სამხრეთ ჩინეთში, შრი-ლანკაზე, სეიშელისა და კარიბის კუნძულებზე, აფრიკის ტროპიკულ ქვეყნებში, ბრაზილიაში.

ისტორიულად ევროპაში პირველად არაბი ვაჭრების მიერ იქნა შეტანილი VII-VIII საუკუნეებში, სადაც სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მთელ რეგიონში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ძვირფასი სანელებელი მცენარეა, ნედლეულს თესლი წარმოადგენს, ხასიათდება დაზვეწილი, თბილი, მოტკბო არომატით, სუნელის ოდნავ მწვავე და პიკანტური გემოთი. ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, ხორცის, თვევზის, ბოსტნეული კერძების, ძეხვების, ყველის, აპშტეტის, ხაჭოსა და სხვა პროდუქტების შესაკაზმად, ლიქორის წარმოებაში; განსაკუთრებით ფართოდ - საკონდიტრო მრეწველობაში, მას უმატებენ ნამცხვრებს, კექსებს, ვაფლს, ტორტებს, კრემებს, კანფეტებს ფუნტუშეულს და სხვ. ძველი ინდოეთისა და ჩინეთის მედიცინა ამ სანელებელს სხვადასხვა სასარგებლო და სამკუნალო თვისებებს მიაწერდა.

შეა საუკუნეების ექიმები კი პანაცეად თვლიდნენ. იყენებდნენ ინფექციური დაავადებების ეპიდემიების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას; აწერდნენ რიგ ზებუნებრივ თვისებებსაც, აღინიშნებოდა მათი ჰალუცინაციური მოქმედებაც.

თანამედროვე მედიცინა აღინიშნავს სანელებლის სამჯურნალო და სასარგებლო თვისებებს. მაგ.: ჯავზი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც კეთილისმყოფლად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეციაზე, აუმჯობესებს მის მუშაობას; ხასიათდება ანთების საწინააღმდევო, ტკივილგამაფუჩებელი, სისხლძარღვთა გამაფართოებელი, ანალგეტიკური, მატონიზირებელი მოქმედებით, ხსნის სპაზმებს.

**სამჯურნალოდ გამოიყენება:** კეთილთვისებიანი სიმსივნეების, მასტოპაზის, ლვიძლის, ნალვლის ბუშტის, კუჭ-ნაწლავის ჭვლების, კუჭის დაავადებების, ქრონიკული დიარეის, ქრონიკული დისპეპსიის, მუცლის გაბერვის, კბილის ტკივილის, გულის რევისა და პირლებინების, გაციების, ხველების, რევმატიზმის, სახსრებისა და კუნთების სხვა დაავადებებისას; ახდენს თავის ტკინისა და სისხლის მიმოქცევის სტიმულირებას, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, ნაღვლის ბუშტში ქვების დაშლას, ვენების ვარიკოზულ გაფართოებას; აფერხებს ავთვისებიანი სიმსივნეების

წარმოქმნას; აძლიერებს იმუნიტეტს; აუმჯობესებს მაღას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხსნის დაღლილობას; ასუფთავებს ბრონქებს ლორწოსაგან; აუმჯობესებს პირის სუნს. გამოიყენება ფიზიკური გამოფიტვის დროს და სასქესო აქტივობის ასამაღლებლად; არის რეპროდუქტიული სისტემის მატონიზირებელი საშუალება, ახდენს პორმონ ესტროგენის იმიტაციას და როგორც წესი მენსტრუაციის ნორმალიზებასა და ტკივილების მოხსნას, მშობიარობის დროს საშვილოსნოს დავიწროების სტიმულირებას; არის აფროდიზიაკი და ანალგეტიკი. ხშირად სხვადასხვა დოზით შედის კუჭის წამლების შემადგენლობაში.

